



ქართული
 მწერთა
 კავშირი



საქართველოს
 მწერთა კავშირი



გორგონეზობა
 უკუტყუარა



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
 თბილისი — 1988

სამსონ ფირცხალავა მოგონებებში მოგვითხრობს თავისი ბავშვობას, პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებული წლების შესახებ. გვაცნობს ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მუშაობას ქერნალ-გაზეთების რედაქციებსა და ქართულთა შორის წერა-კითხვის გაშვრცელებელ საზოგადოებაში.

სამსონ ფირცხალავა პირადად იცნობდა ცნობილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს: აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ცხეცაძეს, ალექსანდრე სარაჯიშვილს, გიორგი ყაზბეგს, არჩილ ქორჭაძეს და სხვებს. მათთან შეხვედრებსა და საქმიან ურთიერთობებს „მოგონებათა ფურცლებში“ განსაყოფიებული ადგილი ეთმობა.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა. შენიშვნები და პირთა საძიებელი დაურთო ლეილა ნანიტაშვილმა

რედაქტორი სოლომონ ხუციშვილი

სამსონ ფირცხალაშა

IX საუკუნის დასაწყისის ქართულ პერიოდულ პრესაში უკრადლებას იპყრობს „სიტყვისა“ და „კალამის“ ფსევდონიმებით ხელმოწერილი წერილები, რომლებიც ამ დროისათვის ცნობილ პუბლიცისტს სამსონ ფირცხალაშას ეკუთვნის. ამ ფსევდონიმებით წერდა იგი ფელეტონებს, მახვილ პუბლიცისტურ წერილებს.

ლიტერატურული მოღვაწეობა მან გაზეთ „ივერიაში“ დაიწყო, 1902 წლიდან კი სიმუშაოდ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში გადავიდა და, როგორც გიორგი ლასხიშვილი იგონებს, რედაქციის პირველ კოლეგიაში შედიოდა არჩილ ჭორჭაძესთან და გრიგოლ რცხილაძესთან ერთად, ამასთან იყო საკვირაო ფელეტონისტი.

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ დახურვის შემდეგ, მისი გაგრძელებების — „შრომის“, „ისრის“, „სახალხო გაზეთის“, „სახალხო ფურცლის“ რედაქციებში თანამშრომლობდა, რედაქტორობდა საკლებო გამოცემებს — „გლესსა“ და „მიწას“, მხატვრულ ჟურნალ-გაზეთებს — „მზეს“ და „ფასკენქს“; იყო „სახალხო საქმის“ მთავარი კომიტეტის რწმუნებული.

მკითხველმა შეიყვარა მისი „ღლიურო“, „ფიქრები... მხოლოდ ფიქრები“, „პატარა ამბები“. დიდი ინტერესით კითხულობდნენ მის ფელეტონებს, რომლებშიც ავტორი საქართველოს საკვირბოროტო საკითხებს იხილავდა და უკეთესი მერამისის ძიებისათვის სამოქმედო გზებს სახაევდა.

ეს იყო ეროვნული საკითხი, ბათუმის შემოერთება, სამამუდიანო საქართველოს ზედი, ალიხანოვის რაზმების თარეში დასავლეთ საქართველოში თუ სხვა პრობლემები — ასე რომ აღლევებდა, როგორც ი. ვართაგავა იგონებდა, ნაცნობთა წრეში „წმინდანად“ მონათლულ სამსონ ფირცხალაშას.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებაზე, 1902 წელს, საზოგადოების წევრად, ხოლო მალე გამგეობის მდივნად აირჩიეს სამსონ ფირცხალაშა. 1910 წლამდე იგი ასრულებდა საზოგადოების საქმის მწარმოებლის მოვალეობას, ვიდრე სხვა სოციალ-ფედერალისტებთან ერთად არ გასამართლეს და არ გადაასახლეს.

1902 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილ წერილში „წიგნების გამოცემა“ იგი უკრადლებას ამახვილებდა ქართული წიგნის საქმიროებაზე.

„მწერლობის აყვავებას არ შეადგენს მარტო გაზეთების წერილები, საჭიროა წიგნები და წიგნები, ხალხური და სხვაგვარიც. თუ გინდათ გაამავროთ ერი, მივცით ხალხს ქართული წიგნი, რომელსაც იგი დღეს დიდის წყურვილით თხოულობს. თუ გინდათ შეაიარაღოთ ქართველი ცხოვრების ბრძოლაში, შეაიარაღეთ უპირველესად ქართული წიგნით“.

წერილში „წერა-კითხვის საზოგადოების გაპირებული მდგომარეობა“ კი წერდა საზოგადოების ბიბლიოთეკისა და მუზეუმის მოუწყობლობის გამო, რომ საზოგადოება უსახსრობის გამო ვერ ბეჭდავდა წიგნებს, ძველ ხელნაწერებს, რადგან სალაროს შემოსავალი არათუ იზრდებოდა, არამედ კლებულობდა. ს. ფირცხალავა „საზოგადოების“ კემშირტ გულშემატიკვართა მცირე რიცხვს მოუწოდებდა, ხელი გამოეღოთ და წარმოდგენის გამართვით, საწევრო ფულის მოგროვებითა თუ სხვა საშუალებით დახმარებოდნენ საზოგადოების გაპირებულ მდგომარეობას.

სწორედ ქართულ წიგნზე შეითხველთა გაზრდილმა მოთხოვნებამ აფიქრებინა, რომ საგამომცემლო საქმისთვის მოეციდნა ხელი. მან ი. კუონიასთან ერთად გამოსცა ს. მესხის „ნაწერების“ პირველი წიგნი. შ. მღვიმელთან და ვ. ელილაშვილთან ერთად დააარსა გამომცემლობა „ტროროლა“, რომელმაც მხოლოდ ორი წიგნი — ი. ეკალაძის ნაწერები და ალ. ნათაძის მიერ გადმოკეთებული ზღაპარი „მელიას თავგადასავალი“ დაბეჭდა.

1907 წელს ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულად დაღუპვის გამო გ. სალარიძესთან ერთად გამოსცა კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, რომლის შემოსავლის 25% ილიას „ეროვნულ ფონდს“ გადაეცა. ამ კრებულს გამოსვლისთანავე მაღალი შეფასება მისცა ილ. ხახანაშვილმა.

1912 წელს გადასახლებაში მყოფმა სამსონ ფირცხალავამ დიდი გაპირვებით შეაგროვა ფული და თავისი უახლოესი მეგობრის ალექსანდრე (კუჭია) მიქელაძის ხსოვნას მიუძღვნა სამეცნიერო-ლიტერატურული კრებული „გვირგვინი“.

1912 წელს ალ. შანშიაშვილს სწერდა: „ერთადერთი იქი იმედი, გამხარებელი, იყო კუჭოს სახსოვარი კრებულის გამოცემა. მაგრამ დეპეშა მივიღე, რომ ბეჭდვა შეუძლებელია. რასაკვირველია, მიტომ, რომ ფული ვერ გავუზგაზგე. არ ვიცი, ახლა რა ვიღონო. 144 გვერდი დაბეჭდილი უკვე მივიღე აქ. კარგადაა გამოცემული, სულ ხელში მიკაეთი და სიხარულით შევცქერი... როდის იქნება, როდის, რომ ამას წაგნად ვნახავ!“

1913 წლის აპრილში ს. ფირცხალავა სამშობლოში დაბრუნდა და „გვირგვინის“ ბეჭდვა დაასრულა.

კრებულში შესულია გრიგოლ რომაქიძის ესკიზი „შოთა რუსთაველი“, მიხაკო წერეთლის „სუმერული და ქართული“, პეტრე ქავთარაძის მიერ თარგმნილი „ოიდიპოს მეფე“, ალექსანდრე შანშიაშვილის „მეფე-მგოსანი“, სამსონ ფირცხალავას დრამატული სურათი „ღამე“ და „გლოვის ზარი“.

კრებულს ახლავნ მიძღვნა: „ამ წიგნს ვუძღვნით კუჭია მიქელაძის ძვირფას ხსოვნას“ და ავტორთა ფაქსიმილე.

1914 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაბეჭდა ს. ფირცხალავას მიერ შედგენილი „ქართველი პოეტების რჩეული ლექსები“. კრებულში შესულია ილ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის,

გრ. ორბელიანის, მის. თუმანიშვილის, ივ. კერესელიძის, ვახ. ორბელიანის ლექსები, იტორია მოკლე ბიოგრაფიულა ცნობებით.

სამსონ ფირცხალავას, როგორც წიგნის გამომცემლის, სახელი უკვდავო ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველმა აკადემიურმა გამოცემამ, რომლის დაბეჭდვისათვის შზადება ჯერ კიდევ პოეტის საიუბილეოდ, 1915 წელს დაიწყო. კრებულის გამოცემას აფერხებდა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. სარედაქციო კომისია ფაქტიურად დაიშალა. გამოცემის ხელმძღვანელი და რედაქტორი აღმოჩნდა მხოლოდ სამსონ ფირცხალავა, რომელსაც ეხმარებოდა იოსებ გრიშაშვილი.

1917 წელს იონა მეუნარგია ზუგდიდიდან სწერდა სამსონ ფირცხალავას:
„ძმა სამსონ! მომწერე, იბეჭდება თუ არა ბარათაშვილი. თუ იბეჭდება, რატომ არ გამოიგზავნე, რაც გთხოვე ადრე, ჩემი ცხოვრების აღწერის ბოლო ფურცლები, კარანდამით დაწერილი, რომლებიც გადასაწერად და გადასაკეთებლად იყო დანიშნული? ჯერ კიდევ ციცერონი მოძღვრავდა მწერალს, თავი და ბოლო კარგად უნდა იყოს დაწერილი და აქ ბოლო სულაც არ არის დაწერილი. გთხოვ, გემუდარები. ნუ აყოვნებ, ისე გამოიგზავნე, რასაც გთხოვ. და თან შემომითვალო, დაიწყეთ თუ არა ბეჭდვა“.

წიგნი მხოლოდ 1922 წელს შიილო მკითხველმა.

სამსონ ფირცხალავა რომ დუპატიმრებიათ, იოსებ გრიშაშვილს ეტლში მჯდომი პატიმრისთვის ჯერ კიდევ საღებავმუშეშპარლი, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა სასიგნალო ეგზემპლარი მიუწოდებია. ამ წიგნზე იოსებ გრიშაშვილი „ილიონში“ წერდა: „სამსონ ფირცხალავას მიერ გამოცემული „ბარათაშვილი“ აკადემიური გამოცემაა. აქ ყოველივე წერალმანი, რაც მგონის გარემო მომხდარა — დიდის სათუთობით არის დალაგებული. |

ამჟამად საინტერესოა რედაქტორის შეუღლებელი ენერგია. მართალია, წიგნის ბოლოში ვკითხულობთ, რომ გამოცემის ხასიათის და გეგმის გამოსაკვლევად შემდგარა კომისია, რომელშიაც ყოფილან: კიტა აბაშიძე, იოსებ გედევანიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, დიმიტრი შევარდნაძე, ივანე ჭავჭავაძე, მაგრაბ, როგორც ვიცით, საქმის მთელი სიმძიმე სამსონ ფირცხალავას დააწვა და იგი მანაც იდგა თავის სადარაჯოზე, როგორც უკანასკნელი პირობი. მთელი ოთხი წელიწადი მუშაობდა ს. ფირცხალავა ამ წიგნზე, ჩვენ მოწმე ვიყავით, თუ როგორის ენერგიით, მეცნიერული სიღინჩით სუნთქავდა არხივების სუნოვანობა პატივცემული რედაქტორი, რომ წიგნი—რომელიც ეკატერინე ერისთავის თაოსნობით გამოდიოდა—საკვებობთ სავსე ყოფილიყო აი, ასე იყრიებოდა ყოველი მომენტი ბარათაშვილის ცხოვრებაში, რაც დღეს სრულქმნის ჩვენს პოეტს.

დღეს, როცა რედაქტორობა ფრჩხილებში ჩასასმელი სიტყვა გახდა, პირდაპირ სანიშნოდ ხდება ის მოკრძალება, რომლითაც წიგნის ერთ პატარა კუნძულში პატარა ასოებით ვკითხულობთ: „სამსონ ფირცხალავას რედაქციით“.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მიმართ შუამდგომლობა აღძრა მსცოვანი მწერლის სამსონ ფირცხალავას განთავისუფლების თაობაზე. ამასთან საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო თავმჯდომარეა, რომ სამსონ ფირცხალავა თბილისიდან არ გავიდოდა საქართველოს საგანგებო კომისიის ნებართვის გარეშე.

აი, როგორ იგონებს გერონტი ქიქოძე სამსონ ფირცხალავას:

„სამსონ ფირცხალავა... მოწამის როლს შეასრულებდა, თუ რელიგიური დენის ეპოქაში დაბადებულიყო. რადგან ჩაგრული ერის შეილად დაიბადა, მის შეგნებაში ყოველი რელიგიური და მეტაფიზიკური იდეა სამშობლოს სიყვარულს დაეჩრდილა. ევროპაში ფირცხალავა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წავიდა მთავრობის ნებართვით. პარიზში მას რამდენიმე ბროშურა და წერილი გამოუქვეყნებია საქართველოს ისტორიის პრობლემებზე. ამას გარდა, თურმე ქართული ენის გაკვეთილებს აძლევდა ემიგრანტების ბავშვებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამსონ ფირცხალავა თბილისში დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის ნებართვით. მე მას რამდენჯერმე შევხვდი. მათხრა, უცხოეთში სამშობლოს ნატერა ჰქლავდა, მინდა ჩემი ძელები საქართველოს მიწაში დაეასვენო. თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ კვირამი ვრთხელ შეეძლო მთაწმინდაზე ასულიყო და იქიდან თბილისისათვის გადმოეხეტა. თათქმის ოთხმოც წელს იყო მიღწეული, მაგრამ ბოლო დრომდე შეინარჩუნა გონებრივი ინტერესი, ახალგაზრდული თვალების პრწყინვალება და რწმენა, რომ საქართველოს ბედნიერ დღეებს მოესწრებოდა. სამსონ ფირცხალავა დაატუსაღეს სხვა უკან დაბრუნებულ ემიგრანტებთან ერთად“.



სამსონ ფირცხალავა საფრანგეთის სოფელ ლევილში ქართველ ემიგრანტთა ბავშვებთან. 1943 წ.

თვით სამსონ ფირცხალავა კი ამ განწყობილებით დაბრუნდა სამშობლოში:

„ეკვავ შენთანა ვარ, ჩემო სამშობლო! სალაში ჩემო მშენიერო, მრავალფერად მოხატულო, ყოველი სიმდიდრით შემყულო, გულით კეთილშობილო, გმირულო ქვეყანავ, სალაში შენ!“

ჩემი გული შენი სიყვარულის ცეცხლით ძვერს, გონებას შენი ფიქრი წარმართავს, ჩემს არსებას მხოლოდ შენ ფლობ, ვსუნთქავ შენს ჰაერს, ვკვრებ შენს სახეს, პესმის შენი ხმა, შეეცქერი შენს ღიღებულ აწმყოს და შენ მიღიმი, შეაღერსები, შენს მადლს გადმოაფრქვევ ჩემზე.

მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემო ქვეყანავ!
რა წმინდაა შენი მიწა!

აი, დაჯივიარ თბრლისის ქეჩაზე და მეკრძალება, მეშვიშება მიწაზე ფეხის და-
ბიჭება..."

ს. ფირცხალავა 1948 წლის 14 მაისს იოსებ ბოცეძეს სწერდა: „შე ამ თუშს
ოციდან სამსახურში ვარ—საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ. სულ
წიგნებში ვარ და შემოძლია მუშაობა“.

1948 წელს პატარა წიგნაყ-ს გამოცემა მოასწრო— „ქართველთა წინაპრებო და
მათი მონათესავე ტომები წინა აზიასში 40—6 სს. ძვ. წ.“ 1950 წელს ნინო ნაყში-
ძის, საბლიტკამის კოლეგიის წევრს. სთხოვდა დახმარებოდა ქართული ხალხურ
ზღაპრის— „მიწა თავისას მოითხოვს“— გამოცემაში, მის მიერ მომზადებული ამ
ზღაპრის ტექსტი შეიკავდა წინასიტყვაობას, ორ ქართულ ვარიანტს, მსგავსს ავა-
რიულ ზღაპარს და იაპონურ ლეგენდას. „ჩემი აზრით, — დასძენდა იგი, — ეს ზღა-
პარი ქართული სიტყვიერების მარგალიტია. იგი გადათარგმნილია ფრანგულად, ინ-
გლისურად, გერმანულად. ყველგან დიდად მოწონებული იყო... გაეცანით ამ
ზღაპარს და თუ თქვენც მოგწონებთ, დაეხმარეთ პროპაგანდით, რომ ელცრსოს გა-
მოცემა ჩვენი ხალხის გენიის ამ შედევრს“.

ასე წერდა სამსონ ფირცხალავა..

ეს იყო ერთ-ერთი მისი უკანასკნელი სურვილი, ნატურა... თითქოს სიმბოლურად.
წლებების მანძილზე სამშობლოს დანატრებული მისი სული თავისებური ტკივილით
„ბმინებოდა ამ გასაოცარი ზღაპრის დედააზრს.

1951 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი
ლუონიძე სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს გამგეობის სახელით სთხოვდა,
რათა მწერალ სამსონ ფირცხალავას ქართული ლიტერატურის სამსახურისთვის და-
ნიშნოდა პერსონალურა პენსია...
სამსონ ფირცხალავა იმავე წლის დეკემბერში დააპატიმრეს.

• •

„საქართველოში ხშირად ნაბავთ დიდსა და მოსიყვარულე გულს, სხვის სიყვა-
რელისა და პატივისცემის მთიებით გამტფარს. ასეთი დიდი გული ახლო წარსულ-
ში ნეტარხსენებულ კიტა აბაშიძეს, არჩილ ჭორჭაძეს და ჩვენს საყვარელს, მარადი
დაუეიწყარ სამსონ ფირცხალავას! კქონდა ლიტერატურაში“, — წერდა კონსტანტინე
გამსახურდია.

სამსონ ფირცხალავას დიდი და მოსიყვარულე გულით არის დაწერილი წინა-
მდებარე წიგნში შესული მოგონებები ილია ქავჭავაძესა და აკაკი წერეთელზე,
გუა-ფშაველასა და იაკობ გოგებაშვილზე, იროლიონ ევლოშვილსა და ექვთიმე

* ს. ფირცხალავა ავტორია აგრეთვე წიგნებისა: „სამამქაძისო საქართველო ან
ქველი მესხეთი“ (1915), „ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“ (1918), „თამარ
შეფე“ (1939, პარიზი).

თაყაიშვილზე; ქართული კულტურის ეროვნული კერის — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაზე და თავის მოკრძალებულ წელიწადზე მის მუშაობაში.

და ბოლოს სარედაქტორო მოღვაწეობასა და იმ ფანტიკურ სიყვარულზე, რომელითაც ასე უყვარდა თავისი რედაქტორობით გამოცემული ჟურნალ-გაზეთები — „გლეხი“ და „მიწა“, „მზე“ და „ფასკუნჯი“.

„მოგონებათა ფურცლები“ სამსონ ფირცხალავას ცხოვრების მატრიანაა. საზღვარგარეთ გატარებულ წლებს იგი არც იგონებს. ცხადია, გარკვეული მოსაზრებით, და იქნებ იმიტომაც, რომ ის წლები მხოლოდ ფიზიკური არსებობისა და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნების წლები იყო. |

ლევია ნანიტაშვილი

ხოფლიდან ქუთაისის გიმნაზიაში

ჩემი მშობელი სოფელი მათხოჯი მღებარეობს წულუკიძის (ხონის) რაიონში, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე. ჩვენს სოფლამდე ცხენისწყალი მომდინარეობს მთებსა და კლდეებს შორის მოქცეულ კალაპოტში, ხოლო მათხოჯიდან გამოდის გაშლილ ადგილზე, რომლითაც იწყება რიონ-ცხენისწყლის ველ-მინდვრები. დიდი წვიმების შემდეგ და გაზაფხულზე ცხენისწყალმა ძალზე მოდიდება იყის, კალაპოტს იცვლის, ხან ერთ მხარეს მიასკდება, ხან მეორეს, ყველაფერს წალეკავს, ყანებს რიყედ აქცევს, ბევრი ოჯახიც აუყრია და მშვენიერა ეზო და სახლ-კარი გაუნადგურებია. შეწუხებულ გლეხებს ძველი რეჟიმის დროს არაერთხელ მიუმართავთ მთაერობისათვის, რომ რამე ზომები ყოფილიყო მიღებული. ჩემი გიმნაზიელობის და სტუდენტობის დროს მეც დამაწერინეს მეზობლებმა ქალაქი ორჯერ თუ სამჯერ, გუბერნატორისა და ნამესტნიკის სახელზე, მაგრამ არა გაკეთებულა რა ცხენისწყლის კალაპოტის მოსაწესრიგებლად...

სამწუხაროდ, მდგომარეობა დღესაც გამოუსწორებელია და რამდენიმე ათასი ჰექტარი მიწა გაოხრებულია. სადაც ლამაზი კარ-მიდამო და ვენახები მინახავს, იქ დღეს რიყეებია. აღარაა კოხტად მიწყობილი წისქვილებიც, რადგან მდინარის დაუდევრობა ამის საშუალებას არ იძლევა. მონაპირე კოლმეურნეობებმა უნდა მიაქციონ ამას ყურადღება და თვითონ იზრუნონ ცხენისწყლის მკვიდრ კალაპოტში ჩასადგობად. ეს დიდი ფართობის საყანე ადგილებს შესძენს კოლმეურნეობებს, რომლის მორწყვაც ადვილად შეიძლება გვალვის დროს.

მათხოჯი გაშენებულია მთის ძირში, გაშლილ ვაკეზე. მის პირდაპირ, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე მღებარეობს სოფლები — ზემო ხუნწი და ქვემო ხუნწი (ეს სამეგრელოა). მათ უკავიათ მთაგორაკიანი ადგილები, სადაც გაფანტულია კოხტა ხის სახლები, ლამაზი ეზოებით. ეს ყველაფერი მათხოჯიდან მომხიბლავ პეიზაჟად მოჩანს. მათხოჯს ზურგში, გორაზე, ნაციხარი უდგას. აქედან თუ კიდევ უფრო მალა ახვალთ, იქვე, მახლობელ მთაზე, რიონის მინდვრებს დაინახავთ შორ მანძილზე, აჭარის მთებიდან მოყოლებული თითქმის შავ ზღვამდე. გა-

მიგონია, გელათიც კი დაუნახავთ ხანდახან მათხოჯის მთებიდანო. მე ეს არ შემიძინებია. არსებობს ძველი გადმოცემა, გელათში რომ ზარს დარეკდნენ, მას უპასუხებდა ქუთაისის ბაგრატიონ ტაძარო, და ამ უკანასკნელს 'კი გამოეხმაურებოდა მარტვილი (ჭყონდიდი), რომელიც მათხოჯის მახლობლადაა.

მათხოჯი მოზრდილი სოფელია, ჩემ ბავშვობისას სამასზე მეტი კომლი ითვლებოდა (ახლა შეიდასამდე არისო). სულ გლეხებით იყო დასახლებული. უმრავლესობას რამდენიმე გვარი შეადგენდა: ფირცხალავეები, ჩიმაკაძეები, ბარაბაძეები, მელაძეები, ადამიები, კარსანიძეები. იყო ერთადერთი აზნაურის ოჯახი, რატიანი, რომლის წევრებო არაფრით განირჩეოდნენ გლეხებისაგან და მათსავით მუშაობდნენ. მთავარი მეურნეობა იყო მეყანეობა და მევენახეობა, უკანასკნელი განსაკუთრებით ვარგოდა ერთ ნაწილში, ბარაბაძეების უბანში, და აქაური ღვინო გასაყიდად გადიოდა სხვა სოფლებშიც. დასამუშავებელი მიწა სამყოფი არ იყო, ამიტომ ბევრ გლეხს შორს უხდებოდა ყანების აღება. ზამთრობით ზოგი ჩალვადრობას მისდევდა, ზოგიც მეურმეობდა. ახალგაზრდები სამხრეთ რუსეთის პორტებში მიდიოდნენ სამუშაოდ: რამდენიმე მებოსტნეობას ეწეოდა თბილისში, ქალებო სახლში ხელსაქმობდნენ — ამზადებდნენ საჩოხე შალებს, ქსოვდნენ წინდებს, მოპყავდათ აბრეშუმი... ხოლო მათი ნაშრომის ფასი ძლიერ მცირე იყო, მაღალი წინდის მომქსოვეს დღიურ საფასურად 7—8 კაპი-კი თუ მოუწევდა.

კულტურულად მათხოჯი ჩამორჩენილი იყო. უმაღლესი განათლების ან საშუალო სკოლადამთავრებული ამ სოფლიდან თითქმის არავინ იყო, მთელ სოფელში ათიოდე კაცს თუ ნახავდით წერა-კითხვის მცოდნეს. პირველი ინტელიგენტო ლავ. ჩიმაკაძე, რომელიც მასწავლებლობდა სხვა სოფელში, ძალიან ცდილობდა და ურჩევდა გლეხებს (ამ საქმეში მამაჩემიც ეხმარებოდა), რომ სკოლა გაეხსნათ, მაგრამ არა გაუვიდა რა. «არა, არ გვინდა სკოლა, სწავლა რა ჩვენი საქმეაო!» — ყვიროდნენ გლეხები. მერე როგორც იყო გაიხსნა პირველდაწყებითო სასწავლებელი მთელი სასოფლო პაზოგადოებისათვის (რამდენიმე სოფლისათვის ერთად).

ეკონომიურად სოფელი დამოკიდებული იყო ხონზე, განსაკუთრებით მის ბაზრობაზე (პარასკეობით), ხოლო ეს დამოკიდებულება შეზღუდული იყო, ჩვეულებრივ დღეს ერთი ორი კაცი თუ ჩავიდოდა ხონში, მარტო პარასკევს მიდიოდა ბევრი. მიმოსვლა იყო ფეხით:

ფაიტონის ჩამოსვლა სოფელში იშვიათი მოვლენა იყო, ამაზე მთელი სოფელი ალაპარაკდებოდა.

სოფელში რამდენიმე სავაჭრო და სახელოსნო იყო: ორი მჭედელი, ერთი მღებარი (ტანსაცმელს ულურჯებდა მგლოვიარეთ) და ერთი სამიკიტნო-საწერილმანო, სადაც, ლვინო-არაყის გარდა, იყიდებოდა მარილი, ნავთი, შაქარი, ხმელი თევზი, ასანთი და სხვა. რამდენიმე წლის შემდეგ ამათ მოემატა ფურნე, მანუფაქტურის მაღაზია, გაიხსნა კოოპერატიული მაღაზიაც, რომელმაც დიდო ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. სოფელი თანდათან დაადგა გამოღვიძების და წარმატების გზას. საკუთარი სკოლაც დაიარსა, სახალხო სახლი ააგო.

დღეს მდგომარეობა ძალიან გამოცვლილა. სოფელში არსებობს სრული საშუალო სკოლა, სადაც სამასზე მეტი ქალ-ვაჟი სწავლობს, თეატრი, ბიბლიოთეკა, კლუბი. სოფლის გაფართოებულ და მოკირწყულ გზაზე წამდაუწყებ დასრიალებენ სამგზავრო და სატვირთო მანქანები, გარდა ამისა, ყოველდღე რეგულარულად დადის მათხოჯსა და ხონს შუა ორი დილიყანი და რამდენიმე პატარა ეტლი, შეხვედებით ველოსიპედისტებსაც.

ფიცხალავეები შათხოჯში ძველი დროიდან იყვნენ დასახლებული; სამეგრელოდან არიან გადმოსული. ჩვენი ოჯახი გლეხური იყო. მამაჩემი, გიგო, ჯერ ყანის მუშა იყო, მერე ჩალვადრობა დაიწყო და ბოლოს ხე-ტყის ვაჭრობას მოჰკიდა ხელი. არავითარი სწავლა არ მიუღია, მაგრამ სხვების წერას რომ უყურა, ისწავლა ცოტაოდენი, წერდა, თუმცა მისი დაწერილი ხშირად ძნელი გასარჩევი იყო. რუსული რამდენიმე სიტყვა იცოდა და ვაჭირების დროს გამოიყენებდა. ძლიერ უყვარდა სკოლა, განათლება და ადრევე შეიყვანა სასწავლებლებში ჩემი უფროსი ძმები (ნესტორი და იაკობი) და ჩემი ბიძაშვილები (სევერიანე და თენგიზი). მაგრამ მათ სასწავლებლები არ დაამთავრეს და ეს ძლიერ საწყენად დაურჩა. რაკი მარტო მე დავრჩი გიმნაზიაში, მთელი ყურადღება მე მომაქცია, თვალყურს ადევნებდა ჩემს მეცადინეობას. ქუთაისში ყოფნის დროს უთუოდ შემოვივლიდა გიმნაზიაში და ჩემს ამბავს ჰკითხავდა მასწავლებლებს, ძალიან უნდოდა, რომ მე მაინც გამეთავებინა გიმნაზია და მიმეღო უმაღლესი განათლება. ხშირად მეტყვოდა: „შვილო, ექიმობა ისწავლე, ჩამოდი სოფელში და ღარიბს, ვაჭირებულ ხალხს უწამლე, დაეხმარეო“.

მამაჩემს გარკვეული შეხედულება არ ჰქონდა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე, მაგრამ ღრმად ჩამრჩა გულში მისი კამათი ერთ რუსთან (ქართულის მცოდნე იყო): „როგორ შეიძლება ხალხს ენა წა-

ართვაი განა შესაძლებელია ამაზე უარესი სასჯელი და უბედურება, რომ აღამიანს ენა ამოგლიჯო, მის ენაზე არ აღაპარაკო! სასამართლოში ვერ მივალთ ჩვენის ენით, ვერც სკოლაში, პოლიციაში, სხვა დაწესებულებაში! რასა გავს ეს!..“ ამას ისეთი სიმწარით და ნაღველით ამბობდა მამაჩემი, რომ მე გაკვირვებული და თან გახარებული შეეყურებდი. არ იყო ავი, ფიცხი, სასტიკი, უყვარდა შრომა და უსაქმოდ არ გაჩერდებოდა.

დედაჩემი (ბარბალე ჩირგაძე) სოფლის უბრალო ადამიანი იყო, მეტისმეტად გულკეთილი, მშვიდობიანი, მეზობლებთან მუდამ კარგი ურთიერთობა ჰქონდა, არავისთან უსიამოვნება არ მოსვლია. მამა რომ შვილებს რამეზე გაგვიწყობოდა, დედა მყის იქ გაჩნდებოდა და ეტყოდა: „კარგია, ბავშვს გული ნუ გაუხეთქეო“. ასევე გამოეხმაურებოდა და გამოექმამაგებოდა მოსამსახურეებს: „სხვისი შვილია, აქ დედ-მამა არა ჰყავს, ჩვენ ვართ მისი მშობლებიო“. როცა ოჯახს რამე უსიამოვნება შეხვდებოდა, გაუჭირდებოდა, დედაჩემი ასე ეტყოდა: „გაჭირვებაში კაცმა თავი სიგლახეს არ უნდა მისცესო“. ეს ხომ იგივე რუსთველური სიბრძნეა: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა. ვით ქვიტკირსა“: ბევრჯერ მომიგონებია ჩემს ცხოვრებაში დედის ნათქვამი. რამდენი სიყვარულის, ალერსის, სინაზის, ზიამის მოგონება დაუტოვებია დედას ჩემთვის, მაგრამ ამაზე არ ვილაპარაკებ, რადგან ეს ხომ ზოგადი ამბავია — დედა ყოველთვის და ყოველგან შეიღლის სიყვარულია!..

ჩვენი ოჯახის ცხოვრება ბევრით არ განსხვავდებოდა გლეხების ცხოვრებისაგან. მეც ვიზრდებოდი სოფელურად — ვმწყემსავდი ძროხას, დამქონდა სადილი ყანაში მომუშავეებისთვის, დავყვებოდი მოჭამაგორეს ტყეში შეშის მოსაქრელად...

ჩემი მახსოვრობის პირველ ამბებს რომ ვიგონებ, ერთი მეტად მწვავედ ჩამებუქდა გულში. ასე ოთხი თუ ხუთი წლის ვიქნებოდი, დედამ დედუღეთში წამიყვანა, სოფ. ორაგვეთში (მათხოჯიდან 5-ს კილომეტრზე, ახლა ეს სოფელი აღარ არსებობს, მკვიდრნი სხვა სოფლებში გადასახლდნენ, რადგან ორაგვეთს მისასვლელი გზები არ უვარგოდა). მე და დედაჩემი მოხუცებულ ბებია-ბაბუასთან ვცხოვრობდით. ერთხელ ჩემს ბიძასთან გადავედი, რომელიც იქვე ცხოვრობდა. ბიძის სახლს რომ მივუახლოვდი, დავინახე: ეზოში კალოზე დარბის ჩემი ბიძა, უკან დასდევს ცხენოსანი კაცი და უმოწყალოდ ურტყამს მათრახს. ბიძა ტირის, ყვირის, შველას ითხოვს. მე შეში-

ნებული უკან გამოვბრუნდი, მაშინ ვერაფერს მივხვდო, ხოლო შემდეგ გავიგე, რომ ის კაცი ბიძაჩემის ყოფილი ბატონი იყო, რაღაცას აბრალებდა და მიტომ სცემდა.

ანბანის სწავლება სახლში დამაწყებიანეს, მასწავლიდნენ უფროსო ძმები. მერე მიმაბარეს ჩვენს მოყვარე დიაკვანს, რომელთანაც მოდიოდა მისი ცოლისძმა და ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა. სწავლება მეტად პრიმიტიული იყო. შემოვუსხდებოდით გრძელ მაგიდას, ხელნაწერი ანბანებით 10 — 12 ბავშვი და ერთხმად, რაც ძალი და ღონე გვექონდა, გავყვიროდით: „ან, ბან... ან, ბან, გან!“

ანბანის სწავლა რომ დავასრულე, ხონის ორკლასიან სასწავლებელში შემეყვანეს. ბინად ნათლიაჩემთან დამაყენეს, რომელიც ცოტა შორს იდგა სკოლიდან. ჩემი ბიძაშვილი (თენგიზი), რომელიც ჩემთან ერთად სწავლობდა, თავის ბიძასთან (დედის ძმასთან) დაბინავდა. ცალ-ცალკე ცხოვრება იმასაც აწუხებდა და მეც. ჩემმა ბიძაშვილმა დაიჩემა, რომ უსათუოდ იმასთან გადავსულიყავი: ჩვენსა დიდი ნიგვზის ხეები, მალე დასარეკი იქნება, ანლო ტყეა და იქ მახით ტყის ქათამს დაეიჭერთ, ხანდახან ჩვენს სახლს ტურები უახლოვდებიან და იმით ნახავო. მეც შეეჩვილე დედას ჩემი მარტოობა და მალე მომთავსეს ბიძაშვილთან ერთად. მისი ბიძა უბრალო გლეხი იყო, სახლი ძველებური ედგა, მიწის იატაკით, ფანჯრები არ ჰქონდა. ცეცხლი შუაში ინთებოდა. საკმელ-სასმელი ღარიბული იყო, მეტწილად ლობიო და მკადი. დანაკლისს იმით შევივსებდით, რომ შაბათობით ნასადილევს სახლში, მათხოჯში მოვდიოდით და იქ ვრჩებოდით ორშაბათ დიდხანს, იქიდან პირდაპირ სკოლაში მივდიოდით. ერთხელ, როდესაც დიდას, ჩვენი შესახვევიდან ხონი-მათხოჯის შარავნაზე რომ გამოვედით, მე და ჩემმა ბიძაშვილმა ვთქვი: „რა გვინდა სკოლაში, მოდი, პირდაპირ მათხოჯში წავიდეთ“. ვიბრუნეთ პირი და გამოვწიეთ ჩვენი სოფლისაყენ. ნელ-ნელა ვიარეთ, რომ ცოტა შეგვიანებულიყო და მეტად ადრე არ მივსულიყავით სახლში. რომ მივედით, ასე ვთქვი: დღეს ძალიან ნადრევად დაიწყო სწავლა და მალე გავათავებთ. დაიჯერეს თუ არ დაიჯერეს. დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ. მამაჩემი შინ არ იყო. დედა ჩვეულებრივი ალერსით და სიყვარულით შემხვდა და მაშინვე გემრიელი საუზმე მომიმზადა და ტკბილეულიც არ დამაკლო. ტყუილს მოკლე ფეხები ასხიაო, ნათქვამია, საღამოს ხონიდან ჩვენი მასპინძლის შვილი ჩამოვიდა, შეშინებოდათ, სადილად რომ არ მივედით. ჯამომკლავნდა ჩვენი ეშმაკობა. გაკვიჯავრდნენ და ამით გათავდა ყველაფერი.

იმ წლებში ქურდობის ასალაგმავად სოფლებში მთავარ გზებზე შლაგბაუმები გამართეს. სადაც ღამე ყარაულები იდგნენ და თუ ვისმე საქონელი მიყავდა, შეუმოწმებლად არ გაუშვებდნენ. ეს ყარაულები თვით სოფლის მკვიდრნი იყვნენ და მათ ხევისთავებს ეძახდნენ.

ერთ ორშაბათ დილას, მე და ჩემი ბიძაშვილი სოფლიდან რომ პირდაპირ სკოლაში მივდიოდით, ასეთ საყარაულოსთან ხონში დაგვხვდა ერთი მოზრდილი ბიჭი მსხვილი ჭოხით ხელში. როგორც კი დაგვინახა, შორიდან შემოგვძახა: „მობრძანდით, მობრძანდითო, მე თქვენ იციდითო სწორედ. მაშ თქვენი ნაქნარია ის საქმე, თქვენი მოპარულია? აქეთ მოდით, მაჩვენეთ თქვენი ჭიბეების“ ჩაგვიყო ხელი ჭიბეებში და ამოგვაცალა, რაც კი რამ გამოტანებული გქონდა სახლიდან — ხილი და ხაჭაპურები. მე ერთი აბაზიანიც მქონდა, ისიც წაიღო. მერე შემოგვიყვირა: „მე ხევისთავი ვარ, ეს ერთი მიპატიებია, გასწით, თუ მეორედ ჩამივარდით ხელში, კარგი საქმე არ მოგივათ!“ შეშინებულები ჩვენ ხმას ვერ ვიღებდით და გულში ღმერთს მადლობას ვუთვლიდით, რომ იმ ბიჭმა არ გავგლახა და არ დაგვიჭირა. აჩქარებით გავწიეთ სკოლისკენ და ერთხელაც არ მოგვიხედნია უკან.

ჩვენ სახლში, რასაკვირველია, საათი არ გქონდა და როგორც კი გათენდებოდა, მივდიოდით სკოლაში და იქ დიდხანს გვიხდებოდა ცდა. პარასკევ დღეს, თუ კარგი ამინდი იდგა, სწავლის დაწყებამდე ბაზარში გავდიოდით, ეგებ ვინმე ჩვენებური გვენახა. ძალიან გვიტაცებდა ფურნებიდან ახლად გამომცხვარი პურის და ხაჭაპურების სუნნი. ერთხელ დიდხანს შევაცქერდით მეპურეს, რომელსაც ფურნიდან ნიჩბით აწითლებული ჩიტ-პურები და ბუბლიკები გამოჰქონდა და სკოლაში რომ მივდიეთ, უკვე პირველი გაკვეთილი გათავებული იყო.

ხონის სკოლის ცხოვრებიდან ორი რამ კარგად დამამახსოვრდა: ერთი — საღვთო რჩულის მასწავლებლის, მღვდლის, ხის სახაზავის მაგარი დარტყმა ხელზე, რუსული გინების დართვით: **Ах, ты скотина!** მეორე ის, რომ სკოლაში ორჯერ თუ სამჯერ სწავლა შეგვაწყვეტინეს, მღვდელმა ლოცვა გადაიხადა და ბავშვები სახლში გაგვიშვეს. მაშინ ამის არაფერი გამეგებოდა. მერე გავიგე, რომ იმპერატორ ალექსანდრე მეორეს მოკვლას უპირებდნენ, ის გადარჩა და ამიტომ პარაკლისი გადაიხადეს და ჩვენც მეცადინეობისაგან გაგვათავისუფლეს.

ხონის სასწავლებელი ჭერ გათავებული არ გქონდა, რომ შამამ მე

და ჩემი ბიძაშვილი ქუთაისში წაგვიყვანა, სადაც კარგა ხანია გომნაზიაში სწავლობდნენ ჩემი ძმა იაკობი და უფროსი ბიძაშვილი სევერიანე. იქ ჭერ კერძო მასწავლებლები გვაშაადებდნენ და შემდეგ გიმნაზიაში მიგვიღეს, პირველ მოსამზადებელ კლასში. ქუთაისში გავატარე მთელი ათი წელიწადი, იქ მივიღე საშუალო განათლება და ისე შევეჩვიე იქაურობას, რომ მერე მეტად გამიძნელდა ქუთაისის მიტოვება.

ქუთაისი მაშინ ქალაქ-სოფელი იყო, ქალაქ-ბაღი. მისი გარეგნულობა უნებურად ხიბლავდა ადამიანს — სახე ფერადოვანი, დიდის ხელოვნებით მოხატული ბუნებისაგან. განსაკუთრებით საამო შთაბეჭდილებას ახდენდა იგი ზაფხულიდან შემოდგომის ბოლომდე. თითქმის ყველა სახლს ეზო ჰქონდა, აშწვანებულ-აყვავებული. და შორიდან რომ შეხედავდით ქალაქს, ერთ მთლიან ბაღად გეჩვენებოდათ.

ხატოვანი იყო ქუთაისის საზოგადოებრივი ცხოვრებაც. უცხო ფერებით და ლამაზი სახეებით. ამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა ქალაქის ბაღი (ეგრეთწოდებული „ბულვარი“). თუ ვისიმე ნახვა გინდოდათ, აქ შეხვდებოდით, აქ იყო ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, დაქირავება, ფულის სესხება, მაკანკლობა, აქ იმართებოდა დებატები, აქ იყო ბირჟა და გამოფენა ადამიანების, სილამაზის, ტანადობის, ტანსაცმლის. ბაღი ყოველთვის საესე იყო ხალხით, დღითა და ღამით, კვირაუქმე დღე, კვირაში ორჯერ სამხედრო მუსიკა უკრავდა და ეს კიდევ უფრო იზიდავდა მოსიერნეებს. ვერსად შეხვდებოდით ისეთ წმინდა ქართულ, ლამაზ ტიპებს, როგორც აქ. გამოირჩეოდნენ თავის მოყვანილობითა და სიკობტავით მაშინდელი ჩვენი, არისტოკრატიის წარმომადგენელი — წერეთლები, წულუკიძეები, მიქელაძეები, დადიანები, ფალავეები, გურიელები — ქალები და კაცები.

ამათი ცენტრი იყო გრაფინია ზარნიკაუ. ეს იყო იოსელიანის ქალი, დადიანის ცოლი. იმ დროს ქუთაისში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა ოლდენბურგელი პრინცი, რაღაც დანაშაულისთვის გადმოსახლებული დროებით პეტერბურგიდან. ამ პრინცს მოეწონა დადიანის ცოლი და დაუწყო არშიყობა. ქალმა შორს დაიკავა თავი. პრინცს სიყვარული უფრო გაუძლიერდა და ვათავდა იმით, რომ დადიანს დიდი ფული მისცა და ის ცოლს გაეყარა. მაშინ პრინცმა ჯვარი დაიწერა ქალზე და, რადგან იგი უბრალო ჩამომავლობისა იყო და არ შეეძლო საიმპერატორო ოჯახის წევრობა, მოუპოვა მას გრაფინია ზარნიკაუს სახელი და მათ შვილებსაც ეს გვარი დაერქვა.

ოლდენბურგელ ზარნიკაუს და ქართველ არისტოკრატების წრეში ხანდახან გავლით მოხვდებოდნენ ქართველი დედების შვილები მიუ-

რატები და ვიტგენშტენები. იყო კიდევ ერთი ზრადი, ფრანგ-ქართველი როზმარდიუქ (თუ არ შემლება ეს სიტყვა), ჩონხ-ახალოზ?.. გამოწყობილი, ქართულად და მეგრულად მოლაპარაკე.

ქუთაისის თავისებურებას წარმოადგენდა მისი ბაზარიც. ბაზრობა იმართებოდა პარასკეობით და კვირაობით. რა გინდა სულო და გულო, აქ არ იშოვნდი. სოფლიდან ჩამოტანილს — სანოვავეს, ხილს, სასმელს. გაზაფხულიდან დაწყებული მთელი ქუთაისის პირდაპირ მთვრალი იყო ხილის, განსაკუთრებით ბალის სურნელებით, ხოლო შემოდგომაზე ყველაფერი გაქვნილი იყო ყურძნისა და მაქრის არმატით. ყურძენი ურმებით ჩამოჰქონდათ და ბევრი ქუთაისელი ამ ყურძნისაგან საკუთარ ღვინოს აყენებდა. ქუთაისის ცხოვრების დასახასიათებლად უნდა მოვიხსენიო იმპერატორ ალექსანდრე III-ის ჩამოსვლა ქუთაისში ოჯახით 1888 წელს. ჩვენმა თავდაზნაურობამ ამის გამო ბევრი უქვეშევრდომილესი ერთგულებს გრძნობები გამოაცხადა და ბევრი ხარჯიც გასწია. ღარიბი ქუთაისიც დაფაცურდა. ხელმოკლე მოქალაქეებში და სოფლელებში ფული მოკრიბა და ბულვარში საგანგებო პავილიონი ააგო ხელმწიფის მისაღებად. ამ სამზადისის დროიდან მახსენდება ერთი ამბავი. ერთი ინტელიგენტი ეკითხება მეორეს: ხელმწიფე რომ ჩამოდის, არაფერი არ უნდა ვითხოვოთ ჩვენი ქვეყნისთვის? მეორემ უპასუხა: კაცი სტუმრად მოდის და თხოვნით როგორ უნდა შევაწუხოთო!

თხოვნის იმედები იმ ხანებში საზოგადოდ დიდი იყო. ბევრს ღარიბს და გაჭირვებულს ეგონა: ხელმწიფეს თუ რასმე ვთხოვ, უარს როგორ იკადრებსო. ამიტომ ქუთაისში ყოფნის დროს ალექსანდრეს რამდენიმე ასო თხოვნა მიართვეს. ზოგი რას სთხოვდა და ზოგი რას, უფრო კი ფულით შემწეობას. არც ერთი თხოვნისთვის, რასაკვირველია, ყურადღება არავის მიუქცევია, მით უფრო იმპერატორს. მაგრამ ამ თხოვნების წყალობით ხელი მოითბეს ქუთათელმა „აბლაკატებმა“ (ესენი იყვნენ რუსულს წერა-კითხვის მცოდნე პირები, რომელთაც შეეძლოთ უბრალო თხოვნების დაწერა, ცოტა რამ რჩევის მიცემა: ვექილთან მიყვანა). პირადად გამიგონია, როგორ ტრამახობდა ერთი მათგანი ხელმწიფის წასვლის შემდეგ: ხელმწიფე სრულიადაც არ დაინახავს, სახლში ვოჭექი და თხოვნებს ვუწერდი ხალხს, ზოგს მანეთად, ზოგს ათ შაურად. ჯიბე გავიტენე და ეს იყო ჩემი ხელმწიფის ნახვა...

ქუთაისს ჰქონდა თავისი თეატრი, ჯერ ხარაზიშვილის შენობაში,

მერე ბულვარში აგებულ პავილიონში. ბევრი იყო სასწავლებელი, ქუჩებში ბლომად შეხვდებოდით მოწაფეებს, ინტელიგენტური ძალები-
წაც შიდარი იყო ქალაქი.

დავუბრუნდეთ ახლა კერძოდ გიმნაზიას და იქ ჩემს ყოფნას. გიმნაზიის მოწაფეთა შორის ბევრი იყო სოფლებიდან ჩამოსული, კერძო პირების სახლებში დაბინავებული. ბინის მომცემს, გარდა ოთახისა (გათბობა-განათებით), უნდა ეძლია მოწაფისათვის სასმელ-საჭმელი. ამისათვის მოწაფე იხდიდა 10 — 12 — 15 მან. თვეში. კვება სუსტი იყო, თვით 15-მანეთიან ბინაზე, რომელიც არისტოკრატიულად ითვლებოდა, დილას და საღამოს უბრალო ჩაის იძლეოდნენ (ერთ ჭიქას) და ცალიერ პურს და სადილად ორ კერძს. მოწაფეს აკლდა მშობლების ყურადღება და მზრუნველობა. ტანსაცმელიც არ მოეპოვებოდა შესაფერისი, მეტი წილი უბრალო წულებში დადიოდა, რომელიც ძალე ცვდებოდა და მისი შეკეთება ან ახლის ყიდვა ბავშვს ხშირად უგვიანდებოდა.

ასევე მზრუნველობას და პატრონობას მოკლებულად გრძნობდა თავის თავს ბავშვი გიმნაზიაში. სწავლების მეთოდის უვარგისობა იყო მიზეზი, თუ ის, რომ მასწავლებლები უცხონი იყვნენ და საერთოდ ადგილობრივ მცხოვრებლებს უნდობლად და უგულოდ ეპყრობოდნენ, მოწაფეთა და მასწავლებელთა შუა ხიდი იყო ჩატეხილი. მოსწავლეთ სძულდათ მასწავლებელს, არ ჰქონდათ სურვილი და მისწრაფება ცოდნის შექენისა, მასწავლებლებს ისე უყურებდნენ, როგორც მტრებს, და დიდი იშვიათი მოვლენა იყო, თუ რომელსამე მასწავლებელს მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა მოსწავლეებთან. ამ ნიადაგზე იყო წარმოშობილი ის, რომ გიმნაზიელები, თუ შემთხვევა შეეცემოდათ, ღამე სცემდნენ მასწავლებელს. ასეთი ამბავიც მომხდარა: გიმნაზიელებმა დაუდარაჯეს ხიღზე ღამით ერთ მასწავლებელს, რომელსაც ძალიან ემტერებოდნენ, და მოუნდომეს რიონში გადაგდება. მასწავლებელმა ტირილი დაიწყო, შემობრალეთ, ცოლ-შვილი მყავსო. აპატიეს. გაუშვეს და ამის შემდეგ ის მასწავლებელი ჭამოიცივალა, კეთილი გახდაო. მასწავლებლის სიძულვილი იმაშიც გამოიხატებოდა, რომ, როცა მაისის ბოლოს სწავლა შეწყდებოდა, ზოგი მოწაფე ღამე ქუჩიდან გიმნაზიის შენობას ქვებს უშენდა და ფანჯრების მინებს ამტვრევდა. ერთხელ მე და ჩემი ტოლი ბიძაშვილი სოფლიდან ქუთაისში ცხენებით მივყავდით. პირველ კლასში ვიყავით მაშინ, მგონია. ისე გვძულდა გიმნაზია და ისე გვეზარებოდა იქ დაბრუ-

ნება, რომ ვზაში ქუთაისიდან მომავალ მგზავრებს ვეკითხებოდით: გიმნაზიის შენობა ხომ არ დამწვარა-თქვა. ვფიქრობდით, თუ შენობა დაიწვა, სწავლა დროებით შეწყდებოდა.

ასეთ მძიმე პირობებში, ცხადია, ძნელი იყო მერვე კლასამდის მისვლა და გიმნაზიის დამთავრება. ჩემმა უფროსმა ძმამ მესამე კლასიდან დატოვა გიმნაზია, ერთმა ბიძაშვილმა — მეორედან და მეორემ — მეხუთედან. ჩემ ტოლ-ამხანაგებში, რომელნიც ერთად შევედით მოსამზადებელ კლასში, მხოლოდ სამმა მივალწიეთ უკანასკნელ კლასამდის და დავასრულეთ გიმნაზია. დანარჩენი 40 — 50 მოსწავლე ვერ შეეგუა მდგომარეობას ან ქონებრივი სახსარი არ უწყობდა ხელს და სხვადასხვა დროს გიმნაზია დასტოვეს.

ერთი რამ კი უზრუნველყოფილი იყო ჩვენთვის — მაშინდელი მოზარდი თაობისათვის ქუთაისში, დაცული ვიყავით ეროვნულ გადაგვარებისაგან, თუმცაღა რუსულ გიმნაზიაში ვსწავლობდით, სულ რუსი მასწავლებლები გვყავდა, რომლებიც რუსულად გვევრთინდნენ, რუსულ სულს და შეგნებას გვინერგავდნენ. მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა, ოთხი მეხუთედი თუ მეტი, ქართველები ვიყავით, ქართული შეგნების, ერთმანეთს ვეთვისებოდით. ქართულის სწავლება მეორე კლასამდის არსებობდა ქართველებისათვის, მასწავლებლად გვყავდა მღვდელი რაჟდენ გიგაური, კეთილი ადამიანი, რომლისთვის 5-ზე ნაკლები ნიშანი არ მოიპოვებოდა. გვაკითხებდა „ბუნების კარიდან“, უმთავრესად საქართველოს გეოგრაფიას და ისტორიას. წავიკითხეთ აგრეთვე „რობინზონ კრუზო“ და „გულივერის მოგზაურობა“; რამაც ძალიან გავგიტაცა.

რუსი მასწავლებლები არ გვიწონებდნენ, თუ გიმნაზიელები ერთმანეთს ქართულად დაველაპარაკებოდით. თუ ქართულ წიგნს გვინახავდნენ ბინაზე, დანაშაულად ჩაგვითვლიდნენ. გვიკრძალავდნენ ჩვენი თავისთვის ქართველები გვეწოდებინა. აი ამის ერთი მაგალითი: შეექვსე კლასში ერთი მოწაფე (ვას. თუმანიშვილი) რუსული ენის მასწავლებელს პუშკინის „პოლტავის“ შინაარსს უყვებოდა და იქ, სადაც ამბავია რუსების და შვეციელების ომის, იმის მაგიერ, რომ ეთქვა, როგორც ავტორს აქვს, „ჩვენ“ (ე. ი. რუსის ქარი), მოწაფემ თქვა „რუსები“, მასწავლებელმა მაშინვე შეაჩერა და ჰკითხა: რატომ „რუსებს“ ამბობ და არა „ჩვენ“? მოწაფემ მიუგო: მე ხომ რუსი არა ვარ და როგორ უნდა ვთქვა „ჩვენ“. „როგორ თუ რუსი არა ხარ!“ — შეუწყვირა მასწავლებელმა, პედაგოგიურ საბჭოში დააბეზლა და მოწაფე რამდენიმე საათით კარცერში ჩასვეს. |

თუ ორიოდე არარუსი შასწავლებელი იყო, ისინიც გარუსების პოლიტიკას აწარმოებდნენ. ერთი გადაგვარებული სომეხი არითმეტიკის მასწავლებელი გვყავდა, მოწაფეს რომ გაუჯავრდებოდა, ასე ეტყოდა: რა შენი საქმეა სწავლა, გადი გომნაზიიდან და მეჩქემეობა ისწავლეო. ერთი კლასის დამრიგებლის თანაშემწე, როცა ავადმყოფ მასწავლებლის ნაცვლად შემოვიდოდა, ყოველთვის რუსულ წერას გვასწავლიდა და თან ასე გვარიგებდა: „რასაკვირველია, თქვენ გიმნაზიას ვერ გაათავებთ, კარგი წერა ისწავლეთ და სადმე კანცელარიაში მწერალს (გადამწერის) ადგილს იშოვნითო“.

იყო ერთი სასიამოვნო გამონაკლისი — ფრანგული ენის მასწავლებელი ნარბუტი. ფრანგულს ნაკლებად გვასწავლიდა, უყვარდა ლექციები, გვიამბობდა დიდ ისტორიულ ამბებს, რევოლუციებს, გამოჩენილ ადამიანების ცხოვრებას. არც პოლიტიკას ივიწყებდა. და ერთხელ იმ დროისათვის მეტად გაბედული სიტყვები გვითხრა: „ეჰ, ეჰ! მე რომ ნარბუტოვი ვიყო და არა ნარბუტი (პოლონელი იყო), ახლა ალბათ სადმე დირექტორი ვიქნებოდიო!“

თუმცა გიმნაზიის მასწავლებლები გვიკრძალავდნენ, მაგრამ ქართულ წიგნებს ძალიან ვეტანებოდით, ნამეტურ უფროს კლასებში. ქართული წიგნი მაშინ ადვილი საშოვარი არ იყო, 'კერძო პირს თითო-ოროლა თუ მოეპოვებოდა, ქართული საჯარო ბიბლიოთეკა არ არსებობდა. მახსოვს, ყველაზე დიდო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე დ. ერისთავის „სამშობლომ“ და 1832 წლის შეთქმულობის ამბავმა, ი. მეუნარგიას რომ აქვს აღწერილი გ. ერისთავის ბიოგრაფიაში. ვიცნობდით ხელნაწერი რვეულის შემწეობით ა. წერეთლოს, მ. გურიელის და სხვების არალეგალურ ლექსებს. ქართულ გაზეთს — ერთადერთი „ივერია“ იყო — ერთ რუსულ ბიბლიოთეკაში ვკითხულობდით, რომელსაც ამის მეტი ქართული არაფერი ჰქონდა. მივდიოდით ნასადილევის და მორიგეობით თავიდან ბოლომდის გადავიკითხავდით „ივერიას“.

განსაკუთრებით საყვარელი იყო ჩვენთვის ქართული თეატრი. ქუთაისში საკუთარი დასი არსებობდა კ. მესხის მეთაურობით, რომელიც ორ კვირაში ერთხელ მართავდა წარმოდგენებს. თბილისიდანაც ჩამოდიოდა იქაურო დასი, მეტწილად გაზაფხულზე, საუკეთესო ძალეობით — ლ. მესხიშვილის, ვ. აბაშიძის, ნ. გაბუნია-ცაგარლის, მ. საფაროვ-აბაშიძის, ვ. გაბუნია, კ. ყიფიანის, ქ. ანდრონიკაშვილის და სხვ. შემადგენლობით. სამწუხაროდ, გიმნაზიელებს აკრძალული გვქონდა ქართულ წარმოდგენებზე სიარული. ჩვენ მაინც (უფრო უფროსკლ-

სელები) იშვიათად თუ გამოვტოვებდით ქართულ წარმოდგენას — ან კულისებში ვიყავით ფარულად, ან სხვა ტანსაცმელს გადავიცვამდით და მივიმალებოდით გალერეაზე. როგორც ყველამ უწყის, იმ მღელვარებას გამო, რომელსაც იწვევდა „სამშობლოს“ წარმოდგენები, მთავრობამ აკრძალა იგი. რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ ნებადართულ იქნა. ქუთაისის თეატრმა მაშინვე გამოაცხადა ზედისზედ ორი წარმოდგენა „სამშობლოსი“. აბა, ამისთანა ბედნიერ შემთხვევას როგორ გავუშვებდით და არ დავესწრებოდით იმ პიესის წარმოდგენას, რომლის პირველ დადგმაზე იმდენი რამე გვქონდა გაგონილი (სხვათა შორის: შეთქმულებმა რომ დროშა გამოიტანეს ლოცვის წინ, მ. გურიელი წამოდგა და ყველას მოუწოდა, ფეხზე მდგარიყო) და რომელიც ჩვენთვის მამულიშვილური შარავანდელით იყო მოსილი. რამდენიმე ამხანაგმა თავი მოვიყარეთ, ჩავიცვით ნათხოვარი ჩოხა-ახალუხები, თავზე ჩაბალახები შემოვიხვიეთ და გავწიეთ თეატრისაკენ. ბილეთების საყიდლად წავიდა ერთი ამხანაგი (ივ. თურქია), ამაყად, თავშიშველი მივიდა სალაროსთან. ამ დროს მას თვალი მოჰკრა საზვერადად გამოგზავნილმა კლასის დამრიგებლის თანამემწემ და იცნო. მივხვდით, რომ ამას კარგი არ მოჰყვებოდა. წარმოდგენას მაინც დავესწარით და საუკეთესო წამები განვიცადეთ. მეორე დღეს ამხანაგს საქმე შეუდგინეს, გიმნაზიიდან გამოვდებას უპირებდნენ და დიდი დავიდა-რაბის შემდეგ ხუთი საათის კარცერი აკმარეს.

როგორც უკვე მოვიხსენიეთ, გულშემატკეპ ხელმძღვანელი და დამრიგებელი არავინ გვყავდა. მაგრამ ჩვენზე მოქმედებდა ქუთაისის საერთო სულიერი ატმოსფერო. ქუთაისი იყო ქართული ქალაქი, საკმაოდ ინტელიგენტური, მრავალი მოსწავლე-ახალგაზრდობით, ქართული ენით, ქართული გრძნობით და აზროვნებით, სადაც ყველა ერთიმეორესთან დაახლოებული იყო, თითქმის ერთს ოჯახს წარმოადგენდნენ. ჩვენ ახლო ვხედავდით ქართველ მოღვაწეებს, მწერლებს, არტისტებს, ადგილობრივს თუ თბილისიდან ჩამოსულებს. ეს თავისთავად ხელს უწყობდა ჩვენს ეროვნულ გათვითცნობიერებას, რომელიც თანდათან მტკიცდებოდა, გარკვეული სახე მიიღო მეშვიდე-მერვე კლასში.

კარგად არ მაგონდება, მეექვსეში ვიყავი თუ მეშვიდეში, ზელნა-წერი ქურნალი გამოვეცი, სახელად „გამოღვიძება“. მერვე კლასში წრე გვქონდა დაარსებული, ვაკეთებდით მოხსენებებს, ვმართავდით შინაურ სალუტერატურო საღამოებს, დავადგინეთ, ერთმანეთთან შე-

პეტერბურგის უნივერსიტეტი

1893 წლის ივნისის დამდეგს დავამთავრე გიმნაზია. ჯერ კიდევ ატესტატი არ მქონდა მიღებული, რომ ჯოხი ვიყიდე და ლურჯი ბლუზი ჩავიცვი. მიხაროდა, რომ თავისუფალი მოქალაქე ვიყავი, აღარ ვემორჩილებოდი გიმნაზიის ბრძანებას და ფორმებს, ჩემს ნებაზე შემეძლო ჩაცმა, გასეირნება და წასვლა, სადაც მინდოდა. ინსპექტორმა შენიშვნა მაინც მოგვცა, ასე ნაადრევად და თავის ნებით განთავისუფლებულეხ: ჯერ ატესტატები არ მიგიღიათ და ისევ ჩემს ხელში ხართ!

ავგისტოს შუა რიცხვებში გავემგზავრე პეტერბურგისკენ უნივერსიტეტში შესასვლელად. ჩემთან ერთად ქუთაისიდან კიდევ 6—7 ახალგაზრდა იყო. შემდეგ წელს ჩამოვიდნენ თბილისიდან: ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, გრიგოლ რეხილაძე, იოსებ ბარათაშვილი და სხვები. იქ დაგვხვდნენ სხვათა შორის: არჩილ ჯორჯაძე, ილია ნაკაშიძე და ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. მალე ქართველთა რიცხვი პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში 60—70-მდე ავიდა და ამდენი არც ერთ სხვა ქალაქში არ მოიპოვებოდა.

მამაჩემს ძალიან უნდოდა, რომ მე ექიმი გამოვსულიყავი და მეც ვოცნებობდი ამაზე; წარმოვიდგენდი ჩემს თავს სოფლის ექიმად, რომელიც ფეხით ან ცხენით დადის სოფელ-სოფელ და საღამოს ბრუნდება სახლში დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი თავის ნამუშევარით.

მაგრამ კარგად ჩაუფკვირდი საქმის ვითარებას, ჩემს ხასიათს, ბუნებას, იმას, თუ როგორ ძნელი იქნებოდა ჩემთვის თვით ექიმობის შესწავლა—ადამიანის სხეულის დაკრა და სისხლში ხელების გასვრა—მე ვერ გავბედე საექიმო ფაკულტეტზე შესვლა; არც რაიმე პრაქტიკული სპეციალობა, ინჟინრობა მიზიდავდა. გული უფრო საზოგადოებრივი საქითხებისაკენ მიწევდა. ფილოლოგიური თუ იურიდიული ფაკულტეტი? ასე დაისვა ჩემთვის საკითხი. არც ერთი არ მაკმაყოფილებდა საჭებით. ბოლოს ავირჩიე იურიდიული ფაკულტეტი, თუმცა ადვოკატის ხელობა სრულებით არ მიყვარდა. გარკვეული არ მქონდა, თუ რა პროფესია უფრო სასურველი იქნებოდა ჩემთვის, როდესაც ცხოვრებაში გამოვიდოდი. ასე ვფიქრობდი: გავეცნობი საზოგადოებრივ ცხოვრების საკითხებს, რომლებიც მე მეტად მაინტერესებდა. და მერე ვნახავ, თუ რა საქმეს მოვკიდებ ხელს-თქვა. იმ დროს პეტერბურგის იურიდიულ ფაკულტეტს რამდენიმე ცნობილი პროფესორი

ამშვენებდა. საგნებში უფრო მიმზიდავი იყო ჩემთვის სამართლის ფილოსოფიის ისტორია. ხანდახან ვესწრებოდი სხვა ფაქულტეტების პროფესორების ლექციებს, ასე მაგალითად, კარევის ლექციებს მსოფლიო ისტორიიდან და პეტრის ლექციებს ანთროპოლოგიიდან.

ერთხანს უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის ლექციების კითხვა დაიწყო გამოჩენილმა მეცნიერმა, ჩვენმა თანამემამულემ ივ. თარხნიშვილმა, სამხედრო-საექიმო აკადემიის პროფესორმა. მისმა ლექციებმა გაიტაცა ახალგაზრდობა და თითქმის მთელი უნივერსიტეტი, ყველა ფაქულტეტის სტუდენტობა უსმენდა, უსმენდა ალტაცებით. სტუდენტების აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. თარხნიშვილის ლექციები იმართებოდა დიდ სააქტო დარბაზში და ბევრი კარიდორებში იდგა და ისე უსმებდა ყურს. ეს რაღაც ბუნებისმეტყველების ობიექტური, ცივი, მშრალი ცოდნის გადმოცემა კი არ იყო, არამედ რაღაც რევოლუციონური მოწოდება, ამამალლებელი, გამამხნევებელი, რომელიც გიტაცებდა მოქმედებისაკენ, იმედისა და რწმენისაკენ, ბრძოლისაკენ.

ყველას გვიკვირდა ეს, თუ ფიზიოლოგია როგორ გადაიქცა რევოლუციის და ბრძოლის იარაღად.

ამ მოვლენას ყურადღება მიაქცია მაშინდელმა რეაქციონურმა მთავრობამ და პროფ. თარხნიშვილს ეჭვის თვლით დაუწყო ყურება.

იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტზე ქართული ენის პროფესორად იყო ალ. ცაგარელი. მის კურსზე მხოლოდ ერთი ქართველი სტუდენტი იყო ჩაწერილი, მაგრამ მის ლექციებს ხანდახან სხვა ფაქულტეტის ქართველი სტუდენტებიც ვესწრებოდით. ძალიან დაგვაინტერესა მისმა ლექციამ ნ. ბარათაშვილზე. დიდი ქართველი პოეტის მშვენიერი დახასიათება და შეფასება მოგვცა: რუსთაველის შემდეგ ქართველ პოეტებში პირველობა ნ. ბარათაშვილს ეკუთვნისო. მას შეუძლია თვალსაჩინო ადგილი დაიკავოს მსოფლიო ლიტერატურაში. მისი ლექსები გულიდან ამოგლეჯილი და ღრმად ნაგრძნობიაო. ალ. ცაგარელმა შეადარა ჩვენი პოეტი გიოტეს, ბაირონს, ლეოპარდის და თქვა: ნ. ბარათაშვილი ცხოვრებაში სიმწარეს ხედავს, ხოლო პესიმისტი არაა, რადგან ამბობს: არც კაცი ვარა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოს. იგი ბუნების ნამდვილი შვილია. ესმის მისი ხმა. ბუნების მოწყენა და დაღვრეშილობა მისი საკუთარი სულიერი განცდის გამომხატველია, ბარათაშვილი და ბუნება თავის თავში ერთმანეთს ხედავენ. ბარათაშვილი ახერხებს დიდი ფილოსოფიური აზრების

პოეტურად, სადად და მარტივად გამოთქმას. ბევრი ილაპარაკა პროფ. ცაგარელმა „მერანზე“. მე შინახავსო, გვითხრა, მიუნხენში სურათი: უფსკრულია, ზედ ვიწრო ფიცარია ხიდად გადებული, ხიდის ბოლოში ქალიშვილია, ცალფეხით ბურთზე შემდგარი. ეტყობა, მას ხიდი გაუვლია. ხიდის თავში მერანზე მჯდომარე რაინდია, ხილზე გადასვლას აპირებს. მას უკან პირდაღებული ყორანი მოსდევსო. ჩანს, — დასძინა პროფესორმა ამ ამბავს, — ბევრ ხალხში არსებობს თქმულება იმის შესახებ, რომ ადამიანი იდეალისაკენ მიისწრაფის, ხოლო ბედი მას ხელს უშლის. 1

პროფ. ალ. ცაგარელი ხანდახან პოლიტიკაზედაც გვესაუბრებოდა. ძლიერი რეაქციის ხანა იყო, კერძოდ, ქართველი ხალხის დასათრგუნავად ახალ-ახალი გეგმები მუშავდებოდა. შავრანბმული გაზეთი „НОВОЕ ПРЯМ“ მუდამ ჩასჩიჩინებდა მთავრობას: საქართველოში რუსები უნდა დავასახლოთ, ქართული ენა უნდა შეიკვეციოსო და სხვ. ამაზე ალ. ცაგარელი გვეტყოდა: მხნედ იყავით, ვიბრძოლოთ სიტყვით და კალმით, ვერ შეგვაშინებენ, ქართველი ხალხი გამძლეა, ბევრ უბედურებას გადაუვლია მის თავზე, მაგრამ არ წაქცეულა.

ალ. ცაგარელს ხანდახან ბინაზედაც ვეწვეოდით, რაც ძლიერ სიამოვნებდა. ერთხელ, მახსოვს, ახალწელიწადი მივულოცეთ რამდენიმე სტუდენტმა.

საშინელი რეაქციის მძვინვარება მთელ იმპერიაში, რასაკვირველია, უნივერსიტეტის ცხოვრებასაც ემჩნეოდა. პოლიციური წესები ბატონობდა ყველგან, თავისუფალი აზრი და კვლევა აკრძალული იყო, პროფესორებს ლაგამი ჰქონდათ ამოღებული. სტუდენტების პოლიტიკური შეგნება მოისუსტებდა და მარტო 8 თებერვალს, როდესაც უნივერსიტეტის დღეობა იყო, სტუდენტებს დაეტყობოდა ერთგვარი გამოცოცხლება სასტუდენტო *gaudeamus igitur*-ის სიმღერით და თავისუფალი ქცევით ქუჩებში.

მხოლოდ უკანასკნელ წლებში იწყეს სტუდენტებმა გამოფხიზლება. იმართებოდა „საღამოები“ (ვეჩერინკი), ნახევრად დახურული, სადაც ადგილი ჰქონდა მხურვალე რევოლუციონურ სიტყვებს. ამ გამოღვიძებას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ: პეტრე-პავლეს ციხეში დამწყვდეული იყო ახალგაზრდა ქალი ვეტროვა, რომელიც ისე გაამწარა ზედამხედველების უხეშმა მოქცევამ, რომ ტანზე ნავთი გადანახა და თავი დაიწვა. ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია სტუდენტებში, გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, უმაღლესი სას-

წავლებლის სტუდენტების მონაწილეობით. მთავრობა შეშინდა, გამოიწვიეს პოლიცია, ჟანდარმერია, ყაზახები. პირდაპირ შემოტევა ვერ გაბედეს. ალყა შემოარტყეს სტუდენტებს, აწერეს და მერე სამ-სამი დღით ყველანი ციხეში ჩასვეს.

პეტერბურგის სტუდენტებს სხვა ქალაქებიც გამოეხმაურნენ და ყველგან გაიმართა სტუდენტების დემონსტრაცია. მოხდა ერთნაირი სულიერი გარდატეხა ახალგაზრდობაში.

ამ საერთო მოძრაობაში ქართველი სტუდენტებიც ვიყავით ჩაბმულნი. მაგრამ ჩვენ საკუთარი ინტერესები და მუშაობაც გვქონდა. არსებობდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომო. წინათ თურმე ჭაერთო სათვისტომო (ზემლიაჩესტო) იყო ყველა კავკასიელ სტუდენტებისა და 2—3 წლით ადრე ჩვენ ჩამოსვლამდე მომხდარა გაყოფა და ქართველებმა და სომხებმა ცალ-ცალკე დაიარსეს სათვისტომოები.

ჩვენს სათვისტომოს ჰქონდა სალარო საერთო საჭიროებისთვის და ღარიბ წევრთა დასახმარებლად. ამ სალაროს მთავარი წყარო იყო ყოველწლიური ქართული „საღამოს“ შემოსავალი. სათვისტომოს თავში უდგა გამგეობა, რომელსაც ვირჩევდით წლიურ კრებაზე. კრებები იმართებოდა, აგრეთვე, სხვადასხვა მოხსენებების მოსასმენად და რაიმე პრაქტიკული საქმის გასარჩევად. გვქონდა ცალ-ცალკე სექციებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესასწავლად — პოლიტიკური ეკონომიის, საერთო ისტორიის, ფილოსოფიის, ქართული ისტორიის და ლიტერატურის. ამ სექციების მუშაობას ბევრი არაფერი გაუუკეთებია. თუ ვინმე რასმე იძენდა, უფრო პირადი შრომით. ამ მხრივ სამაგალითო სტუდენტი იყო ჩვენი მომავალი საამაყო ისტორიკოსი ივ. ჭავჭავაძე. მას თავიდანვე ეტყობოდა დიდი, არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა, მუყაითობა, ცოდნის წყურვილი, მაღალი ეროვნული შეგნება, ხასიათის სიმშვიდე და აუჩქარებლობა. მუდამ მომუშავე, წიგნებში ჩამყურე თავის ოთახში ან ბიბლიოთეკაში, ის არც ქართველ სტუდენტების საზოგადო ცხოვრებას გაუბრბოდა და სათვისტომოს გამგეობაში მონაწილეობას იღებდა.

ჩვენი სათვისტომოსაგან ცოტა ჩამოშორებულად მეცადინებოდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ჭგუფი, რომელშიც შედიოდნენ არჩ. ჯორჯაძე და ზურ. ავალიშვილი და კიდევ ორიოდ ახალგაზრდა, ჭგუფი უმთავრესად ფილოსოფიურ საკითხებით იყო დაინტერესებული და იმყოფებოდა ცნობილი რუსის კრიტიკოსის და ჟურნალ „Северный вестник“-ის რედაქტორის ვოლინსკის გავლენის ქვეშ. ჭგუფი სერიოზული იყო, თვითონ მის მეთაურს ლ. ანდრონიკაშვილს მაშინ-

ვე ეტყობოდა დიდი ნიჭი და ერუდიცია. ხოლო ჯგუფი, ცოტა არ იყოს, მოიყოსმოპოლიტებდა და ამიტომ სათვისტომოს საერთო ცხოვრებაში თითქმის მონაწილეობას არ იღებდა.

დიდი ხნით და ამბით ვემზადებოდით ქართველი სტუდენტები ყოველწლიური ქართული „სალამო-ბალის“ მოსაწყობად. იგი იყო არათუ მატერიალური სახსრის მომცემი, არამედ ქართული კულტურის პროპაგანდის საშუალებაც. ყოველ ზომას ვზმარობდით, რომ იგი რაც შეიძლება შინაარსიანი და საინტერესო გამოსულიყო. და, მართლაც, ჩვენი „სალამო“ დიდ საზოგადოებას იზიდავდა, საქართველოშიც ვუგზავნიდით წარჩინებულ პირებს საპატიო ბილეთებს, რასაკვირველია, ისინი ვერ გვესწრებოდნენ, მაგრამ დახმარებას გვიგზავნიდნენ. „სალამოს“ პროგრამაში აუცილებლად შედიოდა ქართული სიმღერები, ქართული ცეკვა და ცოცხალი სურათები, ქართული ლიტერატურიდან ან ცხოვრებიდან. ერთხელ დავდგით ცოცხალი სურათები ვაჟა-ფშაველას პოეტიდან (ეთერი), რომლის ესკიზები დაგვიხატა გამოჩენილმა მხატვარმა და მოქანდაკემ მ. მიკეშინმა (უკრაინელი იყო). ნახატები საუცხოოდ იყო შესრულებული, მაგრამ სახეები ძალიან წაგავდა უკრაინელებისას. ცოცხალ სურათების დასადგმელად ერთხელ „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ზიჩიცი დაგვეხმარა. მის ბინაზე რომ მივედი, დიდი ზალისით მიგვიღო, სინარულით იგონებდა საქართველოში ყოფნას და გვეკითხებოდა თავის იქაურ ძველ ნაცნობ-მეგობრებზე, ცოცხლები თუ არიანო.

ერთ „სალამოზე“⁵ კიდევ დავდგით ერთი სცენა მ. ბალანჩივაძის „ღარეჯან (თამარ) ცბიერიდამ“ და ეს იყო ქართული ოპერის დაბადების დღე, რომელსაც დიდის აღფრთოვანებით შევეგებეთ, ოპერის სცენას დირიჟორობდა თვითონ ავტორი მ. ბალანჩივაძე.

1897 წელს საბერძნეთის და ოსმალეთის ომი ატყდა, რამაც ჩვენში ერთნაირი იმედები გამოიწვია — საერთაშორისო გართულების, რუსეთის ომში ჩარევის, მისი პოლიტიკური წყობილების დანგრევის, ცვლილებების. გავაკეთეთ საბერძნეთის დროშა, მოვიწვიეთ სათვისტომოს კრება (მე გამგეობის თავმჯდომარე ვიყავი მაშინ), საბერძნეთისათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად, მივედით დელეგაცია საბერძნეთის ელჩთან, იმან გვიჩრია, თანაგრძნობის დეპეშას თქვენ ნუ გაგზავნით, ეს სახიფათოა თქვენთვის, მე გადავცემ პირადად ჩემს მთავრობას თქვენს თანაგრძნობასო. ამ ჩვენი განზრახვის გამო წერილებით შევეკოხეთ ი. ჰავკავაძეს („ივერია“) და გ. წერეთელს (წერილი ჩემი და-

წერილი იყო). პასუხი მივიღეთ. გ. წერეთელი მოკლედ გვწერდა: თქვენი — ახალგაზრდების გული მუდამ იქ უნდა იყოს, სადაც ბრძოლაა თავისუფლებისათვის. ილიამ კი ვრცელი ბარათი გამოგვიგზავნა: გვიწონებდა განზრახვას, მაგრამ გვაფრთხილებდა, ქართველებს საკუთარი საქმე გვაქვს, ამისთვის უნდა შევინახოთ თავი, მოვემზადოთო. ეს წერილები მე წ. კ. საზოგადოებას გადავეცი, როცა მის მდივნად ვიყავი. ი. ჰაეჭავაძე რომ გარდაიცვალა და მე წ. კ. საზოგადოების გამგეობის დავალებით ჩავიბარე მისი თბილისის ბინის ნივთები, აღმოჩნდა ილიას გამოგზავნილი წერილის შავი და თეთრიც. ახლა საქართველოს მუზეუმში უნდა ინახებოდეს.⁶

რუსეთის მთავრობამ დიდი ზეიმით ილესასწაულა პოლონეთის აჯანყების ჩამქრობის მურავიოვის დაბადების თუ გარდაცვალების (კარვად არ მახსოვს) წლისთავი.⁷ პოლონეთის დიდი პატივისცემა და სიმპათია გვქონდა, ჩვენი და მისი ბედი ერთმანეთზე იყო გადაჯიქვული. ვიცოდით, თუ რა აღშფოთებას იწვევდა პოლონელ ერში მურავიოვის დღესასწაული და გადავწყვიტეთ მიგვეწვდინა მათთვის ჩვენი ხმა, რომ ჩვენი გული მათ გულთან ერთად ძგერს. შევადგინეთ მოწოდება პოლონელი სტუდენტების მიმართ, გადავათარგმნინეთ პოლონელ ამხანაგებს პოლონურად და ჰექტოგრაფით დავბეჭდეთ მრავალი ცალი, რომლებიც გავგზავნეთ ვარშავაში პოლონელ სტუდენტთა შორის გასავრცელებლად.

ამ მოწოდების შავი (ჩემი შედგენილია) აღმოჩნდა ჩემს ქალაქებში. იგი ასეთი იყო: „პოლონელ სტუდენტებს პეტერბურგის ქარველ სტუდენტებისაგან. ამხანაგებო და მეგობრებო, მიიღეთ ჩვენი მეგობრული სალაპი და მოკლე, მაგრამ წრფელი გულიდამ ამონაღები თანაგრძნობა. თავისუფლება საზოგადოდ და ეროვნული კერძოდ აუცილებელი პირობაა საზოგადოებრივი პროგრესის. თქვენ მუდამ ენერგოულად ამტკიცებდით ამ თავისუფლების სიყვარულს. თქვენ შეგძლოთ დადუმებულიყავით. როდესაც შელახეს საუკეთესო თქვენი უფლებანი, შეურაცხყვეს უწმინდესი თქვენი მისწრაფება, და ძეგლი აუგეს თქვენი ერის თავისუფლების უარყოფელს — მტარვალს მურავიოვს იქ, სადაც იგი ისე მხეცურად აწამებდა და ახრჩობდა თქვენს შამებს და ძმებს. მეტად მწარეა თქვენთვის დღევანდელი მდგომარეობა. მეტად მძიმეა, რომ სრული უფლება გქონდეს თავისუფალი არსებობისა და მონა კი იყო! მაგრამ ექვი არ არის, ყოვლის დამძლევი სიმართლე წარხოცავს თვითნებობას, გაიფანტება ბნელი და კაცობრი-

ობის დროშაზე ცეცხლის ასოებით დაიბეჭდება თავისუფლება მოქალაქეობრივი, თავისუფლება ეროვნული

და თქვენი მრავალტანჯული სამშობლოს თავზე აღბრწყინდება დამოუკიდებლობის გვირგვინი!

ვიყენეთ მხნედ, ვიყენეთ შეუპოვარნი და რწმენით და იმედით ვესწრაფოდეთ სასურველ მიზანს“.

ზევით იყო ნათქვამი, რომ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში 70-მდე ქართველი სტუდენტი იყო. გადავწყვიტეთ გაგვეგო, თუ რამდენი იყო ქართველი მთელი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. მოვახდინეთ ანკეტა და გამოიკვია, რომ ეს რაოდენობა 210-მდე იყო: პეტერბურგში 64, მოსკოვში 50, კიევში 33, ხარკოვში — 25, ოდესაში 20 და სხვ. აქედან საექიმო ფაკულტეტზე იყო 62 და იურიდიულზე 58. წოდებრივად 23 სტუდენტი იყო გლეხი, 33 სასულიერო წოდების, მოქალაქე 32, აზნაური 50, თავადი 23, ქუთაისის გიმნაზიიდან — 93, თბილისის — 59, ქუთაისის მაზრის — 65, თბილისის — 38, გორის — 22, ოზურგეთის — 15 და სხვ. დაახლოებით გამოვარკვიეთ აგრეთვე, რომ უცხოეთში 7—8 ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს შორის ქალი მხოლოდ ერთი იყო, კურსებზე სწავლობდა. ქალის სტუდენტობა ისეთ საკვირველ ამბად მიგვაჩნდა, რომ გვენატრებოდა მისი ნახვა და სადმე რომ შევხვდებოდით, ვაუები ერთმანეთს ვეუბნებოდით: შეხე, შეხე, ქართველ სტუდენტ ქალსა-თქო...

პეტერბურგის საერთო კულტურული მდგომარეობა მაშინ არ იყო მაინცდამაინც ბრწყინვალე. რამდენიმე თვიური ჟურნალი გამოდიოდა ლიბერალურ მიმართულებისა, მაგრამ ცოცხალი სიტყვის თქმა უჭირდათ, შებორკილნი იყვნენ. ყოველდღიური სერიოზული გაზეთი, ასე თუ ისე, ორი იყო: რეაქციონური, მთავრობის ზრახვათა გამომსახველი „Новое время“ და ოდნავ მოლიბერალო „Новости“.⁸ განათლებული წრეები და სტუდენტობა უფრო მოსკოვის ლიბერალურ ჯაზ. „Русские ведомости“-ს⁹ ეტანებოდნენ. ბოლო ხანებში დაარსდა შედარებით რადიკალური მიმართულების გაზეთი „Русская жизнь“,¹⁰ რომელიც მეტად პოპულარული იყო ახალგაზრდობაში. აქ, სხვათა შორის, დაიბეჭდა პროფ. კარევის „მიმართვა ახალგაზრდებს“, რომელსაც გატაცებით ვკითხულობდით.

საყურადღებო წიგნი ცოტა იბეჭდებოდა. იყო ერთი საგამომცემლო ფირმა პავლენკოვისა, რომელიც კარგად შერჩეულ წიგნებს უშვებდა, ხოლო მათი ტირაჟი დიდი არ იყო, სამ ათასამდე მხოლოდ.

პეტერბურგს კარგი თეატრები ჰქონდა, სამი სახელმწიფო და 4—5 კერძო; სახელმწიფო ორი დრამატული იყო, ერთი ოპერა-ბალეტისა, თეატრებში ძალიან კარგი ძალები იყვნენ. მაგრამ მეტად ძნელი იყო საოპერო თეატრში შესვლა ჩვენთვის. ძვირფასიან ადგილს იოლად ვიშოვნინდით, მხოლოდ ჩვენს ჯიბეს ვალერების და ბალკონის ადგილებს ყიდვა ძლივს შეეძლო. ამ ადგილების ბილეთების ყიდვა წინასწარ ჩაწერით და ლატარიასავით გათამაშებით ხდებოდა. ამ ადგილების მსურველი ბევრი იყო: მეც არაერთხელ ვითხოვე ამის ბილეთი და რამდენიმე წლის განმავლობაში მარტო ერთხელ მეღირსა საოპერო თეატრში შესვლა.

სამაგიეროდ ადვილი იყო დრამატული თეატრების ბილეთის შოვნა და მე მიყვარდა კლასიკური პიესების ნახვა. იყო ერთი კერძო თეატრი, სახელად „პატარა თეატრი“, სადაც რამდენიმე კარგი წარმოდგენა ვნახე.

მიუხედავად ჩემი ხელმოკლეობისა, მოვახერხე ნახვა განთქმული მსოფლიო მსახიობების (მიუნე სულის, როსის), რომელთაც ითამაშეს პეტერბურგში.

ყოველ წელიწადს, გაზაფხულზე, ჩამოდიოდა იტალიური ოპერა, საუკეთესო მომღერლებით, რომლის წარმოდგენები იმართებოდა ქალაქგარეთ, უზარმაზარ თეატრში (აკვარიუმში). წინასწარ ცხადდებოდა ხელისმოწერა 12 ოპერაზე. მე რამდენჯერმე შეეუამხანაგდი სხვებს, ერთად ვიყიდეთ 12 ბილეთი და გაეინაწილეთ. ასე მომეცა საშუალება მომესმინა შესანიშნავი ხმები მარჩელა ზემბრიჩის, ბატისტინის, მარკონის, ტამანიოს. ამ უკანასკნელს ისეთი ძლიერი ხმა ჰქონდა, რომ, როცა ოტელო დასასრულ თავის შეცდომას შეიგნებდა და გამწარებული დაეცემოდა დეზდემონას ფეხს და შევედრებით წამოიძახებდა „დეზდემონა!“ ეს მისი კვნესით ნაჲლერი სიტყვა თეატრის კედლებს გარეთ ესმოდათ. განთქმული ტენორი მაძინი და ბარიტონი კოტონი წინათ ხშირად ესტუმრებოდნენ პეტერბურგს. ახლა უკვე ხანში შესულები ოპერაში აღარ იღებდნენ მონაწილეობას. მე მაინც მომეცა შემთხვევა მათი მოსმენისა ერთ კონცერტზე. მაძინის *La donna e mobile* („რიგოლეტოდან“) ახლაც გასაოცარი იყო.

პეტერბურგში ცხოვრება იმ დროს მაინცდამაინც ძვირი არ იყო სტუდენტს თუ 25—30 მან. ჰქონდა ყოველთვიურად, შეეძლო თავის გატანა. 10 მან. რიგიან ოთახს იჭირავებდით, იაფ, ჩვეულებრივ სასაბილოებში თვეში 8 მანეთად მიიღებდით ორ კერძს და ტკბილს. უკე-

თესი სადილები ვარშავის თუ პოლონურ მასადილოებში ღირდა 12 მან.

მე სტუდენტობის დროს ქონებრივად შევიწროვებული ვიყავი. მაშაჩემის საქმეები ცუდად მიდიოდა. ვალები დაედო და თითქმის ვერაფერს მიგზავნიდა. ნათესავეები დამეხმარნენ, გარეშე კეთილმოსურნენი. ეს საკმაო არ იყო და ხანდახან უბრალო ძეხვის და პურის შოვნა მიჭირდა. ასეთი ვაჭირვების დროს ძალიან გვშველოდა მეც და ჩემისთანა ღარიბებს ის, რომ იყო ერთი მორთული ოთახების პატრონი მოხუცი, ქართველების 'კარგი ნაცნობი, რომელიც იაფ სადილებსაც იძლეოდა. მივდიოდით მასთან და ნისიად მოგვცემდა ოთახს, თუ თავისუფალი ჰქონდა და საქმელსაც გვაძლევდა. ბინას არა უშავდა, გვითბობდა, გვინათებდა, ხოლო სადილი იყო უფარგისი, მეტწილად ძველი სანოვაგისაგან. მაგრამ რას ვიზამდით, ნათქვამია: როგორც ჭიჭირდეს, ისე გიღირდესო.

უნივერსიტეტი რომ გავათავე, შემიგვიანდა სამშობლოში წამოსვლა უსახსრობის გამო. ბოლოს როგორც იყო მოვაგროვე აქედან-იქიდან ცოტაოდენი ფული და ჭაჭირვებით მოვალწიე სამტრედიამდის. აქ შევხვდი ნაცნობ ხონელ მეეტლეს, რომელმაც მიმიყვანა ხონში და იქიდან ჩემს მათხოჯში. '

სალიტერატურო მუშაობა თბილისში

პეტერბურგიდან რომ დავბრუნდი, რამდენიმე თვე სოფელში გავატარე. ახლა ჩემი უმთავრესი სადარდელი და საზრუნავი იყო სამხედრო ბეგრის მოხდა. ბევრი ვიწროალე და ვიფიქრე თავის დასაღწევად, მაგრამ აბა რას გამოვძებნიდი. 1900 წ. დამლევს გამოვცხადდი სამხედრო სამმართველოში, შემამოწმეს და ვარგისად მიცნეს. დეკემბრის ბოლო რიცხვებში მივედი 79-ე კურინის პოლკში, რომელიც ქუთაისში იდგა მაშინ. და ჩამრიცხეს უბრალო ჯარისკაცად. ჩემი დიდი თმა რომ მოვიკრიჭე და ჩავიცვი ფორმის ტანისამოსი, რომელიც უხეშად მადგა ტანზე, სარკეში ჩავიხედე და ჩემი თავი შემზარდა. აუტანელი იყო წამდაუწუმ უფროსების წინ გამოჰიშვა და სალამის მიცემა, დადგენილი მანერით სიარული, თავის დაქერა, ლაპარაკი. შემზარავი იყო მთელი რეჟიმი ყაზარმისა, რომელიც ადამიანში უარყოფს ყოველ ადამიანობას. საშობაოდ სამი დღით გაგვათავისუფლეს და მე ერთ ამხანაგთან წავედი. სამი დღე კარში არ გამოვსულვარ. ყაზარმაში რომ დავ-

ბრუნდი, ძალით თავი გაეციე, ავად გავხდი, ჰოსპიტალში გამგზავნეს, ოფიცერთა განყოფილებაში მომათავსეს. იქ რამდენიმე თვე დავრჩი. მერე ჯამსინჯეს და დროებით შევბულება მომცეს. ხოლო კვლავ რომ გამოვცხადდი, ზოგიერთების დახმარებით 1901 წ. შემოდგომაზე სრულიად განმანთავისუფლეს სამხედრო სამსახურისაგან.

ამ განთავისუფლებამ აუწერელი სიხარული გამოიწვია ჩემში, რომ იტყვიან, სული მოვითქვი, ხელმეორედ დავიბადე. ჩემი თავი კვლავ ადამიანად ვიგრძენი.

მეორე ჩემი საზრუნავი სწავლის დამთავრების შემდეგ იყო სამსახურის მოძებნა. ვეპილობა არ მინდოდა. საზოგადოებრივ დაწესებულებაში ვერსად მოვეწყვე და ბოლოს იძულებული გავხდი, სახაზინო პალატაში შევსულიყავი უბრალო მოხელედ, იმ იმედით, რომ შემდეგ გადასახადების ინსპექტორის ადგილი მოეცათ, უგებ. იქ დიდხანს არ დავრჩენილვარ. სახაზინო პალატის უფროსი დიდი შოვინისტი იყო, ქართველების მოძულე და მეც აღმაცერად მიყურებდა. სამსახურიდან რომ გავედი, გულახდილად მითხრა: კარგი ქენით, რომ შიღიხართ, ჩვენ არ გამოგვადგებოდითო.

სკოლის ამხანაგების დახმარებით მოვეწყვე ჰიათურაში, ქართველი მწარმოებლების კანტორაში. ჰიათურის მრეწველობამ და იქაურმა ცხოვრებამ ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და ამის შესახებ წერილები მოვათავსე „კვალში“¹¹ (1900 წ. №№ 29—31).¹² წინა წელს ერთი ჩემი წერილი დაიბეჭდა „ივერიაში“ „S—Son“-ის ფსევდონიმით, სახელად „წერილი გიმნაზიებში ახლად სწავლა-დამთავრებულების მიმართ“,¹³ რომელშიაც ვურჩევდი ახალგაზრდებს, შესულიყვნენ სპეციალურ-ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში, ამით უფრო გამოადგებოდნენ მშობელ ქვეყანას და ეს განამტკიცებდა მათ ხასიათსა და ნებისყოფას.

ჰიათურაშიც ვერ დავრჩი დიდხანს. მე ვიყავი ერთი ხელმძღვანელთაგანი შავი ქვის წვრილ-მწარმოებელთა ოპოზიციისა და ამ ნიადაგზე უსიამოვნება მომიხდა ჩემს „პატრონებთან“ და ჰიათურა დავტოვე.

დავრჩი ისევ უადგილოდ. დავიწყე გახედვა თბილისისაკენ, ეგებ იქით უკეთ მოეწყოს ჩემი ბედი-თქვა.

ამ წლებში, ქუთაისში ყოფნის დროს, მე დავუახლოვდი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, გავეცანი ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალ-ეკონომიურ საკითხებს. მაშინ ჩვენში ფეხს იმაგრებდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა და ახალი თ-

ობის მოღვაწეები ირანმებოდნენ პარტიულად. მე მეტწილად მიხედვითა და ყოფნა „მესამედსადა“ ახალგაზრდებს შორის, რადგან ბევრი ჩემი სკოლის ამხანაგი ამ ახალ დაჯგუფებას ემხრობოდა. მე ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდი „მესამედსადას“, მაგრამ მომწონდა მათი მებრძოლი ხასიათი.

ახალგაზრდებს ხშირად და ცხარე კამათი გვქონდა სხვადასხვა საზოგადო საქმეებზე. დიდ ყურადღებას ვაქცევდით ი. ჭავჭავაძის (ახალ მოსულის) და ნ. ჟორდანიას პოლემიკას.

გ. წერეთელი რომ გარდაიცვალა, ქუთაისის ახალგაზრდობამ მე გამაგზავნა თავის დელეგატად და დამავალა სიტყვის წარმოთქმა მისი სახელით.

ქუთაისში გაიხსნა საკვირაო სკოლა მოზრდილებისთვის. მონაწილეობას ვიღებდი ამის მოწყობაში და ვაძლევდი ქართული ენის გაკვეთილებს.

დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალყურს ქუთაისის თეატრის მუშაობას ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ქუთაისის თეატრი ძლიერ მიყვარდა გიმნაზიელობის დროს და ჩემს გონებრივ-მორალურ განვითარებაზე მას, უეჭველია, დიდი გავლენა ჰქონდა. ახლაც ლ. მესხიშვილის და ნ. ჩხეიძის მხატვრულ თამაშს და მათ ჟანსახიერებულ გმირებს არაერთგზის გამოუწვევია ჩემში ღრმა გამაქეთილშობილებელი განცდები. თეატრი გასართობი ადგილი არაა. როგორც ძველ ელინებს ესმოდათ, თეატრი უნდა ემსახურებოდეს ადამიანის ზნეობრივ ამაღლებას, უნდა განწმინდოს იგი და წარმართოს სიკეთისათვის, იდეალურ, გმირულ ცხოვრებისათვის. ლ. მესხიშვილი ცდილობდა, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა მაშინდელი მდგომარეობა, ასეთი თეატრის მსგავსება შეექმნა ქუთაისში და ეს მისი უდიდესი დამსახურებაა. მე რამდენიმე წერილიც ვუძღვენი ქუთაისის თეატრის წარმოდგენებს „ქურნ. „ქვალში“.

ამ თეატრთან დაახლოებამ და მისმა სიყვარულმა გამაბედვინა, ალბათ, რომ სასცენოდ გავაკეთე ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“. ჩემი თითქმის არაფერი შემიტანია შიგ, ხოლო დიალოგების სახე მივეცი ქვრივისა და მისი შვილის ტრაგიკულ ამბავს. ჩემი „ოთარაანთ ქვრივი“ წარმოადგინეს 1907 წელს თბილისში ილიას დაბადების წლისთავის აღსანიშნავად. ქვრივის როლს თამაშობდა ელ. ჩერქეზიშვილი, რაც არ იყო მისი შესაფერისი. პიესა ვერ იყო კარგად დადგმული. ეს იყო მიზეზი თუ ნაწარმოების სისუსტე, წარმოდგენამ ვერავინ

თარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, საზოგადოება ვერ დააინტერესა.

ქუთაისში ყოფნის დროს გაიზარდა ჩემი თვითცნობიერება და განმტკიცდა ჩემი ეროვნული მისწრაფებანი, რომელმაც სრული და გარკვეული სახე მიიღო თბილისში. |

მეძნელებოდა ბავშვობიდან შეჩვეული და შეყვარებული ქუთაისის დატოვება, კარგა ხანს ვყოყმანობდი, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე აუცილებლად თბილისში გადმოსახლება.

თბილისში ჩამოვედი 1901 წ. სექტემბერში, საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის საიუბილეო ღღესასწაული ახლად დამთავრებული იყო და საზეიმო კამარები ყველგან ჯერ კიდევ არ აედოთ. თბილისის წინათაც მქონდა ნანახი ერთი ორი დღით ჩამოსვლის დროს. არც წინანდელი და არც ახლანდელი პირველი შთაბეჭდილება არ იყო მაინცდამაინც მომხიბლავი. ქუთაისის გარეგნულობა და მდებარეობა უფრო მომწონდა. თბილისში ორიოდ კაცი მყავდა ნაცნობი და მათი დახმარებით მალე ვიშოვნე კორექტორის ადგილი გაზ. „ივერიის“ რედაქციაში, 40 მან. ჯამაგირი თვეში. მაშინ „ივერია“ ალ. სარაჯიშვილის ხელში იყო, რომელიც ძველი მწიგნობარი იყო. ი. ჭავჭავაძე კარგა ხანია ჩამოშორდა გაზეთს და მას სხვები უძღვებოდნენ. ახლაც ალ. სარაჯიშვილს ჰქონდა გადაცემული, რომელიც მალე გაზეთის სრული პატრონი გახდა. ჯერ მარტო საკუთარი საშუალებით უძღვებოდა გაზეთს, მერე ამხანაგობა შეადგინა, რომელშიაც შედიოდნენ: მ. მაჩაბელი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ივ. ჯაბაძარი, ძველი ნაროდნიკი, ექიმი გ. გაბაშვილი და სხვ.

რედაქციაში გაზეთზე უშუალოდ მუშაობდნენ გრ. ყიფშიძე, ილ. აგლაძე და სხვ. გრ. ყიფშიძე ძველადაც, ილიას დროს მუშაობდა „ივერიაში“, კარგ სტილისტად ითვლებოდა და მის გაუსწორებლად და გაუსინჯავად არც ერთი სტრიქონი არ დაიბეჭდებოდა გაზეთში. ენის სიწმინდეს ახლაც დიდ ყურადღებას აქცევდა რედაქცია და ცდილობდა მტკიცედ დაეცვა ილიას ტრადიციები.

რედაქციის ბინა მოთავსებული იყო ყოფილ ავჭალის ქუჩაზე, ვორონცოვის (დღეს მარქსის) ხილის მახლობლად, საჯინაშვილის (ილიას დის) სახლში. ილიაც აქ ცხოვრობდა წინათ, მაგრამ ახლა სხვაგან ჰქონდა ბინა. |

გაზეთი იბეჭდებოდა ექვ. ხელაძის სტამბაში, რომელიც იყო ქვაშვეთის გვერდით, ყოფილ ლორის-მელიქოვის ქუჩაზე (ახლა ბაღის ნაწილია ეს ადგილი). აქ უნდა მოვსულიყავი სამ საათზე და კორექ-

ტურაზე ვმუშაობდი 8—9 საათამდის. ვაფაციცებით და მოუთმენლად მოველოდით მე და მესტამბე მოსამსახურის დაბრუნებას ცენზორისაგან, რომელსაც ეგზავნებოდა მთელი აწყობილი საგაზეთო მასალა, და რომლის ხელმოუწერლად მესტამბე არაფერს გაუშვებდა, რადგან პასუხისგებაში მისცემდნენ. იშვიათად დაბრუნდებოდა გაგზავნილი ამონაბეჭდი გაუსწორებლად და წაუშლელად. თუ ბევრი იყო ამოღებული, ეს საქმეს აგვიანებდა. შევეცდებოდით რამე ძველი აწყობილი მასალის გამოყენებას ან განცხადებებით შევავსებდით ცარიელ ადგილს და ასე გამოვუშვებდით გაზეთის მორიგ ნომერს.

გარდა კორექტორობისა, მე თანამშრომლობაც დავიწყე ცოტ-ცოტათი გაზეთში. თითო დაბეჭდილ სტრიქონში ორ კაპიკს მაძლევდნენ და, რადგან რედაქცია ქონებრივად ხელმოკლედ იყო, ნებადართული მქონდა იმდენი დამეწერა, რომ ჩემი თვიური ჰონორარი 20 მანეთს არ გადასცილებოდა. პირველი ჩემი ორიგინალური წერილები, რომლებმაც საზოგადოების ყურადღება მიიქცია, იყო პატარა ფელეტონის სახის წერილები. ამას მერე მოჰყვა პუბლიცისტური თუ 'კრიტიკული' წერილები პრინციპიალური თუ სადღეისო შინაარსის. წერილებს ხელს ვაწერდი ფსევდონიმებს: „სიტყვას“ ან „კალამს“, ამ სახელებს პირველად განურჩევლად ვხმარობდი, მაგრამ შემდეგ „სიტყვას“ ვაწერდი ფელეტონებს და „კალამს“ სხვა წერილებს. მკითხველი საზოგადოება განსაკუთრებული ყურადღებით და ინტერესით ეპყრობოდა ჩემს ფელეტონურ წერილებს (დღიური, დაუმთავრებელი ამბები, ფიქრები... მხოლოდ ფიქრები, პატარა ამბები, დღევანდელი ამბები), რომლებიც საქართველოს იმდროინდელ მწვავე, შეტად მტკივნეულ საკითხებს ეხებოდნენ — ჩვენს ეროვნულს უუფლებობას და დამცირებას, უცხოთა ტლანქ ძალადობას, ჩვენს შეუგნებლობას და უმოქმედობას. მძიმე საცენზურო პირობების გამო შეტად ძნელი იყო ასეთ საგნებზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც ვახერხებდი ალევორიული სახეებით, ქარაგმებით, სიტყვების დაპირისპირებით, იგავებით, ანდაზებით, ძველისძველი მაგალითებით ვადამეცა მკითხველისათვის ჩემი გულის ნაღველი, რომ მის გულს ჩემს გულთან ერთად დაეწყო ძვერა. ცენზორებად ქართველები იყვნენ, მაგრამ უცხო უფროსები მათ ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს და ძნელი იყო რისიმე გაპარება. თუ ეს მოხდებოდა მაინც, ქართველ საზოგადოებაში მაშინვე შეიქმნებოდა მითქმა-მოთქმა: „დახეთ, დახეთ, რა მაგარი წერილია, ცენზურას როგორ გამოეპარაო!“ ასეთი ლაპარაკი ცენზორის ყურამდე აღწევდა და იგი უფრო მკაცრი ხდებოდა.

როგორც ზევით ვთქვი, თბილისი პირველად არ მომეწონა, მალე ვერ შევეგუე. გული სულ ქუთაისისაკენ მიიწევდა, იქაურ ცხოვრებას კიგონებდი, ქუთაისელ ნაცნობ-მეგობრებს ჩემს მოწყენილობას და უკმაყოფილებას ვწერდი, და ვაპირებდი კიდევ უკან გაბრუნებას.

მაგრამ ნელ-ნელა ჩემი გუნება შეიცვალა. აქეთ შოვიხელე, იქით მივიხედე, ახალი ნაცნობები გავიჩინე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩავერიე და ხშირად დაეფიქრებოდი: თბილისი ხომ მთელი საქართველოა, აქ სცემს ჩვენი ერის გული, აქ გამოიქვდა დიდებული საქართველო, ეს იყო მუდამ ქართული შემოქმედების კერა. ვნახე ისტორიული ადგილები, ძველი ნაშთები, ძეგლები და ჩემ წინ წარმოდგინე წარსულის სურათები. ბევრჯერ ვიდექი მთაწმინდაზე და ჩაფიქრებული დავცქეროდი დედაქალაქს, შორსაც გავიყურებოდი...

და ვეტყვოდი ჩემს თავს: სუსტია და დაცემული დღეს საქართველო, მკრთალია მისი საზოგადოებრიობა; მაგრამ რაც არის და როგორიც არის, ის აქ თბილისშია უპირველესად!

შევვთვისე თბილისს, იმანაც შემითვისა, შემიყვარდა და უკვე ველარაფერი მომწყვეტდა ჩემს დედაქალაქს... ასე წარმიდგინეთ: ქუთაისი ხომ გემოს ქალაქია და იქაური სმა-ჰამა, სუფრა საუცხოოა, მაგრამ მე მაინც მეტი გემო თბილისის სუფრას ვუნახე, განსაკუთრებით აქაურ პურს, ესოდენ ნოყიერს, მსუქანს, ზეთიანს.

ჩემი ახალი ნაცნობები თბილისში იყვნენ უპირველესად ქართულ სალიტერატურო და სათეატრო წრეებიდან, ავრეთვე პედაგოგები და წ. კ. საზოგადოებაში მომუშავენი. განსაკუთრებით დაახლოება მოხდა ჩემს და გაზ. „ცნობის ფურცლის“¹⁵ თანამშრომლებს შორის, რომელსაც დიდი პოპულარობა ჰქონდა უკვე მოპოვებული. გავიცანი არ. ჯორჯაძე, რომელსაც წინათაც ვხედავდი პეტერბურგში, გ. ლასხიშვილი, ვლ. ლორთქიფანიძე, გ. დეკანოზიშვილი, ავქ. ცაგარელი, განდეგილი და სხვები, რომელთაგან ზოგი გაზეთში არ მუშაობდა, მაგრამ იკრიბებოდა „ცნობის ფურცლის“ გარშემო, როგორც დამხმარე და პროპაგანდისტი გაზეთში ჩასახულ მიმართულებისა. ერთხელ არ. ჯორჯაძემ მითხრა: შენ ჩვენი ხარ, ჩვენთან უნდა იმუშაო. მართლაც, არ გასულა დიდი ხანი და 1902 წლის აპრილის დამდეგს მე გადავედი „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში თანამშრომლად და იქ დაიბეჭდა ჩემი პირველი წერილი 14 აპრილს.¹⁶

ამ გაზეთის მუდმივი თანამშრომლები მაშინ იყვნენ: გ. ლასხიშვილი, ფაქტიური რედაქტორი, წერდა მეთაურებს და სხვა წერილებს, არ. ჯორჯაძე წერილებს სახლში წერდა და ისე მოჰქონდა, ვლ. ლორთ-

ქიფანიძე, ზაქ. ბილანიშვილი. აქ. ცაგარელი თარგმნიდა დეპეშებს. მერმე გაზეთის ახლობელი თანამშრომელი გახდა ი. ავლაძე, რომელიც ჩემს შემდეგ გადმოვიდა „ივერიიდან“. კორექტურას აკეთებდა პოეტი-ქალი განდევილი. ოფიციალური რედაქტორი ალ. ჭაბადარი რედაქციის მუშაობაში არ ერეოდა, ხოლო ისე თვალყურს ადევნებდა, რომ არ დაბეჭდილიყო რაიმე სახიფათო ცენზურის თვალში და გაზეთი არ დაეხურათ.

„ცნობის ფურცელი“ პირველად ვ. გუნიამ დააარსა და იყო პატარა საინფორმაციო, ახალი ამბების გაზეთი. მერე იგი შეიძინა ქართველთა გამომცემელმა ამხანაგობამ, რომლის გამგე ალ. ჭაბადარი იყო. მან გააფართოვა გაზეთის პროგრამა და მოიწვია ახალი ძალები. გაზეთმა მეტად ცოცხალი სახე მიიღო. დიდი ყურადღება მიექცა ცნობების მიწოდებას მკითხველებისათვის, როგორც საშინაო ისე საგარეო ცხოვრებიდან, შემოიღო ტექნიკური გაუმჯობესება, ბეჭდავდა ღამის დეპეშებს, რაც წესად არ ჰქონდა წინათ ქართულ გაზეთებს. გაზეთმა გამოდიოდა ორშაბათობითაც, თუმცა ნახევარი ფორმატით. გაზეთს დაუმატა ყოველკვირეული სურათებიანი დამატება, რომელიც პირდაპირ სენსაციური ამბავი იყო იმდროინდელი ქართველი საზოგადოებისათვის. გაზეთმა გარდა „რუსეთის სააგენტოს“ დეპეშებისა, გამოიწერა ახლად დაარსებული „პეტერბურგის სააგენტოს“ დეპეშებიც. ეს უკანასკნელი უფრო ადრე და უფრო ცოცხალ ამბებს იძლეოდა, ვიდრე პირველი სააგენტო, და, მაგალითად, რუსეთ-იაპონიის ომის დროს „ცნობის ფურცლის“ მკითხველმა უფრო ადრე იცოდა ბრძოლის ამბები, ვიდრე კავკასიის უმადლესმა მმართველობამ.

ყველაფერმა ამან და გაბედულმა ეროვნულმა მიმართულებამ, არ. ჯორჯაძის წერილებმა, რომელთაც დიდი ინტერესით კითხულობდნენ ყველანი, სახელი გაუკეთეს „ცნობის ფურცელს“ და მისი ტირაჟი გაიზარდა და დაჩრდილა „ივერია“. იმ დროს სხვა ქართული გაზეთი არ არსებობდა. „მესამედასელების“ „კვალი“ გამოდიოდა კვირაში ერთხელ.

მე გარედან მომუშავე წევრი ვიყავი რედაქციისა, სახლში ვწერდი წერილებს და მიმქონდა დასაბეჭდად. გადაათვალიერებდა გ. ლასხიშვილი, იშვიათად ალ. ჭაბადარი და არ მახსოვს შემთხვევა, რომ რამე გაესწორებინათ, ან ამოეღოთ. ჩემი ნაწერი იმავე ხასიათისა იყო, როგორც „ივერია“-ში ფელეტონები („ფიქრები... მხოლოდ ფიქრები“; „პატარა ამბები“) და კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, რეცენზიები. როგორც უკვე მოვიხსენიე, საზოგადოებაში უმთავრეს

ინტერესს იწვევდა ჩემი ფელეტონები. ხშირად მომდიოდა მადლობისა და წამახალისებელი ბარათები. მაწოდებდნენ ცნობებს, მასალას. მკითხველები ხედავდნენ ჩვენს ნაწერებში დატყვევებული სულის შფოთვის, ერის სიყვარულს, ქვეყნის დაცემის და უძღურების სიძულვილს, შიშსაც ხანდახან; უფრო კი რწმენას, მომავლის იმედს და ბრძოლის მოწოდებას, ბრძოლის აღდგენისათვის, მიუხედავად წინ აღმართული დაბრკოლებებისა. ჩემი სიტყვები არ იყო მარტო ჩემი პირადი განცდების გამომხატველი, იქ ისმოდა მთელი თაობის, მთელი იმ დროის ძახილი ქართველი ხალხის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური აღდგენის და გამართვისათვის...

ქართული საზოგადოებრივობა მაშინ თავმოყრილი იყო სამი პერიოდული გამოცემის გარშემო. „ივერიაში“ შემოკრებილნი იყვნენ უმთავრესად ძველი მოღვაწეები, ლიბერალები, ზომიერი ნაციონალური მიმართულების, არსებულ სოციალ-ეკონომიური წყობილების დამცველნი. „კვალი“ ეკუთვნოდა „მესამედსელებს“, რომელთაც უკვე თითქმის ათი წლის ისტორია ჰქონდათ. ხოლო „ცნობის ფურცელი“ გამოხატავდა იმ ახალგაზრდობის მისწრაფებას, რომელიც არც „ივერიას“ ეთანხმებოდა და არც „კვალს“, და ბრძოლა ჰქონდა ორ ფრონტზე. იყო ამ სამ გამოცემაში მუდმივი პოლემიკა და ერთმანეთის წინააღმდეგ ჯალაშქრება, ხშირად მეტად გამწვავებული.

„ცნობის ფურცლის“ რედაქციის წევრებს თბილი მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. გ. ლასხიშვილი ყოველთვის და ყველაფერში ნამდვილი ამხანაგი იყო, ან. ჯორჯაძე — მუდამ თავაზიანი და ჭეშტილმენი, ვლ. ლორთქიფანიძე — გულითადი და ერთგული, ი. აგლაძე — პასუხისმგებლობის შემგნებელი და თავაულებელი მუშაკი, ზ. ბილანიშვილი — უბრალო ადამიანი, მოკეთე და თანამგრძობი, რედაქციის აბლო მეგობარი გ. დეკანოზიშვილი — იშვიათი პატრიოტი, რომელიც ყველაფერს გაიმეტებდა თავისი ქვეყნისათვის. ჩვენ გვაერთებდა არა მარტო საგაზეთო მუშაობა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში, გვქონდა სხვა საქმეც — ახალი პარტიის (სოციალისტ-ფედერალისტების) დაარსება, პროგრამის შედგენა, თანამგრძობთა მოპოვება, შეკრება თანხისა არალეგალურ გამოცემისათვის უცხოეთში; ამ მუშაობას ვეწეოდით არა მარტო რედაქციის წევრები, არამედ ამისათვის შემდგარი იყო ფართო წრე, გარუშე პირების მონაწილეობით.

შევეცდები დაგიხატოთ, თუნდაც შოკლედ და მკრთალად, იმ დროის (1902-06 წლებს) ქართული საზოგადოებრივი ვითარება თბი-



პარტენიდან მარჯვნივ დგანან: ალ. გაბუნია, კ. გოგელია, ე. ჩერქეზიშვილი.
სხედან: არჩ. ჭორჩაძე, გ. დეკანოზიშვილი, მის. წერეთელი.

ლისში, გადმოგცემთ ჩემს შთაბეჭდილებებს. შეხვედრებს, დაკვირვებებს, ნახულს და გაგონილს, რომ წარმოდგენა [გქონდეთ] იმდროინდელ მდგომარეობისა. ეს მდგომარეობა თბილისში ფრიად დამალონებელი და არასანუგეშო იყო. ქართველობა ისე გრძნობდა თავს, თითქოს უცხოეთში იყო და არა თავის ქვეყნის გულში. გაძარცვული, უფლებააყრილი, დაბეჩავებული, დევნილი, საკუთარ ბაზას — ეკონომიურს, სამრეწველო დაწესებულებათ მოკლებული, აბუჩად აგდებული

მთავრობისაგან და მეზობლებისაგან — ქართველობა მეორე და მესამე რიგში იყო ჩაყენებული. ჩვენი მაღალი წოდების ისეთს ყმობისა და მორჩილების დემონსტრაციას, როგორც იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის დღესასწაული, იმპერატორის მთავრობამ დამამცირებელი და დამცინავი ექსტით უპასუხა — ოც-ოცი ათასი მან. სტიპენდიები დაუნიშნა თბილისის და ქუთაისის თავად-აზნაურთა შვილებს რუსეთის კადეტთა კორპუსებში გადასაგვარებლად. ღონიერი ვაჟარ-მრეწველთა კლასი ჩვენ არ მოგვეპოვებოდა. ძველი ინტელიგენცია, დასუსტებული და მოღუწებული, ერთგვარი პასივობით შეპყურებდა ქაშთა მსკლელობას. თავისუფალი, თვითმყოფი საქართველო მეტად ბუნდოვან და მკრთალ ფერებში წარმოსდგებოდა მის წინ. ვინც იყო, ან სახელმწიფო სამსახურში იყო დაბორკილი, ან ორიოდე ქარული ბანკის ოპერაციებში ჩაბმული, თავისუფალ პროფესიონში განათლებულ ქართველს ორ-სამს თუ ეკავა თვალსაჩინო ადგილი, საქალაქო დაწესებულებებში ქართველს სანთლით თუ მოქებნიდით. ქართული ლაპარაკი იშვიათად გაისმოდა ქუჩებში, დაწესებულებებში უცხო ენა ბატონობდა, უცხო ენაზე უნდა მიგემართათ კერძო სავაჭროებშიც. საქართველო გაქეფებული იყო თბილისიდან და ყოველგვარი ზომა იყო მიღებული, რომ თბილისს დაპყარგოდა სრულიად ქართული იერი. ქართველს ანგარიშს არ უწევდნენ, თუ რამე ოფიციალური გამოსვლა ხდებოდა, ქართველთა წარმომადგენლებს უკან აყენებდნენ. ასეთი მოპყრობა ფსიქიურად მოქმედებდა ქართველებზე, ისინი თავისთავად გაუბედავნი გახდნენ, თავის გამოჩენას ერიდებოდნენ. ქართველის მაჯისცემას თუ იგრძნობდით, ქართველი ქაოთველად თუ გამოჩნდებოდა, ქართულ ხმას თუ გაიგონებდით — ეს ორიოდე ქართულ კულტურულ დაწესებულების კრებებზე და კიდევ ერთ შემთხვევაში — ვინმე ქართველი მოღვაწის დასაფლავების დროს.

ქართული კულტურული დაწესებულება, რომელიც ამა თუ იმ სახით ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა, ძალიან ცოტა იყო: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატული საზოგადოება, თბილისის თავად-აზნაურ მოწაფეთა დამზმარე კომიტეტი, ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა, სახალხო საკითხავთა და წარმოდგენათა ქართული სექცია, საქველმოქმედო საზოგადოება, მერმე დაარსდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ფილარმონიული და სამეურნეო საზოგადოებანი. კულტურულ დაწესებულებად უნდა მივიჩნიოთ ნაწილობრივ თბილისის სათავადაზნაურო ბანკი, რამდენადაც მისი მღგების ნაწილი ხმარდებოდა ჩვენს კულტურულ საქმეებს, აგრეთვე

თბილისის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო, რამდენადაც ეს ხანდახან ხმას ამოიღებდა საერთო ეროვნულ საკითხებზე. თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებები ერთ დროს დიდს ინტერესს იწვევდნენ, დებატები ბანკის საკითხებს სცილდებოდნენ. მაგრამ ეს ჩემსობას უკვე აღარ იყო.

სახალხო საკითხავთა სექციის მოქმედება ვიწროდ შემოიფარგლებოდა. მის მოღვაწეობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, სხვათა შორის, გ. ლასხიშვილი, რამდენჯერმე მსახიობადაც გამოსულა წარმოდგენებში. ზუბალაშვილის სახლი (ახლა მარჯანიშვილის თეატრი) რომ აშენდა, სექცია იქ მართავდა დროგამოშვებით ქართულ წარმოდგენებს.

ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა დააარსეს ქართველმა ინტელიგენტებმა ქართული წიგნების გამოსაცემად და გასაფრცვლებლად. წიგნის გამოცემის საქმე ძალიან ცუდად იყო დაყენებული, ვარდა სასკოლო სახელმძღვანელოებისა, წელიწადში სამი-ოთხი ხეირიანი წიგნი თუ გამოვიდოდა მცირე ტირაჟით და ისიც 10 — 15 წელიწადს არ ნალდებოდა. ქართველთა გამომცემელმა ამხანაგობამ გამოსცა ილიას, აკაკის, ყაზბეგის თხზულებათა კრებულები. ამას დიდი სიხარულით შეხვდა საზოგადოება. ამხანაგობა იყო გამომცემელი ყოველთვიური ჟურნალის „მოამბის“ და შემდეგ მანვე შეიძინა, როგორც უკვე ითქვა, „ცნობის ფურცელი“. ამხანაგობამ მოახერხა ამიერკავკასიის რკინიგზების დასაბეჭდ საშუალების მიღება და ამან საშუალება მისცა, საუცხოოდ გამართული სტამბა მოეწყო. ბოლო წლებში ამხანაგობის საქმეებს მთლად დაეპატრონა გაბჯე აღ. ჯაბადარი.

თბილისის გუბერნიის მოსწავლეთა დამხმარე კომიტეტი განაგებდა თბილისის სათავადაზნაურო (ქართულ) გიმნაზიას და სახსრებს სათავადაზნაურო ბანკისაგან იღებდა. მისი საზოგადო კრებები დიდ საზოგადოებას იზიდავდა, რადგან ისმებოდა კითხვები არა მარტო ამ სასწავლებლის, არამედ საერთოდ ქართული განათლებისა და კუტურის.

ქართულმა თეატრმა უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი ეროვნული გათვითცნობიერებისათვის. სამწუხაროდ, ჩემსობას თბილისში ქართული თეატრი ძალიან მოიკოჭლებდა, თუმცა უკვე ნახევარი საუკუნის ისტორია ჰქონდა. ამის მიზეზი არ იყო არტიტული ძალების სისუსტე, პირიქით, პირველხარისხოვანი მსახიობები გვყავდა. პიესებიც იყო და იწერებოდა ახლებიც. უბედურობა იყო უსახსრობა, საზოგადოების გულგრილობა, უცხო წარმოდგენების კონკურენცია, რომლე-

ბიკ უკეთეს პირობებში იყვნენ. ქართულ წარმოდგენებს უძღვებოდა უშუალოდ დრამატული საზოგადოების გამგეობა ან თვითონ არტისტების ამხანაგობა, უკანასკნელ შემთხვევაში დრამატული საზოგადოება გარედან უწყობდა ხელს თეატრს. დრამატულ საზოგადოებას მცირე დახმარებას აძლევდა სათავადაზნაურო ბანკი, იმართებოდა ყოველ წელს ბალი მის სასარგებლოდ, საწევრო გადასახადი კი მეტად ცოტა შემოდოდა. საზოგადოების კრებებზე ბევრი ლაპარაკი იყო ხოლმე სახსრების მოსაპოვებლად, არა ერთი და ორი გეგმა ყოფილა წარმოდგენილი, მაგრამ საქმის არა შევლებია რა, წარმოდგენები იმართებოდა კვირაში ერთხელ ან ორჯერ და დარბაზი ხშირად სანახევროდ ცალიერი იყო. იშვიათად თუ რომელიმე პიესა ორჯერ ან სამჯერ დაიდგმებოდა სეზონში. ყველაზე მეტი მოწონება ჰქონდა ისტორიულ პიესებს. სეზონი გრძელდებოდა 6—7 თვეს და მერმე მსახიობები მშვივრები რჩებოდნენ და მხოლოდ საქმის სიყვარული აძლევდა მათ სიმხნევებს და გამძლეობას.

ქართულ კულტურულ დაწესებულებებში, უეჭველია, პირველი ადგილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკუთვნოდა. მე თავიდანვე დავუახლოვდი მის მუშაობას. 1902 წ. გაზაფხულიდან 1910 წლის შუამდე ვიყავი მისი გამგეობის წევრი-მდივანი და საქმისმწარმოებელი, წ. კ. საზოგადოება დააარსეს ქართველმა მოღვაწეებმა 1879 წელს და მისი პირველი თავმჯდომარე იყო დიმ. ყიფიანი. საზოგადოების სკოლებში პირველდაწყებითი სწავლება სწარმოებდა ქართულად, წინააღმდეგ სახელმწიფო სკოლების, სადაც სწავლება პირველი წლის მეორე ნახევრიდან რუსულად ხდებოდა. საზოგადოება ცდილობდა ერთგვარი წინააღმდეგობა გაეწია ბიუროკრატიის გადამგვარებელი პოლიტიკისათვის. მის დაარსებას ქართველობა მხურვალედ შეხვდა, ბევრი ჩაეწერა წევრად და წესიერად იხდიდნენ გადასახადს, ისე შემოწირულობაც ეგზავნებოდა საზოგადოებას. მერმე და მერმე შემოსავალი შენეულა, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ არც ერთს ჩვენს საზოგადოებრივ დაწესებულებას ბოლომდე არ შერჩენია იმდენი ყურადღება, რამდენიც წ. კ. საზოგადოებას ჰქონდა. მის სასარგებლოდ გამართულ საღამოებს და სეირნობებს ყოველთვის უამრავი ხალხი ესწრებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქართველი წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, მუშები, საერთოდ მღაბო ხალხი დიდი თანაგრძნობით ეგებებოდა საზოგადოების მიმართვას და ხალისით აწოდებდა თავის წვლილს. საზოგადო-

უბას ეხმარებოდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკი, ძმები ზუბალაშვილები საქმაოდ მოზრდილ თანხას აძლევდნენ სტიპენდიებისათვის უმაღლეს სასწავლებლებში. მაგრამ ყველა ეს საშუალება სამყოფი არ იყო, რომ საზოგადოებას ფართოდ ეწარმოებინა თავისი მუშაობა. საზოგადოებას სულ 8—9 სკოლა ჰქონდა მოწყობილი. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ ადგილს, სადაც ქართველობა გარშემორტყმული იყო უცხო ელემენტებით და გადაგვარება ემუქრებოდა. ამ მიზნით გახსნა ქართული სკოლები კავკავში, ახალციხეში, ბორჩალოში. საზოგადოებას ეკუთვნოდა 12-მდე სამკითხველო, მეტად ღარიბი. მკითხველებს იზიდავდა უმათავრესად ქართული ჟურნალ-გაზეთების კითხვა. წიგნი ცოტა იყო საზოგადოების სამკითხველოებში, მაგრამ ბიბლიოთეკების ინსპექტორს ესეც შეშურდა და მოგვთხოვა, თქვენს ბიბლიოთეკებში მხოლოდ ისეთი წიგნები უნდა იყოს, რომლებიც ნებადართულია რუსეთის სახალხო ბიბლიოთეკებისათვის. ამ ნებადართულ კატალოგში არც ერთი ქართული წიგნი არ იყო შეტანილი და გამოდიოდა, რომ ჩვენი სამკითხველოები სრულიად უნდა დაგვეყეტა. ამის გამო მე წერილი მოვათავსე რუსულ გაზეთში. სხვა ნაბიჯებიც გადავდგი და ინსპექტორს უკან წავაღებინეთ მისი მოთხოვნა.

წ. კ. საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევდა წიგნების გამოცემას, პირველ რიგში, სახელმძღვანელოების, რაიც შემოსავლის წყაროც იყო. საზოგადო ხასიათის სულ ცოტა იბეჭდებოდა, რამდენიმე წიგნი. საზოგადოებას გადმოცემული ჰქონდა ი. გოგებაშვილისაგან „დედა ენა“, „ბუნების კარი“, იღებდა ამაში განსაზღვრულ ჰონორარს და მერე რაც შემოდიოდა, საზოგადოების სასარგებლოდ რჩებოდა. ამის რაოდენობა მცირე არ იყო, რადგან იმ დროს ყველაზე უფრო გავრცელებული ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები იყო.

ასე ემსახურებოდა საზოგადოება სკოლებით, სამკითხველოებით და წიგნების გამოცემით ქართულ განათლებას და ეროვნულ აღორძინებას, ხოლო ის სხვა დიდ საქმესაც აკეთებდა. მისი წესდების ერთი მთავარი მუხლთაგანი იყო ძველი ქართული ხელნაწერებისა და ისტორიულ-არქეოლოგიური ნაშთების შეგროვება. ამ მხრივ საზოგადოებამ უდიდესი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას, მისი შექმნილი და თავმოყრილი ხელნაწერების და ძველი წიგნების რიცხვი რამდენიმე ათასია. მრავლად შეიკრიბა ძველი ნივთები — სამკაული, ჭურჭელი, იარაღი და სხვ. უპირველესი ღვაწლი ამ საქმეში ექვთიმე თაყაიშვილს ეკუთვნის. მას არ დაუტოვებია საქართველოს არც ერთი კუ-

თხე მოუვლელი და გამ:უქველვეელი, არ დარჩენია გაუსინჯავი და აუწყრელი არც ერთი ეკლესია, ციხე, ნანგრევები, ნასახლკარი. ყველგან პოულობდა რასმე ძვირფასს — ხელნაწერს, მხატვრულ ნივთს, ნახატს, მოქარგულ ქვას, სამკაულს, ავეჯს და სხვ. ყველაფერს აგროვებდა და უნახავდა ქართველ ერს. როგორც კი გაიგებდა, ამა და ამ კაცს რამე ხელნაწერი ან ისტორიული ნივთი აქვსო, მაშინვე მიეჭრებოდა, მოსვენებას არ აძლევდა და ძალით ან ნებით, უფასოდ თუ ფულის ფადაბლით უთუოდ ჩამოართმევდა. ბევრი წიგნი და ნივთი შეგროვდა ამნაირად და კიდევ უფრო მეტი შეგროვდებოდა, რომ მაშინდელ ქართველ საზოგადოებას მეტი ეროვნული შეგნება ჰქონოდა და მეტი გაგება ისტორიული ძეგლების ღირებულებისა. ექ. თაყაიშვილს და მისთანებს ბევრნი დასცინოდნენ კიდევ — მოცლილი ხალხია, ძველ ნანგრევებს და ხელნაწერებს ჩხრეკავენო! თვითონ ექ. თაყაიშვილს უთქვამს ჩემთვის: „დიდი ნაწილი ქართული ხელნაწერებისა ჩვენს დროში დაიღუპა და დაიკარგა! პატრონები უდიერად და უპატივცემულოდ ეპყრობოდნენ ძეგლებს და ჩვენ, ვინც ვცდილობდით მათ შექენას და შენახვას, არავინ გვეხმარებოდა, სალსარი არ გვქონდა, თავადაზნაურობის საკრებულოც არაფერს იმეტებდა ხელნაწერების შესაძენად და დასაცავად“.

აქად. ექ. თაყაიშვილი წ. კ. საზოგადოებაში მოღვაწეობდა, შემდეგ უმთავრესად მუშაობდა თავის დაარსებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. ამ ორი საზოგადოების შეკრებილი და დაღუპვას გადარჩენილი ხელნაწერები, წიგნები და ნივთები დღეს თაჟმოყრილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და წარმოადგენს მის უძვირფასეს საგანძურს.

წერა-კითხვის საზოგადოება მოთავსებული იყო თავადაზნაურობის ქარვასლაში, დღევანდელი ცეკავშირის პირდაპირ.¹⁸ მისი კანცელარია ნამდვილი კლუბი იყო, კულტურული და რაოდენიმედ პოლიტიკურიც, ვინ არ შემოდიოდა აქ, ვისაც კი რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა ქართულ საქმესთან, ვისაც აინტერესებდა საქართველოს ბედი და მომავალი. მოდიოდნენ ქართული წიგნის საყიდლად, წიგნებისა და ჟურნალების წასაკითხავად, ძველი ხელნაწერების გასასინჯავად, ახალი ამბების გასაგებად, ერთმანეთთან შესახვედრად.

შემოდოდნენ მასწავლებლები, მწერლები, არტისტები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, ეპისკოპოსები, მღვდლები, თბილისის მცხოვრებნი თუ პროვინციიდან ჩამოსულები. ხანდახან გაიმართებოდა საერთო საუბარი, კამათი, იყო შოგონება გარდასულის, გამოცნო-

ბა მომავლის. პროვინციიდან თუ ვინმე ჩამოვიდოდა, მშობელი ქვეყნის გულშემატყვიარა, თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნდა წ. კ. საზოგადოებაში შემოვლა. თვალწინ იშლება მთელი გალერეა ქართველ მამულიშვილთა სახეებისა.

აი, ი. გოგებაშვილი — აღრე მოგვინახულებდა თავის მაგარის ჯოხით, დინჯად მოაბიჯებს და თან ჯოხს ქვის იატაკზე ღონივრად დაარტყამს და ამით შორიდან გვატყობინებს თავის მოსვლას. თუ 'კანცელარიის რომელიმე სარკმელი ღიაა, ორპირი ქარის ეშინია და გარედან დაგვიძახებს: გეთაყვა, სარკმელი მიხურეთო. დაჯდებოდა, უყვარდა ჩემთან საუბარი. ქართული ენა, წიგნი, განათლება, მთავრობის გამარუსებელი პოლიტიკა, ბრძოლა ქართულის მღვენელების წინააღმდეგ, ქართველების წარმატება — აი, საგანი მისი ბაასისა. რამდენიმე წლის განმავლობაში ხშირად ვხვდებოდი, ვაკვირდებოდი მის მოქმედებას, სიტყვას. ის იყო განსახიერება სამშობლოს წმინდა სიყვარულისა, მამულიშვილის მთლიანი ტიპი. მან არ იცოდა ყოყმანი და ორპოფობა მშობელი ქვეყნის ინტერესების საკითხში. ყველაფერს ქართველი ხალხის სარგებლობის თვალთ უყურებდა. ჩვენმა პარტიამ რომ მიწის კერძო საკუთრების მოსპობის და სოციალიზაციის პროპაგანდა დაიწყო, ასე მითხრა: ეს ძალიან კარგია, ამით ქართველ გლეხს მიწა შეუნარჩუნდება, თორემ დღეს ჩვენს მიწა-წყალს უტხოვლები ეპატრონებიანო. როგორც 'კრუხი თავის წიწილებს, ისე დასტრიალებდა თავს „დედა ენას“ და სხვა თავის გამოცემებს, იმიტომ, რომ ფანატიკური რწმენა ჰქონდა, რომ მის წიგნებს შეჰქონდა ხალხში საღი ეროვნული შეგნება, ქვეყნის მტრად მიაჩნდა, ვინც ამაში ოღონავ შეეკამათებოდა. ვერ ითმენდა რუსული ენის სწავლებას ე. წ. მუნჯური მეთოდით, რადგან ეს ასუსტებს ქართულის ვარჯიშობასო. ასევე შეურიგებელი მტერი იყო იმ პოლიტიკანების, რომელთაც ქართულის გამოძევება უნდოდათ სამეგრელოს სკოლებიდან და მის მაგიერ მეგრულის შემოღება. არ გამოეპარებოდა, თუ სადმე რაიმე გაკეთდებოდა ან ითქმოდა ქართველების საზიანო, და ამაზე პასუხი უნდა მიეცა ან მას ან ვისმე. იგი აღმზრდელი იყო ჩვენი არა მარტო წიგნებით და საგაზეთო წერილებით, არამედ თავის მაღალზნეობრივი პიროვნებით და მეც მასთან ყოფნით და საუბრით მემატებოდა სამშობლოს სიყვარული და სიმხნევე, რწმენა და იმედი.

აი, პეტრე უმიკაშვილი, ძველი მწიგნობარი, კეთილი გულის, მოსიყვარულე. აი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, ესეც ქართული წიგნის

მოტრფილად. აი, ვახტანგ თულაშვილი წ. კ. საზოგადოების ერთი დამაარსებელთაგანი, უყვარს ქართული გაზეთების თავიდან ბოლომდის წაქითხვა. აი, მოსე ჯანაშვილი, რომელიც მხოლოდ საქართველოს წარსულში იცქირება, აი, ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც მემოივლის ხელნაწერების ამოსარჩევად, რომელთაც სახლში წაიღებს, რომ შეისწავლოს და აწეროს. იმის შეხვედრა ბევრს აინტერესებს, უნდათ რამე ისტორიულ-არქეოლოგიური საკითხის გარკვევა, ეკითხებიან, ინიშნავენ რვეულში. აი, მოგვინახულებს თავმჯდომარის ამხანაგი ნიკო ცხვედაძე, წ. კ. საზოგადოების თვალსაჩინო პიროვნება, ენერგიული საზოგადო მოღვაწე. აი, არტისტები: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე მესხი, ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი (გვაწვდის ცნობებს მამის შესახებ). აი, მსახიობი ქალები — ნატო გაბუნია-ცაგარლისა და ელისაბედ ჩერქეზიშვილი, რომელთაც ყოველთვის მხიარულება შემოაქვთ დარბაზში. აი, მღვდლები — ძმები პოლიევქტ და გასილ კარბელაშვილები, რომელთაც უყვართ ძველი ნაწერების ჩხრეკა. აი, კალისტრატე ცინცაძე, აღფრანდელი კათალიკოზი, ეპისკოპოსები — კირიონი და ლეონიდი, მთავრობისაგან დევნილი არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია. აი, პროფესორები — ალექსანდრე ცაგარელი და ალექსანდრე ხახანაშვილი, რომლებიც გვინახულებდნენ ზაფხულში რუსეთიდან ჩამოსვლის დროს. შემოივლიდა პროფ. ნიკო მარიც, უმეტესად რამე ქართული გამოცემის შესაძენად. აი, კიდევ მწერლები — შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), დუტუ მეგრელი და მისი მეუღლე ანასტასია ერისთავ-ხოშტარია. აი, ძმები — ვაჟა-ფშაველა, თედო რაჭიკაშვილი და ბაჩანა. აი, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, დავით კლდიაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, ნიკო ურბნელი, გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეები. აი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, მარიამ დემურია და სხვები და სხვები. აი, თვით აკაკი წერეთელი, რომლის დანახვაზე ყველას სახე გაუბრწყინდებოდა, რადგან უყვარდათ მისი ტკბილი საუბარი და საოხუნჯო ამბების მოყოლა. როგორც კი დაჯდებოდა აკაკი, ყველანი მის გარშემო შემოიკრიბებოდნენ. ვახტანგ თულაშვილიც თავს გაანებებდა გაზეთს და აკაკის შეაქცერდებოდა...

მართალია, ჩვენი ეროვნულ-საზოგადოებრივი მდგომარეობა სახარბიელო არ იყო, მაგრამ ჩანდა ისიც, რომ ეს მდგომარეობა არ იყო გაყინული, სტაბილური. ხდებოდა შიგნით, განსაკუთრებით ფართო მასებში, დუღილი, დარაზმვა, მომზადება, იწყებოდა თბილისში და

სხვაგან გაფიცვები, დემონსტრაციები (ერთხელ მეც მომხვედა ყაზახების მწარე მათრახი). ამოძრავდნენ გლეხებიც და ეს იყო ნიშნები ჩვენი ერის ცხოველმყოფელობის, იმის, რომ საქართველოს ისტორია ჯერ არ დამთავრებულა. საზოგადო მოღვაწეობის სარბიელზე გამოვიდნენ ახალი ძალები, უფრო დაბალი ხალხის წრეებიდან, ახალი — რევოლუციონური მეთოდით. ეს ახალი გზაა, მაგრამ ძველიც, ვინაიდან საქართველოს ისტორიას ყოველთვის ახასიათებდა ბრძოლა თავის ღირსებისა და უფლებისათვის.

ამ საუკუნის დასაწყისიდანვე დაეტყო რუსეთის იმპერიის სახელმწიფო რეჟიმს რღვევა. რეაქცია ძლიერია, მაგრამ თავის თავის რწმენა მას არ მოეპოვება; გონებადაკარგული, აქეთ-იქით ეხეთქება. მის მკაცრ ზომებს ნაყოფი არ მოაქვს. პირიქით, მთელ სახელმწიფოში იზრდება უკმაყოფილება და მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა. გაფიცვები, დემონსტრაციები, ტერორები ერთმანეთს მოსდევენ.

ამ ბრძოლის სულიერ განწყობილებას დროს დაიდგა მოსკოვში ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატი“, პიესა გმირული ბრძოლისა განთავისუფლებისათვის. დიდხანს არ გაუვლია და თბილისის რუსულმა დასმაც დადგა იგი. კარგად იყო შესრულებული საერთოდ და ზეინაბის როლს შეატელენის ქალი საუცხოოდ თამაშობდა. კარგა ხანს კვირაში რამდენჯერმე იღუმებოდა. თბილისის საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდა „ღალატის“ წარმოდგენებს. ყოველი მოქმედება, ყოველი თვალსაჩინო სცენა ოვაციას და მანიფესტაციას იწვევდა. მეხუთე მოქმედების შემდეგ კი ხალხის მღელვარებას და ენთუზიაზმს დასასრული არ ჰქონდა. მაყურებელნი დიდხანს არ გამოდიოდნენ დარბაზიდან და ძალით, ელექტრონის ჩაქრობით აიძულებდნენ. გამოსული საზოგადოება გარეთ დიდხანს რჩებოდა, ჭგუფ-ჭგუფად თავმოყრილი, ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს, კამათობდნენ. იმ დროს პაერში რევოლუციის სული ტრიალებდა და სცენაზე წარმოებული ბრძოლა ჩვენს გონებას გარეთ, ქუჩაში, ფაშა მოქონდა და მეტეხის აფეთქება „ღალატში“ თვითმპყრობელობის აფეთქებად გვესახებოდა.

ცოტა შეგვიანებით ქართულმა თეატრმაც დადგა „ღალატი“. დიდი მონდომებით ემზადებოდნენ მსახიობები ამ წარმოდგენისათვის; საზოგადოებაც მოუთმენლად მოელოდა საქართველოს ისტორიის ტრაგედის განსახიერებას ქართველი მსახიობების მიერ. ყველა ფიქრობდა, რომ „ღალატი“ ქართულად უკეთესი გამოვიდოდა, ვიდრე რუსულად იყო. წარმოდგენის დღეს ნერვიული მდგომარეობა იყო შექმნილი

სცენაზე და საზოგადოებაშიც. ასეთ პირობებში აიხადა ფარდა და სო-
ლეიმანმა რომ წარმოთქვა პირველი სიტყვები: „იღიდ არს ალაჰი“
ყველამ იგრძნო, რომ წარმოდგენას კარგი არ მოელოდა, მაინც იმე-
დით და რწმენით შევეყურებდით გაგრძელებას და წამდაუწუმ მოვე-
ლოდით, რომ თანდათან იქნებოდა აღებული ის გმირული ტონი, რომ-
ლითაც გამსჭვალულია სუმბათაშვილის ნაწარმოები. საუკეთესო ძაღე-
ბი იყვნენ თითქოს შემსრულებელნი, მაგრამ რატომღაც შეშინებუ-
ლებივით ლაპარაკობდნენ, თვითონ არ სწამდათ თავისი სიტყვა და
მოქმედება. აქტიორები ვერ შევიდნენ როლებში და სოლეიმანი, ზეი-
ნაბი, ოთარი, ანანია, დათო, ერეკლე, რუქაია ზულ უცხო პიროვნებანი
იყვნენ მოთამაშეებისათვის. სამწუხაროდ, ტექნიკურმა მხარემაც ხე-
ლი შეუწყო კატასტროფას: პირველ მოქმედებაში ფარდა უდროოდ
დაეშვა და მეხუთე მოქმედებაში მეტეხი აფეთქდა ნაადრევად.

ამ წარმოდგენის ჟამო მე პამფლეტი-ფელეტონი დავწერე, სახე-
ლად „მოლაღატენი“¹⁰, სადაც სასტიკად დავგმე არტისტები. ახლა
გადავიკითხე ეს და ვფიქრობ, რომ გადამეტებული სიმკაცრე გამო-
ვიჩინე მაშინ. ქართველ მსახიობებს ისეთი დიდი დამსახურება აქვთ,
იმდენი სიყვარული ჰქონდათ ქართული ხელოვნების და კულტურის.
იმდენი ვაჭირვება აუტანიათ და იმდენი თავდადებადებლობა გამოუჩე-
ნიათ, რომ ამა თუ იმ შეცდომისთვის სასჯელი არ ეკუთვნით. მერე
ჩვენმა თეატრმა გამოასწორა თავისი მარცხი და „ლაღატის“ წარმო-
დგენები გააუკეთესა...

ვუბრუნდები რუსეთის საერთო პოლიტიკურ ამბებს და ამასთან
დაკავშირებით ჩვენს საზოგადოებრიობაში მომხდარ ცვლილებებს.
იაპონიის ომში დამარცხებამ ერთიან შეარყია იმპერია, რეაქციის სუ-
ლისჩამდგმელის პლევეს მოკვლამ (1904 წ. 15 ივლისი) თავზარი დას-
ცა მმართველ წრეებს. იწყებენ დათმობებს. მანიფესტი მანიფესტს
ცვლის, მეტისა და მეტის თავისუფლების დაპირებით. ეს არავის აკმა-
ყოფილებს და მდგომარეობა გამწვავდება 1905 წელს. აჯანყებები
ხდება სხვადასხვა ადგილებში, ყველგან ცეცხლი და სისხლისღვრა
ვრცელდება.

საქართველო ჩაბმულია რევოლუციაში, მას პირველ ადგილთაგა-
ნი უკავია, მისი პოტენციალური ძალა ფართოდ იშლება. ჩვენში ორ-
ნაირი ბრძოლაა: საერთო პოლიტიკური და ეკონომიურ-სოციალური,
ერთი მხრით, და ადგილობრივი, ქართული ეროვნული, მეორე მხრით.

მე არ ვილაპარაკებ საზოგადოდ ამ ბრძოლაზე, ხოლო გავიხსენებ

ზოგიერთ ეპიზოდს, რამდენადაც ეს დაკავშირებულია ჩემს სალიტერატურო მუშაობასთან.

პრესის პირობები შედარებით გაუმჯობესდა. ცოტა თავისუფლად დავიწყეთ წერა, მთავრობის მხილება, ჩვენი მოთხოვნილებების წამოყენება. „ცნობის ფურცელს“ ახალი თანამშრომლები შეეძინა — გროგოლ რცხილაძე, ვასო აბაშიძე, შიო ჩიტაძე. სამაგიეროდ გამოაქვდა



არჩილ ჯორჯაძე, რომელიც პარიზში წავიდა, გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად, ეურნალ „საქართველოს“²⁰ გასაძღლოდა. ამ არალეგალური ორგანოს პირველი ნომერი გამოვიდა 1903 წლის მაისში. აქვე უნდა გავიხსენიო, რომ არჩილ ჯორჯაძე ავად გახდა და მის მაგივრად დროებით გიორგი ლასხიშვილი წავიდა. მერე მე უნდა გადავსახლებულიყავი უცხოეთში „საქართველოს“ გასაძღლოდად, მაგრამ რაკი რუსეთში რევოლუცია დაიწყო, ცოტა თავისუფლება დამყარდა და მეტსაც შოველოდით ახლო მომავალში, ამიტომ პარიზში ეურნალის გამოცემა შეჩერებული იქნა.

სხვა ცვლილებებიც მოხდა ქართულ პრესაში. „ივერია“ გადავიდა

ფ. გოგიჩაიშვილის ხელში, რომელმაც გაათართოვა და გააუმჯობესა იგი. სოც.-დემოკრატებმა დააარსეს ყოველდღიური გაზეთი „სხივი“.²¹ კანონდა ანარქისტული პერიოდული გამოცემა, ჯერ კვირეული „ნობათი“²² და მერმე ყოველდღიური „მუშა“.²³

მე ფელეტონებში აშკარად და მოუხრიდებლად დავიწყე ჩემი პოლიტიკური, ეროვნული და სოციალური აზრების გამოთქმა. სხვათა შორის, 1905 წ. დავწერე სასცენო სახით ფელეტონი „ჯოჯობღთში“,²⁴ სადაც გამომყავდა ტარტაროზი (რუსეთის მეფე), რომელიც ხედავს თავის საბრძანებლის დანგრევას და განსაკუთრებით უფრთხის სიტყვის თავისუფლებას. ეს ფელეტონი შემთხვევით დაიბეჭდა 9 იანვარს — გაპონის პეტერბურგში გამოსვლის დღეს. ალ. ჯაბადარმა მითხრა მეორე დღეს: სტამბაში გადაკეპამდე გადავათვალიერე შენი ფელეტონი, შემეშინდა, მის გამო გაზეთი არ დაგვიხურონ და მინდოდა ზოგი ადგილის ამოღება, მაგრამ დამენანა და ვთქვი: რაც იქნება, იქნება-თქო. ფელეტონი ძალიან პოპულარული გახდა და თელავში სცენაზეც კი დადგეს. ერთმა ქართველმა სტუდენტმა მოსკოვში რუსულად გადათარგმნა და გაზ. „Русские ведомости“-ის მიუტანა. გაზეთმა ვერ დაბეჭდა, გამოცემას დაუვიხურავენო.

საქართველოში რევოლუციურ გამოსვლებში პირველი ადგილი ეკავა გურიას. გურული გლეხების მოძრაობამ მთელი რუსეთი აალაპარაკა. მათ წინააღმდეგ მიღებული რეპრესიები მთელ ქართველობას აღელვებდა. ლიბერალურმა სიომ რომ დაჰბერა და კავკასიაში მეფის მოადგილედ ვარანცოვ-დაშკოვი დაინიშნა, ვითომ მშვიდობიანობის დასამყარებლად რეფორმების წყალობით, ზოგიერთები მოელოდნენ, რომ რეპრესიები შენელდებოდა. ცრუ იმედი იყო და ეს მალეც დაჰტკიცდა. 1905 წ. თებერვლის დამლევს გურიაში გაიგზავნა მეფის მოადგილის თანამემწე კრიმ-გირეი, ლიბერალური მიმართულების და პატიოსანი კაციო, ამბობდნენ მაშინ. მას უნდა გამოერკვია გურიის ამბები და მოესმინა გლეხთა მოთხოვნილებანი.

ქართულ გაზეთებს ნება დართეს კორესპონდენტები გაეყობინათ და ყველაფერი დაწვრილებით აეწერათ. „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში შე მომანდო ეს საქმე. ერთი კვირა დავრჩი გურიაში, რამდენიმე სოფელი მოვიარე კრიმ-გირეისთან ერთად და გაზეთის მკითხველებს ვავაცანი გლეხთა მოთხოვნილებანი, მე რომ წამოვედი, ჩემს მაგიერობას ეწეოდა ილია ნაკაშიძე. ჩვენმა წერილებმა დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში.

ძლიერი იყო მასიური მოძრაობა გორის მაზრაში და აგრეთვე ქიზიყში. საერთოდ მთელი საქართველო ამოძრავდა. სული უკმაყოფილებისა, პროტესტისა, წინააღმდეგობისა და ბრძოლის შეიქრა ყოველ წრეში და ეს გამოიხატებოდა ან უშუალო აქტივობით ან მოთხოვნათა წარდგენით. კერძოდ, თბილისში გაფიცვა, დემონსტრაცია, მიტინგი, მოკვლა მთავრობის აგენტებისა ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცა.

31 მაისს ქართველ სამღვდლოებას სემინარიის შენობაში კრება ჰქონდა. შეუცვივდნენ ყაზახები, ძალით გარეკეს კრება, სცემეს მღვდლებს და ბევრი დაასისხლიანეს. ამ ამბავმა მთელი ქართველობა ააღელვა. სალამოს მღვდლები შეიკრიბნენ და, სხვათა შორის, მეც მიმიწვიეს. მე სიტყვით მიემართე და ვურჩიე მხნედ ყოფილიყვნენ და ბრძოლა გაეგრძელებიათ.

აგვისტოს 29-ს ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში კრება იყო. შევიარდნენ ყაზახები, დაუშინეს შეკრებილთ თოფები და 40-მდე მოკლეს და ბევრი კიდევ დაჭრეს...

ასე გრძელდებოდა 17 ოქტომბრამდის, როდესაც გამოვიდა იმპერატორის ახალი მანიფესტი, თითქოს საკონსტიტუციო წყობილება მყარდებოდა და ამას უნდა მოჰყოლოდა ერთგვარი დამშვიდება. მანიფესტის გამო თბილისში მანიფესტაციები გაიმართა. 22 ოქტომბერს რუსმა შავრაზმელებმა კონტრმანიფესტაცია მოაწყვეს ჯარის მონაწილეობით, დაერივნენ ქუჩაში მშვიდობიან ხალხს და ბევრი დახოცეს და დაჭრეს.

მე პირადად ამ დროს თბილისში არ ვიყავი. პეტერბურგში მოწვეული იყო მთელი რუსეთის ეურნალისტების კრება. ამ კრებაზე დასასწრებლად გაგზავნილი ვიყავით მე და პ. სურგულაძე. ვორონეჟს რომ მივუახლოვდით, დაიწყო რკინიგზის გაფიცვები და შეწყდა ყოველი მიმოსვლა. რამდენიმე დღე ერთ სადგურზე ვიდექით. ეცხოვრობდით ვაკონებში, საზრდო გვეძლეოდა რკინიგზის სამმართველოსაგან. ირგვლივ რა ხდებოდა, არ ვიცოდით. ხანდახან სადგურის უფროსი რაიმე ცნობას მოგვაწოდებდა. 17 ოქტომბერს რაღაც ხმები გავრცელდა, დიდი ამბები მოხდაო. სალამოს ჩვენი მატარებელი დაიძრა და მეორე დღეს მოსკოვში ვიყავით. ვეცით გაზეთებს, ჟავიგეთ მანიფესტის გამოცხადება. იგი არავის აკმაყოფილებდა, ყოველმხრივ გაისმოდა მუქარა იმპერატორისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ. შევიარეთ უნივერსიტეტში. ყველა აუდიტორიაში მიტინგები იყო და გაცხარებული რევოლუციური სიტყვები გაისმოდა. გაზეთები, ფურცლები, კარი-

კატურები მოურიდებლად დასცინოდნენ რეჟიმს. იმ საღამოსვე აეტრებურგისაკენ გაეწიეთ. იქაც იგივე ამბები დაგვხვდა — ზღელვარება, არეულობა. მუშების დიდი დემონსტრაცია უნდა მომხდარიყო. მაგრამ უკანასკნელ ჟამს შეთაურებმა გაიგეს გრადონაჩალნიკის პროვოკაციული განზრახვები და თავი შეიკავეს, მოერიდნენ სისხლანღვრას.

ჟურნალისტების კრება აღარ შედგა და რამდენიმე დღის შემდეგ უკან გამოვბრუნდით. თბილისში დაგვხვდა ზემოთ დასახელებული ამბავი, რომელსაც შემდეგ უარესები მოჰყვა. ცხადი იყო, თუ მთავრობა ერთ ნაბიჯს გადადგამდა, ორით უკან იხევდა. კონსტიტუცია გამოაცხადეს, ამავე დრო სამხედრო წესები შემოიღეს და რეპრესიები გააძლიერეს.

მთავრობამ ასეთ ზომასაც მიმართა: ხელი შეუწყო, ან უკეთ, თვითონ მოაწყო სომეხ-თათართა შეტაკება, რომელიც აზერბაიჯანში და სომხეთში დაიწყო და ნოემბერში თბილისშიც გადმოვიდა. ქართველები ენერგიულად ჩაერივნენ და ჩვენში ეს სისხლისღვრა ვერ გაიშალა და მალე ჩაქრა. მახსოვს, დიდი მიტინგი გაიმართა ვანქის ეზოში მებრძოლთა მოსარიგებლად და მეც მომიხდა სიტყვის თქმა. ამის შემდეგ ჩამოვიარეთ სომხის და თათრის უბნები, მოუუწოდებდით შერიგებისა და მშვიდობისათვის.

22 დეკემბერს რედაქციაში ვიყავით თანამშრომლები. სომხის სემინარიის ყოფილი შენობიდან ვილაყამ ყუმბარა ესროლა ყაზახებს. ამის გამო გამოიწვიეს ჯარი, შენობას ცეცხლი წაუეციდეს და ბევრი ადამიანიც მოკლეს. ჯარისკაცთა თარეშმა კინალამ ჩვენს რედაქციამდე მოაღწია.

არ გასულა ამის შემდეგ ერთი კვირა, რომ ბინაზე (ჭავჭავაძის და გრიბოედოვის კუთხეში) ოფიცერი მეწვია ჯარისკაცებით. გამჩხრიკეს და დამატუსაღეს. წამიყვანეს საკომენდანტოში. იმ ბევრი სხვა დამხვდა დატუსაღებული და მერეც მოიყვანეს. ახლობელ ნაცნობებში იყვნენ ვლ. ლორთქიფანიძე და ფ. გოგიჩაიშვილი. წაგვიყვანეს მეტეხში. ციხის უფროსმა არ მოვილო, ადგილი არა მაქვსო. დაგვაბრუნეს უკან. გაიმართა ტელეფონით მოლაპარაკება. გაგვგზავნეს მეორედ და როგორც იყო მიგვიღეს. ციხეში დავრჩი თვენახევარი, ვლ. ლორთქიფანიძესთან ერთ საკანში. ციხის რეჟიმი შედარებით მსუბუქი იყო, უკეთესი, ვიდრე 1910 წ., როცა მეორედ მომიხდა იქ ყოფნა. ყველაფერს ვიღებდით გარედან — წიგნებს, გაზეთებს, წერო-

ლებს, გაზეთშიაც ვთანამშრომლობდით. ჩემი ტუსადობის დროს ჩემი ფელეტონების ნაცვლად იბეჭდებოდა შ. ჩიტაძის („ყვავის“ ფსევდონიმით) „პატარა ამბების მაგიერ“. მოგვდიოდა ამბები ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის საშინელი მოქმედებისა იმერეთში, განსაკუთრებით გურიაში, და გული ნალველით გვევსებოდა. წარმოუდგენელი ამბები ხდებოდა ქართლშიც. 1906 წ. 17 იანვარს ყუმბარის ძლიერი ხმა მოგვესმა, გვეგონა სადღაც, სულ მახლობლად. მალე გავიგეთ, რომ არსენა ჯორჯიაშვილმა ჯალათი ჯენერალი გრიაზნოვი მოკლა („მოაშორა ხალხს მისი ქირი“, როგორც გმირზე გამოთქმული ლექსი ამბობს).

ჩემი დატუსალების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ჩემს ფელეტონებში ხშირად თავს ვესხმოდით შირინკინს, მეფის მოადგილის თანაშემწეს, საპოლიციო ნაწილის უფროსს. თურმე ციმბირში გადასახლებას მიპირებდა, მაგრამ ერთი ჩემი კარგი ნაცნობის საქმეში ჩარევამ გადამარჩინა.

ციხიდან რომ გამომიშვეს, მეორე თუ მესამე დღეს, 19 თებერვალს, „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა ჩემი ჩვეულებრივი ფელეტონი, რომელშიაც მკაცრად შევეუტიე მთავრობას და შირინკინიც არ დავზოგე. ფელეტონს ასე ვათავებდი: „ჩვეყანა მაინც ბრუნავს“. მეორე დღეს საღამოს 9 — 10 ს. ჩემთან მოვიდა ს. მღვიანი და მითხრა: შირინკინი ფაბრაზებულა შენი წერილის გამო და ხელახლა დაჭერას გიპირებს, ამიტომ ამაღამ სხვაგან უნდა დაიძინო, „ა ხვალ თბილისიდან წახვიდე“.

მეორე დღეს საჩქაროდ მოვემზადე და გავწიე პეტერბურგისაკენ, რომელიც იმ დროს უკეთესი თავშესაფარი იყო დევნილებისათვის. თანაც იქ მეგობარი მყავდა.

ნ. მარს უყვარდა ჩემი წერილები და პეტერბურგში ყოფნის დროს ხან ის მოდიოდა ჩემთან, ხან მე მივდიოდი მის ბინაზე. მასთან საუბარი მეტად საინტერესო იყო. გასაოცარი ერუდიციის და გენიალური ინტუიციის ადამიანი იყო. ერთი საუბრის დროს ვთხოვე დაეწერა საქართველოს მოკლე ისტორია: ეს მალე შეასრულა და ფაშო-ოცა ამ სათაურით „История Грузии (культурно-исторический панорам)“. გურიის მოძრაობასაც უძღვნა ერთი ბროშურა. ცხარედ ებრძოდა ვოსტოგოვს და სხვებს — ქართული კულტურის უარყოფელთ. მე საქართველოს ავტონომიას ვიცავდი, ის მთელი კავკასიის ერთი ავტონომიის მომხრე იყო, ქართველს ფართო ასპარეზი სჭირია სამოქმედოთ.

პეტერბურგში გავიგე „ცნობის ფურცლის“ დახურვა. იგი ქართული პრესის სასახელოდ გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე. ოფიციალური გაზეთის „Кавказ“²⁶-ის 18 მარტის ნომერში დაიბეჭდა თბილისის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის ტიმოფეევის მუქარა²⁷ „ცნობის ფურცლის“ მიმართ: ყალბ ცნობებს აქვეყნებენ, ვითომ ჯარი სახლებს წვავდეს, ხოცავდეს ხალხს, აუპატიურებდეს ქალებს და სხვ. გაძლევ ერთი კვირის ვადას, რომ წარმოადგინო „დაურღვეველი საბუთები“ შენი ცნობების დასამტკიცებლად.

გაზეთმა ღირსეული პასუხი გასცა ამ მუქარას 24 მარტს. ჯერ ვრცლად და უშიშრად გააკრიტიკა ტიმოფეევის წერილი: ჩვენ შებორკილი ვიყავით და ყველაფერი ვერ ვთქვით, თორემ სინამდვილე უარესია, ვიდრე ჩვენ ვწერდით, საკმარისია, მარტო რკინიგზით ჩველა ქართლ-იმერეთზე, რომ დავინახოთ, თუ რა გაუგონარ სატანჯველშია ხალხი — ყველგან ნანგრევები, ცეცხლი, ურემლი და სისხლიაო. მაგრამ თუ გუბერნატორი ახალ საბუთებს მოითხოვს, აი, „დაურღვეველი საბუთები“,²⁸ და გაზეთმა მთელი ნომერი გაავსო ოფიციალური დოკუმენტებით მთავრობისა და მისი ჯარის საზიზღარი აქტების შესახებ.

ამის შედეგი ის იყო, რომ მთავრობამ მეორე დღეს იგაზეთი დახურა.

მე რომ თბილისში ჩამოვედი, ამ გაზეთის მაგიერ გამოდიოდა „შრომა“.²⁹ მე დავეუბრუნდი ჩემს ხელობას და დავიწყე იქ თანამშრომლობა.

მე როგორც გამომცემელი და რედაქტორი

წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი (ბიბლიოთეკა და კანცელარია ერთად იყო), წიგნის მაღაზიის ვაჭრობა და მოქმედება ჩემ თვალწინ ხდებოდა. მწერალთა და მწიგნობართა შორის ვტრიალებდი და კარგად ვხედავდი ქართული წიგნის სიცოტავეს და სიღარიბეს. წელიწადში ორიოდე წიგნი თუ დაიბეჭდებოდა და ისიც წლობით ეწყო თაროებზე ხელუხლებელი. რატომ იყო ეს, რატომ არ იბეჭდებოდა ქართული წიგნი? კეთილი სურვილის და მონდომების უქონლობის გამო ხომ არა? მოდი, ვცდი კარგი წიგნის გამოცემას, ეგებ იპოვნოს მკითხველი, ვიფიქრე: ახალგაზრდა ყოველთვის სავსეა იმედებით.


მწერლობას რომ ხელი მოეციდე და გაზ. „დროებას“³⁰ გაეცანი, ძალიან მიმიზიდა ს. მესხის პიროვნებამ, რომელიც იყო ქართული ჟურნალიზმის მამამთავარი, გულწრფელი დემოკრატი და ამასთან მაღალი ზნეობის ადამიანი. მახ და გაზ. „დროებას“ რამდენიმე წერილი ეუძღვენი „ცნობის ფურცელში“. ჩემი ინიციატივით 1916 წ. „დროების“ 50 წლისთავი აღინიშნა.³¹ და, სხვათა შორის, ფაზ. „სახალხო ფურცელმა“³² დაბეჭდა „დროების“ პირველი ნომერი სრულიად იმ სახით. როგორც 1866 წელს გამოვიდა და დაუბრია თავის ხელის მომწერლებს.

განვიზრახე, ჩემი პატივისცემა ს. მესხის სალიტერატურო მოღვაწეობისა აღმენიშნა მისი რჩეული ნაწერების გამოცემით. ეს უეჭველად საინტერესო წიგნი გამოვიდოდა და მკითხველი — მყიდველი ეყოლებოდა. დამეხმარა ძველი მწიგნობარი ი. ქყონია (ფსევდ. მაგმაძე). მუშაობდა ჟურნალ-გაზეთებში, აქვს რამდენიმე წიგნიც გამოცემული). მან გადმომიწერა დროებიდან ს. მესხის ნაწერები. მე ამოვარჩიე, რაც საუკეთესო და დამახასიათებელი იყო. თხზულებანი ორ ტომად იყო გათვალისწინებული. პირველში მოთავსდა 1860—1878 წწ. ნაწერები და მეორეში იქნებოდა დანარჩენი და აგრეთვე ს. მესხის ბარათები და მოგონებანი მის შესახებ. პირველი ტომი გამოვიდა 1903 წ. გაზაფხულზე. სამწუხაროდ, წიგნი მყიდველებს არ დაუტაციათ, იყიდებოდა მძიმედ, ცოტა, როგორც სხვა წიგნი. ამიტომ მეორე ტომის გამოცემა ველარ შეეძელი. მაგრამ გამომცემლობის ხალისი აშან არ დამიკარგა. წ. ქ. საზოგადოების მალაზიის გამგე იყო შ. ქუჩუაშვილი (საბავშვო პოეტი შ. მღვიმელი), ბუღალტრად მსახურობდა ვ. ედილაშვილი. ჩვენ სამი შევეთანხმდით და შევადგინეთ ამხანაგობა „ტოროლა“ (სიტყვიერად, არავითარი ხელშეკრულობა არ დაგვიწერია). რომ დაგვებეჭდა ქართული წიგნები, ფული ჩვენ არ გავკაჩნდა, მაგრამ იმის იმედი გვქონდა, რომ მესტამბეს და ქალაქის ვაქარს კარგად ვიცნობდით და ერთიც და მეორეც კრედიტს ფავინისნიდა. ვარჩიეთ, თუ რა გამოგვეცა პირველად და შევჩერდით ია ეკალაძეზე (იაკ. ცინცაძე, იგივე „თომანთ კობა“).³³ იგი დიდი ღირსების მწერალი არ იყო, მაგრამ მიგვიზიდავდა მისი გმირები. 'კეთილი სურვილის პირები, მართლის მაძიებელნი. იგი ჩვენთან დაახლოებულიც იყო (შიოს მეგობრობდა), ვთქვით: ახალგაზრდა მწერალია; მივცეთ საშუალება, გზა გაიკაფოს. ანუარაში არ გაგვიმართლდა. ია ეკალაძის ნაწერებზე სრულებით ვერ მიიზიდა მკითხველი საზოგადოება. კრიტი-

კა ცუდად შეხვდა — ავტორი სუსტი ნიკის პატრონია, მისი აზრები დამაჯერებელი არაა, მისი სამხატვრო ფერები მეტად მკრთალიაო. გამომცემლებმა ძლივ-ძლივობით დაეფარეთ ხარჯები და ჩვენი ამხანაგობის კარებიც უამოქვეტეთ.

შემდეგი ჩემი გამოცემული წიგნი იყო „გვირგვინი“²⁴ — სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული. 1911 წ. გარდაიცვალა ჩემო მეგობარი (ალ. მიქელაძე), ნიჭიერი ახალგაზრდა და მისმა პატივისმცემელმა რაშდენიმე პირმა შევადგინეთ ეს კრებული და ვუძღვენით მის ხსოვნას. წიგნის ინიციატივა და გამოცემა ჩემი საქმე იყო და ამის განხორციელება შევძელი 1913 წ. გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

კოპენჰაგენში, სხვათა შორის, დაიბეჭდა ჩემი „გლოვის ზარი“.



ალექსანდრე (კუპია) მიქელაძე და სამსონ ფირცხალავა 1900 წ.

მანინ კენზორად იყო ი. პოლუნე ალდინოვი. კაკი თვითონ ლიტერატორი, რომელიც მეტად ლმობიერად ეპყრობოდა დასაბეჭდ მასალას და ჩემთან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. მხოლოდ რამდენიმე ადგილი წაშალა ჩემს ნაწარმოებში, მაგრამ ამასთან გამაფრთხილა, ჩემს ცენზურაში გატარება ვერ იხსნის შენს ნაწარმოებს აღმი-

ნისტრაციის თავდასხმისაგან და მე შეშინია, რომ კრებულის კონფის-
კაცია არ მოახდინონ შენი „გლოვის ზარის“ მიზეზითო. მოვითათბირე
ამხანაგებთან ამის გამო და შირჩიეს, რომ უთუოდ ამოგველო კიდევ
ზოგიერთი საშიში ადგილი და წიგნი გადაგვერჩინა დალუპვას. ერთმა
ამხანაგმა თვითონ იკისრა ასეთი ადგილების დანიშვნა. ამ შესწორებით
გამოვიდა კრებული და აღმინისტრაციამ ვერაფერი იპოვნა ხელჩასა-
ჭიდებელი. „გვირგვინის“ იმ ეგზემპლარებში, რომლებიც წ. კ. საზო-
გადოების ბიბლიოთეკას გადავეცი, ჩემი საკუთარი ხელით ჩავეწერე
ამოღებული ადგილები. ასევე შევსებული მქონდა ჩემი ცალიც, რო-
მელიც შემდეგ დამეკარგა, მაგრამ, ალბათ, სადმე არსებობს.

უკანასკნელი ჩემი გამოცემული წიგნია ნ. ბარათაშვილის თხზუ-
ლებათა პირველი აკადემიური გამოცემა 1922 წლისა,²⁸ ეს კოლექტი-
ური ნაშრომი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დროთა ვითარების წყალო-
ბით მარტო მე დამაწვა კისერზე.

პოეტ ნ. ბარათაშვილის ნათესავეებში იყო ერთი — ნიკოლოზ რევა-
ზის-ძე ერისთავი, რომელსაც დაახლოებული ურთიერთობა ჰქონდა
ჩვენს ლიტერატურულ წრეებთან. ის იყო პოეტის დის—ეკატერინეს
შვილი, იმ ეკატერინესი, რომლის ქორწილს ისე აღტაცებით აგვი-
წერს ნ. ბარათაშვილი თავის ბიძა ზაქარია ორბელიანთან მიწერილ
ბარათში. ის მეგობრობდა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც მის სახლში
ჰიდიოდა კარტის სათამაშოდ ან მას თავის სახლში მოიწვევდა. ხანდა-
ხან ერთადაც სადილობდნენ.

ნ. ერისთავი ჩვენი რედაქციის („ცნობის ფურცლის“ და სხვ.) მე-
გობარიც იყო, ხშირად გვესტუმრებოდა, უმაღლეს მმართველ წრეე-
ბის ახალ ამბებსაც და ჭორებს მოგვიტანდა, რადგან აქ ნაცნობობა
ჰყავდა. ერთ კვირა დღეს რედაქციაში ვიყავი, ნ. ერისთავი გვეწვია.
იმ დღეს სომხის სემინარიის ძველი შენობიდან ვილაცამ კაზაკებს
ყუმბარა ესროლა, ამის საპასუხოდ ჯარმა ზარბაზნები დაუშინა
ხალხსა და სახლს. ჩვენი რედაქციის ბინა იქვე ახლო იყო (დიდი ვან-
ქის, ახლა პრესის ქ.) და ზარბაზნის ხმა ისე გვესმოდა, რომ თითქოზ
ჩვენ გვესროდნენ. შესაძლებელი კი იყო, რომ ჩვენსკენაც გამოწე-
ულიყვნენ. ნ. ერისთავს სრულებით არ შეშინებია, მხოლოდ სწუხდა
იმას, რომ ჩემი შიშით, ჩემი ცოლი გადაირევაო. მე რომ 1905 წ. და-
მიკირეს და გადასახლებას მიპირებდნენ, ნ. ერისთავი გამომესარჩლა
(თავის ნებით) და შირინკინს (საპოლიციო ნაწილის უფროსს მთელ
კავკასიაში) უთხრა: ფირცხალავას გადასახლნებას ყველა ისე შეხე-

დავს, როგორც თქვენს პირად შურისძიებასო (მე წერილები მქონდა მის წინააღმდეგ), იმჟამად მართლაც მომიხსნეს გადასახლება.

ერთი ამბავი გამიგონია ამ ნ. ერისთავზე. მისი ცოლი იყო თამამ-შევის ქალი, დიდი მზითევის მომტანი. ქალის ზოგიერთ ნათესავენს არ უნდოდათ, რომ ეს ფულიანი ქალი ქართველ თავაღს მისთხოვებო-და და ხმა გაავრცელებს: ერისთავი ავადმყოფია, ცოლი არ უნდა შეირთოსო. ეს რომ გრ. ორბელიანმა გაიგო, ძალიან გაჭავრდა, ბარა-თაანთ და ორბელიანთა მთელი გვარეულობის შეურაცხყოფად მიი-ლო, ვინ გაბედა ჩემი დის შვილისშვილზე ასეთი ჭორის მოგონებაო. მაშინვე ცნობილ ექიმების კომისია შეადგენინა. გასინჯეს ახალგაზრდა სასიძო და სრულებით ჯანმრთელად იცნეს.

აი ეს ნ. ერისთავი კარგა ხანია ფიქრობდა თავის დიდებული ბი-ძის თხზულებათა ძვირფასად გამოცემას, რედაქციასიც გველაპარაკე-ბოდა ამის თაობაზე. მაგრამ დღესხვედრებით დრო გავიდა და ისე გარდაიცვალა უეცრად, რომ თავისი განზრახვა შეუსრულებელი დარ-ჩა. ამ განზრახვის უანხორციელება თავს იდგა განსვენებულის მე-ულლემ ეკატერინე მიხეილის ასულმა, ფრიად სიმშათიურმა ადამიანმა, რომელსაც დიდად უყვარდა თავისი ქმარი; მოიწვია ქართველი მწერ-ლები (კ. აბაშიძე, ი. გელევანიშვილი, ი. გრიშაშვილი, ნ. ერისთავი (ბიძაშვილი განსვენებულის), გ. ევზირიშვილი (დეიდაშვილი), გ. ლას-ხიშვილი, ი. ჯავახიშვილი, გ. თუმანიშვილი, გ. ყურული და ს. ფირ-ცხალავა)³⁶ და სთხოვა მათ, მოეწყოთ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა მდიდარული და სრული გამოცემა. დასახელებული პირებისაგან შემ-დგარ კოლეგიას რამდენიმე სხდომა ჰქონდა და შეიმუშავეს გეგმა.

საუბედუროდ, ომმა და მოწყოლმა ამბებმა ნორმალური ცხოვრება არივ-ღარიეს, ჩვენი კოლეგიის წევრი ზოგი თბილისიდან წავიდა, ზო-გი ისეთ სამუშაოში ჩაება, რომ მოცლა არ ჰქონდა, ზოგი გარდაიც-ვალა. კოლეგია ფაქტიურად დაიშალა. დაერჩით მე და პატივცემული ეკატერინე, რომელთაც უნდა გვეზრუნა გამოცემისთვის. მე თავი ვერ გავანებე საქმეს, ამის ნებას არ მაძლევდა არც პოეტის პატივისცემა და სიყვარული, არც ნაკისრი მოვალეობის შეგნება.

მოვიკიდე ხელი და რამდენიმე წლის განმავლობაში მხნედ ვუ-შაობდი, ვცდილობდი ყოველი შესაძლებლობის გამოყენებას, განსა-კუთრებით მინდოდა, რომ ზუსტად აღმენიშნა ავტოგრაფების განსხვა-ვებანი, თუნდაც წვრილმანი, იმ მიზნით, რომ თუ ვინიცობაა ზოგი ავტოგრაფი დაიკარგება, ჩვენ ხელთ გვექნება მისი თავისებურება. გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა ზოგიერთი სურათი, დამახასი-

ათებელი ნ. ბარათაშვილის ეპოქის, და აგრეთვე შიხ. თუმანიშვილის დახატული ესკიზი, ვითომც ნ. ბარათაშვილის სახისა, აღნიშნული ქვეშ მიწერით HB. დღესაც გარკვეული არაფერი ვიცით ამ საგანზე, ვინაა ეს HB, მაგრამ ერთ გარემოებას უნდა მიეჭყეს ყურადღება. დ. ყიფიანის შეუღლე გალაჭრით ამბობს, რომ პოეტი ძალიან ჰგავდა



ნ. ბარათაშვილი

ლექსები
გაღიქართლისა
წერილები

ი:

ჟ:

ტფლის 1922 წელსა

თავის დას სოფიოს (სუმბათაშვილისას). მართლაც, თუ შევადარებთ HB-ის სახეს სოფიო სუმბათაშვილის პორტრეტს, მსგავსებას უეჭველად შევნიშნავთ (იხ. ბარათაშვილი, 1922 წ. გამოცემა, გვ. X). შიხ. თუმანიშვილი მხატვარი არ იყო, მისი დახატული უბრალო, ზოგადი მოხაზულობაა და ალბათ დაახლოებით წააგავს პოეტის სახეს. მას ესაჭიროება შევსება და შესწორება, სხვა ცნობილების მიხედვით.

ასე იყო თუ ისე, „ნ. ბარათაშვილი. 1922 წ.“, ნიკოლოზ ერისთა-

ვის განზრახული და მისი მეუღლის მუყაითობით შესრულებული, თვალსაჩინო მოვლენა იყო ქართული წიგნის ისტორიაში, პირველ აკადემიური ხასიათის გამოცემა ქართულ ენაზე.



უფრო ფართო და ნაყოფიერი იყო ჩემი სარედაქტორო და საგამომცემლო მუშაობა ყოველკვირეული ჟურნალების „გლეხი“ — „მიწის“ და „მზე“ — „ფასკუნჯის“ დაარსებასა და გაძღოლაში.³⁷

საქართველოში გლეხთა სარევილუციო მოძრაობა დაიწყო გური-აში პირველად და იქიდან მთელ საქართველოს მოედო, განსაკუთრებით 1905 — 1906 წლებში. გლეხების გამოსვლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მრეწველობის სუსტი ქანავითარების გამო ჩვენს ქალაქებში არ იყო დაგროვილი მრავალრიცხოვანი რაზმები მუშები-სა, და ქალაქის ბრძოლას აუცილებლად ესაჭიროებოდა ზურგის გამაგრება სოფლის მხრით. ამ სოფლის ხელმძღვანელობა და მისი ამოძრავების საუკეთესოდ გამოყენება ადვილი საქმე არ იყო. გლეხობა მისი ცხოვრების პირობების მიზეზით დაქსაქსული იყო და ნაკლები ცოდნა და მომზადება ჰქონდა, ვიდრე ფაბრიკა-ქარხნის მუშებს ქალაქებში.

აი ამ საქმეში რომ ცოტა დახმარება გამეწია გლეხებისთვის და მიმეწოდებინა მდაბიურ, ხალხურ ენაზე საპირო ცნობები, დავაარსე საგლეხო გაზეთი, სახელად „გლეხი“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წ. 22 ივნისს. რომ დღევანდელმა მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს მაშინდელ სულიერ განწყობილებაზე, ენასა და სტილზე, მოვიტან მეთაურიდან ზოგიერთს ადგილს: „ვინ არის გლეხი? ვის ემსახურება ჩვენი გაზეთი? რა აწერია დროშაზე, რომელიც ხელში ავიღეთ და რომელმაც უნდა გვიწინამძღვროს ცხოვრებაში?.. გლეხის ადამიანია, რომელიც დღე და ღამ მუშაობს, სისხლის ოფლს ღვრის, რომელმაც არ იცის არც ძილი, არც მოსვენება, რომლისთვის არ არსებობს არც ზაფხული და არც ზამთარი, რომელიც მუშაობს დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე და ვერასოდეს გაუთავებია მუშაობა... გლეხი ის ადამიანია, ვინც მუდამ მშვიდია, შიშველი, წელში მოხრილი, ცხოვრობს პირუტყვებთან ერთად მიწურში ან ნახევრად დანგრეულ ქოხში, ვინც იტანჯება ათასნაირ ავადმყოფობით და შევიწროვებით და ვისაც ამ ტანჯვაში ხდება სული... გლეხის და მისი ძმის, ქალაქის მუ-

შის შექმნილია ქვეყნის მთელი სიმდიდრე და მათ ბედნიერი ცხოვრება ეღირსებათ მხოლოდ მაშინ, როდესაც მოისპობა მიწის, ქარხანა-ფაბრიკის, რკინიგზების და სხვ. კერძო საკუთრება, აღარ იქნებიან მუქთახორა მემამულეები, მექარხნეები, ვაჭრები და მთელი სიმდიდრე გადავა მუშა ხალხის ხელში. გლეხო, მუშა გლეხო, გაიმართე წელში, ჰქარ ხელი შენს მჩაგვრელებს და მწამებლებს და შესძახე: „კმარა ჩაგვრა და ტანჯვა, მე აღამიანი ვარ და არ მინდა სხვისი ლუკმა ვიყო, სხვას ვემონო... ჩემი მარჯვენის ნაყოფი მე უნდა მეკუთვნოდეს და ვაი იმას, ვინც წინ გადამიდგება და მოინდომებს, კვლავ დამჩაგროს და დამიმონოს! გაუმარჯოს ბრძოლას მიწისა და თავისუფლებათათვის!“

სადაც წოდებაა მარტო კაპიტალი

გლეხი

შენს ხალხობას წოდებდა გლეხი
სახის თითონ მის ვაჭარს ნომარა
სხვას მიყენა მადარა მე ადამიანობის
ქებას და ვინც ვერ გასწავლა ხალხისთვის
მეცხადება

წმინდა კაპიტალიზმის სასიკეთოდ

მეთაურს მოსდევდა ირ, ევდოშვილის ე.წ. „გლეხი“. შემდეგ იყო წერილები: „მშრომელო ხალხო, შეერთდიო“, „ახლოვდება განკითხვის დღე“, „სახელმწიფო სათათბირო“, „სათათბიროს მშრომელთა ჯგუფის პროგრამა“, სარევოლუციო მოძრაობის ამბები საქართველოში, გაზეთებიდან ამოკრეფილი და საკუთარ კორესპონდენტების მოწოდებული, მოძრაობა რუსეთში — გლეხებში, მუშებში და ჯარში. ნომერი თავდებოდა შ. არაგვისპირელის ზღაპრით „...და აპა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“.

ამ სახის იყო შემდეგი ნომრებიც. „გლეხი“ გამოვიდა სულ შვიდი ნომერი. ადმინისტრაციამ დახურა და ათი დღის შემდეგ მე გამო-

ვეცი სამაგიერო ჟურნალი „მიწა“, რომლის მეთაური ამ სიტყვებით იწყებოდა: „ვისი გაზეთია „მიწა“? გლეხის, მიწისმუშა გლეხის...“

„მიწა“ იყო იგივე „გლეხი“, იმავე თანამშრომლებით და მიმართულებით. ერთისა და მეორის ხელმძღვანელი და მთავარი შემდგენელი ვიყავი მე. ვწერდი მეთაურებს, სხვა წერილებს, ვთარგმნიდი, ვაგროვებდი ამბებს, ვიყავი ხშირად ექსპედიტორი, ვასრულებდი სხვადასხვა წერილმან სამუშაოს. მაგრამ მყავდა გარედან მომსვლელი მეგობარი თანამშრომლები — გლეხები, მუშები, ინტელიგენტები, რომლებიც მაწვდიდნენ სხვადასხვა სახის მასალებს.

გაზეთი აწოდებდა თავის შკითხველებს სარეგოლუციო მოძრაობის ამბებს, არკვევდა ეკონომიურს, პოლიტიკურს და სოციალურ საკითხებს, უჩვენებდა, თუ როგორ იბრძოდნენ უგლეხები სხვა ქვეყნებში (საფრანგეთში, იტალიაში) განთავისუფლებისათვის; მოუწოდებდა მათ, რომ იმოქმედონ ორგანიზებულად, შეკავშირდნენ, ერთად იყვნენ ქალაქის მუშებთან, მოიპოვონ თავისუფლება და მიწა, თვითონ გაუძღვენ თავის საქმეებს და მოემზადონ სოციალიზმისთვის, რომელიც მიანიჭებს მათ ბედნიერებას.

„გლეხსა“ და „მიწაში“ ვათავსებდი ლექსებს და ბელეტრისტულ ნაწარმოებებსაც. დაებეჭდე ლექსები ირ. ევდოშვილის, ვაჟა-ფშაველასი, თ. რაზიკაშვილის, შ. მღვიმელის, ა. შანშიაშვილის, დ. მეგრელის, ვ. რუხაძის, დ. თომაშვილის, შინატეხელის, ახოსპირელის, ზომლეთელის, ველისციხელის და სხვ. და ბელეტრისტული ნაწარმოებები შ. არაგვისპირელის, ნ. ნაკაშიძის, ს. გუნცაძის (ს. მგალობლიშვილის), ვ. მალაქიაშვილის, ია ეკალაძის.

ჩემი საგლეხო გამოცემა ძალიან პოპულარული იყო. პირველ ხანებში მყიდველები ერთმანეთს სტაკებდნენ ხელში „გლეხსა“ და „მიწას“ და მოუთმენლად ელოდებოდნენ მორიგი ნომრის გამოსვლას. ერთხანს გაზეთი სასაბჭოელო სიყვანი გახდა. გაზეთს ექვსი კაპიკი ეწერა ფასად, მაგრამ ზოგმა ათ კაპიკად დაიწყო გაყიდვა. ბევრისგან მომდიოდა დიდი კმაყოფილების და მადლობის წერილები. ერთგან წარმოდგენა გაემართათ და მისი შემოსავალი ჩვენს რედაქციას შემოსწირეს. გაზეთის ტირაჟი 4500-მდე აღიოდა. ეს იმ დროისთვის ძალიან დიდი იყო, რადგან მაშინ ყველაზე უფრო გავრცელებული ყოველდღიური ქართული გაზეთი „ცნობის ფურცელი“ მ ათასამდის გადიოდა მხოლოდ. „მიწამ“ გამოსცა „საგლეხო კალენდარი“ (უფასოდ

დაურიგდა ხელისმომწერლებს), ბროშურა „როგორ უნდა მოეწყოს მიწის საქმე“ და სხე.

„გლეხი — მიწა“ რევოლუციის წარმოშობილი და სარევოლუციო ორჯანო იყო. რეაქცია გაძლიერდა. ამან გამოიწვია საერთო სულიერი დაცემა, მოღუნება, ხალხს დაეკარგა ხალისი მოქმედების, ბრძოლის, ეს დაეტყო ჩვენს საგლეხო გამოცემასაც, იკლო მისმა გასაველმა და გაძნელდა აგენტებისაგან ხვედრი ფულის დროზე მიღება. ამ ჰერო-



ბეისი იძულებული ვიყავი შემეჩერებია „მიწა“. უკანასკნელი ნომერი გამოვეცი 1907 წლის 26 მაისს და მას ასეთი განცხადება დაეურთე: „აგენტურის მოუწყობლობისა იჯამო „მიწა“ დროებით შეჩერებული იქნება. მიღებულია ზომები, რომ გაზეთი მალე განახლდეს.“³⁸

ეს განახლება არ მოხდა. დავრწმუნდი, რომ საქმეს ვერ უშველიდა აგენტურის მოწესრიგება და შემცირებული ტირაჟითაც იოლაღ

წასვლა. რეაქციამ ძლიერ მოუჭირა ხელი პრესას და პარტიები არა-
ლეგალურ გამოცემებს დაუბრუნდნენ, ისევე საზღვრებში ჩაძვრნენ.
ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ადმინისტრაცია არავითარ შემთხვევაში
არ მოითმენდა „მიწას“ და მეც თავი გავანებე მისი აღდგენის ცდას.

ასეთი მდგომარეობითა და ვითარებით იყო გამოწვეული ის, რომ
მე განვიზრახე წმინდა ლიტერატურული ორგანოს დაარსება. ლიტე-
რატურა ყოველთვის ჩემი საყვარელი საგანი იყო და, ვიფიქრე, შე-
იძლება აქ უფრო მეტი თავისუფლება გვექნეს და მწერლობა, ხელოვნ-
ება ზომ ეროვნული აღორძინების ერთი იარაღთაგანია.

ეს ჩემი სალიტერატურო ჟურნალი იყო „მზე“³⁹, რომლის პირველი
ნომერი გამოვიდა 1908 წ. 6 ოქტომბერს. გარეგნულად კარგს შთა-
ბეჭდილებას ახდენდა, დაბეჭდილი იყო სუფთად და კარგ ქაღალდზე.
სათაური მისი („ფსაქუნჯისაც“ შემდეგ) დახატული იყო იაკობ ნიკო-
ლაძის. სათაურს ქვეშ ეწერა: „კახშული მწერლობა — მხატვრობა,
მუსიკა — თეატრი“. ვაცხადებდი, რომ ჟურნალი უპარტიოა, რადგან
ხელოვნება ერთნაირად ძვირფასია ყველასათვის.

მეთაურში ვამბობდი, რომ ჩვენი ჟურნალი ახალი მოვლენაა საქა-
რთველოში, მაგრამ საგანი, რომელსაც ის ემსახურება, ხელოვნება —
უძველეს დროიდან მოდის, და ხაზს ვუსვამდი იმას, რომ ხელოვნების
სიყვარული განსაკუთრებით საჭიროა დღეს ჩვენთვის, ვინაიდან ის
ამაღლებს ჩვენს დაცემულ სულს და მოგვიპოვებს ახალ ძალას რე-
აქციასთან საბრძოლველად. ხელოვნება თვით თავისუფლებაა და ყო-
ველი მისი ნაწარმოები, თავისუფალი სულის წარმოშობილი, ყოველ-
თვის ებრძვის მონობას და ამსხვრევს მის ბორკილებს.

ნომერში დაბეჭდილი იყო ი. ჭავჭავაძის დაუბეჭდავი მოთხრობა
„აკაკო“ და ლექსი, ა. წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ (მეორე ნაწი-
ლი), „სამარცხვინო ბოძზე“ შ. არაგვისპირელისა, ლექსები ვაჟა-ფშა-
ველასი და ა. შანშიაშვილის, ოსკ. უაილდის ლექსი პროზით, ალ. სა-
რაჯიშვილის გადმოთარგმნილი, ცხოვრება და ხელოვნება კ. აბაშიძე-
სა და სხვ.

მეორე და მესამე ნომერი ამგვარი შინაარსის გამოვიდა, გარდა
ილიას დაუბეჭდავ ლექსის და „აკაკოს“ და აკაკის „ჩემი თავგადასავა-
ლისა“, დაიბეჭა ს. მგალობლიშვილის „ორი მეზობლის ისტორია“,
ზაქ. ფალიაშვილის „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“, ივ. გო-
მართელის „ქართული სცენა“, კრაკის „საუბარო ხელოვნების შესა-
ხებ“, კ. მაყაშვილის „სრნეტები“ და სხვ.

„მზის“ არსებობა მესამე ნომრით დასრულდა. ადმინისტრაციამ

ფი დახურა და რედ.-გამომცემელი (ფიქტიური) ნ. ასათიანი დროებით დაატუსაღა. რა იყო ამის მიზეზი, დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი. შეიძლება ის იყო მიზეზი, რომ მეთაურში ვამბობდი: ქართული მწერლობა ვერ განვითარდება, რადგან ქართველი 'ერი არის-თქვა. (sic)⁴⁰.

„მზის“ დაკეტვას არ შევეუჩერებოვარ და იმ დღეს, როცა ეს ჟურნალი უნდა გამოსულიყო, გამოვუშვი „ფასკუნჯი“, გრ. ტატიშვილის ფიქტიურ რედაქტორ-გამომცემლობით.“

ეხლანდელმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ იმ დროს განზრახ წარვადგენდით რედაქტორ-გამომცემლად ისეთ პირს, რომელიც პოლიტიკაში მონაწილეობას არ იღებდა და არაფერში იყო შენიშნული, რადგან ადმინისტრაცია ასეთ პირებს უფრო ადვილად აძლევდა ჟურნალ-გაზეთის გამოცემის ნებას. ასეთი ნებათვები ყოველი ორგანოს რედაქციას წინასწარ დამზადებული ჰქონდა, რომ თუ ადმინისტრაცია რომელიმე გამოცემას დახურავდა, მეორეს გამოცემას შესდგომოდა დაუყოვნებლივ.

„ფასკუნჯის“ რედაქტორ-გამომცემლად დასახელებული გრ. ტატიშვილი იყო სურათების და ხატოვანი ასოების ამომკრელი ხესა და ლითონზე და ქართულ წიგნებში რომ პირველად ნახატები იბეჭდებოდა, სულ მისი ნახელავი იყო.

„ფასკუნჯის“ თანამშრომლები, რასაკვირველია, იგივენი იყვნენ, ვინც „მზეში“ მუშაობდნენ და ჟურნალის სახეც არ შეცვლილა: „მზე“ და „ფასკუნჯის“ პირველი ოთხი ნომერი ყოველდღიურ გაზეთის ფორმატით იყო გამოსული, მერე კი ჟურნალს უფრო ფართო რვეულის სახე მივეცი.

მწერლები — ბელეტრისტები, პოეტები, კრიტიკოსები დიდი სიყვარულით და ყურადღებით შეხვდნენ ჩემს დაწყებულ საქმეს, ცდილობდნენ ყოველნაირად ხელის შეწყობას და ხალისით მაწვდიდნენ მასალას, რასაკვირველია, უსასყიდლოდ. „ფასკუნჯი“ გამოვიდა 1908 წ. რვა ნომერი და 1909 წელს 17 ნომერი.

ბევრი საყურადღებო ნაწარმოები გამოქვეყნდა ამ მოკლე მანძილზე. გავრძელდა ილიას დაუბეჭდავი ნაწერების და აკაკის „ჩემი თავგადასავალის“ ბეჭდვა. დაისტამბა ლექსები როგორც ძველი პოეტების, ისე ახლებისა: აკაკის, ვაჟა-ფშაველასი, თ. რაზიკაშვილის; ბაჩანასი, განდევილის, ირ. ევდოშვილის, შ. მღვიმელის, კ. მაყაშვილის, ბ. ყახოს-პირელის, ა. შანშიაშვილის, დ. მეგრელის. ი. გრიშაშვილის და ი. მკვიდლიშვილის დაიბეჭდა თითო-თითო ლექსი. ჟალ. ტაბიძემ „ფასკუნ-

ჯში“ მიიღო პოეტობის კურთხევა. მოსკოვის ქუჩაზე ვიდექი, ერთ სა-
ლამოს მეწვია ერთი ახალგაზრდა მოწაფე, პირხმელი, მორიდებული,
მორცხვად მითხრა: ლექსი მაქვს დაწერილი და ეგებ „ფასკუნჯში“
დამიბეჭდოთო. გამოვართვი, წავიკითხე, და მაშინვე შევატყვე, რომ
ჩემს წინ ნამდვილი პოეტური ნიჭის პატრონი იყო. ეს ლექსი ახლო-
ბელ ნომერში დაიბეჭდა. ამას მერმე სხვა ლექსები მოჰყვა. ეს მოწაფე
გალ. ტაბიძე იყო.⁴²

ბელეტრისტიკიდან „ფასკუნჯში“ დაბეჭდილი იყო ნაწარმოებები
ს. მგალობლიშვილისა, შ. არაგვისპირელისა, ან. ერისთავი-ხოშტარი-
ასი, ვ. მალაქიაშვილის, დ. ლუკაშვილის, უკანასკნელის მოთხრობა
სოფლის ცხოვრებიდან ახლაც საინტერესო წასაკითხავი იქნებოდა
და სასურველია მისი ცალკე წიგნად გამოცემა.

„ფასკუნჯში“ დაიბეჭდა ხალხური ლექსებიდან პეტრე მირიანაშ-
ვილის დამუშავებული „აბესალომ და ეთერი“ პიესის სახით, რომე-
ლიც მერე ზ. ფალიაშვილის ოპერის ლიბრეტოდ იქნა მიღებული.

ჟურნალის ერთგული თანამშრომელი იყო ალ. სარაჯიშვილი.
(წერდა ხანდახან „რიშ-ბაბის“ ფსევდონიმით), რომელიც საუცხოოდ
თარგმნიდა დასავლეთის და აღმოსავლეთის პოეტურ ნიმუშებს.

კრიტიკოსებისაგან შემდეგი პირები იღებდნენ მონაწილეობას:
კ. აბაშიძე, ა. ხახანაშვილი, ი. გომართელი, ვრ. ყიფშიძე, გ. ჯავახიშ-
ვილი, დ. გივიშვილი. არტისტებიდან: კ. ყიფიანი (დაწერა „ჩემი არ-
ტისტობის თავგადასავალი“), კ. მესხი, ვალ. შალიკაშვილი. „ფასკუნ-
ჯმა“ დაბეჭდა ზ. ფალიაშვილის და იაკ. ნიკოლაძის წერილები.

ჟურნალი ბოლომდის იძლეოდა ყოველი შევანებული, ლიტერატუ-
რის მოყვარე ადამიანისთვის უეჭველად საყურადღებო, სასურველ მა-
სალას. ვისაც აინტერესებდა მწერლობა, ხელოვნება, თეატრი, ის აუ-
ცილებლად წაიკითხავდა „ფასკუნჯს“. თქმა არ უნდა, მჯობნის მჯობნი
არ დაიღევა. „ფასკუნჯზე“ უკეთესი ორგანოს გამოცემა შეიძლებოდა
უკეთესი ადამიანების მიერ, უკეთეს პირობებში. მაგრამ ჩემი „ფას-
კუნჯი“, ყოველ შემთხვევაში, ხელწასაკრავი არ იყო და იმ დროთა
ვითარებაში თავის სახით და შინაარსით დამაკმაყოფილებელი იყო.

ერთი გასამართლებელი საბუთი კი ჰქონდა საზოგადოებას: რეაქ-
ციამ ლიტერატურის და ხელოვნების ინტერესიც დასცა.

ეს არის უბრალო აღნიშვნა ობიექტური სინამდვილისა და არა
ჩემი თავმოყვარეობის დაცვა.

1909 წ. აპრილის 26 შემდეგ იბულებული ვიყავი შემეჩერებინა

ქურნალის გამოცემა, რადგან მისი ტირაჟი დაეცა 500-ზე ქვევით და შემოსავალი ვერ ფარავდა აუცილებელ ხარჯს სტამბის, ქაღალდის და ფოსტისას. უკანასკნელ ნომერში გამოვეთხოვე მკითხველებს, ავეხსენი საქმის ვითარება და ვუთხარი: „ნახვამდის“.

„ნახვამდის“ იმიტომ, რომ მე ვერ ვურიგდებოდი საყვარელი



ს. ფირცხალავა 1910 წ. დაპატრონების პერიოდში

ორგანოს სამუდამოდ დახურვას. დავფაცურდი, აქეთ მივმართე, იქით მივმართე, მოველაპარაკე სტამბას, შევეუთანხმდი ლითოგრაფს კ. მესხიშვილს, რომელიც დამპირდა ხელის შეწყობას და გადავწყვიტე „ფასკუნჯის“ გაგრძელება თვიური ქურნალის სახით.

პირველი ნომერი გამოვიდა ხანგრძლივი მზადების შემდეგ მხოლოდ 1910 წ. დამდეგს. გარეგნულად ეს თვიური გამოცემა უკეთესად იყო შესრულებული, ვიდრე კვირეული. იგი დაიბეჭდა ორ ფერად და შემკული იყო კარგი სურათებით. თავში მოთავსებული იყო ფერადი სურათი მე-17 ს. „ვეფხისტყაოსნიდან“ (თინათინის მეფედ გამოცხადება) შერე ორი ფოტოტრეპური სურათი: მგლოვიარე ქალი ილიას ძეგლზე (ი. ნიკოლაძის ქანდაკება) და ე.კ. გაბაშვილის პორტრეტი. ამას

გარდა დაიბეჭდა რამდენიმე ცინკოგრაფიული სურათი. ტექსტი მღრღარი იყო: ლექსები აკაკის, კ. მაყაშვილის, განდევგილის და ა. შანშიაშვილის; პროზა — კურულიანი, ალ. სარაჯიშვილის ნათარგმნი, დრამა ტრ. რამიშვილისა, „ნაწყვეტები“ ეკ. გაბაშვილისა; კ. აბაშიძის კრიტიკული წერილი და სხვა.

„ფასკუნჯის“ მადლიანმა სახემ მე გამამხნევა და იმედი მომეცა, რომ მოკეთებების დახმარებით შევძლებდი შემდეგი ნომრების გამოცემას.

მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდლო, ნათქვამია, მე ჩემსას ვბჭობდი და ჟანდარმერია კიდეც თვისას განიგულებდა. მე დამატუსაღეს და „ფასკუნჯს“ მზრუნველი აღარავინ დაურჩა.

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გარეშემო

ილია ჭავჭავაძე პირველად ვნახე 1902 წ. მაისში, წერა-კითხვის საზოგადოების საერთო კრებაზე, რომელსაც ის თავმჯდომარეობდა. კრებამ დაამთავრა ყველა საკითხი და ერთი კვირის შემდეგ მოხდა მისი გაგრძელება ილიასავე თავმჯდომარეობით. ამ მეორე კრებაზე მე ამირჩიეს საზოგადოების გამგეობის წევრად. ივნისში გამგეობამ მდივნობა მომანდო და მალე საქმისმწარმოებლის მოვალეობაც დამაქისრა, ნაცულად პ. მირიანაშვილისა, რომელიც ნ. ცხვედაძემ გადაიყვანა ქართული გიმნაზიის დიდი შენობის (ახლანდელ უნივერსიტეტის) სააღმშენებლო კანცელარიის გამგედ.

ეს ის დრო იყო, როცა ახალთაობა მიაწყდა წერა-კითხვის საზოგადოებას და მოინდომა მისი საქმეების მართვაში მონაწილეობის მიღება. იგი კარგად ხედავდა, თუ რა დიდი კულტურული და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა ამ დაწესებულებას და განიზრახა მისი მოღვაწეობის გაცხოველება. მრავალი ახალი წევრი ჩაეწერა საზოგადოებაში. დიდძალი ხალხი მოდიოდა საერთო კრებებზე და ცხარე კამათი იმართებოდა ძველსა და ახალ მოღვაწეებს შორის. 1901 წ. შემოდგომაზე გამგეობის არჩევნები რომ მოხდა, რამდენიმე ახალგაზრდა გავიდა გამგეობის წევრად და ი. ჭავჭავაძის კვლავ თავმჯდომარედ არჩევას მთელმა კრებამ არ მისცა ხმა: ორმა მესამედმა თეთრი მისცა და ერთმა — შავი.

ი. ჭავჭავაძე წ. კ. საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარე

იყო, მე მდივანი და საქმისმწარმოებელი და, ცხადია, ხშირი შეხვედრა და ახლო დამოკიდებულება უნდა მქონოდა მასთან. მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტიურად ილია საზოგადოების საქმეებში უკვე მონაწილეობას არ იღებდა. წინა წლებში ხანდახან კიდევ ესწრებოდა გამგეობის სხდომებს, ხოლო 1902 წ. მეორე ნახევრიდან ერთხელაც არ მოსულა გამგეობის სხდომაზე. რამე მძიმე საკითხზე თუ რჩევას ვთხოვდით, ან დიდი საჭიროების ქაღალდზე ხელს თუ მოვაწერიებდით. გამგეობის ნამდვილი თავმჯდომარე იყო ნ. ცხველაძე.

საზოგადო კრებებს კი ი. ჭავჭავაძე ყოველთვის ესწრებოდა და თავმჯდომარეობდა. ამ თავმჯდომარეობაში ჩანდა მთელი მისი ბუნება. მტკიცე ხასიათის იყო, დისციპლინის და წესის მოყვარე, თავის უფლების სასტიკი დამცველი. კომპრომისი არ იცოდა. მაგრად იჭდა და ადგილიდან ადვილად დაძვრას ნურავინ იფიქრებდა. რკინა იყო, ფოლადი, ძნელად მოსალუნი. დინჯი, იოლად არ აპილილდებოდა. მოუფიქრებელს არაფერს იტყოდა. მის ნათქვამს წონა ჰქონდა, მძიმე იყო. დატვირთული. თავის ძალას გრძნობდა, მოპირდაპირეს ყურადღებით უსმენდა. იცოდა მახვილი რეპლიკები. ერთხელ ვიღაცამ უსაყვედურა: სიტყვას ბანზე ნუ აგდებთო. ილიამ მოუქრა: თუ ვერ მიწვდებით, კიბე მოიშველიეთო!

ერთხანს საზოგადო კრებებზე ბევრი ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ საზოგადოების სკოლების სარევიზიოდ სპეციალურად მომზადებული პედაგოგი უნდა იგზავნებოდეს, რომ კარგად შეაფასოს სკოლის ვითარებაო. ერთმა მასწავლებელმა გაცხარებით წამოიძახა: არაპედაგოგის შესვლა სკოლაში სკოლის შეურაცხყოფა არისო. ილიამ უთხრა: ამის თქმა შეუძლებელია. მასწავლებელმა იწყინა: აბა, ჰკითხეთ კრებასო. ამაზე ილიამ წყნარად მიუგო: ასეთი საკითხები კენჭის ყრით არ გადაიჭრებაო.

საერთოდ, ილიას რომ უყურებდით, გრძნობდით, რომ „ოთარაანთ ქვრივში“ ილიამ თავისი ზნე და ხასიათი, თავისი რწმენა და მორალი გადაიტანა.

უკანასკნელად საზოგადოების საერთო კრებას დაესწრო 1906 წ. დეკემბერში. მან მწუხარედ გახსნა კრება და დამსწრეთ სთხოვა, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ შიო ჩიტაძის (კაზაკებმა გაუგმირეს გული 4 ივლისს) და ნიკო ხიზანაშვილის (ვიღაცამ მოკლა პირადი ინტერესით რამდენიმე დღის წინ) ხსოვნისათვის.

ილიას რაღაც საქმე ჰქონდა თუ შეუძლოდ იყო და ამის შემდეგ

კრება დასტოვა, რომელიც ფაგარძელდა ნ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით.

სამგლოვიარო ამბის გახსენებით გამოეთხოვა ილია ჭავჭავაძე წერა-კითხვის საზოგადოებას და ვინ იფიქრებდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ წინამურის ტრაგედია დატრიალდებოდა და მთელ საქართველოს საგლოვი ვაუხდებოდა თვითონ მისი საშინელი დაღუპვა.

ვინ მოკლა ილია? ვინ იყო ამის ჩამგონებელი და ვინ ფიზიკური ამსრულებელი?

მე ამაზე არ შინდა ვილაპარაკო. ფავისხენებ მხოლოდ იმ უკმაყოფილების ატმოსფეროს, რომელიც არსებობდა იმ დროს ახალ თაობაში ილიას პიროვნების გარშემო.

ილიას წინააღმდეგ საყვედურები და სამდურავები სხვადასხვა მხრიდან გაისმოდა. მე არაფერს ვამბობ მაჩაბლისტებზე, მათ შემოტევებზე თბილისის სათავადაზნაურო ბანკის საქმეების გამო. ეს უკვე დასრულებული ამბავი იყო, მხოლოდ მისი ანარეკლი ზანდაზან გამოჩნდებოდა აქა-იქ.

ფართო და მოურიდებელი პოლემიკა დაუწყეს ილიას „მესამედასელებმა“ ამ საუკუნის დასაწყისში, უწუნებდნენ დემოკრატიზმს, საზოგადო საქმეების სიყვარულს; მისი ეკონომიური და სოციალური შენეღულებანი რეაქციონურია, იგი ბანკირია, ბანკის ინტერესების დასაცავად პუბლიცისტობს, თავისუფლებას და სამართლიანობას უმღერდა ვითომც, მაგრამ ამის ლექსები გამოაქვეყნა არა მაშინ, როცა საჭირო იყო, არამედ დაგვიანებით, მის დახატულ ხალხის გმირებს აკლიათ გულითადობა და სხვა.

ახალთაობის მეორე ჯგუფიც — „ცნობის ფურკლიდან“ — მომდურავი იყო: უწუნებდნენ ილიას და საზოგადოდ ძველს მოღვაწეებს, რომ მართო პოლიტიკურს, ეროვნულ საკითხებს აქცევდნენ ყურადღებას და ავიწყდებოდათ, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის აუცილებელია როგორც ეროვნული განთავისუფლება, ისე სოციალური სამართლიანობის დამყარება ეროვნულად განთავისუფლებულ ერში.

ორივე ახალგაზრდობას არ მოსწონდა ძველი მოღვაწეების ფრთხილი, გაუბედავი ბრძოლის მეთოდი. ახალთაობის მთავარი იარაღი იყო რევოლუციური მოქმედება, ხალხური, მასიური გამოსვლები, მეტი აქტივობა.

მთელი რუსეთი, მთელი საქართველო ამოძრავებული იყო, ყოველმხრივ ისმოდა პროტესტი ძველი რეჟიმის წინააღმდეგ და ახალი

ცხოვრების მოთხოვნა. ქალაქი და სოფელი ამბოხებამ გაიტაცა, და ამ დროს ილია და თითქმის ყველა მისი დროინდელი მოღვაწე, გარდა მცირე გამოწვევისა, თითქოს დამბლადაცემულნი იყვნენ, უძრავნი, უმოქმედონი.

ყველას გულს უკლავდა ის გარემოება, რომ ილიას საყვირის ხმა, რომელიც ისე მძლავრად გაისმოდა 60—70-იან წლებში, სრულებით მიწყდა დღეს.

1904 წ. გაზეტმა „ცნობის ფურცელმა“ ქართველ მწერლებს და მოღვაწეებს საახალწლო მილოცვებად უძღვნა ციტატები შექსპირის ნაწერებიდან და ილიას შემდეგი სიტყვებით მიმართავდა „მეფე ლირიდან“: „შეგრჩა სული კიდევ თუ არა? ერთი ხმა ფამე, კარგო კაცო!“

იმ დროს, ამ საუკუნის პირველ ათეულ წლებში, ახლად გამოსული მწერლები და მოღვაწეები პოლიტიკურად გატაცებულნი ვიყავით რევოლუციური იდეებით, დღეს თუ ხვალ მოველოდით ცხოვრების სრულს გადატრიალებას და ძლიერ გვაკვირვებდა ჩვენი მამების საქციელი, რომ გვერდში არ გვიდგნენ.

ამაზე ვწერდი ერთს ჩემს ფელეტონში და საყვედურით მივმართავდი მამებს: ასეთ ისტორიულ დროში ხმას არ იღებენ, ჯულზე ხელდაკრებილნი სხედან ჩვენი ძველი მოღვაწეები. სად არის მათი გაბედულობა, თავგანწირულობა, ქვეყნის სიყვარული? ახლაც ამაყოფენ თავისი მამულიშვილობით, ახალგაზრდებს ერის მტრებად გვთვლიან. მერე თვითონ რას აკეთებენ, რატომ არ ისმის მათი ერთი ხმა მაინც? ჩემი წერილი თავდებოდა მწარე შეკითხვით: „მამებო, მოკვდით?“

ეს ჩემი მიმართვა თურმე ძალიან საწყენად დაურჩა ნ. ნიკოლაძეს და ამის შემდეგ მას პირდაპირ არ შემოუხედნია ჩემთვის, თუმცა წინათ ყოველთვის ხალისით შემხვდებოდა ხოლმე.

მაგრამ ეს ჩემი განცდა თითქმის საყოველთაო იყო მაშინდელ ახალგაზრდებში. ყველას გვაწუხებდა მამების უმოძრაობა იმ დროს, როცა იზგვლივ გაცხარებული ბრძოლები იწყებოდა და საქართველოს ბედის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო.

როგორც უკვე მოვიხსენიე ზევით, ყველაზე მეტს ილიასაგან მოვითხოვდით, იმ ილიასაგან, რომელმაც აკაკისთან ერთად აღგზარდა ქართველ მამულიშვილებად, თვისუფლებსა და საზოგადოებრივი ზიარათლის მოტრფიალედ. ჩვენს ყურს მუდამ ესმოდა მისი პიძნები

თავისუფლების და შრომის სუფევის, მისმა მოხვედრამ მოგვცა ეროვნული დროშა, რომ ჩვენ ჩვენს თავს უნდა ვეკუთვნოდეთ, მან გვამცნო ჩვენი ვინაობა და შეგვავყვარა ქართველი ხალხი ცოცხლად დახატული ტიპებით.

სად არის დღეს ეს ილია? — ვეკითხებოდით ერთმანეთს.

აღარ იყო ეს ილია და უკმაყოფილებამ დაიბუღა იმათ გულში, რომელთაც ის ყოველთვის უყვარდათ, ღრმად პატივს სცემდნენ.

1905 წელს ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია კრებებს მართავდა იმ დროის საკირბოროტო საქმეებზე. თავადაზნაურობაც აწყობდა თავის კრებებს. მახსოვს, ერთი მემამულეთა და გლეხთა გამწვავებულს ურთიერთობას ეხებოდა და მეორე საქართველოს ტერიტორიალურ-პოლიტიკურ ავტონომიას. ორსავე კრებაზე გამოვიდა ილია, მაგრამ მისი სიტყვები ყველაზე მკრთალი იყო.

ჩვენს წრეში ასეთი ხმებიც იყო გავრეკლებული: როცა სოციალ-ფედერალისტებმა თავის პროგრამაში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა შეიტანეს, ილიამ რომ ეს გაიგო, არ მოეწონა, ასე თქვაო: ავტონომია გულში უნდა გვქონოდა და მისი საქვეყნო გამოცხადება ზიანს მოგვიტანს, მტრებს მოგვიმატებსო. რამდენად მართალი იყო ეს, ამის შემმოწმებელი არავინ მინახავს, მაგრამ მაინც საგულისხმოა ასეთი ხმების არსებობა

არ. ჯორჯაძეს და მის ამანაგებს პრესაში პირადად ილიას წინააღმდეგ არ გაულაშქრიათ, „ივერიას“ ებრძოდნენ, მაგრამ ეს გახეთი ამ დროს სხვებზე იყო გადაცემული.

ილია რომ „მესამედასელებს“ ეკამათებოდა, ხანდახან სოციალ-ფედერალისტებსაც გადაკრავდა და არ. ჯორჯაძეს არ წყალობდა. უცხოეთში დავაარსეთ ქართული ჟურნალი „საქართველო“, რომელიც ფარულად შემოღიოდა ჩვენში, და ურახველი „La Georgie“ უცხოთა შორის ქართული საკითხის პროპაგანდისათვის. საში კაცი გაიგზავნა ამ საქმისთვის პარიზში: არ. ჯორჯაძე, ვ. დეკანოზიშვილი და ასოთამწყობი მ. კიკნაძე. ყველაფერს ამას დიდი ხარჯი სჭირდებოდა და ილიას მივმართეთ, დაგვხმარებოდა ქველმოქმედ მდიდარ დ. სარაჯიშვილთან შემწეობის გამოსათხოვრად. ილიამ უარი გვითხრა, რომ გაიგო, არ. ჯორჯაძეა უურნალის ხელმძღვანელიო.

პირადად ილიასთან შე არასოდეს მქონია საუბარი და არც ის ვიცი, თუ რა აზრის იყო ჩემი ნაწერების შესახებ. ერთხელ გადმომცეს მხოლოდ, რომ ილიას მოსწონებოდა ის ჩემი წერილი, სადაც ლაპარაკი მქონდა „სამშობლოსთან“ პიესების წარმოდგენის მნიშვნელო-

ბაზე ჩვენი ხალხის ეროვნულ გამოფხიზლებისა და აღზრდისათვის.

ამგვარი ურთიერთობისა და სულიერი განწყობილების ნაყოფი იყო ის სამწუხარო შემთხვევა, რომლის გახსენება ყოველთვის მწვავე ტკივილებს მაგრძნობინებს ხოლმე.

1901 წ. სპარსეთიდან ჩამოვიდა ორი ფერეიდნელი ქართველი — ონიკაშვილი და ხუციშვილი. ბაქოში მოსულიყვნენ გემით, ქართველები მოენახათ და იმათ თბილისში წერა-კითხვის საზოგადოებაში გამოეგზავნათ. მე კანცელარიაში ვიჯექი. კანცელარიის წინ წიგნის მალაზია იყო. ვხედავ, მალაზიაში შემოღის ორი სპარსულად გამოწყობილი კაცი და მოსამსახურეთ ქართულად მიესალმნენ. გულმა მაშინვე მითხრა, რომ ესენი სპარსეთში მცხოვრებ ქართველთაგანები იყვნენ. სიხარულით მივეგებე. დასხდნენ. გამოვკითხე მოგზაურობის ამბავი. მიაშბეს მოკლედ ფერეიდანის ქართველების ცხოვრების შესახებ. მერე წავიყვანე და დავაბინავე სასტუმროში, მუხრან-ბაგრატიონის სახლში (ახლა კავშირგაბმულობის სახლი რომ არის). იქ ცხოვრობდა პედაგოგი და ჟურნალისტი ლ. ბოცვაძე. იმ დღეს ერთად ვისადილეთ. სალამოს მათი ამბავი ვუამბე საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგს და შევთანხმდით, რომ წერა-კითხვის საზოგადოება იკისრებდა ამ სპარსელ ქართველების ზრუნვა-პატრონობას. ეს ონიკაშვილი და ხუციშვილი იმ ზაფხულს საქართველოში დამყავდა, ვმართავდი სალამოებს, რომელზედაც მოკლე ლექციის შემდეგ, შაჰ-აბაზის შემოსევების და ქართველების სპარსეთში გადასახლების შესახებ, ონიკაშვილი და ხუციშვილი უბრალოდ უამბობდნენ საზოგადოებას ფერეიდანის ქართველების ამბებს. ყველგან დიდძალი ხალხი გვესწრებოდა, ყველანი სიყვარულით ეგებებოდნენ დაკარგული ძმების წარმომადგენლებს და უხვი ქართული სუფრითაც გვიმასპინძლებოდნენ.

ერთი ასეთი მოგზაურობის დროს მცხეთის სადგურზე მოულოდნელად შევეჩხვით ილიას — ის ალბათ საგურამოდან თბილისში მოდიოდა. ილია ბუფეტთან გამოდიოდა, ჩვენ ბუფეტში შევედიოდით. მივესალმე ილიას. იგი ყურადღებით ჩააცქერდა ჩემს თანამგზავრებს, მიხვდა, ვინც იყვნენ. შევატყვე, უნდოდა მათთან გამოლაპარაკება, მაგრამ მე რატომღაც უხერხულად მივიჩინე გაჩერება და მაშინვე ბუფეტში შევედი ჩემი თანამგზავრებით.

მალე ვიგრძენი ჩემი შეცდომა და საყვედური ვუთხარი ჩემს თავს. რატომ ვიყავი ასე ტლანქი, ვერ გამოვიჩინე უბრალო ზრდილობა და თავაზიანობა და არ მივეცი საშუალება მოხუცს, დამსახურებულს

მოღვაწეს, დიდს პოეტსა და მამულიშვილს დამტკბარიყო ცოტა ხანს მაინც საქართველოს მოწყვეტილ ქართველებთან შეხვედრით და საუბრით? რატომ? იმიტომ, რომ ილია ვითომც „მემარჯვენე“ იყო და მე ჩემი თავი „მემარცხენელ“ მიმაჩნდა?

მე მინდა ფაქტების და ამბების ფსიქოლოგიური ახსნა. იმ წლებში — ვიმეორებ — ყოველდღე ვლამობდი სამოთხის კარის ვალებას, დაავადმყოფებული ვიყავით „მემარცხენეობით“, ვფიქრობდით, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას დავეუფლეთ და მტრად მიგვაჩნდა ყველა, ვინც რაიმე წუნს სდებდა ჩვენს სიტყვას და საქმეს. რასაკვირველია, დღეს სულ სხვანაირად მეჩვენება მაშინდელი ამბები. ცხადია, ჩვენს მამებს არ დაუშსახურებიათ შეუწყნარებლობა და ჩვენს შორის არსებული უთანხმოების გამო მტრული განწყობილება არ უნდა გვექონოდა მათთან. უნდა გამოგვეჩინა ტოლერობა. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ი. ჭავჭავაძის შესახებ.

სამწუხაროდ, მოხდა სულ წინააღმდეგი.

ზოგიერთების გალაშქრებამ ილიას წინააღმდეგ ყოველივე საზღვარი გადალახა და მისი პიროვნება დახატეს, როგორც ყველაზე უბოროტესი, საშინლად მავნებელი, მისი სიძულვილი არ დაივიწყეს მისი ტრადიკული დაღუპვის შემდეგაც და ამის კვალი დიდი ხანი არაა, რაც წაიშალა და გაქრა.

მართალია, მკითხველი საზოგადოება შიჩვეული იყო ილიას მკაცრს გაკრიტიკებას, საყვედურებს და სამღურავებს, მის ავად მოხსენიებას, მაგრამ 1905 წ. „მოგზაურის“⁴⁴ მე-13 ნომერში დაბეჭდილი ვ. ნ.-ის⁴⁵ კორესპონდენცია („საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“) ყუმბარასავით გასკდა. კორესპონდენტი იტყობინებოდა, რომ ი. ჭავჭავაძე მეტად ბოროტად და უსამართლოდ ეპყრობა გლეხებს, რომელთაც ამის გამო ბოიკოტი გამოუცხადესო. მოტანილი იყო რამდენიმე გლეხის განცხადება. ერთი ახალსოფლელი გლეხი ჩიოდა: ილიას კუთვნილი ძნები იმ საღამოს ვერ ჩავიტანე, როგორც მოურავმა დამაველა, მეორე დღეს წავიღე, მაგრამ ილიამ არ მიიღო, უკან გამაბრუნაო. მეორე საგურამოელი გლეხი ამბობდა: დიდი ყინვების გამო სოფელს სასმელი წყალი გაგვეყინა, ი. ჭავჭავაძემ თავის წყაროს ბაეი დაადვა, ამ ნიადაგზე მისმა მოურავმა ერთ ლატაც გლეხს წყლიანი კოკები გადაამტვრია თავზე, ამ სურათს ილია თავის ბალკონიდან უცქერდა და იცინოდა; ის საცოდავი გლეხი მაშინ გაცივდა და მალე გარდაიცვალაო. ილიას აბრალებდნენ კიდევ იმას, რომ ჭარი გამოითხოვა გლეხების ასაწიოკებლადო.

ასეთი იყო მთავარი დაბრალება. კორესპონდენცია გამოქვეყნდა 10 აპრილს და მის შინაარსს განსაკუთრებით ყურადღება მიექცა, როცა ფ. გოგიჩაიშვილის „ივერიაში“ 15 აპრილს კორესპონდენციის ზოგიერთი ადგილი ამოიღო თავის პრესაში და ასეთი სარედაქციო შენიშვნა დაურთო: „ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუთუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა ეს დავიჭიროთ და გვიჩვენია ჭერჭერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თვით თ. ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის უსაფუძვლოებას დაგვიმტკიცებს“.

ილია მაშინვე გამოეხმაურა ამას და „ივერიას“ მისწერა: ვრცელი დასაბუთებული წერილის დასამზადებლად დრო დამჭირდება, ახლა კი მოკლედ ვაცხადებ, რომ იგი ამბები თავიდან ბოლომდე მტკნარი ტყუილია.

სამი კვირის შემდეგ გამოქვეყნდა ილიას ვრცელი პასუხი, სახელად „ნუთუ?“ იგი არ დაბეჭდილა თვითონ „ივერიაში“, არამედ გამოვიდა გაზეთის 68-ე ნომრის ცალკე დამატებად.⁴⁸ ეს კურიოზული მოვლენა იყო, ხოლო მეტად დამახასიათებელი იმდროინდელი სულიერი განწყობილების.

ფ. გოგიჩაიშვილი განათლებული კაცი იყო, პატიოსანი ჟურნალისტი, ილიას ნიჭის და მოღვაწეობის დიდი პატივისმცემელი, მაგრამ მოერიდა, ვერ გახედა წერილის პირდაპირ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებას; ცალკე დასტამბა და შემდეგი შენიშვნაც გაუკეთა: „ვბეჭდავთ თავ. ილია ჭავჭავაძის წერილს, რომელშიაც ავტორი არჩევს მის შესახებ „მოგზაურში“ დაბეჭდილ კორესპონდენციას. შეითხველი, რომელიც იცნობს ჩვენი გაზეთის მიმართულებას, თავისთავად მიხედება და ჩვენი მხრით თქმაც მეტია, რომ ზოგიერთ საზოგადო მოსაზრებაში პატივცემულ ავტორს ვერ დავეთანხმებით“.

წარმოვიდგინოთ კიდევ მაშინდელი მდგომარეობა. რევოლუციის ცეცხლი მოედო ქალაქსა და სოფელს. გლეხობა ხშირად მეტს გაქანებას და შეუპოვრობას იჩენს, ვიდრე მუშები. რევოლუცია უნდა გაძლიერდეს, მის ზრდასა და გამარჯვებაზეა დამოკიდებული როგორც პოლიტიკური-ნაციონალური, ისე სოციალური იმედები. რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალა მუშა და გლეხია, ახალთაობა მათ ემყარება. ილია შემამულეთა ბანაკში არისო, შეიქნა კოლიზია, ილიას გამოქომაგება სამძიმო გახდა.

თვითონ ილიამ თავის პასუხში წამოყენებული ბრალდებანი გააბათილა. პასუხს ავნო იმან, რომ შიგ ჩართული იყო მსჯელობა სხვადას-

ხვა საზოგადოებრივ საკითხებზე, რამაც მიჩრდილა წერილის პირდაპირი დანიშნულება. პასუხში განსაკუთრებით ნათელი იყო კოცების გლეხის თავზე გადამტკრევის და ჯარის გამოთხოვნის ამბების უსფუძვლობა.

გლეხები ებრძოდნენ ილიას — მემამულეს. ილია მესაკუთრე იყო და თავის საკუთრებაზე უარი არ უთქვამს, როგორც სხვასაც არავის უთქვამს იმ დროს. იცავდა ამ საკუთრებას, მაგრამ ამისათვის რაიმე განსაკუთრებული ზომებისათვის არ მიუმართავს. ამას ხომ დღეს ცხადყოფს მოურავებთან ვაგზავნილი წერილები.⁴⁷

მესაკუთრე და მემამულე იყო, დიდი მემამულე გრაფი ლ. ტოლსტოი და გაცილებით უფრო მდიდარი, ვიდრე ი. ჭავჭავაძე, მაგრამ ამის გამო ის მიწასთან არავის გაუსწორებია. დიდად აფასებდა მას ლენინი და ერთი საუბრის დროს გორკის უთხრა: „Иаумительно! До этого графа подлинного мужика в русской литературе не было“.

სულ სხვა ბედი ხვდა ჩვენს ილიას. იშვიათად თუ ვისმე დაუხატავს ისეთი საყვარელი ტიპები ქართველ გლეხებისა, როგორც არიან ოთარაანთ ქვრივი, მისი შვილი გიორგი, გაბრიელი, კაკო. მაგრამ ზოგიერთებმა ეს ყალბად მიიჩნიეს და ხალხის სიძულვილი და მტრობა დასწამეს.

ილიას პასუხმა „ნუთუმ“ არამც თუ შეანელა ვ. ნ.-ის და „მოგზაურის“ რედაქციის გული, არამედ მეტის გამწარებით შემოუტეის. კორესპონდენტმა გასცა პასუხი, ახალი ბრალდებანიც წამოაყენა და რედაქციამ ორი ნომრის მეთაური უძღვნა. მეთაური ასე იწყებოდა: ბევრი სისაძაგლე გვინახავს და ბევრიც გაგვიგონია, მაგრამ ამისთანა არასოდეს გვსმენიაო და შერე განაგრძობდა: „ამიერიდან ქართველ მკითხველს საქმე ექნება ქართველ მემამულესთან (ლაპარაკია ილიაზე. — ს. ფ.), რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე იმისთვის მოუწოდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებია. ჩვენ არ გვგონია, საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე უღმობლად მიყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა“.

არც კორესპონდენტმა ვ. ნ.-მ დააკლო ილიას მწარე სიტყვები: ოინბაზობა, ფაქტების დამახინჯება, მოპირდაპირის ლანძღვა-ვინება — ეს ჩვეულებრივი თვისებაა ი. ჭავჭავაძისო.

ილიას და მოპირდაპირეების პოლემიკამ უსიამოვნო ატმოსფერო ვერ გაფანტა. ილია მეორედ არ გამოეხმაურა მოწინააღმდეგეებს. მისი „ნუთუმ“-ც ჭაპანწყვეტით დაიბეჭდა და ვინ უწყის, რა მოელოდა მის

ახალ პასუხს. ის მთლად კმაყოფილი არც იმის იყო, რომ „ივერიამ“ ადგილები ამოწერა ვ. ნ-ის კორესპონდენციიდან და მით ხელი შეუწყო მის გავრცელებას.

ზოგს მკითხველს სრულიად სჯეროდა „მოგზაურის“ ბრალდებანი, ზოგს მიაჩნდა ცილისაწამებად, ხოლო უმრავლესობა, რომელსაც არ უყვარს საქმეში ღრმად ჩახედვა, ასე ფიქრობდა: რაღაც მაინც უნდა იყოსო. და ეს „რაღაც“ ერთისთვის მცირე იყო, მეორისთვის დიდი.

გარეშეთაგანმა არავინ მოინდომა სიმართლის გამოძიება, ფაქტების პირადად შემოწმება. ილიას არავინ გამოექომაგა, ხმა არ შეაწია, ნუგეში არ უთხრა. ილია მარტო დარჩა, ეს დიდი კაცი, და ვინ იცის, რა სულიერი მღელვარება განიცადა, როგორ დაიტანჯა! ის ხომ ფიზიკურად დაავადებული იყო ბოლო დროს, გული და ფილტვები დაზიანებული ჰქონდა და ახლანდელი მორალური დამცირება უეჭველად ფრიად დამამძიმებელი იქნებოდა. იგი უმადურობას ხედავდა გარშემო, მეგობრებში, ნაცნობებში და ამის გრძნობა ძნელი ასატანი იყო...

წიწამურის ტრაგედიამდე ილიას გულში უკვე დატრიალდა სულიერი ტრაგედია. ეს არავინ დაინახა. არც ვის აღმოაჩნდა წინდახედულობა, სიფრთხილე, და დაკომიული მდგომარეობა და ილიას გარშემო შექმნილი განწყობილება ქვეყნის მტრებმა გამოიყენეს. მაშინდელ არეულ-დარეულობის დროს ეს ძნელი არ იყო.

1907 წ. 30 აგვისტოს წიწამურში მომხდარი ამბავი მარტო ი. ჰავ-ჰავაძის მკვლელობის ამბავი არაა, იგი მჭიდროდაა გადასკვნილი ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორიის ბევრ საკითხთან.

ილიას მოკვლის ცნობა თბილისში იმავე საღამოს მოვიდა. გაიგო ეს გაზ. „ისარმა“ („ცნობის ფურცლის“ მაგიერი გაზეთი), რომლის თანამშრომელი მე ვიყავი. იმ საღამოს რედაქციაში არ შემვივლია და მხოლოდ მეორე დღეს დილით გაზეთში მოთავსებულ მოკლე ცნობიდან გავიგე თავზარდამცემი ამბავი. რედაქციაში გავიქეცი იმის გასაგებად, თუ კიდევ რამე ახალი იცოდნენ. რედაქციიდან წ. კ. საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგთან ნიკო ცხვედაძესთან წავედი. იმ დღესვე შედგა გამგეობის სხდომა. გადაწყდა ფართო მონაწილეობა განსვენებულის დასაფლავების მოწყობაში. რასაკვირველია, მისი მთავარი პირისუფალი წ. კ. საზოგადოება იყო, აგრეთვე მემკვიდრეც მისი კულტურულ ნამოღვაწრისა, მაგრამ ილიას მოღვაწეობა და სახელი ისე დიდი იყო, რომ ერთი დაწესებულება ვერ იქისრებდა მისი დაკრძალვის გაძღოლას. არჩეულ იქნა საგანგებო კომისია სხვადასხვა ორგანიზაციების და პრესის წარმომადგენლებისაგან. კომისიის სხდომებს

მრავალი ვარეშე საზოგადოება ესწრებოდა და მონაწილეობას იღებდა მსჯელობაში. როცა ლაპარაკი იყო, თუ სად დავასაფლავოთ მიცვალებულიო, სხვადასხვა ადგილი იყო დასახელებული, ხოლო საბოლოოდ არჩეულ იქნა მთაწმინდა. ვფიქრობდით, რომ დასაფლავება მომხდარიყო 6 სექტემბერს, მაგრამ პროვინციებიდან შემოგვითვალეს, ბევრნი ვემზადებით, ჩამოსასვლელად და ცოტა შეაგვიანეთო. მაგონდება ერთი პატარა ინცინდენტი კომისიის სხდომაზე. ირკვეოდა რიგ პირთა და დაწესებულებათა სამგლოვიარო პროცესიაში. ერთმა თავადაზნაურთა წინამძღოლმა მოითხოვა, კუბოსთან პირველად უნდა იყვნენ თავადაზნაურობის წარმომადგენლნიო. ამაზე მას უპასუხეს: ი. ჭავჭავაძე საყვარელია და ძვირფასი ქართველი ერისათვის არა იმიტომ, რომ ის თავადი იყო, არამედ იმიტომ, რომ დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, პატრიოტი იყო და პირველი ადგილი ახლობელ ჭირისუფლების შემდეგ უნდა მიეცეს ქართული მწერლობის და კულტურის წარმომადგენლებს.

თავისთავად ცხადია, ყველას მეტისმეტად აინტერესებდა გავება, თუ ვინ მოკლა ილია და რა მოსაზრებით. სხვადასხვა ხმები იყო, გარკვეული არაფერი არსებობდა. გაზეთებიც შეეკამათნენ ერთმანეთს. ერთნი ამბობდნენ რომელსამე პარტიას ვერ დავაბრალებთ, მაგრამ პარტიაში არიან ნაძირალა-ტერორისტები, რომლებიც არ ემორჩილებიან პარტიულ დისციპლინას. მეორენი სწერდნენ: შეიძლება ილია ბირადი შურისძიების მსხვერპლი გახდა... შეიძლება მკვლელობა მოხდა იმ გამწვავებულ ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც დღეს მთელ რუსეთშია მესაყუთრეთა და უმწეოდ დარჩენილთა შორისო.

ილია ჭავჭავაძე რომ ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარიყო, მაღლიერი სამშობლო ცხარე ცრემლებით დაიტირებდა მაინც და დიდის პატივით დაასაფლავებდა — ხალხი აფასებდა მის ნიჭს და მოღვაწეობას. მაგრამ სულ სხვა იყო ახლა: ილია მოკლეს ავაზაკურად, ერმა ვერ მოუარა მას, ვერ დაიცვა, რატომ? მარტო ხომ მტრები არ ეხვიენ ილიას გარშემო? სად იყვნენ მეგობრები, მოკეთენი, რატომ არ მიაშველეს თავიანთი ფარი?

საშინელმა ამბავმა მთელი საქართველო შეანძრია და გამწარებული „ვაი“ ამოსკდა გულიდან. ყველანი ერთიმეორეს და თავის თავს ეჭობებოდნენ, რამე ბრალი ხომ არა გვაქვს იმაში, რაც მოხდაო?

ყველამ საგურამოს და თბილისს მიაშურა. არ დარჩენილა არც ერთი კუთხე საქართველოსი, თუნდაც სულ მიყრუებული, რომ წარმომადგენელი არ გამოეგზავნოს. ყოველი სოფელი, დაბა, ქალაქი, ყო-

ველი დაწესებულება, ორგანიზაცია, ჯგუფი, ცალკე პიროვნება მოისწრფოდა ილიას დასატირებლად. ბევრი დაწესებულების გამგეთა მთელი შემადგენლობა იყო ჩამოსული. სკოლებიდან არათუ მასწავლებლები, მოწაფენიც კი ჩამოვიდნენ. თბილისის არასოდეს უნახავს ამდენი ხალხი, თბილისში არასოდეს მოუყრია თავი ამდენ ქართველობას.

დიდძალი საზოგადოება გაემგზავრა საგურამოში და იქიდან კუბოს გამოყვა, რომელიც გამოასვენეს დილით ადრე 7 სექტემბერს. გზაში ხალხი სულ ემატებოდა პროცესიას და თბილისის რომ მოადგნენ ვერაზე, რამდენიმე ათი ათასი სული იქნებოდა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა. ზღვა ხალხი მიეგება აქ პროცესიას. სამ საათზე შევებში გამოწყობილი ცხენოსნები რომ გამოჩნდნენ, მათ შემდეგ ილიას ცხედარი, გლენებით გარშემორტყმული, იშვიათი იყო ქართველი, რომ თვალიდან ცრემლი არ გადმოვარდნოდა.

პანაშვიდის და სიტყვების პროცესია ნელა სიონისკენ გაემართა. გზაზე მალაზიები დაკეტილია, დაწესებულებებში მუშაობა შეჩერებულია, ტროტუარები, ბალკონები და ფანჯრები ადამიანებს ვერ იტევს. ბევრი სახურავებზე ასულა. სახლები შევებითაა შემოსილი. გლობს რამდენიმე გუნდი, ხალხის სახე მწუხარებას და გლოვას გამოხატავს. ხანდახან ქეითინიც ვაისმის. ვასაოცარი წესიერებაა. ეს ცრემლი, ეს გლოვა გულიდან ამოხეთქილი, თავისუფალი გრძნობაა. ვისაც არ უნახავს ი. ჭვჭავაძის დასაფლავება, ნუ იტყვის, ხალხის გლოვა მინახავსო. უფრო გრანდიოზული იყო 9 სექტემბერი, ილიას დაკრძალვის დღე. პროცესიის მონაწილე მეტი იყო, ასი ათასს გადააქარბებდა ალბათ. დაახლოებით შუადღეზე გამოვასვენეთ მიცვალებული სიონიდან. კუბოსთან დადგნენ ახლო ნათესავეები, ყოფილი თანამშრომლები, მწერლები. სიონში პანაშვიდს იმპერატორის მოადგილე ვორონცოვ-დაშკოვიც დაესწრო და როცა კუბო ეკლესიიდან გამოიტანეს, ვორონცოვს უნდოდა კუბოსთან ახლო მდგარიყო, მაგრამ ქართველმა ლიტერატორებმა წრე შეკრეს და იგი კუბოს დააშორეს, წრის გარეთ მოაქციეს.

პროცესია ვიწრო ქუჩებს გაჭირვებით რომ გასცილდა, მერე დიდად გაიშალა. ისე გრძელი იყო, რომ თუ თავი ოპერის თეატრთან იყო, ბოლო ჯერ კიდევ ერევნის მოედანზე იდგა.

ყოფილ სასახლის ქუჩაზე, წ. კ. საზოგადოების სადგომის წინ ცხედარს მოეგება ა. წერეთელი. მან წერილი დაწერა ილიას გარდაცვალების გამო და ლექსიც უძღვნა. ახლა ავადმყოფი იყო, მხრებში მეჯობრები უდგნენ და მილეული ხმით მიმართა თანატოლს და თანამებ-

რძოლს: „ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდით და ერთი გზით დავდიოდით და ახლა დაობლებული დავრჩი... როგორც სიცოცხლე შენი, ისე სიკვდილი გახდა ხალხის ამოძრავების მიზეზი და აჰა, საქართველოს ყოველ მხრიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს. მშვიდობით, ძმაო“. აკაკიმ ცრემლიანი თვალები გააყოლა ილიას კუბოს.

ბევრი დაწერილა, უფრო თქმულა იმის შესახებ, რომ ვითომც ილიას და აკაკის ერთმანეთი არ უყვარდათ, ერთიმეორეს პატივს არა სცემდნენ. ეს ყოველს საფუძველს მოკლებული ცილისწამება და ჭორია. როგორ პატივს სცემდა ილია აკაკის და აფასებდა მის ნიქს, ამის დასამტკიცებლად საკმარისია ილიას წერილი აკაკისთან მიწერილი 1886 წ., რომელიც გამსჭვალულია იშვიათის გულითადობით.⁴⁸

აკაკის ილიასთან პოლემიკა ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო და თავის „კრებულში“ საყვედურებიც დაუწერა ილიას,⁴⁹ „ივერიაში“ სულ ჩემს წინააღმდეგ ილაშქრებენ (თვითონ ილია უშუალოდ არ უძღვებოდა მაშინ გაზეთს), მაშინ როდესაც მეც მომდის წერილები შენს წინააღმდეგ, მაგრამ არც ერთს არ ვბეჭდავო. აკაკის ბუნება იყო იუმორი... ილიასაც გაკრავდა ხანდახან. გამიგონია: ილიას მოკვლა რომ გაიგო, ძლიერ შეწუხდა და მერე თქვა: სიკვდილშიც კი ბედი ჰქონიაო. აკაკი ძალიან კეთილი ადამიანი იყო და მისი ოხუნჯობა და მწარე სიტყვა სრულებით არ შეეფერებოდა მისი გულის წადილს. აკაკი ილიას დიდ პატივს სცემდა. ეს ცხადყო 9 სექტემბერს წარმოთქმულმა სიტყვამაც.

ეგებ ვინმემ იფიქროს, რომ ორი დიდი ქართველი პოეტი, ორი დიდი პატრიოტი ერთიმეორეს ეჭიშპებოდნენო. შეიძლება, მაგრამ ეს ხომ კეთილშობილი გაჯიბრებაა. ილიასაც და აკაკისაც მეტი სარგებლობის მოტანა უნდოდათ სამშობლოსთვის, ერთსაც და მეორესაც უნდოდა, რომ ის ყოფილიყო უფრო საყვარელი სამშობლოსთვის...

სხვა სიტყვებში ყურადღება მიიქცია Baton-ის (მ. წერეთლის) სიტყვამ, რომელიც დიდის გრძნობით იყო წარმოთქმული. ხშირად იმეორებდნენ შემდეგ საუბრის დროს სიტყვის პირველ ფრაზას: „ვინა სთქვა საქართველოზე რა დიდი ლომი კვდებაო“.

ყველას უხერხულად ეჩვენა კ. ჩხეიძის სიტყვაში გახსენება ძველი გალაშქრებისა ილიას წინააღმდეგ და პოლემიკისა მისი მოკვლის გამო. არასასიამოვნოდ მოესმა ყურს მისი ნათქვამი: შენ დაგტირიან თავად-აზნაურები, როგორც შეგნებულს მესაუთრეს, მთავრობის წარმომადგენელნი, როგორც ახლანდელი სახელმწიფოებრივი წყობილების მომ-

ხრეს, შოვინისტები, როგორც მამულიშვილს. ჩვენ ამათთან არა ვართ, ჩვენ ვაფასებთ შენში იმას, რომ შენს ნაწერებში ბატონყმობას ებრძოდით.

საზოგადოებას მოეწონა ვლ. მგელაძის სიტყვა, რომელმაც ყურადღება მიაქცია ბრძოლის გამწვავებას პარტიათა შორის: „არ არის ერთმანეთის პატივისცემა, ადამიანობა, თუ არ მოგწონს ესა თუ ის აზრი, ესა თუ ის პიროვნება. გაწამებენ, ჩამოგახრჩობენო.“

მეტად ააღელვა დამსწრენი ქუთაისელი მოწაფის ჟორჯოლიანის სიტყვამ. ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო — მღირსებოდა ჩვენი დედაქალაქის და ქართველი ერის სიამაყის — ილიას ნახვა. ველირსე ორივეს ნახვას, მაგრამ ვაიმე: სანატრელი ილია 'კუბოში' ასვენია შეზღუდვების და თბილისი მგლოვიარე, ცხარე ცრემლებით დასტირის მას!..

პროცესია მთაწმინდას უახლოვდება.

ნაბიჯი შევანელეთ. გვინდა დღე გაგრძელდეს და გვიან მივიდეთ გათხრილ სამარესთან. ჩვენი მწუხარება მატულობს. დღეს ცხედარს ვხედავთ მაინც, ხვალ ესეც არ იქნება და ილია მხოლოდ ჩვენს ხსოვნასა და მოგონებაში დარჩება.

ეკლესიიდან იკლოვის ზარები მოგვესმა. გეგონებათ, ეს ხმაა საიქიოდან: სასიქადულო ილიას ეგებებიან წინაპრები — მამულიშვილები, სამშობლო საქართველოს თავისუფლებისა და ბედნიერებისთვის შეწირულები.

ეკლესიის ეზო პატარაა, სად დაიტევს მოზღვავებულს ხალხს. მხოლოდ ზოგიერთებს ეძლევათ საშუალება ავიდნენ მოედანზე, რომელიც ერთიანად გაიჭედა. დანარჩენი ხალხი ქვევით დგას გზაზე და გაფენილია მთის კალთაზე.

წარმოითქვა უკანასკნელი სიტყვები.

ღამდება. ბინდი მოაწვა მთას. წასვლას არავინ ფიქრობს. ბევრს აქვს კიდევ სათქმელი სიტყვა ან შესატირებელი ლექსი.

მაინც უნდა დავასრულოთ, მუხლებს მოვიდრეკთ ყველანი და მღუპარე მწუხარებით გამოვეთხოვებით მიცვალებულს. ნელ-ნელა, მძიმედ დავეშვებით ძირს. მალ-მალ მივიხედავთ უკან, თვალს გადავაგლებთ ვარდებითა და ყვავილებით დაფარულს საფლავს...

„პოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ!“ რა ლამაზი ხარ, რა საყვარელი! შენი სახე — ეს ხომ ნამდვილი საქართველოა! რამდენი ქექა-ქუხილი გინახავს, ქარიშხალი, ნიაღვარი! წარღვნის წვიმებს ერთიან ჩამოურეცხავს შენი კალთები, მაგრამ შენ ისევე ამწვანებულხარ, აყვავებულხარ, მოკაზმულხარ მნახველის გასახარებლად!

რამდენი ქირი და უბედურება გამოუვლია საქართველოს, რამდენ შურდოს გადაუთელავს მისი მთა-ველნი, ცეცხლით გადაუწვავს მისი დაბა-ქალაქები, სისხლით მოურწყავს მისი მიწა, მაგრამ გაძარცვული კვლავ აღმდგარა და უნახავს სიხარულის დღეები. მუდამ ცოცხალია!

საყვარელი ხარ, მთაწმინდავ! ამიერიდან კიდევ უფრო შეგვიყვარდები, შენს მკერდზე მივასვენეთ ჩვენი ქვეყნის ერთი საუკეთესო შვილთაგანი. შეიტკბე და დაუყუჩე ქრილობანი, სხეულისა და სულის. დეე, ნანას ეტყოდნენ მას შენი „ნელად მქროლნი ნიაგნი“.

ილიას კუბოს შესამკობად 180 გვირგვინი იყო მოტანილი. ორასზე მეტი ლექსი მიეძღვნა დიდს პოეტს (გარდა დაბეჭდილებისა). უთვალავი სამგლოვიარო დეპეშა და წერილი მოვიდა საქართველოს, რუსეთის და უცხოეთის სხვადასხვა ადგილებიდან როგორც ქართველებისაგან, ისე უცხოელებისაგან. ციხეებში გამომწყვდეულმა ტუსაღებმაც, კატორღელებმა, ციმბირში გადაქარგულებმაც მოგვაწოდეს თავისი მწუხარება ილიას დაღუპვის გამო. სამძიმრის დეპეშა დაწერილი იმდენი იყო, რომ მარტო მათ უბრალო ჩამოთვლას 10—12 ჰკერდი დასჭირდებოდა. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა მცირე კუნჭულიც კი, რომ ღრმა მწუხარებით არ გამოხმაურებოდა საქართველოს საერო გლოვას.⁸⁰

დავასაფლავეთ დიდი ქართველი, ძვირფასი ადამიანი, ღრმად მგლოვიარე გულით. მაგრამ ვერ ვურიგდებოდით იმას, რომ ამით უნდა გათავებულყოფიყო ფიქრი ილიაზე. 9 სექტემბერს საღამოს 8—9 საათზე შეიკრიბნენ დასაფლავებაზე ჩამოსული დელეგატები წ. კ. გამგეობის წევრებთან ერთად და ითათბირეს, თუ როგორ უნდა აღინიშნოს ილიას ხსოვნა რაიმე საგანგებო დაწესებულებით. კრებამ დაადგინა, რომ უნდა შედგეს ილიას სახელის ნაციონალური ფონდი, რომელიც მოხმარდება ქართული ლიტერატურის და განათლების გავრცელებას. იყო ლაპარაკი ძეგლის დადგმის შესახებაც, ხოლო გადაჭრილი და კონკრეტული არა თქმულა რა. ფონდის შეკრება და ხელმძღვანელობა დაეკისრა წ. კ. საზოგადოებას, რომლის გამგეობამ სათანადო მიმართვები დაუგზავნა ქართულ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს. ამავე დროს თვით წ. კ. საზოგადოებაში და მის გარეშეც ქართველობის ფართო წრეებში უფრო და უფრო გახშირდა ლაპარაკი ძეგლის დადგმის შესახებ. საკითხს გარკვეული სახე მისცა და დააჩქარა მისი განხორციელება იაკ. ნიკოლაძის ჩამოსვლამ უცხოეთი-

გამოცემა (მაშველ-სალარიძის დახმარებით) ბაქოს

ქართველთა ამხანაგობის „კლამი“-სა.

№ 9.

ილია ჭავჭავაძის

სიკვდილი და დასაფლავება.

რედაქცია «მინისა» (ს. ა. ხ. ს. ს. კ. ა. ა.)

25⁰ „ამ გამოცემის შემოსავლისა გადაიღება ილიას სახელობაზე განზრახულ „ეროვნულ ფონდისათვის“

ტფილისი

სტამბა „ადრედი“ (მ. დ. კიკნაძისა), ნიკოლოზის ქუჩა № 4.

1907

დან. იგი ჩამოვიდა 1908 წ. გაზაფხულის თვეში პარიზიდან, სადაც მუშაობდა საფრანგეთის ჯამოჩენილ სკულპტორ როდენთან. მე და ის კარგი ნაცნობები ვიყავით და შემოიარა ჩემთან წ. კ. საზოგადოებაში. გამიზიარა თავისი განზრახვა, მინდა ხელი მოვკიდო ი. ჭავჭავაძის ძეგლის გაკეთებას, თუ, რასაკვირველია, ქართველი საზოგადოება მენდობა და დამაქისრებსო. მე მოუწონე აზრი და ვუთხარი, წინადადება შემოეტანა საზოგადოების გამგეობაში. გამგეობამ მოსთხოვა მოდელის გაკეთება და დაახლოებით ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ი. ნიკოლაძის გეგმამ გამგეობის წევრებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი გადაეცა გასასინჯად სპეციალისტების, თბილისელ მხატვრების კომისიას, რომელშიაც შედიოდნენ: ჯ. გაბაშვილი, მ. თოიძე, ო. შმერლინგი, პ. პრინეესკი და სხვ. კომისიამ სავსებით მოიწონა ძეგლის მთავარი ნაწილი — მგლოვიარე ქართველი ქალი და ილიას სახე, მხოლოდ საჭიროდ დაინახა მკირეოდენი ცვლილებების შეტანა ძეგლის არქიტექტურულ გაფორმებაში. წ. კ. საზოგადოების გამგეობას არ შეეძლო საქმის საბოლოო გადაჭრა. მოიწვია ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება ორჯერ — ერთი ზაფხულში, მეორე შემოდგომის დამდეგს და გააცნო მას საკითხის მთელი მდგომარეობა. კრებების წევრთათვის უმთავრესად საყურადღებო იყო ორი საგანი: ერთი — სად უნდა დაიდგას საზოგადოდ ი. ჭავჭავაძის ძეგლი, ერევნის მოედანზე, თუ განსვენებულის საფლავზე? მეორე ის — თუ ვის მიენდოს ძეგლის გაკეთება, ი. ნიკოლაძეს, თუ კონკურსი გამოცხადდეს და ვინც უკეთეს გეგმას წარმოადგენს, იმას გადაეცეს?

პირველი საკითხის გამო ერთნი ამტკიცებდნენ, რომ საფლავი მორთოთ უბრალო რამ ანაგებით, ხოლო კარგი ძეგლი, ღირსი ი. ჭავჭავაძისა, უნდა ავლმართოთ ერევნის მოედანზე. მეორენი კი (ამათში ვიყავი მე) ვამბობდით, რომ დღესდღეობით ქართველი ხალხი ვერ შესძლებს ღირსეული მონუმენტის დადგმას ერევნის მოედანზე, რომელსაც დასჭირდება დაახლოებით 40—50 ათასი მანეთი. ეს საქმე მივიანდოთ მომავალს, უკეთეს პირობებს. დღეს კი ილიას საფლავზე ავაგოთ, რამდენადაც შეგვიძლია, კარგი ძეგლი, როგორც სახესაც გვაძლევს ი. ნიკოლაძის გეგმა. დიდის უმრავლესობის გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა უქანასკნელი აზრი. ამასთანავე ისიც იყო დადგენილი, რომ წ. კ. საზოგადოებამ (და არა თავად-აზნაურობამ, როგორც ზოგი ფიქრობდა) ახლავე თავიდანვე გამოითხოვოს მთავრობისაგან ნებართვა ძეგლის აგებისთვის ერევნის მოედანზე.

უფრო ცხარე დისკუსია გაიმართა იმის გარშემო, თუ ვის მივიან-

დოთ ძეგლის გაკეთება? მე პირადად საზოგადოების გამგეობაში და ფართო წრეებში დაუინებით ვიცავდი იმ აზრს, რომ უთუოდ ქართველს, ნიკოლაძეს უნდა მივანდოთ ეს საქმე, რადგან ილიას ძეგლი უნდა იყოს არა მარტო ილიას ძეგლი, არამედ ქართველი მხატვრის შემოქმედების გამომქლავება. ი. ნიკოლაძის ხელოვნებას ქართველობა უკვე იცნობდა რამდენიმე მისი ნაწარმოებით, მას ყურადღება შიაქციეს პარიზშიც, ის ნიკიერი ახალგაზრდა იყო, იმედის მომცემი და ხელი უნდა შეგვეწყო, გამოეჩინა თავისი შემოქმედება ისეთ პასუხსაგებ საქმეში, როგორცაა ილიას ძეგლის გაკეთება. ამავე აზრისა იყვნენ ლ. ბოცვაძე და პ. სურგულაძე და უმრავლესობაც დაგეთანხმა ჩვენ.

ამის შემდეგ რამდენსამე ხანს კიდევ გაგრძელდა საზოგადოების გამგეობის და ი. ნიკოლაძის მოლაპარაკება საბოლოო შეთანხმებისათვის და დეკემბერში დადებულ იქნა ხელშეკრულება.

ი. ნიკოლაძემ თავის დროზე შეასრულა დავალება და ჩამოიტანა პარიზში ჩამოსხმული ქანდაკება. საფლავის გვერდზე მთის ჭამაგრებას, არქიტექტურულ გაფორმებას და სხვადასხვა სამუშაოებს ბევრი დრო დასჭირდა და ძეგლი სრულიად დამთავრდა და მისი გახსნა მოხდა 1913 წ.⁵¹ ამ უკანასკნელ ამბებს მე არ დავსწრებივარ, რადგან 1910 წ. საქართველოდან გადამასახლეს⁵² და წ. კ. საზოგადოების საქმეებსაც ჩამოვშორდი.

მოკლედ გავიხსენებ ილიას ქონების ამბავს. ადრევე შედგენილ ანდერძით ილიამ მთელი თავისი უძრავი და მოძრავი ქონება დაუტოვა თავის მეუღლეს ოლღას, რომლის სიკვდილის შემდეგ მამა-პაპეული (ყვარელის მამული) გადაეცემოდა კანონიერ მემკვიდრეებს, ხოლო კეთილშეძენილი ილიასი საგურამოს მამული და სახლი თბილისში ანდრევის ქუჩაზე⁵³ გადადიოდა წ. კ. საზოგადოების ხელში.

ილიას მეუღლეს, უკვე ხანში შესულ ადამიანს, რომელიც დაჭრილი იყო წინამურში და ჯერ მთლად გამოკეთებული არ იყო, არ შეეძლო მამულების მოვლა-პატრონობა, უარი განაცხადა მემკვიდრეობაზე და წინადადება მისცა წ. კ. საზოგადოებას, რომ იგი ახლავე დაპატრონებოდა ნაანდერძევს. მაგრამ საზოგადოებამ ეს ვერ იკისრა, რადგან ყველა ილიას მამული და სახლი ბანკში იყო დაჯირავებული, გარდა ამისა, ილიას კერძო ვალიც საკმაოდ ჰქონდა აღებული და საზოგადოებას შეეშინდა, ვითუ მამულების ლიკვიდაციამ ვერ გაისტუმროს ვალები და საკუთარი ფულის წამატება დამჭირდესო და უარი განაცხადა თვითონაც მემკვიდრეობის მიღებაზე. ხო-

ლო ბანკისაგან იყიდა ნაწილი საგურამოს მამულის და სახლი თბილისში, რომ შეენახა ეს ილიას სახსოვრად და პატივსაცემად.

მეტად ძვირფასი სახალხო საგანძური იყო ილიას ქონება თბილისის სახლში — ავეჯი, მორთულობა, ბიბლიოთეკა, ხელნაწერები. ამას წ. კ. საზოგადოების განგეობა თავიდანვე დაეუფლა. ილია რომ დავა-საფლავეთ, გამგეობამ მე გამგზავნა ამ ქონების ჩასაბარებლად. ჩაბარება უნდა მომხდარიყო სანსმართლოს ბოქაულის შემწეობით, რომელსაც ცალ-ცალკე უნდა აეწერა და დაენომრა ყოველი ნივთი.

მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ილიას ბინის ოთახებში შესვლამ. კარები რომ გავაღე და შევედგი ფეხი ილიას კაბინეტში, რომელიც ისე იყო, როგორც დატოვა მისმა პატრონმა 30 აგვისტოს დილას, მე უავშეშდი. აი, მისი მაგიდა, სამელნე, კალამი, საყვარელი წიგნები, სურათები; აი, მისი სავარძელი, დივანი. ჩემმა გონებამ გადაქრა უკან ორი კვირის მანძილი და ცხადად წარმოვიდგინე ილიას დინჯი მიხვრა-მოხვრა, მიმოხედვა, გასინჯვა, ხომ არა დამავიწყდა რაო. მისი სუნთქვა ჯერ არ გამქრალა ოთახში და მისი თვალების სხივი და მისი ფიქრები აღბეჭდილია კედლებზე, თუმცა მე ამას ვერ ვხედავ.

ერთგულმა მეუღლემ უთხრა თურმე იმ საბედისწერო დღეს ილიას: დღეს ნუ დავბრუნდებით საგურამოშიო. ჰქონდა რაიმე წინასწარი გრძნობა თვითონ ილიას, როდესაც გამოვიდა სახლიდან, სადაც აღარასოდეს დაბრუნებულა?!

ვიღრე ხელს ვახლებდით რასმე და ნივთების აღწერას შევეუდგებოდით, ფოტოგრაფს⁵⁴ გადავალდებინე სურათები ილიას კაბინეტისა და ზალის, რომ სახე მაინც დარჩენილიყო ილიას ბინის, თუ ვინიცობაა ვერ მოვახერხებდით მის დაცვას ისე, როგორც მისმა პატრონმა დაგვიტოვა.

ჩემი წინდახედულობა საფუძვლიანი გამოდგა, სამწუხაროდ, წ. კ. საზოგადოება ერთხანს მუზეუმის მოწყობას ფიქრობდა ილიას სახლში, მაგრამ გაათავა იმით, რომ 1910 წ. ზამთარში მთელი მოძრავე ქონება ამ სახლიდან ქართული გიმნაზიის შენობაში გადაიტანა. და ილიას კაბინეტი და დარბაზი დარჩა გატიალებული, შიშველი კედლები და ქერ-იატაკი.

ი. ჭავჭავაძეს რომ ვიგონებ, თვალწინ მიდგას მისი მეუღლე, დარბაისელი ოღლა, სათნო სახით და კეთილშობილი გულით. იგი მეტად სიმპათიური ადამიანი იყო, მოსიყვარულე, თავაზიანი. წ. კ. საზოგადოების სასარგებლოდ რომ ყოველწლიურად კონცერტები და

სეირნობა-ბაზრობა იპართებოდა, ამას ქ. ოლღა დიასახლისობდა და უძღვებოდა. მთელი-თბილისის ქალებს შემოიკრებდა სამაისო სეირნობის და ლატარიის მოსაწყობად. ყველანი ხალისით ეგებებოდნენ მის მოწვევას, კერავდნენ თუ ქსოვდნენ, აგროვებდნენ ნივთებს, ალაყებდნენ და თვითონ სეირნობის დღეს შუალამემდის მუშაობდნენ. ყველას ამხნევებდა ოლღას ტკბილი და კეთილი შემოხედვა. უკანასკნელი წლები ოლღამ გაპირვებაში გაატარა — არც ბანკმა დაუნიშნა პენსია, არც სხვა ვინმე დაეხმარა. ერთ დროს ანდრეევის ქუჩაზე ცხოვრობდა, მერე მთაწმინდაზე, დავითის მოედნის მახლობლად დაბინავდა, მგონი, ვილაც ნათესავეთან. ამბობდა: ილიას საფლავთან ახლოს ვიქნებიო, — ეს იყო მისი ერთადერთი ნუგეში.

ბ ბ ბ ბ

როდის და სად გავიცანი აკაკი? ვფიქრობ, წ. კ. საზოგადოებაში, სადაც 1902 წ. არჩეული ვიყავი გამგეობის მდივნად და საქმის-მწარმოებლად. ნანახი კი აკაკი ჩემი გიმნაზიელობის დროიდან მყავდა. ქუთაისში მოწაფეები შორიდან სიყვარულით შევეცქეროდით მის ოლიმპიურ სახეს და თუ როგორმე ახლო გავუვლიდით, ვცდილობდით, ყური მოგვეკრა რაიმე მისი ნათქვამისათვის. ამხანაგები ერთმანეთის შეხვედრისას ერთიმეორეს ვახარებდით, აქა და აქ აკაკი დავინახეთ-თქვა. ის ქუთაისში ხშირად ჩამოდოდა, რამდენიმე დღეს დარჩებოდა; შეხვედებოდა მეტწილად ან ქალაქის ბაღში (ბულვარში), ან კილაძეების (მერე ბეჟანეიშვილის) წიგნის მაღაზიის წინ. მასთან იყვნენ ქუთაისელი ინტელიგენტები: კ. ლორთქიფანიძე, სილ. ხუნდაძე, ხელთუფლიშვილები, ქართული გიმნაზიის მასწავლებლები; ვნახავდით მაღალი წოდების წრეში — წერეთლებთან, გურიელებთან, ფალავებთან, რადგან მასთან შეხვედრა და გამოსაუბრება ყველას სასიამოვნოდ მიაჩნდა.

მე რომ მწერლობა დავიწყე, შესაძლებელია, ყურადღება მიაქცია ზოგ ჩემს ნაწერს. ერთი სააღღგომო წერილის ფამო ლექსიც კი მიძღვნა. მერე ხომ წ. კ. საზოგადოება ქართველთა კულტურული ცენტრი იყო, აქ მუდამ თავს იყრიდნენ ჩვენი მწერლები, არტისტები, საზოგადო მოღვაწენი, პედაგოგები, აკაკიც ხშირი სტუმარი იყო, და ალბათ აქ მომეცა შემთხვევა გავცნობოდი სახელოვან პოეტს.

როდესაც თბილისში იყო აკაკი, ხშირ-ხშირად გვინახულებდა რამე

საქმისათვის ან ამბების გასაგებად. უფრო კი თვითონ იყო მოამბე და მთხრობელი. მისი დანახვა ყველას გაგვახარებდა. წიგნებზე და ხელნაწერებზე მუშაობდა ვინმე, ან ახალ გაზეთს ათვალიერებდა, ან რამე საქმისათვის იყო მოსული, ან მალაზიაში წიგნის ყიდვა უნდოდა, ყველა მაშინვე აკაკის შემოეხვეოდა გარშემო.

მისი სახე უნებურად იქცევა ყურადღებას — ის არ იყო ჩვეულებრივი მომაკვდავის სახე. აკაკი რაც ხანში შედიოდა, უფრო და უფრო მოგვაგონებდა ძველი ბერძნების ღმერთების და პოეტების ქანდაკებს. მაგრამ განსაკუთრებით მიჰხიდიველი და მოჰხიბვლელი იყო მისი უბნობა და ენა. არ იცოდა ლაპარაკის დროს წაბორძიკება, სიტყვების ძებნა, უხერხული გამოთქმა, უცხო სახელების ჩართვა და ენის აჭრელება. მისი ლაპარაკი იყო სადა, მარტივი, მოჩხრიალებდა წყაროსავეთ, ბუნებრივი დენით და ტკბილი მოსასმენი იყო, მიუხედავად იმისა, თუ რა შინაარსის იყო. რაც უნდა მალა საგანზე ესაუბრა, მისი ნათქვამი ადვილად გასაგები იყო. ისეთი ტკბილი მოყოლა იცოდა ამბების, რომ მისგან უკვე გაგონილს სიამოვნებით მოვისმენდით მეორედ და მესამეჯერაც.

აკაკი რომ რასმე გადმოგვეცემდა, ეს არ იყო ფაქტების უბრალო ჩამოთვლა, არამედ ეს იყო აკაკის მხატვრულ ქურაში გადამუშავებული ამბები, რომლებიც პოეზიის სამეფოს უფრო ეკუთვნოდნენ, ვიდრე მშრალ, ობიექტურ სინამდვილეს. იგი მუდამ პოეტი იყო, მხატვარი, შემოქმედი. ნახულს თუ გაგონილს თავისებურად მოკაზმავდა და მორთავდა. რისიმე დასამტკიცებლად მისი მთავარი არკუმენტი იყო სათანადო არაკის თხრობა, როგორც „სიბრძნე სიცრუის წიგნშია“ ან „ქილილა და დამანაში“.

მისი საუბრის საგანი უმთავრესად ის იყო, რაც არის მთელი მისი პოეზია — საქართველოს ბედი, მისი სიყვითე, თავისუფლება. მაგრამ უყვარდა. ოხუნჯობაც, მეგობრული შარეები, ცოტა კბილის გაკერა. არავის მოერიდებოდა არც თავისიანს, არც მეგობარს. გავიხსენებ ზოგიერთს მის ნამბობს, ანეკდოტს თუ მართალ ამბავს. ახალგაზრდაწერილი რომ ვიყავიო, — გვიამბო აკაკიმ, — თბილისში ჩამოვედი. მინდოდა ცოლის სიამოვნება და ბაზარში ღლავის (ლოქოს) ბოლო ვიყიდე, რაც, მოგეხსენებათ, საუკეთესო ნაჭრად ითვლებოდა და სახლში მოვიტანე გასაკეთებლად. ჩემმა ცოლმა რომ დაინახა, აიღო და თავში მესროლა, თევზის კუდი რა საქმელიაო. სახტად დავრჩი, რას ვეტყვოდი, რა იცოდა რუსმა, რომ ღლავის თავი უვარგისია!

ერთი გორელი თავადის შვილი ციმბირში იყო გადასახლებული.

იქ ზამთარში ნახა, რომ გაყინულ რძეს ნაჭრობით და წონით ყიდ-
დენ ბაზარში. იფიქრა: მოდი, ჩვენებს გავუგზავნი, გაუკვირდებათ
და გაეხარდებათო. იყიდა მოზრდილი ყუთი, გაავსო გაყინული რძით
და რკინიგზით გამოუგზავნა თავისიანებს გორში, რასაკვირველია,
გზაში დადნა რძე და დაიღვარა. გორში ცარიელი ყუთი მიიღეს. «ვაი
ჩვენი ცოდვა, ის ვაჟი სწორედ გაიქცებულა, რომ ცარიელი ყუთი გა-
მოგვიგზავნა ციმბირიდანო», თქვეს იმ თავადის შვილის ნათესაებებმა.

ერთმა ახალგაზრდამ თავის მოკვლა განიზრახა და აკაკის გაანდო
თავისი გადაწყვეტილება. აკაკიმ მოუწონა, თავის მოკვლა დიდი გმი-
რობაა, ყველას არ შეუძლია, მაგრამ თავი ისე უნდა მოიკლა, რომ
სასახლეო ჯამოვიდესო. წადი და ზღვაში დაიხრჩვე თავი, ზღვა ნაპირ-
ზე გამოგადგებს, ქვეყანა გაიგებს, შენზე დაიწყებს ლაპარაკს და გა-
ზეთშიც კი დაბეჭდავენ შენს ამბავს. ახალგაზრდას ეამა აკაკის რჩე-
ვა და ფოთში გაემგზავრა თავის დასახრჩობად. იქ ამხანაგები შეხ-
ვდნენ, გაეხარდათ მისი ნახვა, დაპატიჟეს და კარგად აქეიფეს. იქე-
იფეს მეორე დღესაც. აქეთ გაატარეს, იქეთ გაატარეს. რამდენიმე
დღის განმავლობაში ასე გაართეს და ახალგაზრდას სულ გადაავიწყდა
თავის მოკვლა. დაბრუნდა ისევ თბილისში, ნახა აკაკი და დიდი მად-
ლობა გადაუხადა, სიკვდილს გადამარჩინეო.

ერთხელ, — გვიამბო კიდეც აკაკიმ, — ცხელოდა. გოლოვინის (რუს-
თაველის) პროსპექტზე მოვდიოდი. დავითის (ბესიკის) ქუჩის კუთხე-
ში რომ ვიყავი, დავინახე, ზევიდან იაკობ ჯოგებაშვილი მოდის, მაგ-
რამ რაღაც ახირებულად: ხან მარჯვნივ გადახტება, ხან მარცხნივ, თით-
ქოს ცეკვავსო. ელდა მეცა, ვაითუ გაგიჟდა იაკობი-თქო. ავეყვი ზე-
ვით ქუჩას, შევეგებე და გვითხე, თუ რა მოუვიდა. იაკობმა მიპასუხა:
ტროტუარი მოურწყავთ და დასველებულ ადგილს ვერიდებო, მეში-
ნია არ გავცივდეთო.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ი. ჯოგებაშვილს ფილტვები ჰქონდა და-
ზიანებული და ყოველთვის ერიდებოდა ნოტიოს, სიცივეს, ქარს. ისიც
გასახსენებელია, რომ აკაკი და იაკობი დიდი მეგობრები იყვნენ ერთ-
მანეთის.

წ. კ. საზოგადოებასთან აკაკის საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა —
მისი ნაწერების, დახმარების, პენსიის და სხვათა გამო. ყველამ უწყის,
რომ ეკონომიურად აკაკი არ იყო ჯეროვნად უზრუნველყოფილი. მარ-
თალია, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკიც დაეხმარა, ჰიათურის შავი
ქვის მწარმოებელთა კრებაც, იუბილეს შემდეგ მისი სახელობის ფონ-

დიდან პენსია ეძლეოდა, მისი ნაწერებიც იყიდებოდა, მაგრამ აკაკი მეტწილად მაინც გაჭირვებაში იყო.

მაგონდება, ერთხელ აკაკიმ ასი მან. დახმარება სთხოვა წ. კ. საზოგადოებას. გამგეობამ უარი უთხრა, მე ეს ძლიერ საწყენად დამირჩა და მალე მოვახერხე, რომ აკაკის მაინც მისცეს ასი მანეთი ერთი მისი ნაწარმოების გამოცემის ანგარიშში. აკაკის ფონდი რომ შედგა, აქედან ყოველთვიურად პენსია დაენიშნა მას. ამას ხშირად რამდენიმე თვისას ერთად აიღებდა წინდაწინ, ძალიან მესაჭიროებო. წ. კ. საზოგადოებამ აკაკის ზოგიერთი ნაწარმოები გამოსცა, სხვათა შორის კრილოვის არაკებულ თარგმანი. ამ ფინანსურ საკითხების გამო აკაკის უსიამოვნება მოუვიდა წ. კ. საზოგადოებასთან. ერთხელ საზოგადოების გამგეობა სამედიატორო სასამართლოში გაიწვია („ჩვენს შორის არსებულ უთანხმოების გასაჩქევადო“). გამგეობამ უპასუხა: ჩვენ თქვენთან არაფერი სადავო არა გვაქვსო. რასაკვირველია, ისეთი დაწესებულება, როგორც წ. კ. საზოგადოება იყო, როგორ იკადრებდა რაიმე უწყსობას ანგარიშებში, ნამეტურ როგორ აკადრებდა ამას აკაკის. მაგრამ უსიამოვნება არ უნდა მივაწეროთ აკაკის სიავეს. აკაკი ფულის უანგარო მხარჯველი იყო, ბავშვი ნამდვილი. იმას რომ ყოველთვიურად ათასი, ხუთი, ათი ათასი შემოსავალი ჰქონოდა, მისი ჯიბე ძალიან ხშირად მაინც ცარიელი იქნებოდა.

ჩემთან აკაკის კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, ჩემი სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი „მზე“ (მერე „ფასკუნჯი“) რომ გამოდიოდა, ხალისით მომაწოდა „თავგადასავალის“ გაგრძელება და ლექსებსაც მაძლევდა.

გავიხსენებ ამ შემთხვევასაც: ერთ დილას ადრე აკაკი შემოვიდა წ. კ. საზოგადოების კანცელარიაში და საიდუმლოდ მითხრა: ძალიან მესაჭიროება და ასი მანეთი უნდა მასცხსო. პირადად მე ეს ფული არ მქონდა, მაგრამ უარის თქმა როგორ შემეძლო. გავალე ყუთი და საზოგადოების ფულიდან მაშინვე გადავუთვალე. თუ დამიბრუნებდა, ხომ კარგი, თუ ვერა, ჩემი ჯამაგირიდან დაეფარავდი ნაწილ-ნაწილად. საბედნიეროდ, მეორე დღეს ადრე შემოვიდა აკაკი მხიარულ ფუნებაზე და სესხი დამიბრუნა. თურმე იმ ღამეს კარტში კარგად მოეგო. საერთოდ კი უფრო აგებდა, ვიდრე იგებდა.

1908 წ. შემოდგომა იწყებოდა. დილის 10 — 11 საათი იყო. ჩვენთან, საზოგადოების კანცელარიაში რამდენიმე კაცი იყო, საქმისათვის თუ ისე მოსული, შემოვიდა აკაკი. ყველანი წამოვდექით და მივესალმეთ. აკაკი ჭერ კიდევ არ დამჯდარიყო, რომ ერთნაირი საყვე-

დღურით მომმართა: თუ მართლა აპირებთ იუბილეს გამართვას, მი-
თხარით, თორემ მე უცხოეთში ვაპირებ წასვლას სამკურნალოდ. ყვე-
ლამ ყურები გამოვცქვიტეთ, გაკვირვებით შევაცქერდით აკაკის. მან
გაგვახსენა, რომ 50 წლის წინათ დაიბეჭდა „ცისკრის“ მე-11 ნომერში
მისი პირველი ნაწარმოები, თარგმანი ლერმონტოვის ლექსის „რტო
პალესტინისა“. ყველას შეგვრცხვა და თან გაგვეხარდა. შეგვრცხვა,
რომ არ გვახსოვდა ასეთი ღირსშესანიშნავი ფაქტი (თუმცა შესაძ-
ლებელია სხვა წრეებში ჰქონდათ ამაზე ლაპარაკი), გვიხაროდა, რომ
ილიას სამგლოვიარო დღეების შემდეგ ქართველ ხალხს საშუალება
მიეცემოდა, სამხიარულო დღესასწაული მოეწყო თავის საყვარელ
ზოხნის პატივსაცემად და შემოკრებილიყვნენ მის გარშემო ერთ
მთლიან ერად. ეს იქნებოდა ერთნაირი პოლიტიკურ-ნაციონალური
დემონსტრაცია.

მაშინვე შევადგინეთ ქალაღი, რამდენიმე კაცის ხელმოწერილი
და ვთხოვეთ წ. კ. საზოგადოების გამგეობას, რომ ხელში აეღო აკა-
კის იუბილეს მოწყობა. გამგეობამ ეს ვერ იკისრა, ჩემი წინდება ამის
ნებას არ მაძლევსო, ხოლო მოიწვია ქართულ დაწესებულებათა წარ-
მომადგენლების თათბირი, რომელმაც აირჩია საჯანგებო საიუბილეო
კომიტეტი (თავმჯდომარე იყო წ. კ. საზოგადოების თავმჯდომარე
გ. ყაზბეგი, მისი ამხანაგი ი. გოგებაშვილი, მდივნები — ს. მგალობ-
ლიშვილი და ს. ფირცხალავა)⁵⁵.

კომიტეტი დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას. მისი მთავარი ბინა,
აგრეთვე ესთქვათ, „შტაბკვარტირა“ იყო წ. კ. საზოგადოების კანცე-
ლარია, რომელსაც დააწვა მთავარი სამუშაო. ორი თვის განმავლო-
ბაში მთელი საქართველო იუბილეს სამზადისში იყო. სხვადასხვა ქა-
ლაქებსა და დაბებში შედგა მცირე კომიტეტები, რომელთაც დახმარე-
ბა უნდა აღმოეჩინათ თბილისის კომიტეტისათვის და ეზრუნათ ამას-
თანავე ადგილობრივ იუბილეების გასამართავად. იწერებოდა ადრესე-
ბი, მზადდებოდა საჩუქრები, იკრიბებოდა საფონდო ფული და ითხზე-
ბოდა ლექსები, ურომლისოდ ქართულ ლხინს თუ ტირილს ვერავინ
წარმოიდგენს. ემზადებოდნენ არა მარტო ქართველები, ჩვენი მე-
ზობლები — სომხები, მუსლიმანები, ებრაელები, უკრაინელები, რუ-
სები დიდი ინტერესით უყურებდნენ დღესასწაულს, იცოდნენ, რომ
აკაკი საუკეთესო გამომსახველი იყო ქართველი ერის ზრახვათა.

და აი გაიხსნა ეს იუბილე 7 დეკემბერს.

მშვენიერი დღე ჯამოვიდა. თბილისი მოირთო და მოიკაზმა. ქალაქი
აივსო ქართველებით. წინათაც გამოჩნდა აქ ქართველი ხალხი —

დ. ყიფიანის და განსაკუთრებით ილიას დასაფლავების დროს. ხოლო მაშინ იყო გლოვა და მწუხარებამ მოუყარა ერს თავი, დღეს კი ლხინია, სიხარული და ნადიმზე ჩამოვიდნენ ქვეყნის შვილები ყოველი კუთხიდან. ნამდვილი ხალხური დღესასწაულია, გლეხები და მუშები აქტიურ და ფართო მონაწილეობას იღებენ დღეობაში. ყველა მთვრალია სიხარულით, იმედით და სრულს ნებას აძლევს თავის გრძნობებს.

თუ ილიას დატარებამ ერთ არსებად აქცია ქართველი ერი, გაფართოვა და გააღრმავა მისი ნაციონალური შეცნება, ამ მხრივ აკაკის დღეობამ კიდევ უფრო დიდი როლი ითამაშა ილიას შეფასებაში. ზოგიერთები კიდევ ორჭოფობდნენ, აკაკის გარნემო კი გაერთიანდნენ ყველა პარტიები და ჯგუფები. ითქვა თამამად, დაურცხველად ქართველი ხალხის მთლიანობა, როგორც ერის, და აკაკი გამოცხადდა მთელი ერის საუნჯედ, სასიკოცნლო სულის ჩამდგმელად. ეს იმ დროს დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო, რადგან პარტიების გამწვავებულმა ურთიერთობამ თითქმის მთლად წაშალა ქართველობის სახე.

საიუბილეო დღესასწაული იშვიათი სიდიადით და ბრწყინვალეობით ჩატარდა. დაუეწიყარი იყო ზოგიერთი მომენტები. აიხადა ფარდა. სცენა კოხტადაა გამართული. ამალგებულ ადგილზე სავარძელია აკაკისთვის. მახლობლად დგანან საიუბილეო კომიტეტის წევრები. მწერლები, არტისტები, მხატვრები, კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელი დელეგაციები, ხოროები, ორკესტრი. ხალხით გაქვიდილი თეატრი სულგანაბული მოუთმენლად ელოდება. აი, გამოჩნდა აკაკი და ფეხზე წამომდგარ საზოგადოების ენთუზიაზმს საზღვარი არა აქვს. გრგვინავს ტაში და „გაუმარჯოს აკაკის!“

პირველად მიესალმება ი. გოგებაშვილი კომიტეტის სახელით... აი, სუენალები, ამაყად უკავიათ თავი, თითქოს ამბობენ, აკაკი ყოვლის უწინარეს ჩვენი, ჩვენ გამოვზარდეთო. გამდელის ქალიშვილმა რომ აკვანი მოართვა, უბრალო, გლეხური, რომელშიაც იზრდებოდა მომავალი პოეტი, აკაკიმ ცრემლი ვერ შეიკავა. ვინ იცის, ეგებ იმ წუთს მის თვალწინ ელვასავით გადაირბინა მისი ტკბილი ბავშვობის დრომ და მერმინდელი ცხოვრების სიმწარემ. აი, მაჰმადიანი ქართველები, მესხები, ქართველი ებრაელები, ფულითადი მოლოცვებით. სიტყვები საერთოდ ერთნაირია, მხოლოდ ზოგიერთი მიიქცევს ყურადღებას. მე განსაკუთრებით ჩამრჩა გულში სენაკის წარმომადგენლის ლოლუას სიტყვა, მეტად დახვეწილი, სუფთა ქართული ენით და საუკუნოდ წარმოთქმული.

აკაკი ყოველ მილოცვას უბრალო მადლობის თქმით ან ხელის ჩამორთმევით უპასუხებდა, მაგრამ სომეხ ლალიანცს სიტყვით მიმართა: სომხებს და ქართველებს ეკონომიურ საკითხებში მცირეოდენი უთანხმოება გვაქვს, მაგრამ პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში ერთად, ძმურად უნდა ვიმუშაოთო. ასევე შინაარსიანი სიტყვაუთხრა სპარსელს და მუსლიმანების წარმომადგენელს.

საიუბილეო გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ მილოცვები და აღრესები უნდა გათავებულიყო დღით და საღამოს იქნებოდა წარმოდგენა და სალიტერატურო განყოფილება აპოთეოზით. მაგრამ მილოცვები ვერ ამოიწურა დღით, ამიტომ საღამოს წარმოდგენა და სალიტერატურო ნაწილი მოიხსნა და ისევ აღრესები გაგრძელდა. მაინც: კიდევ ბევრი აღრესი წაუკითხავი დარჩა, დრო აღარ იყო. რაც შეეხება ფოსტით მოსულ წერილებს და დეპეშებს, მათ უბრალო ჩამოთვლას რამდენიმე საათი მოუწოდებოდა.

ნაშუალამევი იყო უკვე, რომ აკაკიმ სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა: ჩემი შრომა ერთიათად დაფასდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხში ეროვნული გრძნობა გაზრდილია და იგი ეძებს გმირს, მხსნელს, რომლის მე მხოლოდ მოჩვენება ვარ. გაათავა ლექსით:

არა, არ ვკარგავ იმელსა, ;
ვერ შემაშინებს ქალარა, ;
გმირებს შოელის თქვენგანაც
ჩემი დაფი და ნალარა!

იუბილე დასრულდა აპოთეოზით, აკაკის „სიზმრის“ ცოცხალი სურათით — „ენახათ ქვეყნად ჩამოსულიყვენ თამარ, ქეთევან და ნინო“. აპოთეოზმა ცხოვლად დაგვიხატა აკაკის პოეზიის მთავარი იდეა.

მიუხედავად იმისა, რომ იუბილე ასე გაგრძელდა, რამდენიმე საათი დღითი და საღამოთი თითქმის ერთდეროვან სიტყვებს და აღრესებს მოუწდა, ეს არვის მოსწყენია, ყურადღება და ინტერესი ერთ-ერთსაც არ შენელებულა, პირიქით, ყველას უკმაყოფილება დაეტყო იმის გამო, რომ ძალაუვნებურად იუბილეს დღესასწაული უნდა დასრულებულიყო.

იუბილესთან დაკავშირებით აკაკის ოხუნჯობა უნდა გავიხსენოთ კიდევ. დღესასწაულის წინა დღეებში ერთმა ჩვენმა საერთო ნაცნობმა ქალმა მთხოვა, გადაეცით აკაკის, რომ მას ახლა მოსვენება და მშვიდობა ესაჭიროება, რომ იუბილეს მხნედ და მაგრად შეხვდეს. დაბინავდეს ჩემთან, ცალკე ოთახს მივცემ, კარგად ვაქმევ და ვასმევ, და:

ისე ზღვასუქებ, როგორც ყვერულსო. აკაკის რომ ეს გადავეცი, ასე შემომძახა: ჰოო, როგორც ყვერულს, როგორც ყვერულს!.. აბა მამლად რომ არ ვარგივარ, მეც კარგად ვიციო!

იმ დღეებში ჟურნალ-გაზეთები გავსებული იყო წერილებით სულ აკაკის შესახებ. ცალკე ალმანახებიც გამოიცა. სხვა ერების გაზეთებშიც ბევრს წერდნენ იუბილეს გამო. მაშინ ჩემი „ფასკუნჯიცი“ გამოდიოდა და, რასაკვირველია, 7 დეკემბრის ნომერი აკაკის მიეძღვნა, ლექსები თუ წერილები. ერთ ჩემს წერილში ვთქვი, რომ აკაკი ქართველი ხალხის სულიერი მეფეა. ამის ზამო აკაკიმ ხუმრობით საყვედური მითხრა: რატომ დამღუპე, ჩემი შევალე ურიები დამესიენ, მეფე ყოფილხარ თურმე, ფული ბევრი გექნება და ვალი გადაგვიხადეო.


აკაკის იუბილეზე ჩამოსულები მეორე დღესაც თბილისში იყვნენ. ზოგნი მესამე დღესაც დარჩნენ. იყო ერთმანეთთან შეხვედრა, შთაბეჭდილებების გაზიარება. იუბილემ მთელ ქართველობას სიმხნევე და იმედიანობა შემატა. იუბილე თბილისის დღესასწაულით არ დამთავრებულა. აკაკის პოეტობის 50 წლისთავი იდღესასწაულეს საქართველონ სხვადასხვა ადგილებში, ბაქოში, პეტერბურგში და მოსკოვში.

ამ დღესასწაულების გათავების შემდეგ აკაკი უცხოეთში გაემგზავრა ჩამდენიმე თვით სამკურნალოდ. რომ დაბრუნდა, თავისებურად უკბინა და იოხუნჯა პარიზზე. რასაკვირველია, დედამიწის ეს ერთი უმთავრესი ცენტრთაგანი მრავალ სიმშენიერესა და სიკეთესთან საოხუნჯო მასალასაც მისცემდა ჩვენს ენამახვილ პოეტს.

1910 წ. გაზაფხულზე მე დამაბატიმრეს, ჩამდენიმე თვეს მეტეხში ვიჯექი და მერე სამი წლით საქართველოდან გადამასახლეს. როდესაც დავბრუნდი, აკაკის ქუჩაში, თეატრში ან სადმე კრებაზე თუ შევხვდებოდი. ის ხანდახან ჩვენს რედაქციაში შემოივლიდა, ლექსებსაც მოგვაწოდებდა. პირველი ომის დაწყებას დიდი ინტერესით შეეგება. ფიქრობდა, ომი უთუოდ გატეხს რუსეთის თვითმპყრობელობას, რევოლუცია მოხდება და საქართველოსაც ეშველებო.

1914 წლის მიწურულში ხმები გავრცელდა აკაკის ავადმყოფობის, რომელიც თავის სოფელში, სხვიტორში იმყოფებოდა. ამისათვის დიდი ყურადღება არავის მიუქცევია. ვფიქრობდით, რომ უბრალო რამეა. მაგრამ 1915 წ. იანვრის დამდეგს ცნობები უკვე მდგომარეობის საშიშროებას იტყობინებოდნენ, აკაკის სისხლი ჩაექცა და სხეულის ზოგიერთი ნაწილი გაუკავაო. ქართველი საზოგადოება ძალიან შეფიქრიანდა. ჩვენი გაზეთის („სახალხო ფურცელი“) რედაქციას თითქმის

ყოველღლე მოსდიოდა ექიმებისაგან აკაკის ავადმყოფობის ამბები. ყოველი მხრიდან გვეკითხებოდნენ, თუ როგორაა ძვირფასი ავადმყოფი, ზოგნი პირდაპირ საჩხერეში მიმართავენ ნაცნობებს და სთხოვ-



დნენ ცნობებს. ექიმთა კონსილიუმით მდგომარეობა შიშვე იყო. მაგრამ არა უიმედო. ავადმყოფობა ცვალებადობით მიმდინარეობდა რამდენიმე დღის განმავლობაში — ხან უკეთესობა ჩანს, ხან უარესობა მთელი საქართველოა ყურადღება საჩხერე-სხვიტორისკენაა მიქცეული. წ. კ. საზოგადოების გამგეობა თავის წევრს ნ. ნაკაშიძეს ავ-

ზაენის სხვიტორში. სხვებიც მიდიან აკაკის სანახავად. აკაკის შვილს, რომელიც თავს დასტრიალებს მამას, დეპეშებს უგზავნიან და უსურვებენ ავადმყოფს მალე მორჩენას. ზოგან პარაკლისებს იხდიან აკაკის განკურნებისათვის.

23—24 იანვარს ავადმყოფი შესამჩნევად მოუშობესდა. მაგრამ თურმე, როგორც ხშირად ხდება, ეს იყო სასიცოცხლო ძალების უკანასკნელი შემოკრება, რომ ჩვენი საყვარელი აკაკი სამუდამოდ გამოეთხოვა ამ ქვეყანას.

25 იანვრიდან 26 იანვარზე გადასულ ღამეს აკაკი გარდაიცვალა. ჩვენმა გაზეთმა ორშაბათს, 26 იანვარს, შუადღეზე საჩხერიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ჩვენმა მრავალტანჯულმა სამშობლომ დაკარგა თავისი სიამაყე, 26 იანვარს ღამის პირველ საათზე გარდაიცვალა აკაკი.

სამწუხარო ამბავი ელეის სისწრაფით გავრცელდა თბილისში და მოედო მთელ საქართველოს. ყველას გონება და გრძნობა მოიცვა ერთმა ფიქრმა:

ალარაა აკაკი, ის აკაკი, რომელსაც ერთი ღმერთი სწამდა — ქართველი ერი, ერთი სამლოცველო ჰქონდა — საქართველო, ერთს ეტრფოდა — სამშობლოს თავისუფლებას, ერთი სძულდა — მისი ქვეყნის მტერი.

რედაქციამ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა აკაკის შვილს ალექსის და დამავალა მე, რომ იმ საღამოსვე გაემგზავრებულიყავი სხვიტორში, რედაქციის სახელით მუხლის მოსადრეკად ახლად მიცვალებულის ცხედრის წინაშე და მონაწილეობის მისაღებად მისი გასვენების თადარიგში.

ჩემთან ერთად წამოვიდნენ სანდრო შანშიაშვილი, ქართველ მწერალთა საზოგადოების წარმომადგენელი, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, აკაკის სახის ნიღაბი უნდა გადმოეღო და სხვ. სხვიტორში მივედით ნაშუადღევს, სამშაბათს, ასე ორი-სამი საათი იქნებოდა.

აკაკის ეზოში მგლოვიარე ხალხი იყო თავმოყრილი. ჩვენ პირდაპირ შევედით სახლში. მიცვალებული ასვენია ოთახში, სადაც შეიძლება პირველად იხილა მზე მომავალმა ზღოსანმა, სამშობლოს აღდგენის ქურუმმა. ახლა სამუდამოდ დახუჭულია მისი საამქვეყნიო თვალები, ხოლო სახე მისი, მარადისობის შუქით გაბრწყინებული, მოგვაგონებს დიდი იტალიელების დახატულ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სახეს. თეთრი თმა და წვერ-ულვაში ვერცხლისფერს ნათელ-

სა ფენს სახეს, რომელზედაც აღბეჭდილია საუკუნო სიმშვიდე და მღუმარება. აღარ ამეტყველდება მისი ენა, არც სიტკბოსა და სიმწარისათვის, არც ქებისა თუ მრისხანებისთვის.

ვუცქერი სახეს და მინდა, რომ ჩემს გულში სამუდამოდ დარჩეს ყოველი მისი მოხაზულობა, ყოველი წერტილი, ნათელი თუ მიჩრდილული.

ცხედრის გარშემო ჰირისუფლები დგანან. ჩვენსავით მწარე ფიქრებში არიან ისინიც. ასე ვართ რამდენიმე წუთს.

მერე მივუსამძიმრეთ ალექსის. გარეთ გამოვედით. ეზოში დავჯექით და ალექსიმ გვიამბო მამის უკანასკნელი საათები. ძალიან მხნედ და იმედიანად იყო თურმე სიკვდილის წინ, მალე მორჩენას ელოდა, თბილისში წავალთო, ოხუნჯობდა კიდევ.

იმ ღამეს და შემდეგაც ელისაბედ წერეთელმა მიგვიწვია საჩხერეში, მის ორ ვაჟს პირადად კარგად ვიცნობდი, უფროსი ვაჟი წინა ხანებში ომში დაიღუბა. ელისაბედის ოჯახი, ნაშთი ძველი ფეოდალებისა, მდიდარ და განთქმულ წერეთლების, კარგად შეძლებული იყო. ჩვენ ყურადღებით მიგვიღეს და დიდი პატივი გვცეს.

მეორე დღეს სავანეში წავედით. დავგვატიჟა ერთმა ჩემი გიმნაზიელობის დროის ამხანაგმა აბაშიძემ. ვინახულეთ ის ეზო, სადაც ცელქობდა და თამაშობდა პატარა აკაკი, ის ხეები, რომელთა ჩრდილში იწვრთნებოდა მისი ოცნება. სახლი კი დამწვარიყო რამდენიმე წლის წინათ. სავანელები, სხვიტორელები, საჩხერელები სულ იმას გვეკითხებიან, თუ სად დასაფლავებენ აკაკის. ჯვეუბნებიან: იგი აქ დაიბადა, აქ გაიზარდა, უყვარდა აქაურობა, იგი ჩვენია და აქ უნდა დაიძარხოს უთუოდო. ჩვენ ვუმტკიცებდით, რომ აკაკი მთელ საქართველოს ეკუთვნის, ის უნდა დაიკრძალოს დედაქალაქში, მეორე დიდი ქართველის — ილია ჭავჭავაძის გვერდით, მთაწმინდაზე. ვიდავეთ და ბოლოს დაგვეთანხმენ.

ვვარაუდობდით, რომ აკაკის დასაფლავება მოხდებოდა ახლობელ კვირას, 1 თებერვალს და, რასაკვირველია, ჩვენ მანამდის საჩხერეში დავრჩებოდით და გამოვეყვებოდით პროცესიას. მაგრამ თბილისიდან შეგვატყობინეს, რომ აკაკის დასაფლავება მოხდება მხოლოდ 8 თებერვალს, რადგან გასვენების მოწყობა მანამდე ყოვლად შეუძლებელი არისო. ამის ჯამო თბილისიდან ჩამოსულები ისევ უკან გამოვბრუნდით, რომ მერე სხვებთან ერთად ისევ წამოვსულიყავით გასვენებაში მონაწილეობის მისაღებად.

დამკრძალავი კომიტეტის დადგენილებით, მიცვალებული გამოსვენებული იქნებოდა სხვიტორიდან ოთხშაბათს, 4 თებერვალს, იმ დამეს საჩხერეში დარჩებოდა. ხუთშაბათს ღამესაც შორაპანში შეეჩერდებოდა და პარასკევს დილით წამოვიდოდა თბილისისაკენ. თანახმად ამ წესისა, კომიტეტის წევრები, მწერლები, პრესის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწენი ოთხშაბათს დილით ჩავედით სხვიტორში. იქ უკვე უთვალავ ხალხს მოეყარა თავი. უმეტესობა სულ უბრალო გლეხობაა. დაახლოებით მესამე საათზე აკაკის კუბო გამოვასვენეთ მისი ხახლიდან. ცოტა შეეჩერდით, თითქოს იმისათვის, რომ აკაკი სამუდამოდ გამოთხოვებოდა მამაპაპეულ სახლ-კარს. პროცესია ნელ-ნელა დაიძრა საჩხერისაკენ. გზაში ხალხი გვემატებოდა და საჩხერეშიც ბევრი დაგვხვდა.

ეს დიდებული პროცესია საჩხერიდან შორაპანმდე, შორაპნიდან თბილისამდე, პროცესია თბილისში დაწვრილებით იყო აწერილი მაშინდელ გაზეთებში და მე ამ აწერას არ გავიმეორებ. ვიტყვი მხოლოდ: აკაკის კუბოს რომ ყოველ საღვურზე ასე გულწრფელად დამწუხრებული ხალხი ხვდებოდა და დასტიროდა, ეს არ იყო ჩვეულებრივი დასაფლავება, ტირილი, დიდი პოეტის პატივისცემა; ეს თვალცრემლიანი ხალხი ასე მოკრძალებით და სიყვარულით რომ შესცქეროდა აკაკის კუბოს, ცდილობდა ახლოს მიხვლას, სიტყვით თუ სხვაფერ უკანასკნელად გამოთხოვებოდა, თაყვანი ეცა მისთვის — ამას კჳონდა რაღაც ზეადამიანური, რელიგიური ხასიათი. ეს ამოღენა მოდენილი ხალხი მე მომაგონებდა პილივრიმების შემოკრებას რომელიმე წმინდანის ან ხატის მოსალოცავად. ეს იყო ღვდელმოქმედება და წარმოთქმული სიტყვები მორწმუნეთა ლოცვები.

ჩვენს ხალხს გულით უყვარდა აკაკი. ილიას დიდ პატივს სცემდა და ამ პატივისცემას მისი განსვენებისას ზედ დაერთო ერთნაირი დანაშაულის გრძნობა, ხოლო აკაკის რომ ასაფლავებდნენ, ჰალხი გრძნობდა, რომ მის მხრებზე ერის გული იყო შესვენებული. ილიას, გარდა ეროვნულისა, სხვა მოტივებიც აქვს, აკაკის კი მხოლოდ ერთი მოტივი აქვს — პატრიოტიკა. და აქ ვერც ერთი ქართველი პოეტი ვერ ჩაწვდა ხალხის სიღრმეს, როგორც აკაკი. მისი პატრიოტული ლექსები ხალხურ სიმღერებად გადაქცა. ამ ლექსში ერპა იგრძნო თავის ბედის სიმწარე და მას გაუნათდა გზაც თავისუფლეზისა და აღდგენისაკენ...

აქ უნდა მოვიტანო ერთი კურიოზული დამახასიათებელი შემთხვევა

ჯ. შორაპანში რომ ჩამოვედით, ვინმე ბათუმელმა ჩიქოვანმა ითხოვა, სიტყვა მაქვს დაწერილი და უნდა მათქმევინოთო. კომიტეტის წევრებმა უარი უთხრეს, მაგისტანა მსურველი ძალიან ბევრიაო. ჩიქოვანს ეს ძლიერ საწყენად დაურჩა. მეორე დღეს დილით ადრე შესულყო სამგლოვიარო ვაგონში, იდგა მარტო აკაკის კუბოს წინაშე და ღელავდა თავის სიტყვას იმგვარ კილოთი, როგორც მღვდლები კითხულობდნენ ეკლესიაში...

შორაპანში ახლად ჩამოსულები მოგვემატენ, ზოგნი თბილისიდან იყვნენ, ზოგნი დასავლეთ საქართველოდან. რკინიგზის სამმართველოდან საგანგებო მატარებელი იყო მოცემული თბილისამდე. მთელ ჩვენს ინტელიგენციას მოეყარა თავი ვაგონებში. იყვნენ ყველა მიმართულების და პარტიების წარმომადგენლები, ძველი და ახალი მოღვაწეები. გზაში დიდი პოლიტიკური დისპუტი გაიმართა, იმის გარშემო, თუ როგორ გათავდებოდა ომი და რას მოუტანს საქართველოს. მოკამათენი დანაწილდნენ არა პარტიულ მიმართულების მიხედვით. ერთნი აპტიკებდნენ, რომ გაიმარჯვებს გერმანიის კოალიცია, მეორენი — საფრანგეთი, ინგლისი და რუსეთიო. პირველების შეხედულებით, გერმანია რომ გაიმარჯვებს და რუსეთი დამარცხდება, ეს გამოიწვევს რუსეთში რევოლუციის დაწყებას და საქართველოსაც მოუტანს თავისუფლებასო. ინგლის-საფრანგეთის გამარჯვების მომხრენი კი ამბობდნენ, რომ ინგლისი და საფრანგეთი ომის მოკვების შემდეგ აიძულებენ რუსეთს, რომ თავისუფლება გამოაცხადოს. იყო ისეთი აზრიც (გ. ლასნიშვილი), რომ გერმანია დამარცხდება, მაგრამ დამარცხდება რუსეთიც და მოხდება რევოლუციაო...

თბილისში ჩამოვედით მეოთხე საათზე. ცხედარი მივასვენეთ ქაშვეთის ეკლესიაში. დასაფლავება მოხდა მესამე დღეს, მ თებერვალს. სამგლოვიარო პროცესია ძალიან მოგვაგონებდა ილიას დასაფლავებას. ისევე მოზღვავებული იყო ხალხი, როგორც მაშინ. მთავარი სიტყვები წარმოითქვა ერევნის მოედანზე. პირველად ილაპარაკა ნ. ნიკოლაძემ, აკაკის თანატოლმა. მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქობულეთელმა მაჰმადიანმა ქართველმა კაიკაციშვილმა: მოიგონა თავის მოძმეთა მწარე ბედი და მიმართა აკაკის, დაუბარე შენებს, რომ ცოტა სინათლე შემოიტანონ ჩვენს მხარეშიო. იშვიათის მკვერმეტყველობით იყო წარმოთქმული კიტა აბაშიძის სიტყვა. უკეთესი მე არასოდეს გამიგონია. გერკხლის ზარის ხმასავით გაისმა მისი წარმოთქმული: „აჰა, დაიხსებრა ქურქელი ძვირფასი!“ ერთბაშად დაატყვევა ყველა და სულგანახულნი აღტაცებით უსმენდნენ დასასრულამდე.

მე სამი წერილი ვუძღვენი დიდებული პოეტის ხსოვნას: „აკაკი აღარაა“, „მოვედინ და თაყვანი ვცემთ“ და „აკაკი“. ჩემი განცდები იყო მაშინდელი საზოგადო განცდები.

საუკუნო განსვენების ადგილამდე მივაცილე საქართველოს ორი უდიდესი შვილი, ილია და აკაკი, ეს ორი მთავარი ბურჯი ჩვენი XIX ს. ლიტერატურის, კულტურის, აღორძინების და იმედის, რა ძვირფასი იყო ეს იმედი იმ დროს, როცა მტრები უკვე საშარეს თხრიდნენ ქართველი ერისთვის. მათ გადაიტანეს უმთავრესად თავისი ზურგით გასული საუკუნის მანძილზე ქართველი ხალხის ნაციონალური რაობა და გადმოსცეს მეოცე საუკუნეს მკვიდრი და განმტკიცებული.

ილია და აკაკი, ამ სახელების ერთიმეორის დაშორება არ უღგება ჯონებას. ერთს რომ ახსენებ, მეორე მოსდევს თან, რომელი უფრო უყვარდა ქართველ ხალხს? მე ამის პასუხი არა მაქვს. ილია და აკაკი ძნელი გასარჩევია. ორივე ერთნაირად საყვარელია და არ არის დღეს ქართველი მოღვაწე — უდიდესი და უმცირესი, რომლის გული არ ატოკებულა იყოს მათი ქნარის ხმით, რომლის სისხლ-ხორცში არ იყოს გამჭდარი მათი მოწოდება მაღალი ადამიანობისა და მამულიშვილობის.

მადლიერმა ქართველმა ერმა ერთი ძეგლი უნდა აუგოს მათ, ორივეს ერთად, თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილზე.

ზ ო გ ი ბ რ თ ე ბ ი

ნიკო ცხვედაძე — მე-60 წლების საზოგადო მოღვაწე, წ. კ. საზოგადოების ერთი მთავარ დამაარსებელთაგანი. ნ. ცხვედაძე ამ საზოგადოების გამგეობაში დიდი ხანია იღებდა მონაწილეობას და ჩემსობას და აღრეც თავმჯდომარის ამხანაგი იყო.

ნ. ცხვედაძე ი. ჭავჭავაძის ახლო მეგობარი იყო და შინაურ კაცად ითვლებოდა კონიაკის მწარმოებლის, მდიდარ დ. სარაჯიშვილის ოჯახში და ეს სარაჯიშვილი მისი რჩევით ნიშნავდა სტიპენდიებს და ეწეოდა ქველმოქმედებას.

ნ. ცხვედაძე ძალიან მუყაითი მუშაჲი იყო, მუდამ რასმე აკეთებდა, ცუდად ყოფნა არ შეეძლო. მის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა ნების სიმტკიცე, დაჲინება. რასაც ხელს მოჲკიდებდა, ადვილად არ შოეშებოდა. ნამდვილი ქართლელი ტიპი იყო — ჭამძლე, ძარღვიანა.

ამ თავის დაუღალავი ენერგიით, სიმტკიცით და შრომისმოყვარეობით გაჰქონდა საქმე და ამას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ მან მძაბვალ ქართულ უნივერსიტეტს წინასწარ დაუმზადა მშვენიერი შენობა. ამ სახლის შენება რომ დაიწყო, ეს ყველას ფანტაზიად, ოცნებად მიაჩნდა და არავის სჯეროდა შენობის დამთავრება.

წ. კ. საზოგადოების სხდომებს თითქმის არასოდეს აკლდებოდა. უბრალო ადამიანი იყო და გამგეობის ახალგაზრდა წევრებს ასევე გვეპყრობოდა, როგორც მამა შვილებს — ცოტა მეგობრის, ცოტა უფროსის კილოთი.

გამგეობის სხდომების უურნალში დადგენილებების ჩაწერა თავის ხელით უყვარდა, თუმცა სწორი ხელი არ ჰქონდა და მისი გამოთქმა ზუსტი და ადვილად გასაგები არ იყო ყოველთვის. ეს ჩვეულებაც ჰქონდა: როგორც კი გასარჩევი საკითხი დაისმოდა, აიღებდა კალამს ხელში, იტყოდა თავის აზრს და შეუდგებოდა ამის ჩაწერას, როგორც საერთო აზრის და დადგენილების. ბ. ნიკოლოზ (ნიკოლაი ზებედევიჩი)! შესძახებდნენ განუკობის წევრები. მოითმინეთ, ჯერ არაფერი დაგვიდგენია, ვიმსჯელოთ, ნება მოგვეცით. ჩვენი აზრი მოგახსენოთ. ისიც დინჯად დასდებდა კალამს და მოგვემართავდა: აბა, ბრძანეთო.

საერთოდ სიმპათიური ადამიანი იყო, ერთგული პატრიოტი და ყველა პატივს ვცემდით.

ი. ჭავჭავაძე რომ გარდაიცვალა, დადგა ს. ახი, თუ ვინ უნდა აგვერჩია წ. კ. საზოგადოების თავმჯდომარედ. იმ დროს რეაქცია თანდათან ძლიერდებოდა და გვეშინოდა, წ. კ. საზოგადოებას რაზე არ შემთხვეოდა. ამიტომ საერთო აზრი იყო, რომ საზოგადოების თავმჯდომარედ აგვერჩია ვინმე მთავრობის წინაშე დამსახურებული კაცა, რომლის სიტყვას ანგარიშს გაუწევდნენ მმართველი წრეები.

გავჩერდით გენერალ გიორგი ყაზბეგზე, რომელსაც იმ დროს დიდი თანამდებობა ეკავა ჯერ ვარშავაში და შემდეგ ვლადივოსტოკში. გასული საუკუნის 70-იან წლებში მან ოსმალეთის მესხეთში იმოგზაურა და საინტერესო წიგნი გამოაქვეყნა „Три месяца в Турецкой Грузии“, რომელიც ძვირფას ცნობებს შეიცავს და დღესაც მარტო-ბაშია. გ. ყაზბეგს ყველა ისე იცნობდა, როგორც კარგ ქართველს და განათლებულ, ქვეყან კაცს.

ნ. ცხევიძეს ეს ეწყინა. ფიქრობდა, რომ მისი კანდიდატურა იქნებოდა წაპოყენებული.

1908 წ. გაზაფხულზე მოხდა წერა-კითხვის საზოგადოების საერ-

თო კრება და თითქმის ერთხმად საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. ყაზბეგი. ნ. ცხვედაძე კრებას არ დაესწრო და გამგეობის წევრობაზედაც კენჭი არ იყარა.

საზოგადოებამ ის საპატიო წევრად აირჩია. გამგეობამ პერგამენზე, დაწერილი საპსაღობელი აღრესი მიართვა, მთელი შემადგენ-



მარცხნიდან მარჯვნივ: უცნობი პირი, დ. უზნაძე, ს. ფირცხალავა, გრ. ვეშაქელი.

ლობით სახლში ეახლა და სიტყვიერადაც დიდი მადლობა მიუძღვნა.

ნ. ცხვედაძემ თავაზიანად მიგვიღო სტუმრები. მაგრამ მის სახეს ნაღველი და სევდა ემჩნეოდა.

ვაჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა ჩემთან რომ შემოვიდოდა წ. კ. საზოგადოების კანცელარიაში, თუ ზამთარი იყო, მე მაშინვე თითქოს სიცივეს, სუსხს ვიგრძნობდი, გამაჟრჟოლებდა, ასე მეგონა ფშავ-ხევსურეთის თოვლიან-ყინულიან მთებში ვიყავი, ხოლო თუ ეს ცხელ მაისში, ზაფხულში იყო, რაღაც საამო გრილი ნიავეი დამიბერავდა და ლალად ვიწყებდი სუნთქვას.

ვაჟა სადაც მივიდოდა, თან მიჰქონდა თვისი ფშავეთი. ის მიჯაჭვეული იყო მშობლიურ მთებსა და კლდეებზე. ის მუდამ იქ არ იყო, სხვაგან სწავლობდა, სხვაგან მსახურობდა, საქართველოს გარეთაც უცხოვრია, პეტერბურგში, თბილისში ხშირად ჩამოდიოდა, სხვაგანაც დადიოდა, ხოლო ყველგან მუდამ თან ახლდა მისი მხრის ჯურღმუ-

ლები, ნაპრალები, ხევეები, მაღალი მწვერვალები, ჩანჩქერები, მიყრუებული ზამთარი და გაზაფხულის ქუხილი.

ერთიან გამდნარი იყო ბუნებაში და მისი საკუთარი პიროვნება აღარა ჩანდა. მისი ნუკრი, ჩხიკვი, ია, ხე, კლდე, მართლა თავის საკუთარს გონებით მსჯელობდნენ, საკუთარს ენით ლაპარაკობდნენ და არა ვაჟა-ფშაველას ნაკარნახევს იმეორებდნენ.

ვაჟა აღამიანი, შემოქმედი აღარასად იყო. მის სრულს ანტიპოდს წარმოადგენდა ნ. ბარათაშვილი. ვაჟა ბუნებაში თუ ჰქრება, ეს ბუნება თვით ჰქრება ბარათაშვილში. მთაწმინდა, მტკვარი, არაგვი, სუმბული — ეს სულ ბარათაშვილია, ისე ღრმად შეაქვს პოეტს ყველაფერში თავისი პიროვნება, თავისი მე, თავისი ფიქრები და გრძობები. გინდათ ჩაეხუტოთ კლდეს, იმიტომ რომ იგი ბარათაშვილის სულითაა გაქვნილი და იქ პოეტის გულის ფეთქვა გესმით.

ვაჟა-ფშაველა მეტად შებოროკილია ბუნებით, თავი ვერ დაუღწევია მისი სიძლიერისაგან. ესაა მისი სისუსტე, ესაა მისი სიღიადე, ტყუილად არ იტყოდა ი. ჭავჭავაძე, ვაჟა სოფელს და მთას არ უნდა მოშორდესო.

ბარათაშვილი ბუნებას იმორჩილებს, იპყრობს, თავის მე-დ გარდაქმნის, ვაჟა-ფშაველას კი ბუნება იმორჩილებს და პიროვნებას უქარგავს.

ასეთი ფიქრები მომდიოდა, როცა ჩემ წინ ვაჟა-ფშაველა იყო და მეგობრულად ვესაუბრებოდი.

ის წელიწადში რამდენჯერმე ჩამოვიდოდა თბილისში და თითქმის ყოველდღე შემოვივლიდა წ. კ. საზოგადოებაში. „ცნობის ფურცლის“ რედაქციაშიც შევხვდებოდი ერთმანეთს.

თბილისში რომ ჩამოვიდოდა, ამბების დამწეული იყო, და უნდოდა ყველაფრის გაგება, მთელი ქვეყნის, ნამეტან კი საქართველოსი. გვეშველება რამეო? ეს იყო მისი საწუხარი და მარტო მისი?

მე ვიყავი მისი ინფორმატორი. თუ საერთო მსჯელობა იყო, მონაწილეობას მიიღებდა. ცოდნა-განათლება არ აკლდა. ენა უქრიდა, მაგრამ ჩანდა მისი პრიმიტივობა, ზევით რომ ეთქვი. ღარიბად იყო, ოცნებობდა, თვეში ერთი თუმანი მაინც მჭონდეს უტყუარი შემოსავალიო. თბილისში ჩამოსვლისას რედაქციებს დაუვლიდა, ხუთ-ათ მანეთობით შეაგროვებდა თავისი ნაწერების პონორარს.

წ. კ. საზოგადოების კრებასაც მიაღებოდა და ითხოვდა ოთხ-ხუთ თუმანს ან სესხად, ან დახმარებად, ან ავანსად რომელიმე მისი დასაბეჭდი თხზულების ანგარიშში. უარს თუ მიიღებდა, მაინც არ მოგ-

ვეშებოდა, თხოვნას გაიმეორებდა, აბა რა ექნა! გაჭირებულ ქართველ მწერალს შემწყალებელი და გამკითხველი არავინ ჰყავდა, გირა და წ. კ. საზოგადოებისა, რომლის სალაროში ყოველთვის მცირე თანხა იყო.

ვაჟა-ფშაველას მძიმე მდგომარეობას რომ ვხედავდი, მინდოდა რითიმე დავეხმარებოდი. ერთხელ ვურჩიე, შილერის ტრაგედია „ორლეანელი ქალი“ გადმოეთარგმნა და წარმოედგინა გამგეობაში, ეგებ გამოეცათ და სასყიდელს მისცემდნენ. ვაჟამ მოკლე დროში შეასრულა თარგმანი და მიუტანა გამგეობას, რომელმაც ი. ქავჭავაძეს გადასცა გასასინჯად. ილიამ არავითარი დასკვნა არ წარმოადგინა და წიგნი გამოუცემელი დარჩა.

მე შილერის დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი. მის პიესებს ყოველთვის ალტაცებაში მოვყავდი. „ორლეანელი ქალის“ ქართულ სცენაზე დადგმა ფრიად სასარგებლოდ მიმაჩნდა და ვურჩიე დრამატულ საზოგადოების გამგეობას, 1904 წელს სეზონი „ორლეანელი ქალის“ წარმოდგენით დაეწყო. განვეობა დამეთანხმა და მაშინვე მივწერე ვაჟას:

„ძმაო ვაჟა, როგორც კი მიიღო ეს წერილი, დაუყოვნებლივ აფრინე შენი „ორლეანელი ქალი“. მაგ პიესით გაიხსნება სეზონი 23 სექტემბერს. ამიტომ ახლავე უნდა შევუღვეთ ჰზადებას. მერე „საზოგადოებასაც“ გამოვაკემინებთ.“⁵⁸

ვაჟასაგან პასუხი ვერ მივიღე. წერილი გაეუმეორე, სხვადაც მისწერა, ხოლო შედეგი არ მოყვა რატომღაც, და შილერის პიესის ქართულ სცენაზე წარმოდგენა არ მოხერხდა.

დრამატულ საზოგადოებას საბოლოოდ არ აუღია ხელი „ორლეანელი ქალზე“. რამდენიმე ხნის შემდეგ განიზრახა მისი გამოცემა სურათებით და მთარგმნელს მოგების ნახევარს ჰპირდებოდა. სამწუხაროდ, ესეც განუხორციელებელი დარჩა.

1908 — 1909 წწ. ჩემს ეურნალს „ფასკუნჯს“ ებეჭდავდი „სორაპანის“ სტამბაში. ამ სტამბის პატრონი მ. გაჩეჩილაძე წიგნების გამომცემლობასაც ეწეოდა. განიზრახა ქართულ და უცხო ნაწარმოებების გამოცემა პოპულარული სახით. მე ვურჩიე, ერთ-ერთ წიგნად გამოეცა ვაჟა-ფშაველას ლექსების პატარა კრებული. ვიკისრე მოლაპარაკება პოეტთან და გავარიგე. ვაჟას უნდა მიეცა მ. გაჩეჩილაძისთვის რამდენიმე ახალი ლექსი. ვაჟამ რატომღაც ყველა დაპირებული ლექსი ვერ ჩააბარა მესტამბეს და მათი დავა სამედიატორო სასამარ-

თლომ გაარჩია.¹⁷ მე ვფიქრობდი, რომ ვაჟამ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა. ამის გამო ცოტა უკმაყოფილო იყო ჩემი. მაგრამ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა არ შეცვლილა. 1909 წ. აგვისტოს 30, ილიას მოკვლის დღეს, მისი პატივისმცემელი წინამურში წავედით.

მე და ვაჟამ მთელი გზა მცხეთიდან ერთად ვიარეთ და ტკბილად, მეგობრულად ვბაასობდით ჩვენი ცხოვრების საკითხებზე.

უკანასკნელი ჩვენი შეხვედრა მოხდა 1915 წ. ივლისში. ვაჟა-ფშაველა ავადმყოფი იწვა ლაზარეთში, რომელიც მოთავსებული იყო ახლანდელი უნივერსიტეტის შენობაში.

არ მომეწონა ოთახის მორთულობა, რალაც ყაზარმული, სამხედრო სახე ჰქონდა, ვერსად ვხედავდი მზრუნველის ხელს და ყურადღებას, ვაჟა მარტოდ იყო, რალაც მიტოვებული. ესეც არ მიამა. ავადმყოფი ძალიან გაახარა ჩემმა მისვლამ, თითქოს ძვირფასი რამ საჩუქარი მიმეტანოს. გამოცოცხლდა, მის სახეს ღიმილი დაეტყო.

ვისაუბრეთ ნელ-ნელა. გულნატკენი იყო — ნაცნობები და მეგობრები არ მოდიან, არ მნახულობენო, მითხრა. ქართველებმა მკვდრის დამარხვა კარგად ვიცით, ცოცხალს ყურადღებას არ ვაქცევთო.

დიდხანს არ დავრჩენილვარ. ძალზე მისუსტებული იყო და შემეშინდა; არ დაიძალაოს სხვადასხვა ამბების გახსენებით-მეთქი. რომ გამოვეთხოვე, მთხოვა და მეც დავპირდი, მალე გინახულებ-თქვა, მე ეს ვერ შევასრულე.

როგორც აკაკი გარდაცვალების წინ თავს კარგად გრძობდა, ასე თურმე ვაჟა 27 ივლისს დღისით მხიარულად იყო, ოხუნჯობდა, საღამოს კი გათავდა.

ვაჟას სურათი მქონდა, ფანქრით დახატული (ვისინი?). პოეტმა მოკლედ ლექსი მიძღვნა და საკუთარის ხელით დააწერა ამ სურათს. სად არის ეს სურათი, არსებობს კიდევ თუ არა, არაფერი ვიცი.

ი რ. ე ვ დ ო შ ვ ი ლ ი. ი რ. ევდოშვილი თავისებური პოეტია. მას საკუთარი, განსხვავებული ადგილი ეკუთვნის ქართულ ლიტერატურაში. მისი ღირა სევდიანია, ნაღველს და მწუხარებას, გაჭირვებულთა მწარე ბედს გვიხატავს.

ი რ. ევდოშვილი რევოლუციური ეპოქის შვილია, ბრძოლისათვის მოგვიწოდებს, ბრძოლას უგალობს და ამ ბრძოლის ველზე დაღუპულ გმირებს.

იგი გულწრფელი პოეტია, მისი სიხარული და კვნესა გულიდანაა გამოდის და გულს სწვდება. ესაა მისი პოეზიის დამახასიათებელი

თვისება. ამიტომ უყვარს ხალხს ირ. ევლოშვილი. ის მასის, ქუჩის პოეტია.

მის შემოქმედებაში შეიძლება ორი პერიოდი იყო: ჯერ მხოლოდ ზოციალური მოტივები აინტერესებდა უფრო, მერე კი სამშობლოს სიყვარული და მშობელი ერის თავისუფლება მიიპყრობს დიდ ყურადღებას. ხოლო მისი განცდები ყოველთვის წრფელია, მისი ლექსი გულითადაა, სავსე გრძნობით და გრძნობის ამძვრელი.

ი. ევლოშვილი მე აღრე გავიცანი, თბილისში ჩამოსვლისთანავე. „ეკალის“ რედაქციაში ნაცნობები მყავდა. იქ ის ხშირი სტუმარი იყო, თანამშრომელი, დროგამოშვებით წ. კ. საზოგადოებაშიც შემოივლიდა, შ. მღვიმელს, ი. ეკალაძეს, ვაჟას და მის ძმებს შეგობრობდა, უყვარდა მათთან პურის ჭამა. ესწრებოდა წ. კ. საზოგადოების საერთო კრებებს, კამათში ცხარე მონაწილეობას იღებდა.

მე რომ „გლეხის“ და „მიწის“ გამოცემა დავიწყე, ი. ევლოშვილი ძალიან დამიხლოვდა. მოსწონდა ჩემი გამოცემა. თითქმის ყოველი ნომრისათვის მაძლევდა ლექსს, ბარე ორჯერ სატირული ფელეტონიც მომაწოდა. ასევე ერთგული თანამშრომელი იყო „მზის“ — „ფასკუნჯის“, რომელსაც საკუთარ ჟურნალად სთვლიდა.

მეტად აწუხებდა რეაქციის წამოდგომა, თითქოს გრძნობდა, რომ ის პირადად მას მისწვდებოდა. მართლაც, 1909 წ. დაატუსაღეს, რამდენიმე თვეს იჯდა ციხეში და, როცა 1910 წ. მეც მეტეხში მიმიყვანეს, იქ ვნახე, სხვადასხვა ჭანყოფილებაში ვიყავით და ხანდახან შემთხვევით თუ მოვკრავდი თვალს.

ახალი შემოდგომა იყო. ერთ ღღეს მეტეხის ეზო ერთბაშად ახმაურდა. გამოვიდნენ ზედამხედველები და ჯარისკაცები, შეიქმნა რალაც ფაცაფუცი. სალათებმა თოფები მოიმარჯვეს. გამოვიდა ციხის უფროსი, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს დიდი ღღესასწაულისათვის ემზადებოდა.

ტუსაღები, რომელთა სარკმლები ეზოში გადიოდა, დიდი გაკვირვებით ვუყურებდით ამ ამბავს.

ახმაურდა საქნების ურდულები და გამოიყვანეს ციხიდან გასაგზავნი ხალხი — კატორღელები და გადასახლებულები. ზოგს ბორკილი ედო ხელ-ფეხზე. ყველა შეაქუჩეს და გარშემო ჯარისკაცები დაუდგნენ.

მათში დავინახე ირ. ევლოშვილი, სახე გამხდარი, დაღუული. მხარზე ჩანთა ეკიდა და ხელში მსუბუქი ბარკი ეჭირა.

„იროდიონ!“ მივაძახე ჩემი ოთახიდან. შემომხედა, თავი დამიქ-

ნა, მწუხარება ამოვიკითხე მის სახეზე. თვალები მაინც უბრწყინავდა.

წაიყვანეს განწირულები, გაუმაძლარი იმპერიალიზმის და თვითმპყრობელობის მსხვერპლნი. ვინ იცის, ვის ეღირსება მათში სამშობლოში დაბრუნება.

ირ. ევდოშვილი ორი თუ სამი წლის შემდეგ დაბრუნდა უკურნებელი სენით დაავადებული, ქლექიანი.

1913 წ. წალვერში იყო ავადმყოფი. ზაფხულში რამდენიმე კვირა მეც იქ გავატარე და ვნახულობდი იროდიონს მის ბინაზე. იწვა ლოგინში მიღეული. მაგრამ ცოცხალი თვალებით.

ვიგონებდით გარდასულს, იმედით შევყურებდით ჩვენი ქვეყნის მომავალს.

თავის საკუთარ ბედს გრძნობდა. სწყუროდა კი სიცოცხლე და ყოველს, სულ მცირე სიტკბოს გაღამეტებულად აფასებდა. მეც მიმადლოდა ფრიად, მთხოვდა, მალ-მალე მინახულეო.

შემდეგ მსოფლიო ომი დაიწყო და ომის ამბებმა გავვიტაცა ყველა.

პ. უმიკაშვილი. ალ. სარაჯიშვილი. ბევრი შემხვედრია ჩემს სამწერლო გზაზე — თითქმის ყველა ქართველ მწერალს, ხელოვანს, საზოგადო მოღვაწეს ვიცნობდი თბილისში, ბევრთან მქონია სხვადასხვა სახის დამოკიდებულება, და ახლა წარსულისაკენ რომ მივინებავ, ყველა მათი სახის გამომეტყველება ნათლად დამეხატება თვალწინ. მათში არიან ადამიანები, რომელთა პიროვნება ღრმადაა იბეჭდილი ჩემს გულში და რომელთა გახსენება დღესაც მახარებს, ცხოვრებას მაგებინებს და ხალისს და რწმენას მიმატებს.

ზოგი მათგანი უკვე ვახსენე, ახლა მინდა კიდევ ორი ძვირფასი ქართველი მოვიგონო.

ზწირად არა, მაგრამ მაინც გვეწვევოდა პეტრე უმიკაშვილი, ძველი თაობის მოღვაწე, მწიგნობარი, მისი ეს იშვიათი მოსვლა მეტად გასახარი იყო.

შემოდის ღინჯად, ნელი ნაბიჯით. მის სახეზე ტკბილი ღიმილია, რომელიც თავიდანვე კეთილგანწყობილებას გვამცნობს. მისალმების შემდეგ მკითხავს, როგორა ვარ, მეც მის ჯანმრთელობას ვიკითხავ. შევლაპარაკდებით, ყველაფერს მიმოვაგლებთ თვალს.

ჩემს უკანასკნელ ფელეტონს გაიხსენებს, კმაყოფილია, მოსწონს. თუ რამ ნაკლი ნახა, მეტყვას, არ მომერიდება. მისი დაძრახვა მეგობრული კილოსია, სიტყვაში გესლს არ გაურევს. ქართველი ხალხის გამოფნობას სედავს, უხარია. იგონებს განვლილ მწარე დროს.

განსაკუთრებით წებარის ახალგაზრდობის მუშაობას, ყველა პარტიას და დაჯგუფებას ერთნაირად არ უყურებს, მაგრამ მტრობა არავისი არა აქვს. მთელი ახალგაზრდობის მამაა, ყველა უყვარს. დარიგებაც იცოდა, მორიდებით, ფრთხილად, საწყენად არ დაურჩესო. მისი გულწრფელი სიტყვა გულს სწვდება, შეიძლება მთლად არ დააჯერო, მაგრამ გვერდზე ვერ ჩაუწელი, ანგარიშს გაუწევ.



ელ. გოგლაშვილი, ნ. პოლტორაკი-თაყაიშვილი, ე. თაყაიშვილი,
 ფირცხალავა ქართულ ემიგრანტთა ბავშვებთან ერთად საფრანგეთის
 სოფ. ლევილში, 1927 წელს.

სულ საქართველოს საქმეების ჟარზემო ტრიალებს. ხოლო განსაკუთრებული სიყვარული აქვს წიგნის, წიგნით სუნთქავს.

წასვლისას ისე გამომეთხოვება, თითქოს უკანასკნელად მხედავდეს.

რა ტკბილია, მანუგეშებელი ასეთი ადამიანის მოგონება!

აღ. სარაჯიშვილმა 25—30 წელიწადი სახელმწიფო სამსახურში გაატარა, მაგრამ ლიტერატორად იყო დაბადებული, იშვიათი მოყვარე მწერლობის, მწიგნობრობის. იცოდა, ნაბეჭდში თუ ნაწერში, ძველსა და ახალში, კარგად ჩახედავდა და იქ ისეთ რასმე აღმოაჩენდა, რასაც ყველა ვერ ხედავდა.

ქართული ენა მშვენივრად იცოდა და კარგი სტილისტი იყო. ლამაზად თარგმნიდა დასავლეთის და აღმოსავლეთის პოეტურ ნაწარმოებებს. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ისტორიულ-ლიტერატურული ნაბეჭედი და მისმა „ვეფხისტყაოსნის ყალბმა ადგილებმა“ დიდად შეუწყო ხელი რუსთაველის შესწავლას. პატარ-პატარა ორიგინალურს არაკებსაც წერდა, მარილიანს, იუმორისტულს და სატარულს. დიდი თანაგრძნობით მოეგება „ფასკუნჯის“ დაარსებას. ძალიან აინტერესებდა მისი ბედი, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა ამნაირი ლიტერატურულ-მხატვრული ორგანოს არსებობა. მეხმარებოდა მეგობრულად, რჩევით, სხვადასხვა მასალების მოწოდებით.

აღ. სარაჯიშვილი მარჯვენა ხელი იყო ექ. თაყაიშვილის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებასა და მოწყობილობაში. მას ახასიათებდა თავმდაბლობა. უყვარდა საქმის გაკეთება და ნაკლები ლაპარაკი, ერიდებოდა თავის გამოჩენას.

ცენზურა და პრესა

მე რომ მწერლობა დავიწყე, ქართული ენის ცენზორად იყო გ. ჟურული, ის კარგა ხანია ცენზორობდა. მის წინ რაფ. ერისთავი იყო ცენზორად და კიდევ ადრე ისარლიშვილი, რომელიც ძლიერ სასტიკი იყო. გ. ჟურულიც ავიწროებდა ქართულ გამოცემებს.

თვითმპყრობელობის დროს წიგნების და გაზეთების ცენზურას განაგებდა ეგრეთწოდებული საცენზურო კომიტეტი, რომლის ნების დაურთველად ერთი სტრიქონი ვერ დაიბეჭდებოდა. ამ კომიტეტს თბილისში შეადგენდნენ თავმჯდომარე, ორი უფროსი ცენზორი: ერთი ევროპული ენებისა, მეორე — რუსულისა, ორი უმცროსი ცენზორი — ქართულისა და სომხურის, სტამბების და წიგნის მაღაზიების

მეთვალყურე ინსპექტორი და მდივანი, სულ შვიდი კაცი. ქართული ენის ცენზორი ქართველი იყო. ამ თანამდებობაზე, რასაკვირველია, სანდო პირს ნიშნავდნენ, რომელსაც ზევიდან ღირებუ-ტივები ეძლეოდა და იმყოფებოდა კომიტეტის უშუალო კონტროლის ქვეშ. ცენზორს დავალებული ჰქონდა სასტიკად ედევნებინა თვალყუ-რი განსაკუთრებით ეროვნული მოძრაობისათვის. რომელიმე უბრა-ლო მოვლენა პატარა ერის ცხოვრებაში მთელ ალიაქოთს იწვევდა. არარუსული წიგნი და გაზეთი თავისთავად არასასურველი საქმე იყო. თვით არსებობა არარუსი ერებისა უკანონობად და დანაშაულად იყო მიჩნეული. „ინოროდცებს“ ითმენდნენ მხოლოდ, ითმენდნენ იმის მოლოდინში, რომ ყველანი ისინი მალე გარუსდებოდნენ.

ასეთი მტრული განწყობილების პირობებში ქართული პრესა (ისე როგორც სხვა ბევრი) დიდ შევიწროებას განიცდიდა. ცენზურისაგან. საქართველოში ცენზურა უფრო მძაფრი იყო, ვიდრე შიდა რუსეთში. ხშირად ხდებოდა, რომ ქართულ გაზეთს უკრძალავდნენ ამოელო ცნობები რუსულ გაზეთებიდან და გადმოეთარგმნა რუსულ ლიბერა-ლურ გამოცემების თუნდაც მეტად ფრთხილი და ზომიერი წერი-ლები.

ცენზურას (ან უკეთ მის პატრონს, თვითმპყრობელობას და იმპე-რიალიზმს) ორი რამ აფრთხობდა — რევოლუციური მოძრაობა ეკო-ნომიურ-სოციალური ხასიათისა მუშებსა და გლეხებში და არარუსი ხალხების ეროვნული გამოღვიძება. ცენზურა არ უშვებს ცნობებს გა-ფიცვების შესახებ რუსეთში თუ უცხოეთში. არ შეიძლება დაიბეჭ-დოს ანაბეჭდი გლეხების შეტაკებისა მემამულეებთან. ცენზორი წითელი მელნით გადახაზავს, როგორც მკვნივებს, ასეთ უბრალო ცნობას: თბილისის ცხენის რკინიგზაზე მომუშავეებს ხელფასი დაუკლეს, ისი-ნი გაიფიცნენ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ველარ გაუძლეს გა-ქირვებას და დამორჩილდნენ პატრონებს. სერბიაში მუშებმა სო-ციალ-დემოკრატიული პარტია დააარსეს და ამის გამო მანიფესტაცია გამართეს. ამის გამოქვეყნება უკანონობად მიიჩნია ცენზურამ. ასევე შეუძლებლად დაინახა გამკლავება იმის, რომ ქუჩაში მთვრალი ყან-დარმი ნახეს, რომ ამა და ამ საპატიმროში დიდი უსუფთაობა აღმოა-ჩინა პროკურორმა, რომ ციხიდან ტუსადი გაიქცა, - რომ ოდესაში სექტანტებმა ითხოვეს ნებართვა სალოცავად შეკრებისა და სხვ. აკრ-ძალუღია დაბეჭდვა ისეთი სურათებისა, რომლებიც გამოხატავენ იმ-პერატორის ჯარის დამარცხებას რუსეთ-იაპონიის ომში.

მაგრამ ასეთ ამბებს, როგორც საზოგადო მოვლენებს, ცენზურა შედარებით უფრო ლმობიერად უყურებს, მათი ეწინაა, ხოლო ფიქრობს, ეს საყოველთაო „ჭირი და უბედურებაა“. მას უფრო აშფოთებს არარუს ერების ამოძრავება, საზოგადოდ ეროვნული გრძნობის გამოცხადება. ქართულ გაზეთს არა აქვს ნება დასტამბოს წერილი სილოვან ხუნდაძისა იმის შესახებ, საჭიროა სწავლება დაწყებით სკოლებში დედაენაზე წარმოებდეს. ცენზორისაგან წაშლილია ახალი ამბავი, რომ სვანეთის და სამეგრელოს სკოლებში სწავლება რუსულად იქნება და ქართული სრულიად განდევნილი იქნება, რომ სამეგრელოში რუსულის სწავლება მუნჯურის მეთოდით იქნება, რომ ფინლანდიაში ამიერიდან სახელმწიფო დახმარება არ მიეცემა იმ სკოლის მასწავლებელს, სადაც რუსული ენის სწავლება ცუდადაა დაყენებული და სხვ. არ შეიძლება დაბეჭდვა ისეთი ცნობებისა და წერილებისა, რომლებიც ეხებიან უცხო ქვეყნების მოძრაობას და ბრძოლას.

საქმეს ოდნავად არ შევლოდა ის გარემოება, რომ ქართულ გამოცემას ქართველი ცენზორობდა. პირიქით, ხანდახან ეს მავნებელიც იყო. ქართველმა ცენზორმა საქართველოს ცხოვრების ყოველი ავი და კარგი იცოდა, რა მიდრეკილება, რა აზრები, რა ხმები ტრიალებდა ქართველებში და თუ რომელიმე მოხერხებული მწერალი შეეცდებოდა მიხვეულ-მოხვეული გზით, მიკიბულ-მოკიბული ენით, ქარაგმებით, იგავებით ფარულად თავის ეროვნულ ზრახვების შეპარებას, ქართველი ცენზორი ამას ადვილად მიუხვდებოდა და წითელ მელანს გადაუსვამდა დაწერილს.

ასე იყო, მაგალითად, გ. ჟურულის ცენზორობის დროს, რომლის ხელში მეტად შევიწროებულნი ვიყავით ჟურნალისტები. ჩვენი აზრების გაპარების საშუალებას მოკლებულნი ვიყავით და სულს მოვითქვამდით, როცა ხანდახან გ. ჟურული შევებულებაში წავიდოდა ან ავად გახდებოდა და მის მაგიერ ქართულ გაზეთს ცენზორობას უწევდა ქართულის მცოდნე უფროსი ცენზორი ქიშმიშოვი. გ. ჟურული რომ რასმე აკრძალავდა. მორჩა, გათავდა. არა ეშველებოდა რა, ქიშმიშოვთან კი მოლაპარაკების გამართვა გვშველოდა და ხანდახან დაგვითმობდა და წაშლილის აღდგენის ნებას მოგვცემდა.

მაგონდება ერთი შემთხვევა: შუა ზაფხული იდგა, ძლიერ ცხელოდა. ცენზორმა ქიშმიშოვმა ჩემი ფელეტონი მეტად შელახა. გაზეთის ნომრის გამოსვლა ფერხდებოდა, არაფერი გეჰქონდა მომარაგებული ცარიელი ადგილის შესავსებად. მიჩიხეს, წადი ქიშმიშოვთან, პირადად მოელაპარაკე, ეგებ შეგვიბრალოსო.

მივედი, დავრეკე და კარგა ხანს მომიხდა ცდა. ბოლოს, როგორც იყო, გაიღო კარი. ჩემს წინ ხანში შესული 'კაცი იღვა, თეთრი საცულების ამარა. სიმპათიური გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ ეტუობოდა, სიცხე ძლიერ აწუხებდა, წამდაუწუმ ოფლს იწმენდა. ვინა ხარ, რა გინდაო? მკითხა. მეც ავუხსენი, თუ რისთვის მივედი. — ჰო, მაგრამ მე რაც წავშალე თქვენს წერილში, ის უნდა ამოიღოთ, მთავრობის საწინააღმდეგოა. გავმართეთ კამათი. მე ვუმტკიცებდი, თუ არაფერს გვათქმევინებთ, გაზეთის გამოცემას რა აზრი ექნება. ის თავისას ამბობდა. არ მოვეშვი. სიცხე და ოფლი უფრო და უფრო აწუხებდა. შემატყო, რომ არ ვმორღებოდი, ხელი ჩააქნია და მითხრა: კარგი, კარგი, გაუშეით, თავი დამანებეთ. გამომართვა საცენზურო ამონაბეჭდი ფურცელი და წაშლილი ადგილები კვლავ აღადგინა დასაბეჭდად.

გ. ყურულის შემდეგ პ. გოთუა იყო ცენზორად, რომელიც ფართოდ გვაძლევდა თავისუფლებას. მას მოყვა ან. ლულაძე, ესეც არ გვაფიწროვებდა მაინცდამაინც. უკანასკნელი ცენზორი იყო ივ. პოლუმორღვინოვი, რომელიც კანონს ემორჩილებოდა, მაგრამ ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლება, რბილად და ლმობიერად მოგვეპყრობოდა და არ დავზიანებულყავით. გვაფრთხილებდა წინდაწინ, თუ რამ ხიფათი მოგველოდა. მე პირადად, სხვათა შორის, ისიც შემატყობინა, შენს სახელზე ფოსტით მოსულ ბარათებს უანდარმერია სინჯავსო.

საერთოდ, მე პირადად ცენზურას ძალიან არ ვუყვარდი. დაქვეებით და შიშით ხვდებოდა ყოველ ჩემს წერილს, რამე არ იყოს დაფარულიო. პირველ ჩემს ფელეტონურ წერილებს სათაურად დავარქვი „ფიქრები, მხოლოდ ფიქრები“. ამით ის მინდოდა მეთქვა, რომ რასაც ვწერ, ეს მხოლოდ ფიქრებია, აზრები და არა რამე საქმე და მოქმედება და მარტო ფიქრი აბა რა საშიშია. ცენზურას ესეთი სათაური არ მოეწონა და კინალამ წამიშალა.

მერე რეგულარულად საკვირაო ფელეტონების წერა რომ დავიწყე, მათ „პატარა ამბების“ სახელი ვუწოდე. პირველ ფელეტონში განვმარტე ასეთი აზრი, რომ დღევანდელი პატარა ამბები ამზადებენ მომავალ დიდს ამბებს, ამ ფელეტონიდან ცენზურამ „დიდი ადგილი ამოშალა, სადაც ნათქვამი იყო: ...„პატარა ამბებიც მოსკამენ თავის დღეს და ჩვენც ველირსებით უკეთეს ამბებს. ოქროს დრო ჩვენს უკან კი არაა, არამედ ჩვენს წინაა! დავცინით იმ ცხოვრებას, რომელიც მხო-

ლოდ პატარა ამბებს წამოაყენებს წინ, იგი არ არის სანატრელი, და გავიხედოთ წინ, წინ.. ვერავითარი ძალა ვერ ამოფხვრის ადამიანის გულიდან სურვილს ადამიანურ ცხოვრებისას“ და სხვ.

ჩვეოლუციური მოძრაობა რომ დაიწყო ამ საუკუნის დასაწყისიდან, ცენზურის გარდა, პრესას ახალი ზედამხედველი და ბატონი გაუჩნდა — ადმინისტრაცია, ჟანდარმერია, პოლიცია. გაზეთები ხშირად იკეტებოდა, ეს თითქმის სულ ადმინისტრაციის განკარგულებით, რომელიც უფრო შეუბრალებელი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ცენზურა. უბრალო მიზეზი საკმარისი იყო გაზეთის დასახურავად და მისი რედაქტორის დასატუსაღებლად. ჩემი „გლეხი“ და „მზე“ თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა, „ცნობის ფურცლის“ ჯალათიც გენერალ-გუბერნატორი იყო.

ადმინისტრაცია წიგნებსაც სდევნიდა და არა ერთი და ორი გამოცემის კონფისკაცია მოახდინა. 1906 წ. ბოლო იყო, სტამბიდან ახლად დაბეჭდილი „საგლეხო კალენდარი“ მომქონდა, ყოფილ ვორონცოვის ხიდთან პოლიციელმა (მილიციონერმა) გამაჩერა, წიგნები რომ დანახა, წამიყვანა პოლიციაში, სადაც დიდხანს მაცდევინეს განუკითხავად. ჩემს ბედზე პოლიცემისტერმა (პოლიციის უფროსმა) შემოიარა და რატომღაც კარგი თვალთ შემომხედა. იკითხა, რატომაა დაკავებულიო. უთხრეს: დაბეჭდილი წიგნები მოქონდაო. ბოქაულს უბრძანა: გასინჯეთ ახლავე და თუ საამისო არაფერია, გაუშვითო. გასინჯეს და რა ნახეს, კალენდრები იყო, გამათავისუფლეს.

უკვე ვთქვი, რომ ცენზურა მეტად მემტერებოდა. არა მარტო ადგილებს წამიშლიდა და აკრძალავდა, ხანდახან მთლად აკავებდა ფელეტონს და რედაქცია იძულებული იყო, ჩემი ფელეტონის ადგილზე შემდეგი ფართო განცხადება მოეთავსებია: „დღეს „სიტყვის“ (ჩემი ფსევდონიმი) „პატარა ამბები“ ვერ იბეჭდება“.

ასეთი პირობების მიზეზით იყო, რომ 1906 წ. ჩემს ფელეტონებს სხვა სახელად დავარქვი — „დღევანდელი ამბები“ და ფსევდონიმიც გამოვიცვალე, „სიტყვის“ ნაცვლად „იგივე“ მოვაწერე. ვფიქრობდი, ამით ეგებ, დროებით მაინც, სასტიკად არ დამტაკებოდა ცენზურა და პოლიცია ჩემი ძველი „ცოდვების“ გახსენების წყალობით.

შეიძლება ეს თავის მოტყუება იყო და მტერმა თავიდანვე კარგად იცოდა, რომ „იგივე“ „სიტყვის“ განმეორება იყო.

ხვალ ათი წელიწადი შესრულდება,⁵⁸ რაც ვერაგულად იქნა მოკლული შიო ჩიტაძე, ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი ჩვენი თაობისა, ერთი ძვირფასი ჩვენი ამხანაგი და თანამებრძოლი. განსვენებულმა რუსეთში დაიწყო მოღვაწეობა, სადაც საყოველთაო სიყვარული და პარტიისციემა დაიმსახურა, ხოლო გული სულ სამშობლოსკენ იზიდავდა, იქ უნდოდა ფართოდ გაეშალა თავისი ნიჭი თუ საქმიანობა და 1904 წელს კიდევ მოახერხა ტფილისში გადმოსახლება დიდხანს არ დასცალდა, მაგრამ ეს მცირე დრო სრულიად საკმარისი იყო, რომ კეთილშობილური სახის გამომეტყველება, მისი მტკიცე, ბეჯითი სიტყვა და შრომის უნარი ღრმად ჩაბეჭდოდა ყველას გულში. შიოს ერთბაშად მიაქცია ყველამ ყურადღება და ყველა ნათლად ჰხედავდა, რომ ჩვენს საზოგადოებას შეემატა ახალი მრავალმხრივი მდიდარი ძალა, რომლისთვის სამოღვაწეო ასპარეზი ჯერ წინ იყო გადაშლილი.

უბრალო ქართული გლეხის შვილი, ჩვენი ქვეყნის წილში და ქმობელი ხალხის კალთაში გამოზრდილი შიო ნათელი გამომსახველი იყო ამ ხალხის უდიდეს თვისებებს და სულიერ მისწრაფების. მას განცდილი ჰქონდა პირადად მთელი ვაება ჩვენის აწინდელის ცხოვრების, პირადად ჰქონდა განვლილი სიმწარე შეღახული უფლებებისა, ადამიანის ღირსების გათელვისა და ისე ეწაფებოდა თავისუფლებას, როგორც ჰაერს. გაბედულად და თავდაუზოგველად მიემსრო რევოლუციის მებრძოლთ და სიტყვით თუ საქმით პირველთა შორის იდგა. მისთვის თავისუფლება და სამართლიანობა არ იყო განყენებული მცნება, არამედ განარსებული და ხორცშესხმული განააზღვრულ წრესა და ხალხში. ამიტომ თავისუფლება დასახული ჰქონდა ყოვლის უწინარეს, როგორც თავისუფალი ქართველი ერი და სოციალური სამართლიანობა, როგორც ბორკილეის დამმსხვრევი ქართველი მშრომელი ხალხის მიერ.

ეს ხალხის შვილობა აშკარად სჩანდა შიოს გარეგნულობაში — მის ლაპარაკსა და მსჯელობაში. მისი სიტყვა ყოველთვის მარტივი იყო, უბრალო, სადა, მაგრამ ყოველთვის მკვეთრი, ძლიერი, მავარი, რომლის შერყევა ისე ძნელია, როგორც მიწაზე ფეხმოდგმულ ჩვენებზე.

ა. ხ. ფირცხალავა

გლახისა. ასეთი იყო მისი მოქმედება, რომელიც ყოველთვის საქმიანი იყო, მტკიცე პრაქტიკული, სინამდვილის ნიადაგს ემყარებოდა, მაგრამ ამავე დროს ასულდგმულბდა იდეალისტური მისწრაფება, მაღალი სული, რწმენა და აღფრთოვანება. მისი საქმიანობა არასოდეს ყოფილა წვრილმანური, გაუღენთილი ვიწრო პრაქტიციზმით, არამედ მარად აშუქებდა დიდებული სხივი მომავლის. მისი მახვილი და შორს ღრმად გამსჭვრეტი თვალები დღეის იქით ნათლად ჰხედავდნენ ხვალეს და ეს თვისება ყველაზე უფრო ძვირფასი იყო და ამით განსვენებული ჩიტაძე არსებითად განსხვავდებოდა ჩვენი დროის მოღვაწეებისაგან, რომელნიც ერთიან ჩამხჩვალნი არიან ვიწრო პრაქტიკულობაში.

შიო რომ ქართულ გიმნაზიის გამგედ მიიწვიეს გაძლიერებული განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს, თავიდანვე გამოიჩინა თავისი არაჩვეულებრივი საქმიანობა. საყოველთაო არევ-დარევის ეპოს, როცა უქიდურესი თავისუფლების ქადაგება ადვილად ჰპოვებოდა ნიადაგს, შიომ მოკლე ხნის განმავლობაში შემოქმედების სული შთაბერა სასწავლებელს და მასთან სრული წესიერება და დისციპლინა დაამყარა სასწავლებელში. იგი ნამდვილი მეგობარი — ამხანაგი შეიქნა მასწავლებლებისათვის, რომელთაც უყვარდათ, გულწრფელად პატივს სცემდნენ და ერთგულად მხარში უდგნენ ყოველს საქმეში. ამასთანავე ერთად მეგობარი მასწავლებელი, ჭეშმარიტი აღმზრდელი იყო მოწაფეების, რომელთაც მამობრივის სიყვარულით ეპყრობოდა, ყოველთვის ალერსით და ხალისით ესაუბრებოდა, მაგრამ შეურყევლად მოსთხოვდა ცოდნას. იგი უყურებდა სასწავლებელს, როგორც ტაძარს, საიდანაც ყოველი გამოდის უფრო ამადლებული და ფაქეითი-შობილებული, ვიდრე შევიდა. სკოლა უდიდესი აღმზრდელი დაწესებულება იყო, რომლის სისტემა ემყარება არა ძალადობას და შიშს, არამედ სიყვარულს, შეგნებას და ზნეობრივ გავლენას.

საამოა, მანუგეშებელი და გამამხნევებელი ისეთი ადამიანების მოგონება, როგორიც იყო განსვენებული შ. ჩიტაძე. მისი სახე გზას გვინათებს, მისი გონიერი სიტყვა ყურში ჩაგვძახის და გვახალისებს, წინ მიგვიწევს, იმედით გვაგებს.

ჩემი მოგონება არჩილ ჯორჯაძის შესახებ

არჩილ ჯორჯაძეს პირველად შევხვდი პეტერბურგში სტუდენტობის დროს 1893-94 წლებში. მის სიმპატიურს სახეს, გონივრულს ოგალებს და ნაზს გამომეტყველებას ძალაუნებურად მიაქცევდით ყურადღებას. ჩემზე ერთი წლით ადრე იყო ჩასული, ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა, მე — იურიდიულზე. ცალკე ჩავუთქმონდათ არჩილს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს და ორიოდე ქართველ სტუდენტს კიდევ. მათ შემდეგ მიემატა ზურაბ ავალიშვილი. უერწაღ „სევერნიე ზაბისკის“ ფაქტიურ რედაქტორ ვოლინსკისთან იყვნენ დაახლოებულნი და მისი ხელმძღვანელობით ეცნობოდნენ ფილოსოფიურ და რელიგიურ საკითხებს. დანარჩენ სტუდენტებს კი უფრო ქართული ცხოვრება, ქართული მწერლობა და ისტორია გვიანტერესებდა და ამ ნიადაგზე ერთნაირი გათიშვაც კი იყო ჩვენს და მათ შორის. ჩვენ პოლიტიკა გვიტაცებდა, იმათ კი აპოლიტიკობა ემჩნეოდათ, თუმცა არჩილთან კერძოდ შეეკამათება არასოდეს არ გვქონია, მაშინაც ისეთი ჭინტლმენი იყო, როგორსაც შემდეგ ყველანი ვიცნობდით, მის გულს არ ეუცხოვებოდა ჩვენი ზრახვა და მისწრაფება. მახსოვს ერთი კრება ქართველ სტუდენტთა სათვისტომოსი. პოლიტიკური დამნაშავე კურსისტი ვეტროვის ქალი ისე გაამწარეს მთავრობის აგენტებმა პეტრე-პავლეს ციხეში, რომ ნავთი გადაისხა ტანზე და თავი დაიწვა. ამან ისე ააშფოთა სტუდენტობა, რომ გადაწყვიტეს ყაზანის ტაძრის მოედანზე დიდი დემონსტრაციის გამართვა. წინა დღით შევიკრიბენით ქართველები, ებჭობდით, მივიღოთ მონაწილეობა თუ არა-თქო, კრებას თავმჯდომარეობდა არჩილი და მოგვიწოდებდა, არ გამოვთიშულიყავით და ჩვენი ხმა შეგვეერთებინა სტუდენტობის საერთო ხმისთვის. დიდი უმეტესობა წინააღმდეგი იყო — ქართველობა ცოტა ვართ, ჩვენ ისედაც ბევრი საკუთარი საქმე გვაქვს და დინჯად უნდა ვიყოთ, ჩვენს ძალ-ღონეს გავუფრთხილდეთო. ამისდაგვარი განაჩენი გამოვიტანეთ. მაგრამ მეორე დღეს, წინააღმდეგ ამ დადგენილებისა, ყველანი ყაზანის მოედანზე გავედით და მხურვალე მონაწილეობა მივიღეთ დემონსტრაციაში, რომელიც მეტად გრანდიოზული გამოვიდა და ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ პირველი გამოღვიძება იყო რევოლუციური სულისკვეთებისა. აქვე იყო, რასაკ-

* უნდა იყოს „სევერნი ვესტნიკი.“ — ლ. ნ.

ვირველია, არჩილიც. მის მომხიბლავს სახეს კიდევ უფრო ალამაზებდა ღრმა სიამოვნება. უხაროდა არა ის, რომ მისმა აზრმა გაიმარჯვა, არა, სიხარულს განიცდიდა იმით, რომ კეთილშობილურმა ახალგაზრდულმა გრძნობამ დასძლია მშრალი განყენებული მსჯელობა და ქართველები მხარში ამოვუდევით სხვებს.

ამ დემონსტრაციამ მთელი პოლიცია ფეხზე დააყენა. დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა, ხოლო მთავრობა მოერიდა გამწვავებას და მარტო სამ-სამი დღით დაგვატუსაღეს დემონსტრაციის მონაწილენი.

ამის შემდეგ არჩილი მალე წავიდა უცხოეთში. იყო ინგლისში და საფრანგეთში. უფრო გაიტაცა ზნეობრივმა საკითხებმა, გაეცნო ტოლსტოის მოძღვრებას და შეიქნა მისი მიმდევარი. დაწვრილებით არაფერი ვიცოდი დიდხანს, კანტიკუნტად თუ მოგვდიოდა ცნობები. გვეგონა, რომ იგი სამუდამოდ მოწყდა ჩვენს ცხოვრებას და დაიკარგა სამშობლო ქვეყნისათვის.

მაგრამ თურმე შორს — უცხოეთში გარდახვეწილ არჩილის სულში დიდი პროცესი ხდებოდა. შორიდან იგი უფრო დაუახლოვდა მშობელ მიწა-წყალს, უფრო მწვავედ იგრძნო თავის ერის განცდანი, უფრო ჩაწვდა მის უბადრუქს ცხოვრებას. ღრმა სულიერის ტანჯვით და დაკვირვებით ეძიებდა გზას ქართველი ერის განვითარებისთვის და ჰპოვა კიდევ: ეს იყო გზა განვითარებისა საკუთარ ნიადაგზე, საკუთარის კულტურის და შემოქმედების განცხოველ.

1901 წელს ქუთაისში ვიყავი. იმჟამად „ცნობის ფურცელი“ გადავიდა ახალგაზრდათა ერთი მცირე ჯგუფის ხელში გ. ლასხიშვილის ხელმძღვანელობით. აქ დაიწყო პირველად წერა სამშობლოში დაბრუნებულმა არჩილმა. ეხებოდა ჩვენი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებს, ხელი შეახო ჩვენი არსებობის მთავარ ძარღვებს და ისეთის დარბაისლურის, დინჯის, დაკვირვებულის ენით წერდა, რომ ერთბაშად დააინტერესა შკითხველი საზოგადოება. ყველა დიდის ხალისით კითხულობდა მის წერილებს, რომლებიც აუცილებლად იწვევდნენ აზრთა გამოცვლა-გაცვლას და კამათს. წერდა, რაც ყველას აწუხებდა, რის გარშემო ტრიალებდა ყველას ფიქრი და გონება.

პირველად რომ წავიკითხე არჩილის წერილები, გამიკვირდა. არ მოველოდი ასეთ შეთვისებას სამშობლო ქვეყნის ინტერესებისას, ასეთ ძლიერ სიყვარულს ერისა. სულ სხვანაირი ზნეობრივ-რელიგიურ საკითხებით ჭატაცებული არჩილი დღეს თავისი ერის თავისუფლების მეზაირადედ გამოდიოდა.

1901 წ. შემოდგომაზე ტფილისში გადმოვსახლდი. ვაზ. „ივერი-ის“ კორექტორი ვიყავი და დროგამოშვებით წერილებსაც ვათავსებდი ამ გაზეთში. არჩილს და მის თანამოკალმეებს იშვიათად ვხვდებოდი, რადგან „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელს“ შორის პოლემიკა იყო, თუმცა პირადად ჩემი წერილები „ცნობის ფურცლისას“ უფრო ენათესავებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ მე „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში გადავედი და შევიქენი მისი ახლობელი, მულმივი თანამშრომელი. იქ მაშინ მუშაობდნენ გ. ლასხიშვილი, ა. ჯორჯაძე, ვლ. ლორთქიფანიძე. ამ დღიდან იწყება ჩემი დაახლოება არჩილთან და სხვა ამხანაგებთან. გარდა საგაზეთო მუშაობისა, ჩვენი მთავარი საზრუნავი იყო გეგმის შემუშავება პრაქტიკულ მოღვაწეობისათვის და მოწყობა არალეგალური გაზეთის გამოცემისა უცხოეთში. ვიკრიბებოდით თხუთმეტიოდე კაცი, ვკამათობდით, ვარკვევდით დედა მუხლებს ახალი პარტიის პროგრამისთვის, ვაგროვებდით ფულს. ჩვენთან მაშინ იყვნენ ისეთი პირები, რომელთაც ჩვენი მუშაობის მხოლოდ ერთი მხარე აინტერესებდათ, სახელდობრ, ეროვნული, და მერე ჩამოგვშორდნენ, როცა საბოლოოდ ჩამოყალიბდა ჩვენი მიმართულება — ეროვნული, მაგრამ იმავე დროს წმინდა სოციალისტური. რამდენიმე კრებაზე ცხარე კამათი გვქონდა უკანასკნელი საკითხის შესახებ. ზოგიერთები მოითხოვდნენ, რომ ახალი პარტიის გეგმაში არ ყოფილიყო სოციალიზმის ხსენება, მაგრამ აპას წინ აღუდგა დიდა უმეტესობა და მათ შორის არჩილიც. იგი მედგრად იცავდა იმ დებულებას, რომელიც ასე ახასიათებს მთელს მის მოძღვრებას: მისთვის განუყოფელი იყო ქართველი ერის და მშრომელი ხალხის ინტერესებო. რამდენსამე თვეში საკმაო ფული შევაგროვეთ, მასალებიც დაეამზადეთ და არჩილი და მასთან გიორგი დეკანოზიშვილი, რომელმაც დაუფასებელი ამაგი დასდო ჩვენს მიმართულებას თავის საორგანიზაციო ნიჭითა და პრაქტიკულის მუშაობით, გვაემზავებრეთ პარიზში, სადაც მალე გამოვიდა პირველი ნომრები ჩვენი არალეგალური გაზეთის „საქართველოსი“. გაზეთის გარდა გამოდიოდა ცალკე წიგნაკები და ფურცლები.

რამდენს სიხარულს იწვევედა იქიდან მიღებული გაზეთი და ფურცლები! როგორ ვტაცებდით ერთმანეთს ხელში! რა აღფრთოვანებით შევყურებდით მომავალს!

არჩილი ფიზიკურად სუსტი იყო. ბევრი უსიამოვნება და მწუხარება ჰქონდა გამოვლილი ოჯახში თუ პირად ცხოვრებაში.⁵⁹ ყოველი აზრი და შეხედულება დიდის განცდით და ღრმა სულიერი პროცესით

ქონდა მოპოვებული. მისთვის არ კმაროდა გაგონება და წაკითხვა — ყელაფერი უნდა შეესისხლხორცებინა, განეცადა მთელის არსებით, ყველაფერს უნდა ჩასწვდომოდა სიღრმემდის. ასეთი ადამიანი ყოველთვის სანთელივით იწვის, მეტად ნერვიულმა და ცხოველმა მუშაობამ დააუძლურა არჩილი და ამხანაგები იძულებულნი იყვნენ სამშობლოში გამოეგზავნათ იგი 1905 წელს. უკურნებელის სენით დაავადმყოფებულს შეეხვდი ბათომში. მისმა ძალზე გამხდარმა, ჩალურჯებულმა სახემ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. შევშინდი და არ მეუვნა, თუ რამდენიმე დღეს მაინც გაძლებდა.

მაგრამ სულ სხვა იყო მისი ძლიერი სული, რომელიც დაავადებულს სხეულს უღმობლად, გულგაუტეხელად ებრძოდა, არ ემორჩილებოდა, თითქოს უარყოფდა მის არსებობასაც და თუმცა მეტწილად ლოგინზე იყო მიჯაჭვული, თუმცა ექიმები დღედღეზე მოელოდნენ მის გარდაცვალებას და გაოცებულნიც იყვნენ, რომ ის ცოცხალი იყო, მაგრამ მაღალის, აღფრთოვანებულის სულისა და რწმენის მეოხებით შვიდი წელიწადი იცოცხლა კიდეც და ეს დრო იყო საუკეთესო და უნაყოფიერესთაგანი მთელს მის ცხოვრებაში. მისმა მომწიფებულმა ნიქმა გამოიჩინა დიდი ანალიტიური და სინთეტიური ძალა ჩვენი საზოგადოების შესწავლაში და დრმა: რწმენა იმ სოციალურ-პოლიტიკურ იდეალისა, რომელსაც თავიდან ემსახურებოდა. მისი გული იმედისა და სიმზნის კალო იყო და ყოველი განსაცდელის, ყოველი სერიოზული მოვლენის დროს მისკენ იყო მიქცეული ამხანაგების თვალები. თუ რომელიმე ჩვენთაგანი ჩამორჩებოდა მუშაობაში, არ იჩენდა საკმარის ენერჯიას და მუყაითობას, არჩილი მაშინვე მოაგონებდა მოვალეობას და წაახალისებდა სამუშაოდ. მისი სიტყვა ყველასათვის კანონი იყო. ერთგული ამხანაგიც იყო. მასწავლებელი, მოსამართლე, მსაჯულიც. თუ ტფილისში არ იმყოფებოდა, საგანგებოდ მივდიოდით რომელიმე, სადაც იყო, და იქ ვეკითხებოდით რჩევას და დარიგებას.

1910 წელს რომ დავატუსალეს ამხანაგები, ყველას მეტად გვაწუხებდა, ვაითუ არჩილიც ვაატუსალონ და მოუწირაფონ სიკვდილითქო, მაგრამ რაღაც სასწაულით ხელი არ ახლეს სავარის კარზე ჰდგომს და თავისუფლად დასტოვეს.

ციხიდან რომ ვალოფიშვეს, მეორე დღესვე ვნახეთ არჩილი. დაგუოცნა. გაგვაშხნევა, ჩვენი ღუჭო ახარებდა ჩვენი განთავისუფლება. გულს გვიცეფებდა — მართლაც ვადაგასაბლუს. მაგრამ აქ დარიჩე-

ნილები გავაათქვამებთ მუშაობას და საქმეს ერთს წუთსაც არ შეგაფერხებთო. იმ დროს სამშობლოსათვის მსხვერპლად შეწირულის, უდროოდ დაკარგულის გიორგი დეკანოზიშვილის გვამი ახლად ჩამოსვენებული იყო თბილისში.⁶⁰ არჩილი და რამდენიმე ამხანაგი ერთად წავედით მისი საფლავის სანახავად. ვინახულეთ ერთგული მეგობრების შ. ჩიტაძისა და ვლ. ლორთქიფანიძის საფლავები. თაყვანი ვეცით, მოვოგონეთ გარდასული დღენი და იმედით შევებედეთ მომავალს. ციხეში ყოფნის შემდეგ მეტის სიცხოვლით ვგრძნობდით თავისუფლების სიმშვენიერეს, ადამიანის უფლების აღდგენის ღირსებას.

ვიდრე სამშობლოდან გაძევებული გავემგზავრებოდი რუსეთისკენ, ხშირად შევდიოდი არჩილთან სასაუბროდ. უკანასკნელად რომ ვნახე და მეგობრულის საუბრის შემდეგ რომ გამოვეთხოვე, არჩილმა მითხრა: განა ვნახავთ 'კიდევ ერთმანეთსო? მე მაშინვე გულწრფელად ღიმილით მოვუქერი სიტყვა: აბა რას ამბობ? არაფერ ვნახავთ, ვნახავთ გაცილებით უკეთეს პირობებში-მეთქი.

აღარ გამართლდა ჩემი იმედი, სამწუხაროდ. მე იგი ვეღარ ვნახე ცოცხალი, მაშინდელი ამბოროი იყო უკანასკნელი და სამშობლოში დაბრუნებულმა მის ახლად დასაფლავებულს გვამსლო მოვუსწარი⁶¹.

მაგრამ არა! ჩემი იმედი არ გაცრუებულა. არჩილი მხოლოდ გარდაიცვალა, იცვალა სახე, რომელიც მარადია, უკვდავია, რომელიც ეხლა უფრო ბრწყინვალეა. ამ სახეს უნაზესი სიყვარულით შესცქერის ერის მოწინავე ნაწილი.

ეს სახე სიმბოლოა ჩვენის აღდგენისა და განახლების.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

სამსონ ფირცხალავამ „მოგონებათა ფურცლები“ 1951 წელს დაწერა პოეტ-აქადემიკოს გიორგი ლეონიძის თხოვნით.

მოგონებების ავტოგრაფი დატულა გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში, ბ. №10735. იგი ჩვენი პუბლიკაციით, მცირედენი კუპიურებით, დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ (1971 წ. №6), ხოლო ორი ფრაგმენტი—„ვაჟა-ფშაველას გარშემო“ და „ქართული საღამო პეტერბურგში“ გამოაქვეყნა პროფ. ს. ხუციშვილმა ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში (თსუ, 1966 წ., გვ. 238).

წინამდებარე წიგნში „მოგონებათა ფურცლები“ იბეჭდება სრულად. დავურთეთ იგარეთვე „შიო ჩიტაძე, ძვირფასია შისი მოგონება“ და „ჩემი მოგონება არჩილ ქორჯაძის შესახებ“, რომლებიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა გაზ. „სახალხო ფურცლსა“ (1916 წ. 3. VII. № 614) და გაზ. „სახალხო საქმეში“ (1919 წ. 10. IV. № 501).

1 „ივერია“ (1886—1906 წწ.) — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქტორები: ა. ჭავჭავაძე (1886—1901), ალ. სარაჯიშვილი (1901—1903), გრ. ყიფშიძე (1903—1905), ფ. გოგიჩაიშვილი (1905—1906)*.

2 ამ პერიოდში „ივერიაში“ ქართულ წარმოდგენებზე დაიბეჭდა ს. ფირცხალავას სამი რეცენზია „სან-ვინის“ ფსევდონიმით. 2. VI. № 24; 9. II. № 27; 12. II. № 30:

3 «Новое время» (1868—1917 წწ.) — პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში.

4 «Северный вестник» (1885—1896 წწ.) — ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურულ-სამეცნიერო ჟურნალი. გამოდიოდა პეტერბურგში.

5 ამ საღამოზე იხ. აგრეთვე ს. ფირცხალავას წერილი „ჩემი სტუდენტობის დროიდან“ (ჟურნ. „ქართველი სტუდენტი“, 1920, № 1).

6 წერილი დატულია საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ა. ჭავჭავაძის ფონდი, ბ. №225; დაიბეჭდა ა. ჭავჭავაძის თხზულებათა ანტოლოგიის X ტომში, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, 1961 წ., გვ. 517.

7. 1896 წელს ილინიშნა მეფის რუსეთის სახელმწიფო მრღვაწის მ. ნ. მურავიოვის დაბადების ასი წლისთავი, იგი მკაცრად გაუსწორდა პოლონეთის 1830—31 წწ. აჯანყების მონაწილეებს.

* გამოყენებულა გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819—1945, 1947. Русская периодическая печать (1702—1894), под редакцией А. И. Деметриева, А. В. Зинилова, М. С. Черешакова, 1959 г.

8 «Новости» (1871—1880 წწ.) — პოლიტიკური და სალიტერატურო საზოგადო გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში.

9 «Русские ведомости» (1863—1918 წწ.) — გამოდიოდა მოსკოვში. პირველ წლებში მხარს უჭერდა შთაერობის პოლიტიკურ კურსს, შოთხხოვდა საეკლესიოების ინსტიტუტისადმი პატივისცემას. რედაქტორის შეცვლის შემდეგ გადაიქცა ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიის ორგანოდ.

10 «Русская жизнь» (1890—1895 წწ.) — ლიბერალური მიმართულების ყოველდღიური პოლიტიკურ-საზოგადოებრივ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში.

11. «კვალნი» (1893—1904 წწ.) — ყოველკვირეული სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი. რედ. გ. წერეთელი (1893—1900), რედ. გამ. ან. თუმანიშვილი-წერეთლისა (1893—1903), ნ. ალექსი-შენსიშვილი (1903—1904).

12. 1900 წ. «კვალის» № 29—31-ში «S—N»-ის ფსევდონიმით დაიბეჭდა ს. ფირცხალავის წერილი «კიათურა (შთაბეჭდილებანი და ფიქრები დღიურიდან)».

13. 1899 წ. «ივერიაში», 18.VII, № 152 «S—son»-ის ფსევდონიმით დაიბეჭდა ს. ფირცხალავის წერილი «გინწაზიებში ახლად სწავლა-დაშთაერებულთა მიმართ».

14. ს. ფირცხალავის მიერ დრამად გადაკეთებული «ოთარანთ ქვრივი» 1907 წლის 12 ოქტომბერს თეატრის სეზონის გახსნის ერთ-ერთ ნომრად წარმოადგინეს.

15. «ცნობის ფურცელი» (1896—1906 წწ.) — ყოველდღიური გაზეთი. 1904 წლიდან სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ორგანო; რედაქტორ-გამომცემლები გ. გუნია (1896—1899), ალ. ქყონია (1899—1900), ალ. ჯაბადარი (1901—1906).

16. ს. ფირცხალავის პირველი წერილი «საადღგომოდ (ყოღვლითა მიმართ)» «ცნობის ფურცელში» დაიბეჭდა 1902 წ., 14.IV. №1781.

17. «შობაშე» (1894—1905 წწ.) — ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი. რედ. ალ. ქყონია.

18. წ.-კ. გამაერცელეული საზოგადოება მოთავსებული იყო ახლანდელი ვრიბოდროვის სახ. თეატრის შენობის ადგილზე.

19. «შოღალატენი ანუ ქართველი მსახიობნი» «სიტყვის» ფსევდონიმით დაიბეჭდა გაზ. «ცნობის ფურცელში» 1904 წ. 25. I. № 2389.

20. «საქართველო» (1903—1905 წწ.) — თავისუფალი ორგანო, გამოდიოდა პარიზში. იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების ორგანო. რედაქტორი არჩ. ჯორჯაძე, 1905 წლიდან — გ. ლასხიშვილი და თ. სახოკია, «La Georgie» — ფრანგულ ენაზე, რედ. არჩ. ჯორჯაძე და თ. სახოკია.

21. «სხიეი» (1905—1906 წწ.) — ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი, კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების ორგანო. რედ.-გამ. ვლ. ახმეტელაშვილი.

22. «ნობათი» (1906 წ.) — ყოველკვირეული პოლიტიკური გაზეთი, რედ.-გამ. დომინიკა ერისთავი-მღვიანი.

23. «მუშა» (1906 წ.) — ქართველი ანარქისტების ორგანო, რედ.-გამ. მ. დიასამიძე.

24. ს. ფირცხალავის ფელეტონი «ოქოხეთში» «სიტყვის» ფსევდონიმით დაიბეჭდა «ცნობის ფურცელში» 1905 წ. 9. I. № 2721.

25. ს. ფირცხალავის ფელეტონი «პატარა ამბები» «სიტყვის» ფსევდონიმით დაიბეჭდა «ცნობის ფურცელში» 1906 წ. 19. II. № 3007.

27. «Канказ» (1846—1918 წწ.) — ერთ-ერთი უძველესი ოფიციალური, რომელიც გამოდიოდა კავკასიაში.

28. «კავკაზის» 1906 წ. 18. III. № 6119-ში დაიბეჭდა თბილისის გენერალ-გუბერნატორის ტიმოფეევის მუქარა ვაზ. «ენობის ფურცლის» დახურვაზე, თუ ერთი კვირის ვადაში არ წარმოდგენდნენ «დაურღვეველ საბუთებს».

29. სარედაქციო წერილი «დაურღვეველი საბუთები ბ-ნ ტფ. გენ.-გუბერნატორის წინადადების გამო», რომელიც გ. ლასხიშვილს ეკუთვნის, დაიბეჭდა «ენობის ფურცელში» 1906 წ. 24. III. № 9035.

30. «მრომა» (1906 წ.) — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. იტყმოდა «ენობის ფურცლის» ნაცვლად. რედ. ალ. დიასამიძე, გრ. რცხილაძე.

31. «დროება» (1866—1885 წწ.) — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. რედაქტორები: გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ქაქვიძე, ივ. მაჩაბელი; გამომცემელი: სტ. მელიქიშვილი და აშხანავაძე, გ. ქართველიშვილი.

32. ვაზ. «დროების» დაარსების 50 წლისთავი აღნიშნა ვაზ. «სახალხო ფურცელმა» 1916 წ. 4. III. № 518. დაიბეჭდა წერილები: «გაზეთ «დროების» 50 წლისთავი», არჩ. ჭაჭანაშვილის «სერგეი მესხი და «დროება», «დროების» გამომცემლები, რედაქტორები და თანამშრომლები».

ვაზეთი ბეჭდავს განცხადებას: «ამ ნომრისთვის დამზადებული რამდენიმე წერილი «დროების» შესახებ უადგილობის გამო დაიბეჭდება შემდეგ ნომრებში».

უფრო აღრე, 1903 წელს, «ენობის ფურცელში» (20.VII. №2212), «კალამის» ფსევდონიმით ს. ფირცხალავამ დაბეჭდა «სერგეი მესხი მისის აშხანავების დახასიათებით (21 ივლისს 1883)», როგორც ჩანს, ეს იყო ამ მასალის ნაწილი, რომელიც უნდა შესულიყო ს. მესხის «ნაწერების» მეორე წიგნში.

ს. ფირცხალავამ ს. მესხის გარდაცვალებიდან 65 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილი «ძველი ქართული პრესის სიამაყე» დაბეჭდა 1948 წ. ვაზ. «ლიტერატურა და ხელოვნებაში» (22. VIII. №33).

ს. ფირცხალავამ ი. ქუონიასთან ერთად გამოსაცემად შოამზადა სერგეი მესხის ნაწერები ორ წიგნად: I წიგნი მოიცავდა 1869—1879, მეორე — 1879—1883 წწ. დაწერილ წერილებს, აგრეთვე ს. მესხის პირად ბარათებსა და სხვადასხვა პირთა მოგონებებს სერგეი მესხის ცხოვრებასა და შოღვაწეობაზე.

I წიგნი გამოვიდა 1903 წელს, წიგნზე «ზანგის» (გრიგოლ რცხილაძე) ფსევდონიმით გამოქვეყნდა «სალიტერატურო შენიშვნები» (ვაზ. «ენობის ფურცელი», 1904 წ. 18. IX. № 2614). როგორც ს. ფირცხალავა წერს, პირველმა წიგნმა ვერ გაამართლა გამომცემლების იმედი, რის გამოც მეორე აღარ გამოსულა. მიუხედავად ამისა, ს. მესხის მსოფლმხედველობის შესწავლისათვის ამ წიგნის გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

33. «სახალხო ფურცელი» (1914—1917 წწ.) — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ცენტრალური ორგანო. ოფიციალური რედ.-გამ. დ. ჯორჯაძე.

34. ია ეკალაძის წიგნზე დაიბეჭდა «ზანგის» რეცენზია «ბ-ნი ია ეკალაძის თხზულებანი» («ენობის ფურცელი», 1904, 21. VIII. № 2589).

35. 1913 წელს (აწერია 1912 წ.) ს. ფირცხალავამ გამოსცა კუქია (ალექსანდრე) შიქლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული «გვირგვინი». კრებულში დაიბეჭდა მის.

წერეთლის გამოკვლევა „სუმერული და ქართული“, პ. ქავთარაძის თარგმნილი „ოიდი-პოს მეფე“, ს. შანშიაშვილის „მეფე-მგოსანი“, გრ. რობაქიძის ესეიზი „შოთა რუსთაველი“, ს. ფირცხალავას დრამატული სურათი „ღამე“ და „გლოვის ზარი“.

კრებულს აქვს მიძღვნა და ავტორთა ფაქსიმილი.

ა. შიქელაძის გარდაცვალების გამო „სახალხო ვაზეთში“ (1911 წ., 12. I. № 275) დაიბეჭდა გრ. რობაქიძის „ნეკროლოგის მაგიერ“.

35. 1915 წელს დაიწყო ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემისათვის მზადება, რომლის ინიციატორი იყო ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავი, პოეტის დის — ეკატერინეს შვილი. ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ ამ საქმის გაძღოლა იტვირთა მისმა მეუღლემ ეკატერინე მიხეილის ასულმა. შეიქმნა გამოცემის სარედაქციო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ვეზირიშვილი (პოეტის დისწული), გ. ლასხიშვილი, ი. ნიკოლაძე გ. ჟურული, დ. შევარდნაძე, ი. ჭავჭავაძე, გრ. რობაქიძე, ს. ფირცხალავა („სახალხო ფურცელი“, 1915, 5. V. № 274).

36. ს. ფირცხალავა გასაგები მიზეზის გამო ვერ ასახელებს კომისიის შემადგენლობაში გრ. რობაქიძესა და დ. შევარდნაძეს.

37. ვაზეთი „გლეხი“ გამოდიოდა 1906 წ. (ოფიციალური რედაქტორი შიხ. ადამაშვილი — ჭავჭავაძე). „გლეხის“ რედაქტორობის საკითხმა ცხარე პოლემიკა გამოიწვია. იხ. ლ. ნანიტაშვილი — ს. ფირცხალავა — რედაქტორი და გამომცემელი 1906 — 1910 წწ.“ („მაცნე“, 1970 წ. № 3), ტ. კვანცილაშვილი — „კომენტარი ზედმეტი არ არის“ („სისყარო“, 1971 წ. № 6), ლ. ნანიტაშვილი — „უსაფუძვლო კომენტარების გამო“ (ეურნალისტის თეორიისა და ისტორიის საკითხები, 1971 წ. № 2), ტ. კვანცილაშვილი — „ეთომ უსაფუძვლო იყო კომენტარები?“ (ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1972 წ. 29. IX. № 39), ლ. ნანიტაშვილი, „ისევე უსაფუძვლო კომენტარების გამო“ („ეურნალისტის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, 1974 წ. № 3); აგრეთვე ი. ბოკუაძე, „ვაზეთ „გლეხის“ რედაქტორის ვინაობის საკითხისათვის“ („ეურნალისტის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, 1974 წ. № 3), ლ. ჭრელაშვილი, „რექსტოლოგიური შრომების მიმოხილვა 1971 — 1972“), („რექსტოლოგიის საკითხები“, 1974 წ. № 5).

38. ს. ფირცხალავას აღარ ახსოვს, რომ „მინის“ ორი ნომერი გამოვიდა 1908 წელსაც. დაუღლია ი. გრიშაშვილის სახ. ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

39. იხ. ჩვენი წერილი „ვაზეთი „მზე“ და ცენზურა“ („ეურნალისტის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, 1975 წ. № 4). „მზე“ გამოვიდა 1908 წ. ნ. ასათიანის ფიქტიური რედაქტორობით. სულ გამოვიდა სამი ნომერი. ვაზეთის დახურვის მიზეზი გახდა შ. არაგვისპირელის ეტრუდი „სამარცხენო ბოძთან“, რომელიც დაიბეჭდა 1908 წ. № 1.

40. ს. ფირცხალავა უნდა გულისხმობდეს „მზის“ №2-ში (13.X) დაბეჭდილ მოწინავეში „ტფილისი, ოქტომბრის 13, 1908 წ.“ გამოთქმულ აზრს: „რატომ დაეცა ქართული კაზმული მწერლობა? მისი არასანდუგეშო მდგომარეობა გამოწვეულია ღრობებით, უბრალო მოვლენებით, და წარმავალი, თუ ღრმა და ხანგრძლივი? სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი. დიდი საკითხია და მის გამოკვლევას მნიშვნელობა აქვს არა მარტო მწერლობისთვის, რადგან უკანასკნელი მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენს ცხოვრებასთან. მწერლობა ერის კულტურის ნაწილია, კულტურა კი დამოკიდებულია ერის საზოგადო პოლიტიკურ-სოციალურ ვითარებისაგან“.

41. „შხის“ გავრძელება „ფსკუნჯი“ გამოდიოდა 1908 — 1910 წლებში. ოფიციალური რედაქტორი გრ. ტატიშვილი, 1910 წლიდან — ს. ფირცხალავა.

42. „ფსკუნჯში“ 1909 წელს დაიბეჭდა გ. ტატიშვის ლექსები: „ღამე“, „ნიავი“ „მომავლადი“, „ფიქრი“, „გაზაფხული მოლოდინში“, „...“ (ვარდი კოკობი გადაფურჩქენილი), „სასაფლაოზე“.

43. საახალწლო მილოცვები შექსიარის „მეფე ლირიდან“ და „პამლეტიდან“ დაიბეჭდა „ენობის ფურცელში“ 1904 წ. I იანვარს, № 2368: „ეხლანდელ ქართველობას“, „წერა-კითხვის საზოგადოებას“, „ნიკო ნიკოლაძეს“, „თავადაზნაურობის ერთგულს“, „ჩვენს პუბლიცისტებს“, „კოტე მესხს“, „ვესო პაპიძეს“, „კოტე ყოფიანს“ და სხვ. ილია ქვეკევაძისადმი მილოცვის ტექსტი იყო: „შეგჩა სული კიდევ თუ არა? ერთი ხმა გამე, კარგო კაცო რა დაგემართა?“ — „მეფე ლირი“.

44. „მ ო გ ზ ა უ რ ი“ (1905 წ.) — ყოველკვირეული სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი, რედ.-გამ. ი. როსტომაშვილი, ფაქტიური რედაქტორი ფ. მანარაძე.

45. 1905 წ. „მოგზაურის“ № 13-ში ვ. ნ. ინიციალებით (ვალერიან ნაცვლიშვილი) დაიბეჭდა კორესპონდენცია „საგურამოს და ჰომორტის საზოგადოება“.

46. „ნუთუ“ დაიბეჭდა „ივერიის“ 1905 წ. № 68-ე ნომრის დამატებად. იხ. ფ. გოგირაძის „ილია ქვეკევაძის „ნუთუ“-ს დაბეჭდვის ამბავი“, „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. 14. IV. № 871.

47. ს. ფირცხალავა გულისხმობს წერილებს საგურამოს შოურავ სანდროსადმი და მოსე მემარნიშვილისადმი (ი. ქვეკევაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. 3 ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. X, 1961 წ., გვ. 125, 133).

48. იგულისხმება ილია ქვეკევაძის 1886 წლის 5 იანვრით დათარიღებული ბარათი აკაკი წერეთლისადმი, რომელშიც ი. ქვეკევაძე გაზეთ „ივერიაში“ თანაშემროლობას სთხოვს აკაკი წერეთელს (ი. ქვეკევაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, 3. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, 1961 წ., გვ. 114).

49. ს. ფირცხალავა გულისხმობს აკ. წერეთლის წერილს „რამდენიმე სიტყვა ბატონ ილია ქვეკევაძის საპასუხოდ „ვეფხვის-ტყაოსნის“ გამო“, რომელიც 1898 წ. დაიბეჭდა „აკაკის კრებულში“, № 5, ილია ქვეკევაძის საპოლემიკო წერილის პასუხად (აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XII, 1960 წ., გვ. 338).

50. ი. ქვეკევაძის დაკრძალვის დღეებში წარმოთქმული სიტყვები, ლექსები, დებუებები, რომლებიც გაზ. „ისარში“ იბეჭდებოდა, ს. ფირცხალავამ და გ. სალარიძემ შეგროვეს და 1907 წ. გამოსცეს ილიას ხსენისადმი მიძღვნილი კრებული „ილია ქვეკევაძის სიკვდილი და დასაფლავება“ (რედაქცია გაზეთ „მნიშისა“, გამოცემა „კალამისა“).

51. 1913 წ. მთაწმინდაზე იაკობ ნიკოლაძის „მწუხარე საქართველოს“ განხილვასთან დაკავშირებით „სახალხო გაზეთში“ (S. V. № 887) დაიბეჭდა ს. ფირცხალავას წერილი „რას გვავალებს?“

52. ს. ფირცხალავა, როგორც სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, 1910 წ. გასაშართლეს და სხვებთან ერთად გადაასახლეს. გადასახლებაში დაჰყო 1913 წლის აპრილამდე.

53. ანდრეევის ქუჩა — ახლანდელი ს. ორჯონიძის ქუჩა.

54. იგულისხმება თბილისელი ფოტოგრაფი დიმიტრი ერმაკოვი (1846—1916).

⁵⁵ ა. წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილეს მომწყობი კომიტეტის შიშართვი, რომელსაც ხელს აწერენ კომიტეტის თავმჯდომარე გ. ყაზბეგი, მდივნები — ს. შვალობლიშვილი და ს. ფირცხალავა, დაეულია გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში, დაიბეკდა „ლიტერატურის მათიანეს“ 1982 წლის № 7 — 8 წიგნში.

⁵⁶ ს. ფირცხალავას ეს წერილი დაიბეკდა ვეჟა-ფშაველას თხზულებათა ათრომეულის X ტომში, 1984 წ., გვ. 265.

⁵⁷ ს. ფირცხალავას მტირე შენიშვნა ამ ინცინდენტის გამო დაიბეკდა ჟურნ. „ფასკუნჯში“, 1909 წ., № 17.

⁵⁸ „შიო ჩიტაძე — ძვირფასია მისი მოგონება“ ამოღებულა ფელეტონიდან „პატარა ამბები“ — „შიო ჩიტაძე — ძვირფასია მისი მოგონება. ტფილისის გიმნაზიის სკოლა და ყაზარმა“.

შიო ჩიტაძეზე მოგონება დაწერილა მისი ტრავიკულად დალუკვის 10 წლისთავზე („სახალხო გაზეთი“), 1916 წ., 3.VII. № 614.

⁵⁹ არჩ. ჭორჭაძეს ჰყავდა ოთხი და: ნინო, ლიზა, შაშო, თამარი და ერთი ძმა — ლევანი. ნინო და ლიზა ქუთაისში, წყალწითელაში ბანაობის დროს დაიხრჩვენენ, შაშო გარდაიცვალა, ლევანი მოკლეს თბილისში. დარჩა ერთი და — თამარი, რომელიც ცოლად ჰყავდა სამხედრო ექიმს ალბერტ შრენბერს.

⁶⁰ გ. დეკანოზიშვილი გარდაიცვალა 1910 წლის 18 ნოემბერს საფრანგეთში. იმავე წლის 12 დეკემბერს კონსპირაციულად ჩამოასვენეს თბილისში და წმ. ნინოს ეკიკის სასაფლაოზე დაკრძალეს.

⁶¹ არჩ. ჭორჭაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ს. ფირცხალავას წერილი „უკანასკნელი საღამი“ დაიბეკდა „სახალხო გაზეთში“, 1913 წ. 29. III. № 858.

პირთა საძიებელი

- აბაშიძე ვასო (1854—1926) — მსახიობი — 19, 45, 48.
აბაშიძე კიტა (1870—1917) — კრიტიკოსი, პუბლიცისტი — 57, 63, 65, 67, 98.
აგლაძე ილია (1872—1948) — ჟურნალისტი — 33, 36, 37.
აღაშიძეები — 10.
აველიშვილი ზურაბ (1876—1944) — იურისტი, ისტორიკოსი — 22, 25, 115
ავექსანდრე II (1818—1881) — რუსეთის იმპერატორი 1855—1881 წწ. — 14
ავექსანდრე III (1845—1894) — რუსეთის იმპერატორი 1881—1894 წწ. — 16
აღიხანოვა-ვარსკი (—1907) — მეფის რუსეთის გენერალი — 52
ანდრონიკაშვილი ლუარსაბ (1872—1939) — იურისტი, თსუ პროფესორი — 22, 25, 115
ანდრონიკაშვილი. ქეთევან — მსახიობი — 19
ასათიანი ნიკოლოზ-ვახ. „მზის“ ფიქტიური რედაქტორ-გამომცემელი — 64
ახოსპირელი ბეგლარ (1880—1921) — პოეტი; მთარგმნელი — 61, 64
ბაირონი ჯორჯ გორდონ (1788—1824) — ინგლისელი პოეტი — 23
ბალანჩივაძე მელიტონ (1862—1937) — კომპოზიტორი — 26
ბარაბაძეები — 10
ბარათაშვილი იოსებ (1874—1937) — იურისტი — 22
ბარათაშვილი ნიკოლოზ (1817—1845) — 23, 56—58, 102.
ბატისტინი კონტილიანო (1856—1928) — იტალიელი მომღერალი — 29
ბახანა (რაზიქაშვილი ნიკო) (1866—1928) — პოეტი — 45, 64
ბეჟანეიშვილი წიგნის მეპატრონე ქუთაისში — 86
ბესიკი (გაბაშვილი ბესარიონ) (1750—1791) — პოეტი — 88.
ბილანიშვილი ზაქარია (შაქრო) (1862—1934) — პუბლიცისტი, ფოლკლორისტი — 36, 37
ბოცვაძე ლუარსაბ (1866—1919) — პედაგოგი, ჟურნალისტი — 72, 84
გაბაშვილი გიგო (1862—1936) — მხატვარი — 83
გაბაშვილი გი. — ექიმი — 33
გაბაშვილი ეკატერინე (1851—1938) — მწერალი — 67
გაბუნია ვ. — მსახიობი — 19
გაბრიელი — გერასიმე ქიქოძე (1825—1896) — იმერეთის ეპისკოპოსი — 21
გაბუნია-ყაგარელი ნატალია (1859—1910) — მსახიობი — 19, 45
განდუგილი (დომინიკა მდივანი) (1865—1949) — პოეტი — 35, 36, 64, 67
გაპონი ვიორჯი (1870—1906) — რუსი მღვდელი, პროვოკატორი — 49
გაჩეჩილაძე შიხელი (1877—1958) — წიგნის გამომცემელი — 103
განდევანიშვილი იოსებ (1872—1939) — დრამატურგი — 57
გაიეშვილი დავით (1846—1916) — აშული პოეტი — 65
გიუტე — გოეთე ვოლფგანგ (1849 — 1932) — გერმანელი მწერალი და მოაზროვნე — 23
გოგებაშვილი იაკობ (1840—1912) — მწერალი, პედაგოგი — 42, 44, 88, 90, 91

გოგიაჩაიშვილი ფილიპე (1872—1958)—ქურნალისტი, ეკონომისტი, თსუ პროფესორი—49, 51, 74.
გოლოვინი ევგენი (1782—1858)—რუსი სამხედრო მოღვაწე, კავკასიის სამოქალაქო აღმ. მმართველი—88
გოთუა პართენ (1873—1936)—მწერალი, ქურნალისტი—111
გომართელი ივანე (1975—1938)—ექიმი, მწერალი, კრიტიკოსი—63, 65
გორკი მაქსიმ (1869—1936)—რუსი მწერალი—75
გრიბუნოვი (—1905)—მეფის რუსეთის არმიის გენერალი—52
გრიბოედოვი ალექსანდრე (1795—1829)—რუსი დრამატურგი—51
გრეშაშვილი იოსებ (1889—1965)—პოეტი, მკვლევარი—57, 64
გუნია ვალერიან (1862—1938)—მსახიობი, დრამატურგი, ქურნალისტი—35, 45
გუნუცაძე (მგალობლიშვილი) სოფრომ (1851—1925)—მწერალი—45, 61, 63, 65, 90
გურიელბი—15, 86
გურიელი შამია (1836—1891)—პოეტი—19, 20

დიდიანები—15
დიდაბრიშვილი (არაგვისპირელი) შიო (1867—1926)—მწერალი—45, 60, 61, 62, 65.
დეკანოზიშვილი გიორგი—(1867—1910)—ინჟინერი, პუბლიცისტი—35, 37, 48, 71, 117
დეშურია შარია (1860—1910)—ქურნალ „ნაკადულის“ დამაარსებელი და რედაქტორი—45. 1

ედილაშვილი ვ.—ქ. შ. წ. კ. გამაერცლებელი საზოგადოების ბულაღტერი—54
ედოშვილი ირაღიონ (1872—1916)—პოეტი—45, 60, 61, 64, 104—106
ეკლაძე ია (ცინცაძე იაკობ) (1872—1933)—მწერალი—54, 61, 105
ერისთავი გიორგი (1813—1864)—ქურნალ „ცისკრის“ და ქართული თეატრის დამაარსებელი—19
ერისთავი დავით (1847—1890)—ქურნალისტი, დრამატურგი—19
ერისთავი ეკატერინე—ნ. ბარათაშვილის დისწულის მეუღლე—56—57
ერისთავი ნიკოლოზ—ნ. ბარათაშვილის დისწული—56, 57, 58
ერისთავი რაფიელ (1824—1901)—პოეტი—108
ერისთავი-ხუტარია ანასტასია (1868—1951)—მწერალი—45, 65

ვაჟა-ფშაველა (რაზიკაშვილი ლუკა) (1861—1915)—26, 45, 61, 63, 64, 101—105
ვეზირიშვილი გ.—ნ. ბარათაშვილის დისწული—57
ველისციხელი (მნაქიქიან ისაკიანი) (1886—1955)—პოეტი—61
ვეტროვა—პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი—24, 115
ვიტგენშტიინები—16
ვოლინსკი (აკიმ ფლექსერი) (1863—1926) კრიტიკოსი და ქურნალისტი—25, 115
ვორონცოვი მიხეილ (1782—1856)—რუსი სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიის მეფისნაცვალ 1844—54 წწ.—33, 112
ვორონცოვ-დაშკოვი ილარიონ (1837—1916)—რუსი სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიის მიფისნაცვალ 1905—15 წწ.—49, 78
ვოსტოვოვი—52
ვ. ნ.—ვალერიან ნაცვლიშვილი—ქურნალისტი—73, 75, 76

ზარნიკაუ—აგრაფინა იოსელიანი-დადიანი (—1926)—15
ზემბრიხი მარჩელა (1858—1935)—პოლონელი მომღერალი—29

ხიჩი მიახი (1829—1906)—უნგრელი მხატვარი, „ვეფხისტყაოსნის“ ილ. 10
ტრატორი—26

ზობლეთელი ნოე (1880—1938)—პოეტი — 61
ზუბალაშვილები — ქართველი მრეწველნი და ქველმოქმედნი — 40, 42
თამაშაშვილი — ს. ერისთავი ეკატერინე
თარხნიშვილი ივანე (1846—1908) — ფიზიოლოგი — 23
თაყაიშვილი ექვთიმე (1863—1953) — ისტორიკოსი, მკვლევარი — 42, 43
45, 108

თომიძე მოსე (1871—1953) — მხატვარი — 83
თომაშვილი დომენტი (1876—1952) — პოეტი — 61
თულაშვილი ვახტანგ (1834—1910) — პედაგოგი, ქ. შ. წ. კ. გამავერცელ-
ბელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი — 45
თუშანიშვილი გიორგი (1854—1920) — პუბლიცისტი, საზოგადო მოღვა-
წე — 57
თუშანიშვილი ვასილ — ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე — 18
თუშანიშვილი მიხეილ (1818—1875) — პოეტი, კრიტიკოსი — 58
თუშანიშვილი ივანე ანასტასია (1849—1932) — მწერალი — 45
თურქია ივანე — ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე — 20

ისარლიშვილი ლუკა (1814—1893) — პოეტი, ცენზორი — 108

კაიკაციშვილი გულო (ქათამაძე) (1840—1923) — ქართველი საზოგა-
დო მოღვაწე — 98
კარბელაშვილი ვასილ (1858—1936) — სასულიერო პირი — 45.
კარბელაშვილი ვოლოდემირ (1858—1936) — სასულიერო პირი, პე-
რიოდულ პრესაში ბეჭდავდა წერილებს საქართველოს ისტორიიდან — 45
კარევეი ნიკოლოზ (1850—1931) — ისტორიკოსი, პეტერბურგის უნივერსი-
ტეტის პროფესორი — 23, 28
კარსანიძეები — 10
კიკნაძე მიხეილ — ასოთამწყობი — 71
კირიოხი (1855—1918) — ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი, ის-
ტორიკოსი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1917—1918 წწ. — 45
კლდიაშვილი დავით (1862—1931) — მწერალი-დრამატურგი — 45
კობონი — იტალიელი მომღერალი — 29
კრაკი — 63
კრილოვი ივანე (1769—1844) — რუსი პოეტი-მეიჯავე — 97
კრიმ-გირეი — მეფის მოადგილის თანაშემწე — 49

ლაღაიანცი — 92
ლასხიშვილი გიორგი (1886—1931) — პუბლიცისტი — 35—37, 40, 48, 57,
98, 116, 117
ლენინი (სულიანოვი) ვლადიმერ ილიას ძე (1870—1924) — 75
ლეონიდი (1861—1921) — ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1818—1921 წწ. — 45.
ლეობარდი ჯაკობო (1798—1837) — იტალიელი პოეტი — 23
ლერმონტოვი მიხეილ (1814—1841) — რუსი პოეტი — 90
ლილუა — 91
ლიმონური ნიკო (1852—1915) — მწერალი — 45
ლორთქიფანიძე ვლადიმერ (1872—1909) — ტურნალისტი, მთარგმნელი —
35, 37, 51, 117, 119
ლორთქიფანიძე კირილე (1839—1919) — ტურნალისტი — 86
ლორის-შელიქოვი მიხეილ (1825—1888) — მეფის რუსეთის სახელმწიფო
მოღვაწე — 33
ლუკაშვილი დავით (1882—1956) — მწერალი — 65

- მალაქიაშვილი (ხუროძე) ვარლამ (1883—1939)—მწერალი—61, 65
 მარი ნიკო (1864—1934)—ენათმეცნიერი—45, 52
 მარკონი—იტალიელი მომღერალი—29
 მარქსი კარლ (1818—1883)—33
 მარქსანიშვილი კოტე (1872—1933)—რეჟისორი—40
 მარჯანიშვილი კოტე (1875—1927)—პოეტი—63, 64, 67
 მარიაშვილი ჭიხელი (1868—1927)—ჟურნალისტი—33
 მაძინი—იტალიელი მომღერალი—29
 მგელაძე ვლასა (—1943)—ჟურნალისტი—20
 მღვანე სოსიკო (სიმონ)—ვეჟილი—22
 მეგობელი დუტუ (ხოშტარია დიმიტრი) (1867—1938)—პოეტი—45, 61, 64
 მელაძეები—10
 მესხი კოტე (1859—1914)—მსახიობი—19, 45, 65.
 მესხი სერგეი (1844—1883)—პუბლიცისტი—54
 მესხიშვილი კ.—მესტამბე—65
 მესხიშვილი ლადო (ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი) (1957—1920)—მსახიობი—19, 22, 45
 მეუნარგია იონა (1852—1919)—მწერალი, ბიოგრაფი—19
 მიქეშიანი მიხეილ (1835—1896)—უკრაინელი მოქანდაკე, გრაფიკოსი, ილუსტრატორი—28.
 მიჩიანაშვილი პეტრე (1860—1940)—პედაგოგი, ჟურნალისტი, მთარგმნელი—65, 67
 მიუნე-სული ქან (1840—1916)—ფრანგი მსახიობი—29
 მიურატები—სალომე დადიანისა და ამილ მცურატის შთამომავალი—15
 მიქელაძეები—15
 მიქელაძე ალექსანდრე (ეუკია)—სტუდენტი—55
 მურავიოვი მიხეილ (1796—1866) მეფის რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე—27
 მუხრან-ბაგრატიონი—72
 მკედლიშვილი იოსებ (1888—1950)—პოეტი—64
 ნაკაშიძე ილია (1866—1923)—პუბლიცისტი—22, 49
 ნაკაშიძე ნინო (1872—1963)—მწერალი—61, 94.
 ნარბუტი—ფრანგული ენის მასწავლებელი ქუთაისის გიმნაზიაში—19
 ნიკოლაძე იაკობ (1876—1981)—მოქანდაკე—63, 65, 66, 81, 83, 84, 95
 ნიკოლაძე ნიკო (1843—1928)—პუბლიცისტი, კრიტიკოსი—70, 98
 ოლღა-გურამიშვილი, ილია ქავეკაძის მეუღლე (1843—1927)—84, 85, 86
 ონიკაშვილი ყოლამ-რეზა—ფერადნელი ქართველი—72
 ორბელიანი გრიგოლ (1804—1883)—პოეტი—57
 ორბელიანი ზაქარია (1806—1847)—სამხედრო მოღვაწე—56
 ავლენკოვი—წიგნის გამომცემელი—28
 პეტრი—ანთროპოლოგიის ლექტორი პეტერბურგის უნივერსიტეტში—23
 პლევე ვიარესლავე (1846—1904)—მეფის რუსეთის რეპეციონერი მოღვაწე—47
 პოლუმორდინოვი ივანე—მთარგმნელი, ცენზორი—55, 111
 პუშკინი ალექსანდრე (1799—1837)—რუსი პოეტი—18
 ეორდანიანი (1870—1953)—პუბლიცისტი, მენშევიკების პარტიის ლიდერი—32
 ერეკლელი—ქუთაისელი მოსწავლე—80
 გურული გიორგი—დრამატურგი, ცენზორი—57, 108, 110, 111
 9. ს. ფირცხალავა

ტაბიკაშვილი თედო (1869—1922) — პოეტი, ფოლკლორისტი—45, 61, 64
ტაბიკაშვილი ტრიფონ (1875—1929) — დრამატურგი — 67
ტატიანა — 10
ტოდენი ოგიუსტ (1840—1917) — ფრანგი მოქანდაკე — 83
ტოზმარდიუკ — 16
ტოსი ერნესტო (1827—1896) — იტალიელი მსახიობი — 29
ტუსთაველი შოთა — 23, 108
ტუხაძე ვარლამ (1874 — 1935) — პოეტი — 61
ტახილაძე გრიგოლ (1876—1934) — ჟურნალისტი, ლიტერატორი — 22, 48

საგინაშვილი ელისაბედ (1843—1925) — ილია ჭავჭავაძის და — 33
სარაჯიშვილი ალექსანდრე („რიმ-ბაბი“) (1851—1914) — ისტორიკოსი, მკვლევარი — 33, 44, 63, 65, 67, 106, 108
სარაჯიშვილი დავით (1848—1911) — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოში კონიაის წარმოების ფუძემდებელი, ცნობილი მეცენატი — 71, 99
საფაროვაბაშვიძე შაკო (1860—1941) — მსახიობი — 19
სოლომონ II (1772—1815) — იმერეთის მეფე 1789—1810 წწ. — 21
სოფიო-ბარათაშვილი სუშბათაშვილი, ნ. ბარათაშვილის და — 58
სუშბათაშვილი ალექსანდრე (იუენი) (1857—1927) — მსახიობი, დრამატურგი — 46, 47
სურგულაძე პეტრე (— 1932) — ჟურნალისტი, პედაგოგი — 50, 84

ტაბიძე გალაქტიონ (1891 — 1959) — 64, 65
ტამანიო ფრანჩესკო (1850 — 1905) — იტალიელი მომღერალი — 29
ტატიშვილი გრიგოლ (1838—1911) — მხატვარი-ქილოგრაფი — 64
ტიმოფეევი — თბილისის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი — 53
ტოლსტოი ლევ (1828—1910) — რუსი მწერალი — 75, 116

უაილდი ოსკარ (1854—1900) — ინგლისელი მწერალი — 63
უშიკაშვილი პეტრე (1838—1904) — მწერალი, პუბლიცისტი — 44, 106
ურბნელი ნიკო (ხიზანაშვილი) (1851—1906) — პუბლიცისტი, ეთნოგრაფი — 45, 68

ფალაშვილი ზაქარია (1871—1933) — კომპოზიტორი — 63, 65
ფალავეტი — 15, 86
ფირცხალავეტი — 10, 11
ფირცხალავე გიგო — ს. ფირცხალავას შამა — 11
ფირცხალავე თენგიზ — ს. ფირცხალავას ბიძაშვილი — 11, 1ა
ფირცხალავე იაკობ — ს. ფირცხალავას ძმა — 11, 15
ფირცხალავე მიქელ — მათხოვის მცხოვრები — 21
ფირცხალავე ნესტორ — ს. ფირცხალავას ძმა — 11
ფირცხალავე სამსონ (1872—1952) — პუბლიცისტი, რედაქტორ-გამოცემელი — 56, 57, 90
ფირცხალავე სევერიან — ს. ფირცხალავას ბიძაშვილი — 11, 15

ქიშმეშოვი — ტენზორი — 110
ქუჩუკაშვილი შიო (მღვიმელი) (1866—1933) — საბავშვო პოეტი — 54
61, 64, 105

ღულაძე ანდრო (1857—1920) — ჟურნალისტი — 111

ყაზბეგი ალექსანდრე (1848—1893) — მწერალი — 40
ყაზბეგი გიორგი (1839—1921) — სამხედრო მოხელე, ქ. შ. წ. კ. გამაერტელელო საზოგადოების თავმჯდომარე, 90, 100, 101

ყიფიანი დიმიტრი (1814—1887) — პუბლიცისტი, მთარგმნელი, საზ. მოღვაწე — 41, 58, 91
ყიფიანი კორტე (1849—1921) — მსახიობი, მთარგმნელი — 19, 45, 65
ყიფშიძე ალექსანდრე (ფრონელი) (1862—1916) — ისტორიკოსი — 45
ყიფშიძე გრიგოლ (1858—1921) — მწერალი, პუბლიცისტი — 33, 45, 65

შალიკაშვილი ვალერიან (1874 — 1919) — დრამატურგი — 65
შანშიაშვილი ალექსანდრე (1888—1979) — პოეტი-დრამატურგი — 61, 63, 64, 67, 95

შატელენი — მსახიობი — 46

შაპაბასი — ირანის შაჰი (1571—1629) — 72
შექსპირი უილიამ (1564—1616) — ინგლისელი პოეტი-დრამატურგი — 70
შილერი (1759—1805) — გერმანელი პოეტი-დრამატურგი — 103
შინატხელი გიორგი (მანათაშვი) (1568—1941) — მუშა-პოეტი — 61
შირინკინი — მეფის მოადგილის თანაშემწე თბილისში — 52, 56
შპერლინგი ოსკარ (1863—1938) — მხატვარი — 83

ჩერქეზიშვილი ელისაბედ (1863—1948) — მსახიობი — 32, 45
ჩიშაკაძეები — 10
ჩიშაკაძე ლავრენტა — მთხოველი მასწავლებელი — 10
ჩირგაძე ბარბალე — ს. ფირცხალავას დედა — 12
ჩიტაძე შიო (1874 — 1906) — პედაგოგი, ჟურნალისტი — 48, 52, 68, 113, 114, 119

ჩიქოვანი — 98
ჩხეიძე კარლო (1864—1926) — ჟურნალისტი — 79
ჩხეიძე ნუცა (ნინო) (1881—1961) — მსახიობი — 32

ცაგარელი აექსენტო (1857—1902) — დრამატურგი — 35, 36
ცაგარელი ალექსანდრე (1844 — 1929) — ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, არქეოლოგი — 23, 24, 45

ცინცაძე იაკობ — იხ. ეკლაძე ია
ცინცაძე კალისტრატე (1866—1952) — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1932—1952 წწ. — 45

ცხედაძე ნიკოლოზ (1845—1911) — პედაგოგი, ქ. შ. წ. კ. გამაყრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, ისუ შენობის ამშენებელი — 45, 67, 68, 69, 76, 99, 100, 101

წერეთლები — 15, 86

წერეთელი აკაკი (1840—1915) — 19, 40, 45, 63, 64, 67, 70, 78, 79, 86—99, 104

წერეთელი ალექსი (1869—1932) — ანტრეპრენორი — 95, 96

წერეთელი გიორგი (1842—1900) — ბელეტრისტი, პუბლიცისტი — 26, 27, 32

წერეთელი ელისაბედ — 96

წერეთელი (Бѣѣѣѣ) მიხეილ (მიხაკო) (1878—1965) — პუბლიცისტი, ორიენტალისტი — 79

წულუკიძეები — 15

პაექვაძე ალექსანდრე (1786—1846) — პოეტი — 51

პაექვაძე ილია (1837—1907) — 26, 27, 32, 33, 40, 56, 63, 64, 67—86, 90, 91, 96, 99, 100, 104

პილაძეები — წიგნის მაღაზიის მეპატრონეები ქუთაისში — 86

პყონია ილია (მაგმაძე) (1860—1927) — ჟურნალისტი — 54

ხაჩაბიშვილი — 16

ხახანაშვილი ალექსანდრე (1864 — 1912) — ფილოლოგი, ისტორიკოსი — 45, 65

- ხელაია ამბროსი (1861—1927)—საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
1921—1927 წწ. — 45
- ხელაძე ექვთიმე (1845—1905) — მესტამბე — 33
- ხელთუფლიშვილები — 86
- ხიზანაშვილი — იხ. ურბნელი ნიკო
- ხუნდაძე სილოვან (1866—1928) — მწერალი, პედაგოგი — 86, 110
- ხუციშვილი — ფერეიდნელი ქართველი — 72
- ჯაბადარი ალექსანდრე (1851—1933) — ეურნალისტი, წიგნის გამომცემელი — 36, 40, 49
- ჯაბადარი ივანე (1852—1913) — პუბლიცისტი — 33
- ჯავახიშვილი გიორგი (1877—1956) — ლიტერატურათმცოდნე, ზოოლოგი — 65
- ჯავახიშვილი ივანე (1876—1940) — ისტორიკოსი, თსუ დამაარსებელი და რექტორი — 22, 25, 57
- ჯანაშვილი შოსე (1855—1934) — ისტორიკოსი — 45
- ჯორჯაძე არჩილ (1872—1913) — მწერალი-პუბლიცისტი — 22, 25, 35—37, 48, 71, 115—119
- ჯორჯიაშვილი არსენა (1881—1906) — რევოლუციონერი — 52
- პრინცივიკი პენრიკი (1869—1937) — მხატვარი, ილუსტრატორი — 83

ს ა რ ჩ ე ვ ი

სამსონ ფირცხალავა — ლეილა ნანიტაშვილი	3
სოფლადან ქუთაისის გიმნაზიაში	9
პეტერბურგის უნივერსიტეტში	22
სალიტერატურო მუშაობა თბილისში	30
მე როგორც გამომცემელი და რედაქტორი	53
ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გარშემო	67
აკაკი	86
ზოგიერთები	99
ცენზურა და პრესა	108
შოო ჩიტაძე — ძვირფასია მისი შოკონება	113
ჩემი მოგონება არჩილ ჯორჯაძის შესახებ	115
შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი	120
პ ი რ თ ა ს ა ძ ი ე ბ გ ლ ი	126